სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი



ათინათი

დონე A2

ათინათი

დონე A2

2026

პროექტის ხელმძღვანელი
ნინო ბერიკაშვილი

მეთოდური ხელმძღვანელი
ნინო შარაშენიძე

რედაქტორი
მაია მღებრიშვილი

ილუსტრატორი და დიზაინერი
მარიამ ელიზბარაშვილი

ავტორები:

ნინო შარაშენიძე
გულთამზე შკუბულიანი
ლალი ასლამაზიშვილი - დალაქიშვილი
მაია გელაშვილი
იზა გვირჯიშვილი
ლელა ბუთურიშვილი
თეიმურაზ შალამბერიძე

წინასიტყვაობა

ქართული ენის ოთხდონიანი სახელმძღვანელოსთვის (საანბანე, A1, A2, B1)

ენის შესწავლა მხოლოდ ახალი სიტყვებისა და გრამატიკული წესების ათვისება არ არის — ეს არის მოგზაურობა ახალ კულტურაში. სწორედ ამ იდეას ეფუძნება ქართული ენის შესასწავლი ოთხდონიანი სახელმძღვანელო „ათინათი“ (საანბანე, A1, A2, B1), რომელიც ქართული ენის შემსწავლელთათვის სწავლების თანამედროვე, კომუნიკაციური და პრაქტიკული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით შეიქმნა.

წინამდებარე სასწავლო კომპლექტი (სახელმძღვანელო და სამუშაო რვეული) მიზნად ისახავს ენის ათვისების პროცესი გახადოს მაქსიმალურად ინტერაქტიული, თანმიმდევრული და რეალურ ცხოვრებასთან დაახლოებული, რათა შემსწავლელებს გაუადვილდეთ ყოველდღიური კომუნიკაცია და ადგილობრივ სოციოკულტურულ გარემოში ინტეგრაცია.

სახელმძღვანელოში თითოეული თემა კომპლექსურად არის სტრუქტურირებული და დამუშავებული სპეციალური რუბრიკების მეშვეობით. ეს რუბრიკები ფარავს ენობრივი კომპეტენციის ყველა ძირითად მიმართულებას - მოსმენას, კითხვას, ლაპარაკსა და წერას, აგრეთვე ლექსიკასა და გრამატიკას. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მასალის მრავალმხრივ გააზრებას: ენის შემსწავლელები ჯერ ეცნობიან თემატურ ლექსიკასა და ტექსტებს, შემდეგ კი სხვადასხვა რუბრიკის დახმარებით მიღებულ ცოდნას პრაქტიკულ, საკომუნიკაციო სიტუაციებში იყენებენ.

ვიმედოვნებთ, რომ ეს სახელმძღვანელო საიმედო გზამკვლევი გახდება როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისა და ყველა იმ დაინტერესებული პირისთვის, რომლებიც ქართული ენისა და კულტურის შესასწავლად პირველ ნაბიჯებს დგამენ.

გისურვებთ ნაყოფიერ და საინტერესო სასწავლო პროცესს!

სარჩევი

თემა 1. ჩემი ბინა 6

თემა 2. სტუმრად ნათესავებთან (სუფრა, წვეულება) 21

თემა 3. როგორ მოვამზადოთ საჭმელი? 44

თემა 4. ჩემს ქალაქში 68

თემა 5. როგორ ვმგზავრობთ და ვმოგზაურობთ? 96

თემა 6. ჩვენ და ჩვენი გარემო 121

თემა 7. ჩემი მეგობარი ავადაა 147

თემა 8. ჰობი - ჩემი საყვარელი საქმიანობა 166

თემა 9. გასეირნება ქალაქგარეთ 181

თემა 10. მე მიყვარს მოგზაურობა 198

თემა 11. ფოსტაში გზავნილია - ამანათი და წერილი 217

თემა 12. გაიცანი საქართველო 234

ლექსიკა: ოთახები, ავეჯი.

გრამატიკული საკითხი: ადგილის ზმნიზედები: წინ, უკან, ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, ახლოს, შორს; ანტონიმები; შედარების (უფრო... ვიდრე) გამომხატველი ენობრივი კონსტრუქციები.

ზმნები: დგას, დევს, კიდია, წევს, ზის.

თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით სურათებს. შემოთავაზებული დასახელებები მიუწერეთ შესაბამის სურათს:

ა) მრავალსართულიანი სახლი/კორპუსი, ბ) ბინა, გ) სახლი

		
1.	2.	3. .....

2. სიტყვები დაუკავშირეთ სურათებს:

მისაღები ოთახი, კაბინეტი, საძინებელი, სააბაზანო,

სასადილო ოთახი, სამზარეულო

	
.....	.....
	
.....	.....
	
.....	.....

3. დააკვირდით ილუსტრირებულ ლექსიკონს და გაანაწილეთ ოთახებში:

			
ტუმბო	სარკიანი მაგიდა	ტელევიზორი	დივანი
			
სასადილო მაგიდა	წიგნების კარადა	უნიტაზი	საწოლი
			
გაზქურა	ტანსაცმლის კარადა	მაცივარი	პირსაბანი
			
აბაზანა	კომპიუტერი	კომპიუტერის მაგიდა	სავარძელი

საძინებელი:

სამზარეულო:

სააბაზანო:

კაბინეტი:

მისაღები/სასტუმრო ოთახი:

კითხვა

4. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

ჩემი ბინა

მე ვარ ლალი. ვცხოვრობ ქალაქ რუსთავში, ქალაქის ცენტრიდან შორს, გრანელის ქუჩაზე.

ჩემი კორპუსი მაღალი არ არის, სულ ხუთი სართულია. მე მესამე სართულზე ვცხოვრობ. ჩემი ბინა დიდი და კომფორტულია, აქვს ორი ერთნაირი აივანი. ერთ

აივანზე მაქვს ლამაზი ყვავილები. მეორეზე დგას მაგიდა და სკამები. ზაფხულში ოჯახი აქ ვსაუზმობთ, ვსადილობთ და ვსვამთ ჩაის. ოჯახში ვცხოვრობთ მე, დედა, მამა და ჩემი ძმა.

ჩვენს ბინაში შვიდი ოთახია: მისაღები ოთახი, სამზარეულო, სამი საძინებელი, სააბაზანო და კაბინეტი.

მისაღები ოთახში დგას დივანი, სავარძლები და ტელევიზორი. დივნის წინ ჟურნალების მაგიდაა. კედელზე, ტელევიზორის ზევით, კიდია დიდი საათი. ოთახი დიდია და ნათელი.

მისაღები ოთახის მარჯვნივ პატარა კაბინეტია. კაბინეტში დგას წიგნების კარადა, საწერი მაგიდა, სკამი და პატარა სავარძელი. სავარძლის უკან, მაგიდაზე, დევს სანათი. თავისუფალ დროს მამა სავარძელში ზის და წიგნს კითხულობს. კაბინეტში კედლებზე კიდია ჩვენი ოჯახის ფოტოები.

საძინებლები არის შესასვლელის მარცხნივ. დიდი საძინებელი ჩვენი მშობლებისაა.ამ საძინებლის გვერდით ჩემი ძმის საძინებელია. იქ დგას ტანსაცმლის კარადა, დიდი საწოლი, ორი ტუმბო, კომპიუტერის მაგიდა და კომპიუტერი. ჩემი ძმის საძინებელი უფრო დიდია, ვიდრე ჩემი, მაგრამ ჩემი საძინებელი უფრო ნათელი და ლამაზია. ჩემს საძინებელში ფარდები არის ვარდისფერი, ავეჯი თეთრია. საწოლის გვერდით მუსიკალური ცენტრი დგას. ხშირად საწოლზე ვწევარ და ვუსმენ მუსიკას. კედელზე ჩემი საყვარელი მომღერლების ფოტოები კიდია. ფანჯრის მარცხნივ სარკიანი მაგიდა დგას.

მისაღები ოთახის წინ სამზარეულოა. სამზარეულოს ერთი დიდი ფანჯარა აქვს. დედას ძალიან უყვარს გემრიელი საჭმლის მომზადება. სამზარეულოში დგას ჭურჭლის კარადა, გაზქურა, მაგიდა, ექვსი სკამი და მაცივარი. სამზარეულოს ავეჯი ხისფერია.

სამზარეულოს გვერდით სააბაზანოა. სააბაზანოში დგას პირსაბანი, აბაზანა და უნიტაზი.

1. სად ცხოვრობს ლალი?
2. რომელ სართულზე ცხოვრობს ლალის ოჯახი?
3. რამდენი აივანი აქვს ბინას?
4. რამდენი ოთახია ბინაში?
5. რა დგას მისაღებ ოთახში?
6. სად კიდია საათი?
7. რა დგას ძმის საძინებელში?
8. რა დევს კაბინეტში სავარძლის უკან?
9. როგორია ლალის ოთახი?
10. რა კიდია ლალის ოთახის კედელზე?
11. რა ფერია ლალის საძინებლის ავეჯი?
12. რა დგას სააბაზანოში?

5. ცხრილში მონიშნეთ, ინფორმაცია სწორია (+) თუ არასწორი (-)

№	წინადადება	
1.	ლალის ბინა ქალაქის ცენტრიდან არის შორს.	
2.	ლალის კორპუსი არის მაღალი.	
3.	ლალი ცხოვრობს მე-7 სართულზე.	
4.	ლალის ბინას აქვს ორი ერთნაირი აივანი.	
5.	მისაღებ ოთახში ჟურნალების მაგიდა დგას დივნის უკან.	
6.	ძმის ოთახი უფრო ნათელია, ვიდრე ლალის.	
7.	მამას კაბინეტში უყვარს წიგნის კითხვა.	
8.	ლალის ოთახში საწოლის გვერდით მუსიკალური ცენტრია.	
9.	მისაღები ოთახის წინ არის სამზარეულო.	
10.	კაბინეტში კიდია მომღერლების ფოტოები.	

6. წინა სავარჯიშოში მოცემული არასწორი ინფორმაცია გაასწორეთ და ისე დაწერეთ:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. სიტყვები გაანაწილეთ წინადადებებში:

სარკე, საწერი მაგიდა, დივანი, კარადა, აბაზანა, გაზქურაზე, სავარძლები, საათი, საწოლი, სასადილო მაგიდა, აივანი, მაცივარი

1. ელას სამზარეულოში ოთახში თეთრი ..... და ..... დგას.

2. ედა საჭმელს ამზადებს ..... .

3. ჩემს საძინებელში კიდია დიდი ..... .

4. ეკამ სამზარეულოსთვის იყიდა შავი ..... .

5. სასტუმრო ოთახში დგას ..... და ..... .

6. თედოს ბინას დიდი ..... აქვს.

7. ნატამ კაბინეტისთვის .... იყიდა.

8. ჩვენს სააბაზანოში დგას წითელი ..... .

9. მაქსიმეს საძინებელში ტუმბოზე დევს ..... .

10. პატარა ჯულიანას ..... ვარდისფერია.

8. სიტყვები დაუკავშირეთ განმარტებებს:

1.	სასადილო მაგიდა	ა)	დაბალი, უჯრებიანი კომოდი
2.	აივანი	ბ)	დიდი სკამი
3.	ტუმბო	გ)	სახლის ღია, მოაჯირიანი ნაწილი
4.	სარკიანი მაგიდა	დ)	ტექნიკა, რომელზეც საჭმელს ამზადებენ
5.	ტანსაცმლის კარადა	ე)	ბანაობისთვის განკუთვნილი ჭურჭელი
6.	დივანი	ვ)	მაგიდა,რომელზეც საკვებს მივირთმევთ
7.	სავარძელი	ზ)	ავეჯი ტანსაცმლის შესანახად
8.	მაცივარი	თ)	გასანათებელი მოწყობილობა
9.	გაზქურა	ი)	ზურგიანი მოგრძო რბილი ავეჯი
10.	აბაზანა	კ)	ტექნიკა საჭმლის ცივად შესანახად
11.	სანათი	ლ)	ავეჯი საძინებელში
12.	საწოლი	მ)	ავეჯი, რომელზეც წვებიან

9. ანტონიმები დააკავშირეთ ერთმანეთთან:

ახლოს		უკან
ერთნაირი		მარჯვნივ
წინ		შორს
მარცხნივ		ქვევით
ზევით		განსხვავებული

10. წინა სავარჯიშოს ანტონიმებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: *ახლოს/შორს*
*ტასო სკოლასთან **ახლოს** ცხოვრობს.*
*ლევანი **შორს** დადის მუსიკაზე.*

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....
6. .....
7. .....
8. .....

11. მოცემული ზმნები ჩასვით წინადადებებში:

დგას, დევს, წევს, კიდია, ზის

ნიმუში: *საძინებელში დგას სარკიანი ტანსაცმლის კარადა.*

1. კედელზე ..... პიკასოს ნახატი.
2. სავარძელზე ..... სათამაშო დათვი.
3. ბებია ..... დაბალ სკამზე .
4. დივანზე ..... თეთრი კატა.
5. ნინა ..... ტელევიზორთან ახლოს, სავარძელში.
6. მაგიდაზე ..... ხილის ვაზა.
7. საათი ..... კაბინეტში, კედელზე.
8. სასადილო ოთახში ..... თეთრი მაგიდა და სკამები.
9. დედა ..... საძინებელში, საწოლზე.

12. შეადგინეთ ორ-ორი წინადადება მოცემული ზმნების გამოყენებით:

1. დგას:

ა) ..... .

ბ) ..... .

2. დევს:

ა) ..... .

ბ) ..... .

3. კიდია:

ა) .....

ბ) .....

4.ზის:

ა) .....

ბ) .....

5. წევს:

ა) .....

ბ) .....

დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!

შედარება:

დათო ლევანზე მაღალია = დათო უფრო მაღალია, ვიდრე ლევანი.

აიშა ჯულისთან შედარებით კარგად სწავლობს = აიშა უფრო კარგად სწავლობს, ვიდრე ჯული.

13. შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: აგვისტოში სექტემბერთან შედარებით ცხელა.
აგვისტოში უფრო ცხელა, ვიდრე სექტემბერში.

1. სპილო დათვზე დიდია.

.....

2. პირველ სართულზე მეტად მერვე სართულზე ცხელა.

.....

3. თბილისთან შედარებით რუსთავი პატარა ქალაქია.

.....

4. ჩემი ძმის კლასთან შედარებით ჩემს კლასში მეტი მოსწავლეა.

.....

5. სახლთან სკოლაზე ახლოს საბავშვო ბაღია.

.....

6. მისაღები ოთახი ნათელია სამზარეულოსთან შედარებით.

.....

7. ჩემს სახლს ნათიას სახლთან შედარებით ფართო აივანი აქვს.

..... .

8. აინურა რაქსანასთან შედარებით ქერაა.

.....

10. სანდრა ელიზასთან შედარებით გამხდარია.

.....

11. სამზარეულოს ფანჯარა სასტუმრო ოთახის ფანჯარაზე დიდია.

.....

ლაპარაკი

14. წაიკითხეთ დიალოგები და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა.

- გამარჯობა, მაქს!
- გამარჯობა, სოფია!
- მაქს, ანამ ახალი ბინა იყიდა და მივდივართ მეგობრები, შენ წამოხვალ?
- როდის მიდიხართ?
- ხუთშაბათს, საღამოს 8 საათზე.
- კი, წამოვალ, მაგ დროს მცალია.
- გამიხარდა, რომ შენც ჩვენთან ერთად ნახავ ანას ახალ ბინას.

- სად იყიდა?
- ფიროსმანზე, ქალაქის ცენტრთან ახლოს, მესამე სართულზე.
- კარგია. აბა, შეხვედრამდე.
- ნახვამდის, მაქს.

ბ.

- ანა, გამარჯობა, კეთილი იყოს ჩვენი ფეხი შენს ახალ ბინაში!
- გამარჯობათ, მეგობრებო, შემოდით. გამიხარდა თქვენი სტუმრობა!
- რა კარგი ბინა გიყიდია?! კომფორტული სასტუმრო ოთახი გაქვს, ძალიან მომწონს.
- მოდით, ვნახოთ სხვა ოთახებიც.
- ვნახოთ!
- სასტუმრო ოთახის მარჯვნივ საძინებელი მაქვს. საძინებლიდან აივანზე გავდივარ.
- ანა, მომწონს შენი აივანი, აქ ყავას სვამ?
- კი, ყავასაც ვსვამ და ვვახშმობ კიდეც.
- აივანზე ყვავილებიც დადგი.
- კი, შეიძლება აქ დავდგა, მაგიდის მარჯვნივ.
- სააბაზანოც გვაჩვენე!
- აი, სააბაზანო. მწვანე ფერად შევღებე კედლები და ძალიან მომწონს.
- მართლა ლამაზია.
- ყველაზე ძალიან მაინც სამზარეულო მომწონს, დიდია და ნათელი.
- ვახ, ეს რამხელა მაცივარი გაქვს?!
- ჰო, მაცივარიც და სასადილო მაგიდაც დიდი მაქვს. აქ შევიკრიბებით მეგობრები და ვისადილებთ.
- მშვიდობაში, ანა!
- აი, კაბინეტი არ მაქვს და ეს არ მომწონს. არ დამრჩა ადგილი კაბინეტისთვის...
- ეგ არაფერი, შენს ოთახში დადგი კომპიუტერის მაგიდა და იქ იმუშავებ.
- კი, აქ დავდგამ კომპიუტერს. ახლა წავიდეთ, ყავა დავლიოთ სამზარეულოში და თან ვისაუბროთ.
- მადლობა, ყავას სიამოვნებით დავლევ.

1. სად იყიდა ანამ ბინა?
2. რამდენი ოთახია ანას ბინაში?
3. რომელი ოთახი მოსწონს ანას ყველაზე ძალიან?
4. რატომ არ აქვს ანას კაბინეტი?
5. რა ურჩია ანას მეგობარმა?

15. დაასახელეთ ავეჯი და ნივთები, რომლებიც შეიძლება იყოს ანას ბინაში. გამოიყენეთ ფრაზები:

საძინებელში დგას...

სასტუმრო ოთახში დგას...

მაგიდაზე დევს...

კედელზე კიდია...

დივნის უკან არის...

ტელევიზორის წინ დევს...

აივანზე დგას...

სამზარეულოში არის...

16. ჰკითხეთ მეგობარს, როგორია მისი სახლი, ბინა. გაითამაშეთ დიალოგები წყვილებში.

წერა

17. ნიმუშის მიხედვით შეადგინეთ კითხვითი წინადადებები და დაწერეთ:

დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!
კითხვითი სიტყვა + ზმნა
სად + დგას

სწორია:	**არ არის სწორი:**
სად დგას დივანი?	~~სად დივანი დგას?~~
დივანი სად დგას?	~~დგას დივანი სად?~~

ნიმუში: *ბინა/ლუკას/არის/სად?*
ა) ***სად არის*** *ლუკას ბინა?*
ბ) ლუკას ბინა ***სად არის****?*

ცხოვრობს/სად/დათოს/მეგობარი?

ა) ..... .

ბ) ..... .

სასტუმრო/ოთახში?

ა) ..... .

ბ) ..... .

სამზარეულოში/დევს/რა/მაგიდაზე?

ა) ..... .

ბ) ..... .

ზის/სავარძელში/ვინ?

ა) ..... .

ბ) ..... .

სად/ნახატი/კიდია?

ა) ..... .

ბ) ..... .

18. დაწერეთ ტექსტი „ჩემი ბინა“ (როგორია თქვენი ბინა? რამდენი ოთახია? როგორია ოთახების განლაგება? რა დგას ოთახებში? სად რა დევს, კიდია? რომელი ოთახი გიყვართ ძალიან? რატომ?).

გამოიყენეთ შესწავლილი ფრაზები:

ჩემი ბინა არის ქალაქის ცენტრში/ცენტრიდან შორს/ცენტრთან ახლოს...
სასტუმრო ოთახში დგას...
მაგიდაზე დევს...
კედელზე კიდია...
საძინებელში დგას....
დივნის წინ დგას...
ტელევიზორის მარჯვნივ დევს...
აივანზე დგას...
სამზარეულოში არის...
სააბაზანოს გვერდით არის...
... ოთახი უფრო დიდია, ვიდრე...

ჩემი ბინა

ლექსიკა: (დეიდა < დედის და; მამიდა < მამის და; ბიძა; ბიძაშვილი, ბიძაშვილები. მამიდაშვილი, მამიდაშვილები; დეიდა, დეიდაშვილები; ცოლიანი, უცოლო; გათხოვილი, გასათხოვარი, საცოლე, საქმრო. ქორწილი, დაქორწინებული (დაოჯახებული/დასაოჯახებელი).

გრამატიკული საკითხები: მაცალკევებელი კავშირები – ხან...ხან; როგორც კი.

მოქმედების სიხშირის გამოხატვა: არასოდეს, იშვიათად, ხშირად, ზოგჯერ, ხანდახან, ყოველთვის.

ზმნები: სტუმრობენ, აწყობენ, ჩამოდიან, იკრიბებიან, გამოივლის, ხვდებიან, ეპატიჟება, მენატრება, ვიხსენებთ.

თემის გახსნისთვის

1. მონიშნეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები:

დედა	მამიდაშვილი
ძმა	დეიდაშვილი
დისშვილი	ბიძაშვილი
და	ბიცოლა
ძმისშვილი	ბებია
ბიძია	ბაბუა
დეიდა	პაპა
მამიდა	შვილიშვილი

2. ისაუბრეთ, ვინ გყავთ ოჯახში:

ლექსიკა

3. ა) დააკვირდით სქემას:


მამა


ეს მე ვარ


დედა


მამის ძმა = ბიძა


მამის და = მამიდა


დედის ძმა = ბიძა


დედის და = დეიდა

მამის და – მამიხ და = მამიდა ბიძის ცოლი – ბიძიხცოლი = ბიცოლა

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

1. რა ჰქვია დედის ძმას? .....
2. რა ჰქვია მამის ძმას? .....
3. რა ჰქვია მამის დას? .....
4. რა ჰქვია დედის დას? .....
5. რა ჰქვია ბიძის ცოლს? .....

გ) დაიმახსოვრეთ!

დეიდახ + შვილი = დეიდაშვილი

მამიდახ +შვილი = მამიდაშვილი

ბიძახ +შვილი = ბიძაშვილი

4. დაუკავშირეთ სიტყვა განმარტებას:

ა) დეიდის შვილი ჩემთვის არის	ბიძა
ბ) ბიძის შვილები ჩემთვის არიან	მამიდა
გ) მამიდის შვილები ჩემთვის არიან	დეიდაშვილი
დ) მამაჩემის და არის ჩემი	დეიდა
ე) დედაჩემის და არის ჩემი	ბიძაშვილები
ვ) დედაჩემის ძმა არის ჩემი	მამიდაშვილები

კითხვა

5. წაიკითხეთ ტექსტი, ხაზი გაუსვით ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებს:

ბიძა = ძია = ბიძია

მაგ: მე მყავს ბიძა, ლევანი ბიძია მამაჩემის ძმაა.

– გიგა ძია/ბიძია, როგორ ხარ?

დასაოჯახებელი – ოჯახი არ ჰყავს
დაოჯახებული – ოჯახი ჰყავს

ჩემი ნათესავები

მე ნინო ვარ. უნივერსიტეტში ვსწავლობ და ახლა დედაქალაქში ვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი. ის დმანისის რაიონში, მდინარის ნაპირზე, მდებარეობს. აქ წელიწადის ყველა დრო ლამაზია, მაგრამ ყველაზე მეტად ზაფხულის აქ გატარება მომწონს. იცით რატომ? იმიტომ, რომ ამ დროს ჩვენთან ნათესავები ჩამოდიან და ცხოვრებაც უფრო მხიარული ხდება. ჩვენი სახლი დიდი ეზოს შუაშია. ჩვენ უკან მამაჩემის უფროსი ძმა დავითი ცხოვრობს, გვერდით – უმცროსი, ლევანი ბიძია. ორივე ბიძას ჰყავს ოჯახი. მათი შვილები ქალაქში ცხოვრობენ და აქ მხოლოდ ზაფხულში ჩამოდიან. როგორც კი არდადეგები იწყება, ყველა ბიძაშვილი ჩვენთან იკრიბება: ჯერ უფროსი ბიძაშვილები ჩნდებიან, შემდეგ უმცროსი ბიძის შვილები ჩამოდიან. იქვე, სოფელში, ცხოვრობს მამაჩემის და, მა-

მიდა მერი, მაგრამ- სხვა უბანში. მიუხედავად ამისა, ჩემი მამიდაშვილები გელა, ლელა და ნანი ყოველ საღამოს მოდიან სტუმრად და ყველა ერთად ხან კონცერტს ვაწყობთ, ხან – ჭადრაკის ჩემპიონატს, ხანაც ბავშვობას ვიხსენებთ. ერთი კარგი ტრადიციაც გვაქვს: საღამოს წიგნებს ვკითხულობთ და მეორე დღეს ვსაუბრობთ წაკითხულის შესახებ. წიგნები ანა ბიცოლას,უფროსი ბიძის ცოლს, მოაქვს ჩვენთვის. ის ბიბლიოთეკაში მუშაობს და იცის, როგორი წიგნები გვიყვარს. ჩვენი დიდი ოჯახის კიდევ ორი წევრი უნდა გაგაცნოთ: დედაჩემის და ალისა და ძმა ზაზა. დეიდა ალისა ჩემი ტოლია, მაგრამ მაინც დეიდას ვეძახი, ალისა ჯერ გასათხოვარია, მალე ქორწილი ექნება და თავისი ოჯახი ეყოლება. ზუსტად ვიცი, რამდენიმე წელში ზაფხულის სტუმრებს დეიდაშვილებიც დაემატებიან.ბიძია ზაზა ოცი წლისაა. მასაც არ ჰყავს ოჯახი, უცოლოა. სულ გოგონებზე ლაპარაკობს, ამიტომ ხშირად ვაბრაზებთ.

ჩემი ნათესავები ძალიან მიყვარს. მათ გარეშე ვერ წარმომიდგენია, ამიტომ მინდა, ჩვენი ოჯახის ეს ტრადიცია – ზაფხულის სტუმრობები – დიდხანს გაგრძელდეს.

6. უპასუხეთ კითხვებს:

1. სად ცხოვრობს ნინო?
2. რომელი ნათესავები ჰყავს?
3. რა ჰქვიათ ნინოს ბიძებს?
4. ვისი შვილები ცხოვრობენ ქალაქში?
5. ზაფხულის დაწყებისას პირველები ვინ ჩამოდიან სოფელში?
6. ვის მოაქვს წიგნები ნათესავებისთვის?
7. ნინოს რომელი ნათესავებს არ ჰყავთ ჯერ ოჯახი?
8. ვინ არის ოცი წლის, როგორი ნათესავია ის ნინოსათვის?
9. ნინოს რომელი ნათესავები ცხოვრობენ სოფელში?

7. დაკვირდით წინადადებას და დაასრულეთ ფრაზა:

იქვე, სოფელში, ცხოვრობს მამაჩემის და, მამიდა მერი, მაგრამ - სხვა უბანში.

უბანი არის...

ა) სხვა, მეზობელი სოფელი;
ბ) სოფლის ან ქალაქის ერთი ნაწილი;
გ) საქართველოს ერთ-ერთი რაიონი.

8. ა) აღნიშნეთ სწორი (+) / არასწორი (-) ინფორმაცია:

წინადადება	სწორია (+)	არასწორია(-)
ცხოვრება მხიარული ხდება ნათესავების ჩამოსვლის შემდეგ.		
ყოველ საღამოს ოჯახში მხოლოდ კონცერტს აწყობენ.		
მერი ნინოს დეიდაა.		
ანა ბიცოლა ბანკში მუშაობს.		
ანა ლევანის ცოლია.		
ნინოს თანატოლია ალისა დეიდა.		
დავით ბიძია უცოლოა.		

ბ) არასწორი წინადადებები დაწერეთ სწორად:

.....

.....

.....

.....

.....

9. გაიხსენეთ ტექსტი და დააკავშირეთ:

ვაწყობთ	ოჯახი
ვიხსენებთ	სტუმრად
ვსაუბრობთ	კონცერტს
ეყოლება	ბავშვობას
მოდიან	წიგნებზე
ვაბრაზებთ	ბიძიას

10. ა) აირჩიეთ წინადადებებისთვის შესაბამისი სიტყვები:

ვაწყობთ ვსაუბრობთ ლაპარაკობს ვიხსენებთ მოაქვს ვეძახი მდებარეობს ეყოლებათ

ა) ჩემს საყვარელ ფისოს სიყვარულით კუსას ..... .

ბ) სკოლაში ხშირად ..... ზეიმებს.

გ) ახლაც სიამოვნებით ..... ესპანეთში მოგზაურობას.

დ) ჩემი მეგობრის ოჯახში მალე ახალი წევრი ..... .

ე) გოგის ანასათვის დაბადების დღეზე ყოველთვის წითელი ვარდები ....

ვ) ჩვენს ოჯახში ყოველთვის ..... სიკეთესა და სიყვარულზე.

ზ) ეს გამომსვლელი უკვე ერთი საათია შეუსვენებლად ..... .

თ) ჩემი სოფელი ..... პატარა მდინარის ნაპირზე.

11. ფრაზების გამოყენებით ისაუბრეთ ნინოს ოჯახის ტრადიციისა და ნათესავების შესახებ:

ნინოს ჰყავს. ზაფხულობით სტუმრობენ. დაოჯახებულია. დასაოჯახებელია. ცხოვრობს სოფელში. იხსენებენ ბავშვობას. აწყობენ საღამოებს. ეყოლება ოჯახი, იკრიბებიან.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

12. უპასუხეთ კითხვებს:

- გაქვთ თუ არა მსგავსი ტრადიცია?
- როდის და სად იკრიბებით ნათესავები?
- შეკრების შესახებ როგორ იგებთ?

დააკვირდით!

არ მინდა = არ.....

მინდა, მაგრამ არ შემიძლია=ვერ....

<u>არ მინდა</u> წერა - არ ვწერ

<u>მინდა</u> წერა, <u>მაგრამ არ შემიძლია</u> - ვერ ვწერ

დააკვირდით შეხვედრა ზმნის ფორმებს:

როდის?	მოქმედება სრულდება	მოქმედება არ / ვერ სრულდება არ/ვერ + ზმნა
ახლა/იშვიათად	მე ვხვდები მეგობარს.	მე არ ვხვდები მეგობრებს ვერ ვხვდები.
ადრე/ზოგჯერ	მე ვხვდებოდი, შენ ხვდებოდი, ის ხვდებოდა / ისინი ხვდებოდნენ (მეგობარს).	მე არ ვხვდებოდი, შენ არ ხვდებოდი, ის არ ხვდებოდა /ისინი არ ხვდებოდნენ (მეგობარს). ვერ ვხვდებოდი...
ხვალ/მერე	მე შევხვდები, შენ შეხვდები, ის შეხვდება/ისინი შეხვდებიან (მეობარს).	მე არ შევხვდები, შენ არ შეხვდები, ის არ შეხვდება/ისინი არ შეხვდებიან (მეგობარს).
გუშინ/უკვე	მე შევხვდი, შენ შეხვდი, ის შეხვდა / ისინი შეხვდნენ(მეგობარს)	მე არ შევხვდი, შენ არ შეხვდი, ის არ შეხვდა /ისინი არ შეხვდნენ(მეგობარს).
უწინ/ადრე	მე შევხვედრივარ, შენ შეხვედრიხარ, ის შეხვედრია / ისინი შეხვედრიან (მეგობარს).	მე არ შევხვედრივარ, შენ არ შეხვედრიხარ, ის არ შეხვედრია (მეგობარს). ისინი არ შეხვედრიან.

13. ა) ხაზგასმული ზმნები გაანაწილეთ ცხრილში:

- გამარჯობა, ნანა. როგორ ხარ?
- გაგიმარჯოს, გიგა. კარგად, გმადლობთ. შენ როგორ ხარ?
- მეც კარგად ვარ. რამდენი ხანია, არ შევხვედრივართ.
- კი, დიდი ხანია. გუშინ ჩვენს დეიდაშვილს, ანდროს, შევხვდი.
- მე ხვალ დათოს შევხვდები და საერთო ნაცნობის დაბადების დღეზე წავალთ.
- რომელ დათოს - ჩვენს ბიძაშვილს თუ შენს მამიდაშვილს?
- ჩვენს ბიძაშვილს, დათო უმცროსს. უფროს დათოს ვერ შევხვდები, ევროპაშია.
- ჰო, არ გამახსენდა... ადრე რა ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ახლა ისე

ხშირად ვერ ვხვდებით.

- შაბათს მოვალ თქვენთან, დათოსაც ვეტყვი.
- ძალიან კარგი დეიდაშვილი ხარ. აბა, ნახვამდის და გელოდები.
- ნახვამდის, ნანა.

ის, რაც სრულდება	ის, რაც არ ან ვერ სრულდება

ბ) ამოიწერეთ ტექსტიდან ნათესავების აღმნიშვნელი სიტყვები:

.....

.....

14. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

მიპატიჟება - თხოვნა, რომ სტუმრად მივიდეს.

წვეულება - სტუმრებისთვის გამართული მხიარული სუფრა/ლხინი.

წამოყვანა - წამოსვლისას ვინმეს მისვლა და მასთან ერთად წამოსვლა.

გამოვლა -სადმე წასვლისას ცოტა ხნით მისვლა სხვასთან, რათა შემდეგ ერთად წავიდნენ.

- ნია, გამარჯობა.
- გამარჯობა, ნინო, როგორ ხარ? ლექციებზე რატომ არ იყავი?

- ვერ მოვედი, დაბადების დღე მაქვს და საქმე მქონდა.
- გილოცავ დიდი სიყვარულით, გისურვებ ბევრ სიხარულს! წვეულებას მართავ?
- დიახ, წვეულების გამართვა გადავწყვიტე, მაგრამ აქ არა – ჩემს სოფელში. იცი, რა კარგი გარემოა იქ? თან ჩემს საყვარელ ადამიანებთან ყოფნა მინდა. ჩვენ ხომ ხშირად ვერ ვხვდებით ერთმანეთს, შენც მოდი, როგორც საუკეთესო მეგობარი. კურსელების დაპატიჟებაც მინდოდა, მაგრამ ვერ დავპატიჟე. მხოლოდ ახლობლები ვიქნებით.
- მადლობა, რა კარგია! ვინ იქნებიან სტუმრები?
- ჩემი ნათესავები: ბიძები, ბიცოლები, მამიდა, დეიდა, მათი შვილები.
- ბიძაშვილები, მამიდაშვილები. ყველა, მაგრამ დეიდაშვილები ვერ მოდიან.
- ხომ იცი, გერმანიაში სწავლობენ ლუკა და ნანა. იცი, როგორი ბედნიერი ვარ, რომ ყველას ერთად ვნახავ?! მინდა, შენც გაგიცნონ!
- მართლა საინტერესო იქნება შენი მრავალრიცხოვანი ნათესავების გაცნობა, მაგრამ როგორ უნდა წამოვიდე?
- ჩემი ძმა, გელა, გამოგივლის ხვალ სამ საათზე და ის წამოგიყვანს, თან ჩემი წვეულების ტორტიც წამოიღეთ, დეიდაშენი აცხობს. ძალიან მომწონს მისი გამომცხვარი ტკბილეული.
- მართლა? კარგია, მაშინ მოვემზადები.
- აბა, დროებით!
- შეხვედრამდე!

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

1. ვინ არიან მოსაუბრეები?
2. რის შესახებ საუბრობენ?
3. სად იხდის ნინო დაბადების დღის წვეულებას?
4. ვის ეპატიჟება?
5. ვინ იქნებიან სტუმრები? (ჩამოთვალე)
6. ვინ აცხობს წვეულების ტორტს?

15. ა) დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!

მიპატიჟების ფორმები: გეპატიჟები/გიწვევ/გთხოვ, მობრძანდე
მილოცვის ფორმა: გილოცავ
სურვილის გამომხატველი ფრაზები: გისურვებ სიხარულს/ბედნიერებას/სიკეთეს /დიდხანს სიცოცხლეს/

ბ) ამოიწერეთ ტექსტიდან მილოცვის, მიპატიჟების და სურვილის გამომხატველი ფრაზები:

მილოცვა	მიპატიჟება	სურვილი

16. წარმოიდგინეთ, რომ ნათია თქვენი ახლობელია. მიულოცეთ დაბადების დღე სოციალურ ქსელში კომენტარის სახით. გამოიყენეთ მილოცვის, სურვილების გამომხატველი ფორმები:

.....

.....

.....

.....

17. რა დატვირთვა აქვს ფრაზებს ტექსტში? (შეარჩიეთ სწორი პასუხი)

1. ჩვენ ხშირად ვერ ვხვდებით ერთმანეთს, ნიშნავს, რომ
ა) ჩვენ არ შეგვიძლია ხშირად შეხვედრა.
ბ) ჩვენ შეგვიძლია, მაგრამ არ ვხდებით ხშირად სხვადასხვა მიზეზის გამო.

2. სხვები ვერ დავპატიჟე.
ა) მინდოდა, მაგრამ ვერ მოხერხდა... მათი დაპატიჟება.
ბ) არ შემიძლია და ამიტომ არ დავპატიჟე.

18. დააკვირდით და დაიმახსოვრეთ:



გრამატიკა

19. ამ ფრაზების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

.....

.....

.....

.....

.....

20. არ თუ ვერ? (ჩასვი შესაფერის წინადადებაში):

ა) ..... მიყვარს სევდიანი ფილმები.

ბ) ავადმყოფობის გამო გაკვეთილებს ..... დავესწარი და ძალიან ვინერვიულე.

გ) დეიდა ..... მყავს, ამიტომ ..... დავწერე დავალება „ჩემი საყვარელი დეიდა“.

დ) არ მესმის, რა ..... გაიგე, ყველაფერი ხომ ადვილია?

ე) ..... ვხატავ, იმიტომ, რომ ხატვა ..... ვიცი.

ვ) ხომ ..... მეტყვით, სად არის აფთიაქი?

ზ) ..... გავიგე, რა მითხარი, გთხოვ კიდევ გაიმეორე!

თ) რაც გინდა მითხრა, მაინც ..... მჯერა შენი.

ი) სიზარმაცით ..... მიიღებ შედეგს.

კ) მინდა ძალიან, მაგრამ ..... მოვალ შენს დაბადების დღეზე.

ლ) ღვინო კი მიყვარს, მაგრამ ..... ვსვამ.

21. ა) წინადადებებში ჩასვით შესაბამისი ზმნები:

დაპატიჟე, დაპატიჟა, დავპატიჟე, დაგპატიჟებენ, დაპატიჟებს დაგპატიჟეს, დაპატიჟებ, დავპატიჟებ

ნიმუში: *ხვალ კონცერტზე ლიამ შენც <u>დაგპატიჟა?</u>*

1. ლადომ დაბადების დღეზე მეგობრები ..... .
2. ანამ იცის, რომ ქორწილში არ ..... მეზობელ გოგას.
3. ხვალ კონცერტზე შენც ..... ?
4. ჩემს დაბადების დღეზე თანაკლასელები ..... .
5. ..... შენი მშობლები კარნავალზე?
6. ხვალ მასწავლებელს წვეულება აქვს, შენც ..... .
7. როცა კონცერტი მექნება, ყველა მეგობარს ..... .
8. ნინო, იმედია, სოფელში ჩვენთან ერთად ნელისაც ..... .
9. მე ზოოპარკში ექსკურსიაზე ყველა პატარას ..... .

ბ) შეადგინეთ მსგავსი წინადადებები:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

22. დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!

მოვლენათა მონაცვლეობის გამოსახატავად ქართულში გამოიყენება კავშირები ხან...ხან

მაგ: ხან წვიმს, ხან თოვს.

ხან კონცერტს ვაწყობთ, ხან -ჭადრაკის ჩემპიონატს, ხანაც წიგნს ვკითხულობთ.

23. შემოთავაზებული წინადადებები გადააკეთეთ ისე, რომ გამოხატოთ მოვლენათა მონაცვლეობა:

მაგ., წიგნი წავიკითხე, შემდეგ ჭადრაკი ვითამაშე - ხან წიგნი წავიკითხე, ხან ჭადრაკი ვითამაშე.

ა) წვიმდა, შემდეგ მზემ გამოანათა.

.....

ბ) ჯერ ადგა, შემდეგ დაჯდა.

.....

გ) ნათესავები დღეს ჩემთან ვიკრიბებით, ხვალ - ბიძაჩემთან.

.....

დ) ბიჭი აღმა-დაღმა დადიოდა.

.....

ვ) ზოგჯერ თბილისში ვარ, ზოგჯერ – სოფელში.

.....

ზ) სტუმრები მღეროდნენ, ცეკვავდნენ და საუბრობდნენ.

.....

24. დაწერეთ, რას აკეთებთ, როცა წვეულებაზე ხართ (გამოიყენე ხან...ხან კავშირები):

.....

.....

.....

.....

.....

25. ისაუბრეთ თქვენი ოჯახის ერთ-ერთი წევრის დაბადების დღის შესახებ: (როდის იყო? ვინ მიიპატიჟეთ სტუმრად? როგორ ემზადებოდით? რას აკეთებდით?).

26. წაიკითხეთ ტექსტი და შემოხაზეთ ერთი სწორი პასუხი:

- უკაცრავად, თქვენ ნინო ხართ?
- დიახ... ნანა, შენ ხარ?
- მე ვარ, ნინო, ძლივს გიცანი, რა სხვანაირი ხარ...
- შენ კი არა, ისევ ისეთი ნანა ხარ - მხიარული და ღიმილიანი.
- რამდენი ხანია, არ შევხვედრივართ. მოდი, ჩემთან წავიდეთ.
- ახლა ვერ წამოვალ, საქმე მაქვს. სხვა დროს მოვალ.
- რამდენი ხანია, არ შევხვედრივართ, ნინო. ბოლოს შენს ქორწილში გნახე. მერე საქართველოდან წახვედი და ასე დავშორდით...
- რა დრო გავიდა... გახსოვს, ბებოსთან რომ ვიკრიბებოდით ზაფხულობით?
- როგორ არ მახსოვს, ჩვენი ბიძაშვილებიც იქ იყვნენ - ლევანიკო, დათა და გიგა. ბებო გემრიელ ხაჭაპურებს აცხობდა, დედაშენი, ჩემი საყვარელი დეიდა ლილი, საცივს აკეთებდა...
- იცი, მე რა მენატრება ყველაზე მეტად? ლია ბიცოლას გამომცხვარი მჭადი ყველით.
- ბიჭების სიმღერა არ გენატრება? ლევანი, დათა და გიგა რომ მრავალჟამიერს მღეროდნენ, ყველა გასუსული უსმენდა.
- ბიძია არჩილი? ყოველთვის თამადა იყო. მის გარეშე ბებოსთან სუფრა არ იშლებოდა. შეგვკრებდა ყველას ერთად, თვითონ გაშლიდა სუფრას დიდი სიყვარულით, თამადა გამორჩეულ ადგილზე დაჯდებოდა და იწყებოდა მოლხენა. ბიძია არჩილი ამბობდა, ბავშვების სადღეგრძელო განსაკუთრებულიაო და ყოველთვის ყანწით სვამდა. მისი სადღეგრძელოების მოსმენა დიდი სიამოვნება იყო. კარგი ქეიფი იცოდა. გახსოვს, როგორ ცეკვავდა?
- ეჰ, ახლა მოხუცია, ისე კარგად ვეღარ არის. სამაგიეროდ, ათი შვილიშვილი ჰყავს და ახლა მასთანაც ისეთივე ლხინი და მხიარულობა იმართება, როგორ-

საც ჩვენ ვმართავდით მართა ბებოსთან.

- მოდი, ამ ზაფხულს ყველა ერთად შევიკრიბოთ, როგორც ადრე, ბავშვობაში.
- ძალიან კარგი იქნება, ბიჭებსაც დავპატიჟებ. ვიცი, დათა და გიგა აუცილებლად ცოლ-შვილით წამოვლენ. ლევანი ჯერ კიდევ დასაოჯახებელია.
- მაშ, კარგი, შევთანხმდეთ. მე უნდა გავიქცე, თორემ დამაგვიანდება.
- იცოდე, გელოდები. ზაფხულის ამბები კარგად უნდა დავგეგმოთ.

1. რა ტიპის ტექსტი წაიკითხეთ?
ა. წერილი ბ. მოთხრობა გ. დიალოგი

2. სად მიმდინარეობს საუბარი?
ა. ქუჩაში ბ. სოფელში გ. სახლში

3. ვინ და ვინ საუბრობენ?
ა. ლევანი და გიგა ბ. მართა ბებო და ლია ბიცოლა გ. ნანა და ნინო

4. ვინ არიან ნინო და ნანა ერთმანეთისთვის?
ა. მეგობრები ბ. დეიდაშვილები გ. მეზობლები

5. რას იხსენებენ ისინი?
ა. ერთად გატარებულ ზაფხულს ბ. ევროპაში მოგზაურობას გ. ერთად გატარებულ ზამთარს

6. სად იკრიბებოდნენ ნათესავები?
ა. ლია ბიცოლასთან ბ. დეიდა ლილისთან გ. მართა ბებიასთან

7. ვის ეკავა გამორჩეული ადგილი სუფრასთან?
ა. დათა ბიძიას ბ. ლევანს გ. მართა ბებიას

8. ვინ შლიდა სუფრას ნათესავებისთვის?
ა. მართა ბებია ბ. ლილი დეიდა გ. ლია ბიცოლა

9. ვის არ ჰყავს ოჯახი?
ა. გიგას ბ. ლევანს გ. დათას

10. რა გადაწყვიტეს ნანამ და ნინომ?
ა. ამ ზაფხულს ისევ შეიკრიბონ ბ. ბიჭებს დაურეკონ გ. საქმე დაასრულონ

27. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ დიალოგი და გახაზეთ ნათესავების აღმნიშვნელი ის სიტყვები, რომლებიც ტექსტშია:

დეიდა, ბიძია, ბებია, ბაბუა, დეიდაშვილი, მამიდა, შვილიშვილი, მამიდაშვილი, ბიძაშვილი, ბიცოლა, და, ძმა, ძმისშვილი, დისშვილი.

28. დააკავშირეთ წინადადებების ნაწილები სწორად და მიღებული ფრაზები ჩაწერეთ ხაზებზე:

1. ბიძია არჩილი ყოველთვის	შლიდა სუფრას.
2. ლევანიკო, დათა და გიგა	ცეკვავდა.
3. ბებია სიყვარულით	თამადა იყო.
4. ბიძია არჩილი კარგად	სასიამოვნო იყო.
5. განსაკუთრებულ სადღეგრძელოს	მრავალჟამიერს მღეროდნენ.
6. სადღეგრძელოების მოსმენა	ადგილი ეკავა.
7. თამადას გამორჩეული	ყანწით სვამდნენ.

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. .....

29. შეავსეთ ნაკლული ტექსტი შესაბამისი ფრაზებით:

ყოველ ზაფხულს სოფელში ნათესავები ვიკრიბებოდით. დედა დიდი სიყვარულით 1. ..... მამაჩემი ყოველთვის 2. ..... , ამიტომ მას გამორჩეული 3. ..... . მამა განსაკუთრებულ სადღეგრძელოებს 4. ..... . საერთოდ, ქართულ სუფრაზე სადღეგრძელოების მოსმენა ძალიან 5. ..... არის. ბიჭები 6. ..... . ყველა 7. ..... და მხიარულობდა.

დაიმახსოვრეთ: მე მენატრება ის / შენ გენატრება ის / მას ენატრება ის

მე მახსოვს ის / შენ გახსოვს ის / მას ახსოვს ის

30. გაიხსენეთ, რა გახსოვთ წარსულიდან, რა გენატრებათ და გამართეთ მინიდიალოგი მეწყვილესთან.

დააკვირდით ნიმუშს:

– მე მახსოვს პირველი დღე სკოლაში. შენ რა გახსოვს?
მე მახსოვს ჩემი პირველი მასწავლებელი.

დააკვირდით ფრაზებს:

- შევხვდი მე მას / შეხვდა ის მას (წარსულში, შარშან, გუშინ...)
- შევხვდები მე მას / შეხვდება ის მას (მომავალში, მომავალ წელს, ხვალ, მერე...)
- უნდა შევხვდე მე მას / უნდა შეხვდეს ის მას (მომავალში, მომავალ წელს, ხვალ, მერე...)
- არ შევხვედრივარ მე მას / არ შეხვედრია ის მას (წარსულში, შარშან, გუშინ...)

31. 30-ე სავარჯიშოს ზმნებიდან შეარჩიეთ შესაფერისი ფორმა და ჩასვით დიალოგში:

- გამარჯობა, ლევან.
- გაგიმარჯოს, გია. როგორ ხარ?
- კარგად ვარ, გმადლობ. შენ როგორ ხარ?
- მეც არა მიშავს. სად მიდიხარ?
- უნივერსიტეტში. ნანას 1. ..... და მერე კინოში უნდა წავიდეთ.
- კარგია. მე და გიგა კალათბურთზე მიდივართ. გიგა ჯერ თავის ძმას 2. ..... რაღაც საქმეზე და მერე წავალთ.
- უჰ, რამდენი ხანია, გიგას 3. ..... როგორ არის?
- კარგადაა, მუშაობს. სხვათა შორის, ახალ სამსახურში 4. ..... თავის მომავალ მეუღლეს და მალე დაქორწინდებიან.
- მშვენიერია, ძალიან გამიხარდა. სამი წელია არ 5. ..... .
- იმედია, კიდევ შეხვდებით, კარგი, აბა, გია, დროებით! კიდევ 6. ..... !
- დროებით! გიგა მომიკითხე.
- აუცილებლად.

32. დაასრულეთ წინადადებები:

1. გუშინ ჩემს მეგობარს ..... (შევხვდი/შევხვდები).
2. ორშაბათს ნანა თემურს უნდა ..... (შეხვდა / შეხვდეს).
3. დიდი ხანია ლევანი გიას არ ..... (შეხვდება / შეხვედრია).
4. მე და ლილი შარშან ბათუმში ..... (შევხვდებით / შევხვდით).
5. მე და გია დღეს ერთმანეთს ..... (ვხვდებით /ვხვდებოდით).

33. წაიკითხეთ სატელეფონო დიალოგი. დაალაგეთ ფრაზები სწორი თანამიმდევრობით და აღადგინეთ დიალოგი:



- ალო, ნარა, შენ ხარ?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

34. დაიყავით წყვილებად. აირჩიეთ თქვენთვის სასურველი თემა და გაითამაშეთ დიალოგი, გამოიყენეთ ზემოთ ნასწავლი ფრაზები:

დიალოგი ტელეფონით ნათესავთან	დაპატიჟება დაბადების დღეზე

35. ისაუბრეთ თქვენი ნათესავის შესახებ: ვინ არის? რამდენი წლისაა? თქვენზე უფროსია თუ უმცროსი? სად ცხოვრობს? რა უყვარს? რა აინტერესებს? რამდენი ხანია, არ შეხვედრიხართ? როდის შეხვდით ბოლოს? რა გახსოვთ მისი ბავშვობიდან?..

36. ჩასვით დიალოგში შესაფერისი ფრაზები:

- მეც კარგად ვარ, მადლობა. ხვალ სოფელში მივდივარ, ხომ არ წამოხვალ?
- გამარჯობა. ლელა ვარ. როგორ ხარ?
- ალო, ლია, შენ ხარ?
- არ დამავიწყდება... გელოდები.
- არა, მხოლოდ ახლობლები ვიკრიბებით და ნანას ერთი ჯგუფელი იქნება კიდევ.
- ჩემი დეიდაშვილის დაბადების დღეა, ნანას ხომ იცნობ? შენც თუ წამოხვალ, ძალიან გაუხარდება.
- რა თქმა უნდა, მომღერალი გაგაც იქნება და მოცეკვავე ლადოც. ძალიან კარგად გავერთობით. ხომ წამოხვალ?
- არა, დეიდაჩემს ხომ დიდი ეზო აქვს, გარეთ გავშლით მაგიდას, ღია ცის ქვეშ, -ულამაზეს ყვავილნარში.
- .....
- დიახ, მე ვარ.
- .....
- გაგიმარჯოს ლელა. კარგად ვარ, გმადლობთ, შენ როგორ ხარ?
- .....?
- სოფელში რატომ მიდიხარ?
- .....
- ბევრი სტუმარი იქნება?
- .....
- დაბადების დღეს სად აღნიშნავს, რესტორანში?
- .....
- ძალიან კარგი იქნება, ზაფხულს ასეთი გარემო უხდება. იმ ყვავილნარში ისეთი ვარდებია, მათ სუნიც კი დაათრობს ადამიანს. გაგა ხომ იქნება თავისი გიტარით?
- .....
- კი, აუცილებლად წამოვალ!
- მაშ, კარგი, ხვალ 11 საათზე გამოგივლი, ჩემი მანქანით წავიდეთ. შენი ფანდური არ დაგავიწყდეს.
- .....
- ხვალამდე!
- ხვალამდე.

38. დააკვირდით წერილის სტრუქტურას:

- მისალმება ადრესტატთან

- მოკითხვა

- ძირითადი ნაწილი

- დამშვიდობება

- ავტორის ვინაობა

დაწერეთ წერილი. თემად აირჩიეთ თქვენი მეგობრის დაპატიჟება ნათესავის ოჯახში წვეულებაზე. აუხსენით მას, როდის წახვალთ, იქ ვინ დაგხვდებათ, როგორ გაერთობით, ვის გაიცნობს... გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ფრაზები:

შენც თუ წამოხვალ, ძალიან გაუხარდება; გვეპატიჟება; წამოხვალ; გარეთ გავშლით მაგიდას, ღია ცის ქვეშ, ულამაზეს ყვავილნარში, ვიმღერებთ და ვიცეკვებთ; გიტარაზე დაუკრავს; უარი არ მითხრა...

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: ჰიპერმარკეტის პროდუქტები, საჭმლის რეცეპტი; ფქვილი, ზეთი, კარაქი, რძე, ყველი.

გრამატიკული საკითხი: კუმშვადი სახელები - პამიდორი, მაწონი, ნიგოზი, ნიორი; მომავალი და წარსული დრო.

ზმნები: დაგეხმარები, მცალია, ელოდება; ჭრის, ყრის, აცხობს, ახვევს, უსვამს, ზელს, ატარებს, ახვევს, აბრტყელებს, ამზადებს, მოამზადა, უნდა მოამზადოს.

თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით სურათებს, როგორ ფიქრობთ, რა არის „აგროჰაბი“?

ა) ჰიპერმარკეტი
ბ) ბაზარი
გ) დარბაზი





2. მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტში აგროჰაბის შესახებ და ისაუბრეთ:

1. სად არის „აგროჰაბი“?
2. რას იყიდით აქ?

3. წაიკითხეთ ტექსტი და გადაამოწმეთ თქვენი ვარაუდები:

დააკვირდით და დაიმახსოვრეთ:	
სიტყვა/ფრაზა	**განმარტება**
საკუთარი	თავისი
საქონელი	შინაური რქოსანი ცხოველები
საკონდიტრო	ტკბილეულის მაღაზია
საცხობი	ადგილი, სადაც პურს და სხვადასხვა ნამცხვარს აცხობენ
ნახევარფაბრიკატი	ნახევრად მომზადებული (გაკეთებული) პროდუქტი
საწარმო	ადგილი, სადაც ამზადებენ სხვადასხვა პროდუქტს

აგროპროდუქტების პირველი ჰიპერმარკეტი საქართველოში – „აგროჰაბი“ გაიხსნა 2016 წლის დეკემბერში. ეს არის პირველი ევროპული სტანდარტის ქართული ნატურალური პროდუქტების ჰიპერმარკეტი. ჰიპერმარკეტს აქვს საკუთარი საქონლის, ღორისა და ფრინველის ფერმები, საკონდიტრო და პურის საცხობი, ნახევარფაბრიკატებისა და კონსერვების საწარმოები. „აგროჰაბი“ პროდუქციის ხარისხს ყოველდღე ამოწმებს, ამიტომ მისი პროდუქტი ყოველთვის კარგი ხარისხისაა. ღვინოსაც თვითონ ამზადებენ და ყიდიან. „აგროჰაბში“ იყიდით სხვადასხვა სახეობის ხილსა და ბოსტნეულსაც.

4. მონიშნეთ სწორი პასუხი (+), არასწორი (-):

	+	-
ჰიპერმარკეტ „აგროჰაბში“ იყიდება პროდუქტი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.		
ჰიპერმარკეტი დიდი მაღაზიაა და იყიდება ბევრი სახეობის პროდუქტი.		
„აგროჰაბში“ მხოლოდ სოფლის პროდუქტი იყიდება.		

ჰიპერმარკეტი პროდუქტს ევროპაში ყიდულობს და საქართველოში ყიდის.		
„აგროჰაბში“ ყიდიან თავისივე ფერმაში დამზადებულ ხორცს.		
ამ ჰიპერმარკეტში აცხობენ პურს.		
„აგროჰაბში“ ალკოჰოლური სასმელი არ იყიდება.		
ხილი და ბოსტნეული „აგროჰაბში“ არ არის კარგი ხარისხის.		
„აგროჰაბი“ ზამთარში გაიხსნა.		
ჰიპერმარკეტი „აგროჰაბი“ მესამე ჰიპერმარკეტია საქართველოში.		

5. დაუკავშირეთ სურათებს სიტყვები:

ჰიპერმარკეტი, საჭმლის რეცეპტი, საკონდიტრო, სამზარეულო



1. .....



2. .....



3. .....



4. .....

6. წაიკითხეთ დიალოგი და დაწერეთ, რა პროდუქტებს იყიდიან სალომე და დედამისი ჰიპერმარკეტში:

დააკვირდით!	
სიტყვა / ფრაზა	**განმარტება**
კერძი	საჭმელი
მცალია	თავისუფალი დრო მაქვს
მზა საჭმელი	გაკეთებული/მომზადებული საჭმელი

- დილა მშვიდობისა, დედა, როგორ ხარ?
- დილა მშვიდობისა, სალომე, კარგად, შენ როგორ ხარ? ბავშვები და ნიკო როგორ არიან?
- კარგად, დედა, ყველა კარგადაა. ამ შაბათს სტუმრებს **ველოდებით**. ნიკოს მეგობარი ცოლთან და შვილებთან ერთად მოვა. **გემრიელ კერძებს** მოვამზადებ, მაგრამ სამსახურშიც ბევრი საქმე მაქვს და არ ვიცი, როდის **გავაკეთო**.
- **არ ინერვიულო**, რა პრობლემაა, **მე დაგეხმარები**.
- მართლა, დედა? მიყვარხარ. რა **მოვამზადოთ**?
- კარგ იმერულ ხაჭაპურებს და პიცას **გამოვაცხობ**, ბავშვებს უყვართ, ხბოს ხორცის ჩაქაფულს და ტოლმასაც **გავაკეთებ**, მწვადს ნიკოც **შეწვავს**. შენ ნამცხვრები რომ **გამოაცხო**? ხომ იცი, მე კარგად **ვერ ვაცხობ**.
- კარგი, ნამცხვრებს **გამოვაცხობ**. სალათები არ გვინდა?
- კი, როგორ არა, მაგრამ აქვე, ჩვენთან, ჰიპერმარკეტი გაიხსნა, ძალიან გემრიელ სალათებს ამზადებენ და ძვირიც არ არის. იქ **შევუკვეთოთ** რამდენიმე სახის სალათა. პროდუქტებიც იქ **ვიყიდოთ**, სუფთა ქართულ ნატურალურ პროდუქტებს **ვიყიდით**. გემრიელი საჭმელი რომ **მოვამზადოთ**, კარგი ხარისხის პროდუქტებია საჭირო.
- რომელი ჰიპერმარკეტი, დედა?
- „აგროჰაბი“. ყველაფერი ქართული აქვთ და თან კარგი ხარისხის. **მომსახურებაც** კარგი აქვთ, **მზა საჭმელებსაც** სუფთად და ხარისხიანად **აკეთებენ, შეგიძლია უყურო**, როგორ ამზადებენ.
- კარგი აზრია, წავიდეთ, ახალ ჰიპერმარკეტსაც დავათვალიერებ, მაინტერესებს, როგორი პროდუქტები იყიდება. როდის წავიდეთ? დღეს მცალია, ნიკოც სახლშია და ბავშვებთან ის იქნება.
- ძალიან კარგი, დღეს მეც მაქვს დრო და შუადღისას **წავიდეთ**.

- კარგი, დედა. პირველ საათზე შენთან მოვალ და წავიდეთ.
- აბა, **გელოდები**.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

7. მოცემული სქემის მიხედვით დაწერეთ ზმნის ახალი ფორმები:

მინდა გავაკეთო - გამოხატავს სურვილს.

უნდა გავაკეთო - გამოხატავს აუცილებელ მოქმედებას.

გაკეთება ..... გავაკეთე ..... მინდა /უნდა გავაკეთო

ნერვიულობა ..... ვინერვიულე ..... არ მინდა/არ უნდა ვინერვიულო

1. სწავლა .....
2. ყიდვა .....
3. სტუმრობა .....

4. ყურება.....

5. ჭამა.....

6. დალევა .....

7. მომზადება.....

8. გამოცხობა .....

9. შეკვეთა .....

10. დახმარება .....

8. დაასრულეთ წინადადებები სიტყვებით:

მინდა ვისწავლო; უნდა დავეხმარო; მინდა ვიყიდო; უნდა დალიო; მინდა ვესტუმრო; მინდა შევუკვეთო; მინდა ვუყურო; უნდა გამოვაცხო; უნდა მოვემზადო; უნდა ჭამო.

1. მაღაზიაში პური არ იყო, სახლში ..... .

2. ..... ქართული ენა;

3. ავეჯი თბილისში, ჰიპერმარკეტ „საბაში“, ...

4. კარგ ფილმს ..... .

5. ჯანმრთელი რომ იყო, ნატურალური საკვები ..... .

6. ხვალ გამოცდა მაქვს და ..... .

7. დილით წყლის დალევა სასარგებლოა, ყოველ დილით .... 300 მილილიტრი (მლ) წყალი.

8. ჩემი მეგობარი უცხოეთიდან ჩამოვიდა, ... და ვნახო.

9. – ალო, გამარჯობა, ხინკალი ..... საღამოსთვის.

10. ერთ კვირაში ჩემი შვილის დაბადების დღეა, სტუმრებს ელოდება და .... კერძების მომზადებაში.

9. დაწერეთ წინადადებები ფრაზების გამოყენებით:

1. კარგი ხარისხისაა .....
2. მზა საჭმელები.....
3. დღეს არ მცალია .....
4. ნატურალური პროდუქტები .....
5. კარგი მომსახურება .....
6. კერძის მომზადება .....
7. წავიდეთ საყიდლებზე .....
8. დაგეხმარები მომზადებაში.....
9. შეგიძლია შეუკვეთო .....
10. სტუმრად მიდის.....

10. მოცემული სიტყვები ჩასვით დიალოგში:

ინებებთ, დახმარება, ვიყიდო, ბრძანდებოდეთ, შევუკვეთო, ჰიპერმარკეტში, მზა, კარგი ხარისხისაა, ვიყიდი, მოვამზადებ

- გამარჯობა!
- გამარჯობა, (1) ..... გნებავთ?
- – დიახ, რძის პროდუქტები სად იყიდება? ხაჭაპურისთვის ყველი მინდა (2) ... .
- რძის პროდუქტები პირველ სართულზე, ბოსტნეულის გვერდით, არის. ყველის ბევრი სახეობა გვაქვს, ქართული და უცხოური.
- გმადლობთ, რა კარგია. აქ სალათებსაც აკეთებენ? მინდა (3) ....
- სალათების შეკვეთა შეიძლება. გვაქვს (4) ..... სალათებიც, შეგიძლიათ იყიდოთ.
- ხორციც მინდა ვიყიდო. ვიცი, აქ ყველაფერი ახალი და ნატურალური იყიდება.

- ჩვენს (5) ..... ყველაფერი გემრიელი და (6) ....
- გმადლობ, შვილო, მზა ნამცხვრებსა და ახალ ხორცს (7) ..... და კერძებს სახლში (8)
- ..... .
- ძალიან კარგი. კიდევ რას (9) ..... ?
- გმადლობ, უკვე დამეხმარეთ, ნახვამდის.
- კარგად (10) ..... !

ლექსიკა

11. დააკვირდით ილუსტრირებულ ლექსიკონს და დაიმახსოვრეთ:

			
ამატებს/ დამატება	ჭრის/დაჭრა	ყრის/ჩაყრა	აყრის/მოყრა
			
აცხობს/ გამოცხობა	ახვევს/შეხვევა	უსვამს/წასმა	ზელს/მოზელა
			
ატარებს/ გატარება	აბრტყელებს/ გაბრტყელება	ფენოვანი ღვეზელი	ასხამს

			
მოცარელა	ზეთისხილი	ლორი	საფუარი

12. მიუწერეთ ზმნებს შესაბამისი სიტყვა:

ყველს, ხორცს, ცომს, ზეთს, შაქარს, სუნელებს, ტოლმას, კრემს, ტორტს, ცომს

1. ამატებს.....
2. ჭრის .....
3. ყრის .....
4. აყრის .....
5. აცხობს.....
6. ახვევს .....
7. უსვამს .....
8. ზელს.....
9. ატარებს.....
10. აბრტყელებს.....

13. დაასრულეთ წინადადებები:

1. ნანა ხორცს წვავს და ტაფაზე ზეთს ..... .
2. დედა ხახვს წვრილად ..... .

3. საჭმელი არ მომეწონა, მარილი არ აქვს და ..... .

4. რატომ ..... ნამცხვარს, სტუმარს ელოდები?

5. ზურა პურზე კარაქს ..... .

6. ტოლმისთვის ხორცს, მწვანილს, ხახვს და ნიორს .....
ხორცსაკეპ მანქანაში.

7. ხაჭაპურის ცომში დებენ ყველს და ..... .

8. მაგარ ცომს ..... პიცისთვის.

9. ფენოვანისთვის ცომს სამჯერ ..... .

10. ბაბუას ტკბილი ჩაი უყვარს და ბევრ შაქარს ..... .

14. შეადგინეთ წინადადებები, გამოიყენეთ ილუსტრირებული ლექსიკონის სიტყვები:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. .....

8. .....

9. .....

10. .....

15. დააკვირდით სიტყვების განმარტებებს და წაიკითხეთ ტექსტი:

სიტყვა / ფრაზა	განმარტება
სიამოვნებასაც მიიღებ	სასიამოვნო იქნება
მჟავე ცომი	რამდენიმე დღის მოზელილი ცომი
სანელებლები	სუნელები
უამრავი	ძალიან ბევრი
პიცერია	ადგილი, სადაც პიცას აცხობენ და ყიდიან
ემიგრანტები	სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად წასული ადამიანი

პიცა იტალიის ყველაზე პოპულარული ნაციონალური კერძია.

პურის პატარა ნაჭერს, პამიდორს, ნიორს, ზეთს და პატარა თევზს თუ ერთმანეთში აურევ და კერძს მოამზადებ, გემრიელად ისადილებ და დიდ სიამოვნებასაც მიიღებ. ადრე პიცა ღარიბების საჭმელი იყო. პირველად იგი ნეაპოლელმა გლეხებმა მოამზადეს. მათ წინა დღით დარჩენილი საჭმელი ცომთან ერთად გამოაცხვეს. ახლა პიცა ყველაზე ცნობილი და პოპულარული საჭმელი გახდა ყველა ქვეყანაში.

ზოგიერთი კულინარი ამბობს, პიცის ისტორია რამდენიმე ათასი წლის წინ ძველ ეგვიპტეში საფუვრისა და მჟავე ცომის გაკეთების შემდეგ იწყება. ძველ საბერძნეთში ცომს აცხობდნენ სანელებლებთან ერთად, ხანდახან ბოსტნეულს, ხორცს, ზეთისხილს, რძის და სხვა პროდუქტს იყენებდნენ.

პიცის უამრავი სახეობა არსებობს, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია „მარგარიტა“, რომელიც მოამზადეს პამიდვრით, მოცარელათი და რეჰანით. ეს პიცა იტალიის დროშის ფერებში იყო – წითელი, თეთრი და მწვანე. დედოფალს მოეწონა და მისი სახელი დაარქვეს. პირველად პიცას მხოლოდ მის სასახლეში აცხობდნენ. მალე კი „მარგარიტა“ ყველა იტალიელის საყვარელი კერძი გახდა.

საქართველოში პირველი პიცერია რაინერ კაუფმანმა თბილისში 1999 წელს ბარნოვის ქუჩაზე გახსნა და სახელა „რაინერის პიცერია“ უწოდა. მათი პიცის ცომი თხელი იყო. ათი წლის შემდეგ ამერიკელმა ემიგრანტებმა ერიკ და ემი ბინდერებმა გამსახურდიას ქუჩაზე „რონის პიცერია“ გახსნეს. ეს ამერიკული პიცერია სქელი ცომის „ჩიკაგოს პიცას“ აცხობს.

პიცა დღესაც მსოფლიოს ყველაზე პოპულარული კერძია და პიცის ორასზე მეტი სახეობა არის ცნობილი.

16. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როგორი საჭმელია პიცა?
2. კულინარების აზრით, სად და როდის გააკეთეს პირველი პიცა?
3. როგორი იყო პირველი პიცა?
4. რა ჰქვია ყველაზე ცნობილ პიცას?
5. რატომ დაარქვეს პიცას „მარგარიტა“?
6. რა არის პიცა „მარგარიტას“ მთავარი ინგრედიენტი?
7. ვინ გახსნა საქართველოში პირველი პიცერია?
8. როგორი ცომისგან ამზადებენ პიცას „რაინერის პიცერიაში“?
9. სად არის „რონის პიცერია“ და როგორ პიცას აცხობენ?
10. რამდენი დასახელების პიცა არის ცნობილი მსოფლიოში?

17. დაუკავშირეთ განმარტებები:

სიამოვნების მიღება	ა. ცომის ამოსასვლელი საშუალება
საფუარი	ბ. იტალიური ყველის სახეობა
სანელებლები	გ. სასიამოვნოა
მოცარელა	დ. ადგილი, სადაც პიცას აცხობენ
პიცერია	ე. სპეციალური სუნელები საჭმლისთვის
ემიგრანტები	ვ. საჭმელი
ნაციონალური	ზ. რამდენიმე დღით შენახული ცომი
კულინარი	თ. სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად წასული ადამიანი
მჟავე ცომი	ი. ეროვნული, ერთი ერისთვის დამახასიათებელი
საკვები	კ. ადამიანი, რომელიც ამზადებს კერძებს

18. ჩასვით წინადადებაში გამოტოვებული სიტყვა:

ემიგრანტები, საფუარით, მოცარელა, კერძები, პიცერიაა, ნაციონალური, სასიამოვნოა, კულინარები, სანელებლებს, მჟავე ცომი

1. საფრანგეთში ბევრი ქართველი ცხოვრობს, ისინი ..... არიან.
2. პურის ცომი უნდა მოზილოთ ..... .
3. იტალიური პიცისთვის იყენებენ ყველს ..... .
4. თბილისში დღეს ბევრი ..... , სადაც გემრიელ პიცას მიირთმევთ.
5. ხაჭაპური ქართული ..... საჭმელია.
6. ზაფხულში ზღვაზე დასვენება ..... .
7. საკონდიტრო „მადაში“ ძალიან კარგი ..... მუშაობენ.
8. აღმოსავლურ სამზარეულოში ხშირად იყენებენ ..... .
9. ..... გამოიყენება როგორც საფუარი.
10. ტკბილი ..... არ არის კარგი ჯანმრთელობისთვის.

19. დააკვირდით ცხრილს და დაწერეთ სიტყვები შესაბამისი ფორმით:

ო ვ		
პამიდორი	პამიდვრის	პამიდვრით
ნიორი		
მაწონი		
ნოგოზი		

20. დაწერეთ ფრჩხილებში მოცემული სახელები სწორი ფორმით:

1. ჩემი ოჯახის წევრებს ძალიან უყვართ სალათები ..... (ნიგოზი).
2. (ნიორი) ..... მწნილი ძალიან გემრიელია.
3. პიცის ერთ-ერთი მთავარი ინგრედიენტი (პამიდორი) ..... სოუსია.
4. დედამ ხაჭაპურის ცომი (მაწონი) ..... მოზილა.
5. (მაწონი) ..... წვნიანი სასარგებლოა გრიპის დროს.
6. ბაზარში (ნიგოზი) ..... ფასმა ძალიან მოიმატა.
7. კერძი (პამიდორი) ..... და კვერცხით სწრაფად მზადდება.
8. ხაში წვნიანია (ნიორი) ..... , რძით და მარილით.
9. კიტრისა და (პამიდორი) ..... სალათა ნიგვზით პოპულარულია.
10. (მაწონი) ..... მომზადებული ბლინები ბავშვებს ძალიან მოსწონთ.

21. მიუწერეთ ანტონიმური სიტყვა:

ნიმუში: *უამრავი - ცოტა*

1. ცხელი .....
2. კარგი .....
3. ტკბილი .....
4. თხელი .....
5. პოპულარული .....
6. გემრიელი .....
7. ღარიბი .....

8. მსხვილი .....

9. ახალი .....

10. მარილიანი .....

გრამატიკა

დააკვირდით ცხრილს:

საწყისი - **რა? ზმნის პირველადი/** დასაწყისი ფორმა	ახლანდელი დრო (აწმყო)	მომავალი დრო (მყოფადი)	წარსული დრო **(წყვეტილი)**	მომავალი დრო **(II კავშირებითი)**
	ახლა / დღეს რას აკეთებს?	შემდეგ/ ხვალ რას გააკეთებს?	უკვე/ გუშინ რა გააკეთა?	შემდეგ/ ხვალ რა უნდა გააკეთოს?
მომზადება (კერძის) ჩაყრა (შაქრის)	ამზადებს (ის მას) ყრის (ის მას)	მოამზადებს (ის მას) ჩაყრის (ის მას)	მოამზადა (მან ის) ჩაყარა (მან ის)	უნდა მოამზადოს (მან ის) უნდა ჩაყაროს (მან ის)

დააკვირდით ზმნის ფორმების ცხრილს.

ახლანდელი დრო (აწმყო)

მე მას ვყრი / ვჭრი/ ვაცხობ / ვახვევ / ვზელ / ვატარებ / ვაბრტყელებ / ვამზადებ
შენ მას ყრი / ჭრი/ აცხობ / ახვევ / ზელ / ატარებ / აბრტყელებ / ამზადებ
ის მას ყრის / ჭრის/ აცხობს / ახვევს / ზელს / ატარებს / აბრტყელებს / ამზადებს
ჩვენ მას ვყრით / ვჭრით / ვაცხობთ / ვახვევთ / ვზელთ / ვატარებთ / ვაბრტყელებთ / ვამზადებთ
თქვენ მას ყრით / ჭრით / აცხობთ / ახვევთ / ზელთ / ატარებთ / აბრტყელებთ / ამზადებთ
ისინი მას ყრიან /ჭრიან / აცხობენ / ახვევენ / ზელენ / ატარებენ / აბრტყელებენ / ამზადებენ

მომავალი დრო (მყოფადი)

მე მას ჩავყრი / დავჭრი / გამოვაცხობ / შევახვევ / მოვზელ / გავატარებ / გავაბრტყელებ / მოვამზადებ
შენ მას ჩაყრი / დაჭრი/ გამოაცხობ / შეახვევ / მოზელ / გაატარებ / გააბრტყელებ / მოამზადებ
ის მას ჩაყრის / დაჭრის/ გამოაცხობს / შეახვევს / მოზელს / გაატარებს / გააბრტყელებს / მოამზადებს
ჩვენ მას ჩავყრით / დავჭრით / გამოვაცხობთ / შევახვევთ / მოვზელთ / გავატარებთ / გავაბრტყელებთ / მოვამზადებთ
თქვენ მას ჩაყრით / დაჭრით / გამოაცხობთ / შეახვევთ / მოზელთ / გაატარებთ / გააბრტყელებთ / მოამზადებთ
ისინი მას ჩაყრიან /დაჭრიან / გამოაცხობენ / შეახვევენ / მოზელენ / გაატარებენ / გააბრტყელებენ / მოამზადებენ

წარსული დრო (წყვეტილი)

მე ის ჩავყარე / დავჭერი / გამოვაცხვე / შევახვიე / მოვზილე / გავატარე / გავაბრტყელე / მოვამზადე
შენ ის ჩაყარე / დაჭერი / გამოაცხვე / შეახვიე / მოზილე / გაატარე / გააბრტყელე / მოამზადე
მან ის ჩაყარა / დაჭრა/ გამოაცხო / შეახვია / მოზილა / გაატარა / გააბრტყელა / მოამზადა
ჩვენ ის ჩავყარეთ / დავჭერით / გამოვაცხვეთ / შევახვიეთ / მოვზილეთ / გავატარეთ / გავაბრტყელეთ / მოვამზადეთ
თქვენ ის ჩაყარეთ / დაჭერით / გამოაცხვეთ / შეახვიეთ / მოზილეთ / გაატარეთ / გააბრტყელეთ / მოამზადეთ
მათ ის ჩაყარეს /დაჭრეს / გამოაცხვეს / შეახვიეს / მოზილეს / გაატარეს / გააბრტყელეს / მოამზადეს

წარსული დრო (II კავშირებითი)

მე ის უნდა ჩავყარო / დავჭრა / გამოვაცხო / შევახვიო / მოვზილო / გავატარო / გავაბრტყელო / მოვამზადო
შენ ის უნდა ჩაყარო / დაჭრა / გამოაცხო / შეახვიო / მოზილო / გაატარო / გააბრტყელო / მოამზადო
მან ის უნდა ჩაყაროს / დაჭრას / გამოაცხოს / შეახვიოს / მოზილოს / გაატაროს / გააბრტყელოს / მოამზადოს
ჩვენ ის უნდა ჩავყაროთ / დავჭრათ / გამოვაცხოთ / შევახვიოთ / მოვზილოთ / გავატაროთ / გავაბრტყელოთ / მოვამზადოთ
თქვენ ის უნდა ჩაყაროთ / დაჭრათ / გამოაცხოთ / შეახვიოთ / მოზილოთ / გაატაროთ / გააბრტყელოთ / მოამზადოთ

მათ ის უნდა ჩაყარონ / დაჭრან / გამოაცხონ / შეახვიონ / მოზილონ / გაატარონ / გააბრტყელონ / მოამზადონ

საწყისი	ახლანდელი (აწმყო)	წარსული (წყვეტილი)
წასმა	უსვამს ის მას მას	წაუსვა მან მას ის
	უსვამს დედა ნამცხვარს კრემს	წაუსვა დედამ ნამცხვარს კრემი.
დამატება	უმატებს ის მას მას	დაუმატა მან მას ის
	უმატებს მზარეული ფქვილს მარილს	დაუმატა მზარეულმა ფქვილს მარილი

22. შეავსეთ ცხრილი:

საწყისი	აწმყო	მყოფადი	წყვეტილი	II კავშირებითი უნდა ...
დამატება				დაამატო
დაჭრა			დაჭერი	
ჩადება	დებ			
მოყრა		მოაყრი		
გამოცხობა	აცხობ			
მოხვევა			მოახვიე	
წასმა	უსვამ	წაუსვამ	წაუსვი	წაუსვა
მოზელა		მოზელ		
გატარება			გაატარე	
გაბრტყელება				გააბრტყელო

23. ჩაწერეთ სიტყვები შესაბამისი ბრუნვის ფორმით:

1. სალომე ძალიან გემრიელ (ნამცხვარი) ..... აცხობს.
2. ხაჭაპურისთვის (ყველი) ..... ატარებენ ხორცსაკეპ მანქანაში ან ფშვნიან ხელით.
3. დაბადების დღისთვის ჩემმა (და) ..... იტალიური პიცა გამოაცხო.
4. (მამა) ..... მწვადი უნდა შეწვას.
5. თბილ (ღვეზელი) ..... კრემი არ უნდა წაუსვათ.
6. (ბებია) ..... მაგიდაზე პურს დებს.
7. პიცის (ცომი) ..... თხლად გააბრტყელებ და ზემოდან დაალაგებ ინგრედიენტებს.
8. ხინკლის (ცომი) ..... მაგრად მოახვიეთ, რომ წვენი გარეთ არ გამოვიდეს.
9. (ბაბუა) ..... კარტოფილს სასუქი მოაყარა.
10. (მზარეული) ..... ყველა კერძი სწრაფად მოამზადა.

24. შეავსეთ ტექსტი შესაბამისი ზმნის ფორმებით:

ჩაასხით, გააბრტყელეთ, დაამატეთ, ჩაყარეთ, მოახვიეთ, მოზილეთ გააბრტყელეთ, გამოაცხვეთ, ჩადეთ

აიღეთ ფქვილი, (1) ..... საფუარი, (2) .....
ცოტა მარილი, (3) ..... თბილი წყალი და (4) .....
..... რბილი ცომი. ამოსული ცომის გუნდა (5) ..... საშუალო
სისქეზე, (6) ..... გატარებული ყველი, (7) .....
ცომი ხინკალივით, (8) ..... თხლად სასურველ ფორმაზე და (9)
..... გაცხელებულ ღუმელში.

25. დაწერეთ იგივე ტექსტი II კავშირებითის პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ზმნური ფორმების გამოყენებით:

ავიღოთ ფქვილი, ...

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

26. დააკვირდით პიცის რეცეპტს, გამოიყენეთ ზმნების ცხრილი და დაასრულეთ მომზადების წესი:

იტალიური პიცა

ინგრედიენტები:	
200 გრამი ლორი 200 გრამი ძეხვი 50 მლ ზეითუნის ზეთი 200 გრამი მოცარელა 1 ცალი წითელი და 1 ცალი მწვანე ბულგარული წიწაკა	500 გრამი პამიდორი 700 გრამი ფქვილი 200 მლ წყალი 100 მლ ზეთი 20 გრამი საფუარი 1/2 ჩ/კ მარილი

მომზადების წესი:

ჯამში (1) ..... ფქვილი, (2) ..... თბილ წყალში გახსნილი საფუარი, მარილი, ზეთი, (3) ..... ცომი, გადააფარეთ ტილო, დადეთ თბილ ადგილას დაახლოებით 1-2 საათი.

როცა ცომი ამოვა, (4) ..... გუნდები, შემდეგ (5) .... ცომი, დადეთ ტაფაზე, (6) ..... ზეთი. (7) .... პამიდორი, სოკო, ლორი, ძეხვი, მოცარელა, დაალაგეთ ცომზე. (8) .... მარილი,(9) ..... ზეითუნის ზეთი, შედგით ცხელ ღუმელში და (10) ..... . (11) ..... მრგვლად წითელი და მწვანე წიწაკა და გამოცხობამდე ორი წუთით ადრე ზემოდან (12) ....

20 წუთში პიცა მზად არის. გემრიელად მიირთვით!

27. მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტში-როგორ მზადდება ხაჭაპური. დაწერეთ რეცეპტი:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

28. მონიშნეთ, რომელი ინგრედიენტებია საჭირო იმერული ხაჭაპურის მოსამზადებლად:

ფქვილი	
ზეთი	
შაქარი	
რძე	
სოდა	
სულგუნი	
საფუარი	
იმერული ყველი	
კარაქი	
მარილი	
წყალი	

29. თანმიმდევრობით დანომრეთ იმერული ხაჭაპურის მომზადების წესი:

	ა) დაუმატეთ საფუარი და მცენარეული ზეთი.
	ბ) დავდოთ თუნუქის ფირფიტაზე და გამოვაცხოთ ღუმელში.
	გ) გავხეხოთ ყველი და გავაკეთოთ გუნდა.
1	დ) აიღეთ ფქვილი და მოაყარეთ მარილი.
	ე) გავაბრტყელოთ ცომი ხელით.

	ვ) მოზელილი ცომი შევინახოთ მაცივარში 15 წუთით.
	ზ) გაბრტყელებულ ცომში ჩავდოთ ყველის გუნდა და მოვახვიოთ.
	თ) მოვზილოთ ცომი წყლით.
	ი) მოხვეული გუნდა გავაბრტყელოთ თხლად.
	კ) გაბრტყელებული გუნდის ზედაპირი ცოტაზე გავხსნათ.

ლაპარაკი

30. დაუსვით შეკითხვები თქვენს მეწყვილეს, პასუხების მიხედვით ისაუბრეთ: რომელი პროდუქტები უყვარს?

1. რომელია მისი საყვარელი კერძი?
2. რისგან ამზადებს და როგორ?
3. სად ყიდულობს პროდუქტებს? რატომ?

31. გამოიყენეთ მოცემული ფრაზები, შეადგინეთ დიალოგი და გაითამაშეთ მეწყვილესთან ერთად:

ახალი რეცეპტი, გამარჯობა, მინდა გავსინჯო, ჭყინტი ყველი საღამოს გცალია? ჩემთან მოხვალ? მზა კერძები, პიცა გამოვაცხვე როგორ ხარ? ჰიპერმარკეტში ვიყავი, საღამომდე, ნატურალური პროდუქტი, აუცილებლად გავსინჯავ, გელოდები

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

წერა

32. მოიძიეთ ინტერნეტში ინფორმაცია გურული ღვეზელის შესახებ და დაწერეთ რეცეპტი:

გურული ღვეზელი

ინგრედიენტები:

....

....

....

....

მომზადების წესი:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

33. გამოიყენეთ მოცემული ფრაზები და მისწერეთ მეგობარს, როგორ მოამზადოს ხაჭაპური ან პიცა:

აიღე ფქვილი, მოზილე ცომი, დაჭერი..., გამოაცხვე ღუმელში ... , გააჩერე ... წუთი / საათი, გაატარეთ ყველი...., ჩადეთ... , მოაყარეთ ...

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: ქალაქის აღწერა, შენობები, ობიექტები და ღირსშესანიშნაობები ქალაქში.

გრამატიკული საკითხი: ადგილმდებარეობის განსაზღვრა; დანიშნულების სახელები - სა-ე, სა-ო; ხელობის სახელები მე-ე; აბსტრაქტული სახელები -ობა; -თანიანი ფორმები; ბავშვთა ცენტრი.

ზმნები: ქმნის, ქმნიდა, შექმნა, შექმნის; ადნობს, გამოადნო, გაჰყავს, ხსნის, არქმევს, ამაყობს, ვითარდება, გაიცნო.

თემის გახსნისთვის

1. შეადარეთ ეს ორი სურათი და ისაუბრეთ: რას ხედავთ მათზე?

- როგორი სახლებია?
- როგორია ქუჩები?
- რა არის მეტი პირველ სურათზე? მეორეზე?



სოფელი



ქალაქი

2. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები და დააკავშირეთ სურათი დასახელებასთან. ჯერ ისაუბრეთ, შემდეგ კი მიუწერეთ სურათებს სიტყვები:

ძველი უბანი, აფთიაქი, ეკლესია, მერია, მუზეუმი, კულტურის სახლი, პარკი






1. ..... 2. ..... 3. ..... 4. .....





5. ..... 6. ..... 7. .....

3. ა) გაიხსენეთ და მონიშნეთ ქვემოთ მოცემული სიტყვების გასწვრივ კიდევ რომელი ობიექტებია ქალაქში:

1. საბავშვო ბაღი
2. ხილის ბაღი
3. სკოლა
4. მერია
5. ზოოპარკი
6. ბოსტანი
7. საავადმყოფო
8. პროკურატურა

ბ) კიდევ რას დაამატებთ – რა არის ქალაქში?

.....

.....

.....

4. მოიძიეთ ინტერნეტში „სიმღერა ბოლნისზე“ და დაწერეთ, მეორე სავარჯიშოში შემოთავაზებული სიტყვებიდან რომელი ობიექტებია ნახსენები სიმღერაში?



.....

.....

.....

.....

.....

5. გაიხსენეთ წინა სავარჯიშოების ინფორმაცია და დაასრულეთ მსჯელობა:

ა) ქალაქი არის დიდი დასახლებული პუნქტი, სადაც არის

.....

.....

.....

ბ) სოფელი არის მცირე დასახლებული პუნქტი, სადაც არის

.....

.....

.....

6. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

სიტყვა	განმარტება
მუზეუმი	ა) ქალაქის თვითმმართველობის ორგანო.
მერია	ბ) ქრისტიანების რელიგიური შეკრების ადგილი.
კულტურის სახლი	გ) დასასვენებელი და გასართობი ადგილი.
უბანი	დ) ქალაქის/სოფლის/ ერთი ადგილი /რამდენიმე ქუჩა ერთად.
ეკლესია/ტაძარი	ე) ძველი, ისტორიული ნივთების შესანახი ადგილი.
ექსპონატი	ვ) შენობა / დაწესებულება, სადაც ტარდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება.
პარკი	ზ) მუზეუმში მოთავსებული ნივთები.

7. ცხრილში განმარტებული სიტყვები ჩასვით წინადადებებში:

დაუკვირდით რამდენიმე ფორმას:	
უბანი - უბნის (უბანის) ტაძარი - ტაძრის (ტაძარის)	მერია - მერიის (მერიაის) ეკლესია - ეკლესიის(ეკლესიაის)

ა. ბოლნისის .....ში ინახება აქაური გერმანელების ცხოვრების ამსახველი ..... .

ბ. ..... მუშაობს სხვადასხვა წრე: ცეკვის, თეატრის, ხატვის.

გ. ალის სახლში მთელი .....ის ხალხი შეიკრიბა.

დ. სიონის .....ში დაცულია ყველაზე ძველი წარწერა.

ე. ქალაქის ცენტრში დგას .....ის შენობა.

ვ. ყოველ საღამოს გავდივარ დასასვენებლად .....ში.

დაიმახსოვრეთ:

წარწერა არის რაიმეზე (ქვაზე, სურათზე, წიგნზე, კედელზე) დაწერილი ტექსტი.

8. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

დაიმახსოვრეთ:

ზოგჯერ მოსაუბრე თავისი დამოკიდებულებების გამოსახატავად იყენებს სხვადასხვა სიტყვას:

წუხილის გამოსახატავად: (როცა არ შეუძლიათ დაეხმარონ) სამწუხაროდ, ვწუხვარ, ჩემდა სამწუხაროდ;

მაგ.: სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარები.
ვწუხვარ, ვერ გეხმარები. ჩემდა სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარები.

სიხარულის/სიამოვნების გამოსახატავად:
(როცა აქვთ შესაძლებლობა დაეხმარონ)
სასიამოვნოა, სასიხარულოა, სიამოვნებით

მაგ.: სასიამოვნოა შენი დახმარება. სიამოვნებით დაგეხმარები.

- ლადო, გამარჯობა.
- გამარჯობა, დენის. როგორ ხარ? სად ხარ?
- საქართველოში ვარ, თბილისში. გუშინ ჩამოვფრინდი, - რა კარგია, ახლა სად ხარ? ჩვენთან არ მიხვალ?
- სამწუხაროდ, ახლა ვერ შევძლებ. სტატიას ვწერ უძველეს ქართულ წარწერებზე და მხოლოდ ორი დღით ჩამოვედი. სურათები უნდა გადავიღო, მაგრამ შენი დახმარება მინდა.
- სიამოვნებით. დენის, მიხარია, რომ ჩემს ქვეყანაზე წერ საკურსოს. რით შემიძლია დაგეხმარო?
- სად მირჩევ წასვლას, რომელი რაიონიდან დავიწყო?
- რა თქმა უნდა, ბოლნისიდან. ყველაზე ძველი, მეხუთე საუკუნის წარწერა ჩვენს ქვეყანაში ბოლნისის სიონშია. ის კი ჩვენს რაიონშია.
- მართლა, რა ძველი ისტორია ჰქონია! როგორ მოვხვდე ბოლნისში? შორს არის?
- არა, თბილისიდან 64 კილომეტრშია. რკინიგზის სადგურიდან სამარშრუტო ტაქსით წახვალ. ქალაქი ბოლნისი ცენტრალურ გზაზეა, ჩამოდი და იქ უკვე ყველა გასწავლის გზას. სამწუხაროდ, ქალაქში არ ვარ და ვერ გამოგყვები.
- უკვე დამეხმარე, ვიცი, საიდან დავიწყო. კიდევ დაგირეკავ .
- დროებით, დენის.
- ნახვამდის!

ბ) ჩასვით გამოტოვებული ფრაზები:

რით შემიძლია დაგეხმაროთ, რკინიგზის სადგურიდან, უძველეს ქართულ წარწერებზე, სურათები უნდა გადავიღო, სად ხარ, რომელი რაიონიდან დავიწყო, გუშინ ჩამოვფრინდი, როგორ მოვხვდე ბოლნისში?

- ლადო, გამარჯობა.
- გამარჯობა, დენის, როგორ ხარ? ..... ?
- სურათები უნდა გადავიღო.
- საქართველოში ვარ, თბილისში, ...
- რა კარგია, ახლა სად ხარ? ჩვენთან მიხვალ? დედას გაუხარდება.
- სიამოვნებით მივიდოდი, მაგრამ ახლა ვერ შევძლებ, სტატიას
- ვწერ..... მხოლოდ ორი დღით ჩამოვედი,
- ..... .
- და შენი დახმარება მჭირდება.
- სიამოვნებით, დენის, მიხარია, რომ ჩემს ქვეყანაზე წერ საკურსოს, ...

- სად მირჩევ წასვლას, ...
- რა თქმა უნდა, ბოლნისიდან. ყველაზე ძველი, მეხუთე საუკუნის, წარწერა ჩვენს ქვეყანაში სწორედ ბოლნისის სიონშია.
- მართლა, რა ძველი ისტორია ჰქონია,..... . შორს არის?
- არა, თბილისიდან 64 კილომეტრშია, ... სამარშრუტო ტაქსით
- წახვალ, ქალაქი ბოლნისი ცენტრალურ გზაზეა, ჩამოდი და იქ უკვე ყველა მიგასწავლის გზას, სამწუხაროდ, მივლინებაში ვარ და ვერ გამოგყვები.
- უკვე დამეხმარე, ვიცი, საიდან დავიწყო, კიდევ დაგირეკავ .
- დროებით, დენის.
- ნახვამდის!

9. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. სად მიმდინარეობს დიალოგი?
2. ვინ და ვინ საუბრობს?
3. რომელ ქალაქშია დენისი?
4. სად უნდა წავიდეს დენისი?
5. რით არის საინტერესო ბოლნისი?
6. რომელი ტრანსპორტი მიდის ბოლნისამდე?
7. რამდენი კილომეტრია ქალაქამდე?

10. დააკვირდით:

მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები	
შენობა - ნაგებობა აგება - აშენება	გაეცნობი/ გაიგებ მდებარეობს/არის

ჩასვით ტექსტში სინონიმური/მსგავსი მნიშვნელობის/ სიტყვები:

ბოლნისის სიონის შენობა სამი თაღისაგან შედგება, ასეთი ..... სწორედ იმ დროს შენდებოდა, მოგვიანებით დაიწყეს ჯვრის ფორმის ტაძრების ....., თუ კედელთან ..... დაინახავ უძველეს ქართულ წარწერას, ადრე თვლიდნენ, რომ ეს იყო ყველაზე ძველი ქართული წარწერა. ..... იპოვეს პალესტინის წარწერები, რომლებიც უფრო ადრინდელია.

11. ა) დააკვირდით სურათებს და სიტყვებს:



გზაჯვარედინი



ნაკვალევი

1. რომელი სიტყვისაგან არის მიღებული ეს სიტყვები?

.....

2. ზემოთ მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

.....

12. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

თავაზიანი ფორმები:

ხომ ვერ მეტყვით? - მითხარით

იქნებ ამიხსნათ - ამიხსენით

- ხომ ვერ მეტყვით, ეს რა შენობაა?
- რომელი, მარჯვნივ რომ არის?
- დიახ, საინტერესო ნაგებობაა.
- ეს ჩვენი ახალი მუზეუმია, საინტერესო ექსპონატებით.
- რის ნახვა შემიძლია აქ?
- უძველესი წარწერების, პირველი **ევროპელების** ნაკვალევს გაეცნობი, აქ მცხოვრებ გერმანელებზე გაიგებ, თუმცა ეს თვითონ უნდა ნახო.

- მართლა საინტერესოა. **მოგვიანებით** აუცილებლად ვნახავ. ახლა იქნებ ამიხსნათ, ბოლნისის სიონის წარწერასთან როგორ მივიდე?
- პირდაპირ გააგრძელე გზა, ასე, ორ კილომეტრში, ცენტრში, ქალაქის მერიაა. მის გვერდით კულტურის სახლია, მოპირდაპირე მხარეს - პროკურატურა და საინფორმაციო ცენტრი. კულტურის სახლის მარჯვნივ საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკია. გზის მოპირდაპირედ, მარჯვნივ - კიდევ ერთი ბანკი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრი. იქვე **გზაჯვარედინია**, საყოფაცხოვრებო ცენტრის პირდაპირ და საინფორმაციო ცენტრის მარჯვნივ, გზის მეორე მხარეს, კუთხეში, აფთიაქთან გაჩერებაა. იქიდან ტაქსით შეგიძლია წახვიდე. ასე ექვს კილომეტრში, პირდაპირ, გზის მარცხენა მხარეს ბოლნისის სიონის ტაძარია.
- მადლობა.

ბ) შემოხაზეთ სწორი პასუხები.

1. დიალოგი მიმდინარეობს

ა) მერიასთან;
ბ) მუზეუმთან;
გ) აფთიაქთან;
დ) ბანკთან.

2. რომელ ექსპონატს გაეცნობი ბოლნისის მუზეუმში?
ა) ოქროს სამკაულებს;
ბ) წამლებს;
გ) პირველ ევროპელებს;
დ) ორნამენტებს.

3. რომელი ობიექტის გვერდითაა გაჩერება?
ა) მუზეუმის;
ბ) კულტურის სახლის;
გ) აფთიაქის;
დ) პროკურატურის.

4. დიალოგის ადგილიდან რამდენ კილომეტრშია სიონის ტაძარი?
ა) ათ კილომეტრში;
ბ) ექვს კილომეტრში;
გ) რვა კილომეტრში;
დ) ცხრა კილომეტრში.

13. ა) მონიშნეთ ინფორმაცია ცხრილის შესაბამის უჯრაში: (+)

ტექსტი	სწორია	არასწორია
1. მუზეუმიდან ორ კილომეტრში არის ქალაქის მერია.		
2. აფთიაქი არის საყოფაცხოვრებო ცენტრის მარცხნივ.		
3. ქალაქში, გზის მარჯვენა მხარეს, სამი ბანკია.		
4. კულტურის სახლსა და მერიას შორის არის პროკურატურა.		
5. თიბისი ბანკი კულტურის სახლის წინაა.		
6. აფთიაქი საინფორმაციო ცენტრის მარჯვნივაა.		
7. პროკურატურა საინფორმაციო ცენტრის გვერდითაა.		
8. გზაჯვარედინი თიბისი ბანკისა და საყოფაცხოვრებო ცენტრის შუაშია.		

ბ) კიდევ ერთხელ გადახედეთ ტექსტს და გაასწორეთ მცდარი ინფორმაცია:

14. ა) დააკვირდით სქემას, წაიკითხეთ ტექსტი და გაუკეთეთ წარწერები შესაბამის ობიექტებს:

ბ) ბლოკში მოცემული სიტყვები ჩასვით დიალოგში:

მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ცენტრში, გვერდით, შუაში, შუა

- უკაცრავად, მე ახლა ბოლნისის ..... ვარ?
- დიახ, რა გაინტერესებთ.
- შეგიძლიათ მითხრათ, რომელია აქ თეატრის შენობა?
- სიამოვნებით, ... ბანკის შენობას ხედავთ, მის .... არის სწორედ თეატრი.
- მადლობა, თეატრის ..... რა შენობაა?
- პროკურატურაა.
- პროკურატორის ..... ?
- მარცხნივ საინფორმაციო ცენტრია.
- ბანკების ..... გზა სად მიდის?
- გზა წმინდა ნინოს ქუჩისკენ მიდის.
- და სად უნდა დავდგე, რომ სიონისკენ წავიდე?
- აფთიაქსა და საინფორმაციო ცენტრს ..... მიმავალ გზასთან.
- მადლობა დახმარებისათვის!
- სიამოვნებით დაგეხმარეთ, ნახვამდის!

15. დააკვირდით სიტყვების განმარტებებს და მოცემულ სურათებს გაუკეთეთ წარწერები:

ბორცვი - ამაღლებული ადგილი მიწაზე.
დინება - წყლის მოძრაობა.
ვაკე - სწორი ადგილი მიწაზე.
კოლექცია - გარკვეული პრინციპით შეგროვებული ნივთები.
ტყავი - მასალა, ცხოველის კანი
სასულე ორკესტრი - ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც უკრავენ ჩასაბერ საკრავზე
საქონელი - ა) შინაური ცხოველები; ბ)სავაჭრო პროდუქცია






....





....

16. ა) წაიკითხეთ დიალოგები:

ა)

- მასწავლებელო, გელათის ნახვა გვინდა. სად არის?
- გელათი **მდებარეობს** დასავლეთ საქართველოში.
- გთხოვთ, წავიდეთ.

ბ)

- მეგობარო, მითხრეს, რომ დღეს შეხვედრა გვაქვს. მართალია?
- კი, **მართლაც ასეა**. დღეისთვის გადმოიტანეს, რადგან ხვალ სტუმრებს ველოდებით.

გ)

- რა შემიძლია ვნახო თბილისში?
- ბევრი რამ. ჩვენთან ბევრი **ღირსშესანიშნაობაა**: მუზეუმები, ძველი ციხეები, საინტერესო შენობები.

დ)

- სად გინდა სწავლა?
- ივანე ჯავახიშვილის **სახელობის** უნივერსიტეტში.
- ივანე ჯავახიშვილისაა?
- არა, მისი დახმარებით შეიქმნა, ამიტომ მისი სახელი აქვს.

ე)

- ძალიან მინდა ვიცოდე უძველეს ადამიანებზე: რა ეცვათ? რა ნივთები ჰქონდათ?
- ეგ ადვილია, მიდი მუზეუმში და ყველაფერია **წარმოდგენილი**, სულ თაროებზეა **გამოფენილი**.
- რა კარგია, ხვალ მივალ .

ვ)

- ჩემი მხარის შესახებ ინფორმაცია როგორ მოვაგროვო, სად შეიძლება ვნახო?
- თუ გინდა შენი მხარე იცოდე, მიდი **მხარეთმცოდნეობის** მუზეუმში. ბევრ რამეს გაიგებ.

ბ) დიალოგებში გამუქებული სიტყვები ჩაწერეთ შესაბამის განმარტებასთან:

	სხვისთვის საჩვენებლად გამოტანილი
	თაროებზე, კედლებზე დალაგებული
	არის (ამბობენ ადგილთან, შენობასთან მიმართებით)
	ნამდვილად ასეა
	ვინმეს ან რამის სახელის დარქმევა
	მხარის შესწავლა, მხარის შესახებ ცოდნის მომცემი
	ადგილი, ნაგებობა, რომელსაც განსაკუთრებული ღირებულება აქვს

17. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები:

დევიდ, გამარჯობა

როგორ ხარ? მე ძალიან კარგად ვარ. ჩემი საკურსო თემის გამო მოვხვდი ულამაზეს ქალაქში, ბოლნისში. ის ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

I. სახელწოდება ბოლნისი წარმოდგება სიტყვა „ბოვისაგან“. ამ კუთხის ცნობილი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი წერს: ბოვი არის ადგილი, სადაც ოქრო, ვერცხლი, სპილენძი გამოდნება. მართლაც, რაიონი ცნობილია სპილენძისა და ოქროს საწარმოთი და ბევრი ღირსშესანიშნაობით.

II. ბოლნისი მდებარეობს მდინარე მაშავერას შუა დინებაში, ზღვის დონიდან 550 მეტრის სიმაღლეზე, ძირითადად გაშენებულია ვაკეზე, ჩრდილოეთი ნაწილი კი — ბორცვზე.

III. ქალაქს საინტერესო ისტორია აქვს. როგორც მუზეუმში მითხრეს, 1818 წლიდან აქ გერმანელები ცხოვრობდნენ მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბოლნისის ისტორიაში, შექმნეს ევროპული ტიპის დასახლება, განავითარეს მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა. გაიყვანეს მიწისქვეშა სანიაღვრე და სარწყავი არხები. გახსნეს ღვინის, კონიაკის და ყველ-კარაქის ქარხნები, ტყავის და ავეჯის დამამზადებელი საამქროები. ჰქონდათ სახანძრო სამსახური, სასულე ორკესტრი, ველოსიპედისტთა, ტანმოვარჯიშეთა და საფეხბურთო გუნდები. გერმანელების დასახლებას ჯერ კატარინენფელდი ერქვა, შემდეგ ლუქსემბურგი დაარქვეს, 1943 წლიდან კი ბოლნისი ჰქვია.

IV. ამ პატარა ქალაქში სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ: ქართველები,სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები.

V. ბოლნისის ცენტრში მდებარეობს თამაზ სტეფანიას სახელობის სპორტული სტადიონი, კულტურის სახლი, პარკი, საინტერესოა ძველი გერმანული, ისტორიული უბნები. ქალაქი ამაყობს ცნობილი მეღვინეებითა და ბოლნისური ღვინით.

VI. ქალაქის შესასვლელში არის ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მუზეუმი, სადაც სამეცნიერო მნიშვნელობის არქეოლოგიური მასალა და ხელოვნების ნიმუშებია წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან და ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან. აქვე გამოფენილია 200 წლის წინ აქ ჩამოსახლებული გერმანელების, ასევე უძველესი ადამიანების ცხოვრების ამსახველი ექსპონატები.

მაგრამ ეს ყველაფერი უნდა ნახო, ახლა დროებით, გზადაგზა კიდევ მოგწერ.

დენისი

18. დასათაურებას მიუწერეთ აბზაცის ნომერი:

ა) ბოლნისის მუზეუმი .....

ბ) ბოლნისის მდებარეობა .....

გ) ქალაქის ისტორია .....

) მოსახლეობის შემადგენლობა .....

ე) ძველი გერმანელები .....

ვ) ქალაქის სახელის ისტორია .....

ზ) ობიექტები ქალაქში .....

19. უპასუხეთ შეკითხვებს:

კითხვა	პასუხი
ა) ვინ ჰყვება ბოლნისის შესახებ?	
ბ) ვინ არის ადრესატი?	
გ) რისი წარმოებითაა ცნობილი რაიონი?	
დ) ქალაქის რომელ ნაწილშია მუზეუმი?	
ე) რითი ამაყობენ ბოლნისელები?	

20. ა) დააკვირდით:

ხილი - მეხილე (ვისაც ხილი მოჰყავს) - მეხილეობა (მეურნეობის დარგი/ საქმიანობა)

ბოსტანი - მებოსტნე (ვინც ბოსტანში მუშაობს) მე-ბოსტნე-ობა

საქონელი - მე-საქონლ-ე - მესაქონლე-ობა

ბ) ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ ახალი სიტყვები:

ა) ბაღი .....

ბ) ფუტკარი .....

გ) ცხვარი .....

გ) ჩასვით შესაფერისი სიტყვა წინადადებაში:

1. ხილი/მეხილე/მეხილეობა

ჩემი მეგობრის მამა ცნობილი ..... ჩვენს სოფელში კარგადაა გა-ნვითარებული ..... . ჩვენს სოფელში ბევრი ..... მოგვყავს.

2. ღვინო/მეღვინე/მეღვინეობა

ქალაქში პოპულარულია ..... ცნობილი ..... რამდე-ნიმეა. ბოლნისური ..... წარდგენილია მედალზე.

3. საქონელი/მესაქონლე/მესაქონლეობა

მაღაზიაში ახალი ..... შემოიტანეს. მოსახლეობა ძირითადად მისდევს ..... . ჩემი მეზობელი ცნობილი ..... .

21. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. საიდან დაერქვა ქალაქს ბოლნისი?
2. რომელი ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ ქალაქში?
3. კიდევ რომელი ეროვნების ხალხს უკავშირდება ქალაქის ისტორია?
4. რას საქმიანობდნენ ისინი?
5. რომელი ობიექტებია ბოლნისში?

22. დაუკვირდით ნიმუშს და შეასრულეთ დავალებები:

საწყისი	ახლანდელი აწმყო	წარსული წყვეტილი	წარსული უწყვეტელი	მომავალი მყოფადი
გამოდნობა	ადნობს ის მას	გამოადნო მან/ის	ადნობდა ის მას	გამოადნობს ის
შექმნა	ქმნის ის მას	შექმნა მან ის	ქმნიდა ის მას	შექმნის ის მას
გაყვანა	გაჰყავს ის მას	გაიყვანა მან ის	გაჰყავდა ის მას მას	გაიყვანს ის მას
გახსნა	ხსნის ის მას	გახსნა მან ის	ხსნიდა ის მას	გახსნის ის მას
დარქმევა	არქმევს ის მას მას	დაარქვა მან მას ის	არქმევდა ის მას მას	დაარქმევს ის მას მას
სიამაყე	ამაყობს ის	იამაყა მან	ამაყობდა ის	იამაყებს ის
განვითარება	ვითარდება ის	განვითარდა ის	ვითარდებოდა ის	განვითარდება ის
გაცნობა	იცნობს ის მას	გაიცნო მან ის	იცნობდა ის მას	გაიცნობს ის მას

23. ა) ცხრილში მოცემული ზმნები სწორად გამოიყენეთ წინადადებებში:

1. ბოლნისის რაიონში დღესაც ..... ოქროს (გამოდნობა).

2. გასულ წელს ქალაქში ახალი არხები ..... (გაყვანა).

3. ქალაქს ორჯერ ..... სახელი (გადარქმევა).

4. ბოლნისი კიდევ ..... თავისი ისტორიით (სიამაყე).

5. ტურისტები მალე ადგილზე ..... ბოლნისურ ღვინოს (გაცნობა).

6. ბოლო წლებში ყოველ კვირას ..... ახალი მაღაზიები (გახსნა).

7. ყოველწლიურად ქალაქი ..... და მშვენდებოდა (განვითარება).

8. გასულ წელს ჩვენს ქალაქში ..... ზრდასრულთა განათლების ცენტრი (გახსნა).

9. ქალაქის მთავარ ქუჩას ცნობილი მწერლის, სულხან-საბა ორბელიანის, სახელი ..... (დარქმევა).

10. ოქროს წარმოებას უკავშირდება ქალაქში ახალი მუზეუმის .... იდეა (შექმნა).

23. ბ) ჩასვით ზმნის შესაბამისი დროის და პირის ფორმა:

1. ქალაქმა თავისი ისტორია (შექმნა) ..... და კვლავაც ..... .

2. ოქროს წარმოების გამო ხალხმა ქალაქს ბოლნისი (დარქმევა) ..... .

3. ჩემი ოცნებაა გავაშენო პატარა პარკი. მას აუცილებლად ცნობილი ბოლნისელის სახელს (დარქმევა) ..... .

4. წლების განმავლობაში ბოლნისში მეღვინეობა თანდათან (განვითარება) ..... .

5. ნამდვილი ადამიანი (სიამაყე) ..... თავისი წარსულით.

6. თუ გინდა (გაცნობა) ..... ქალაქს, მას აუცილებლად უნდა ესტუმრო.

7. ამ გადაცემით ჩვენს ქალაქს (გაცნობა) ..... მთელი საქართველო.

8. ფესტივალს (გახსნა) ..... გამოფენა-გაყიდვა.

9. მასწავლებელი გაკვეთილს საინტერესოდ (ახსნა) ..... .

24. ცხრილში მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები, ყურადღება მიაქციეთ სუბიექტის და ობიექტის ბრუნვებს,

მაგალითად: *გაიყვანა მან ის კომპანიამ ოცკილომეტრიანი გვირაბი გაიყვანა.*

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

25. ხაზი გაუსვით წინადადებისათვის შესაბამის ფორმას:

1. მუშები თვის განმავლობაში საწარმოში კილომდე ოქროს (ვადნობთ / ადნობთ / ადნობენ).

2. მშენებლებმა ქალაქიდან სოფლებისკენ ახალი გზა (გაიყვანეს / გაგვყავს / გაგყავთ).

3. ავიხდინე ოცნება და ცენტრში ახალი კაფე (გაიხსნა / გახსნეს / გავხსენი).

4. დედა ჩვენი წარმატებებით სულ (ვამაყობდი / ამაყობდნენ / ამაყობდა).

5. ტურისტებს ჩვენი მუზეუმი სიამოვნებით (გავაცანი / გააცანით / გააცნეს).

6. გიორგიმ შვილს მეგობრის სახელი (დავარქვი / დარქვეს / დაარქვა).

7. მალე ახალ-ახალი მოვლენები (განვვითარდი / განვითარდი / განვითარდა).

8. მეღვინეობა ქალაქს ახალ იმიჯს (უქმნი / უქმნის / შეუქმნა).

ქართულში სახელების ერთი ჯგუფი გამოხატავს დანიშნულებას ან კუთვნილებას (რისთვის არის?). ასეთი სახელების საწარმოებლად გამოიყენება თავსართი სა-; ბოლოსართები -ე, ან -ო, იშვიათად – ურ/ულ.

მაგალითად: *ბავშვი (ვინ?)*

საბავშვო - ბავშვისთვის განკუთვნილი/ის, რაც ბავშვებისთვისაა (საბავშვო მოედანი)

შარვალი - ტანსაცმელი (რა?)

საშარვლე - ის, რაც შარვლისთვისაა (საშარვლე ქსოვილი)

სტუმარი - ვინ?

სასტუმრო - ის, რაც სტუმრებისთვისაა

26. აწარმოეთ დანიშნულების სახელები:

დაიმახსოვრე!

მელანი სა-მელან-ე

კაბა სა-კაბა-ე

სა-ო	სა-ე
ავადმყოფი	ჩაი .....
ზამთარი	ნიაღვარი .....
ზაფხული	სული .....
გზა	ფული .....
ხანძარი	ყური .....
ამქარი	ფანქარი .....
უბანი	ღვინო .....

27. მიუწერეთ დასახელებები:



ავადმყოფი



საავადმყოფო



.....



.....



.....



.....



.....



.....



.....



.....



.....



.....

28. ჩასვით შესაფერისი სიტყვა:

ნიაღვარი/სანიაღვრე

1. წვიმის გამო ქუჩები ..... აივსო.

2. ..... არხები წლით იყო სავსე.

ამქარი (ხელოსანი) /საამქრო

1. ამ ქუჩებში ბევრი ..... მინახავს.

2. წელს ბევრი ..... ააშენეს.

ღვინო/საღვინე

1) თაროზე ლამაზად იდო ..... .

2) ჩამოასხეს ახალი ..... .

ხანძარი/სახანძრო

1. გაჩნდა ..... და დაიწვა ყველაფერი.

2. ..... მანქანამ კარგად იმუშავა.

სული / სასულე

1. მუსიკოსმა საკრავს ჩაბერა ..... .

2. დუდუკი ..... საკრავია.

ზაფხული/საზაფხულო

1. სწრაფად გავიდა ..... .

2. ..... კაბა ვიყიდე.

29. ა) დააკვირდით სქემას:

დაიმახსოვრე!

ველოსიპედისტთა = ველოსიპედისტების
ტანმოვარჯიშეთა = ტანმოვარჯიშეების

ასევე:

ქალთა დღე = ქალების დღე
ბავშვთა სამყარო = ბავშვების სამყარო
გოგონათა გუნდი = გოგონების გუნდი
მოსწავლეთა ნამუშევრები = მოსწავლეების ნამუშევრები

30. მოძებნეთ ტექსტში მსგავსი ფორმები და შეცვალეთ ისინი -ებ-იანი ფორმებით, ტექსტი გადაწერეთ :

გასულ წელს ქალაქში გაიხსნა ახალი მაღაზია „ბოლნისი მოლი", სადაც არის ბავშვთა და ქალთა განყოფილება, კუთხე, სადაც იყიდება სპორტსმენთათვის საჭირო ნივთები. ნახავთ ფერმერთა კუთხესაც და მშენებლობის მოყვარულთა ინტერესებიცაა გათვალისწინებული.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

31. წაიკითხეთ დიალოგი და ცხრილში აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

– გამარჯობა, მე დენისი ვარ.

– გამარჯობა, ათეში მქვია, ეს კი არტურია.

– ათეშ, ქართველი არ ხარ?

– არა, აზერბაიჯანელი ვარ.

– ეს სოფელი?

– ესეც აზერბაიჯანული სოფელია.

– არტურიც აქ ცხოვრობს?

– არა, არტური სომეხია და მეზობელ სოფელში ცხოვრობს, მაგრამ ჩვენ მეგობრები ვართ.

– რა კარგია! ხომ ვერ მეტყვით, სიონის ტაძარი შორს არის?

–არა, აქვეა, ახლოს. ჩემი სახლის წინ არის. წამოდით, გაჩვენებთ.

– ეს სიონია?

– დიახ, სიონია.

– უკან რა შენობებია?

– უკან ტაძრის მსახურები ცხოვრობენ.

– მადლობა, ათეშ, შენც, არტურ.

– არაფრის. დაგელოდებით და ბოლნისში წაგიყვანთ. დარჩებით ქალაქში?

– კი, ერთი ღამით. სასტუმრო ხომ არის ქალაქში?

– კი, გამგეობის წინ არის.

– უღრმესი მადლობა. დავათვალიერებ, სურათებს გადავიღებ და გამოვალ.

– გელოდებით.

ფრაზა	სწორია	არასწორია
1. ათეში დენისის მეგობარია.		
2. სიონი არის ათეშის სახლის წინ.		
3. სიონი არის აზერბაიჯანულ სოფელში.		
4. არტური ათეშის მეზობელია.		
5. დენისი სურათების გადაღებას აპირებს.		
6. დენისი სოფლიდან ტაქსით წავა ბოლნისში.		
7. სიონის ტაძრის უკანა ეზოში არის მსახურთა საცხოვრებელი.		
8. დენისი ღამე სოფელში დარჩება.		
9. სასტუმრო გამგეობის წინ არის.		

ლაპარაკი

32. ისაუბრეთ ბოლნისზე:

ა) სად მდებარეობს?

ბ) როგორ უნდა წახვიდე იქ?

ბ) რა არის საინტერესო ქალაქში?

გ) რას დაათვალიერებ ბოლნისში?

33. ფრაზების გამოყენებით ისაუბრეთ თქვენი ან თქვენთან ახლოს მდებარე ქალაქის შესახებ:

პირდაპირ, ვაკე ადგილზე, ქალაქი მდებარეობს, ქალაქის ცენტრში, ქალაქში ბევრი ობიექტია, მთავარ ქუჩას ეწოდება, აქაურები ამაყობენ, განვითარებულია, ბევრი ღირსშესანიშნაობაა, მარცხნივ

წერა

34. დაასრულეთ:

ა)	თუ შეიძლება, მასწავლეთ როგორ წავიდე თბილისიდან ბოლნისში?

ბ)	შეგიძლიათ მითხრათ,სად მდებარეობს ქალაქის მერია, სასტუმროსთან მინდა მივიდე.
გ)	იქნებ ამიხსნათ, როგორ ვიპოვო აფთიაქი ბოლნისში?
დ)	რისი ნახვა შემიძლია ბოლნისში? რომელი ობიექტის გვერდით არის ისინი?

35. აღადგინეთ ტექსტში გამოტოვებული სიტყვები:

ველოსიპედით, ჩამოასახლეს, პარკი, ააშენეს, წარმოდგება,
სამარშუტო ტაქსით, ექსპონატები, მდებარეობს, აივნიანი ტაძარია

1. სიღნაღი ..... გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე.

2. სახელი ..... თურქული სიტყვიდან და ნიშნავს თავისუფლებას.

3. აქ სხვა სოფლიდან ..... ხელოსნები.

4. ქალაქის გარშემო კედელი ..... .

5. აქ შეგიძლიათ ნახოთ ..... სახლები.

6. მუზეუმში ინახება საინტერესო ..... .

7. ქალაქში ბევრი ..... , რესტორანი და ..... .

8. ტურისტები აქ ჩამოდიან ..... ან ..... .

36. დაალაგეთ არეული ტექსტი:

ა) ქალაქში ბევრი რესტორანია საინტერესო დიზაინით და უგემრიელესი კერძებით.

ბ) ქალაქში განსაკუთრებით პოპულარულია ქორწინების სახლი. ის დღეც მუშაობს და ღამეც, ამიტომ სიღნაღს სიყვარულის ქალაქსაც უწოდებენ.

გ) ქალაქის სახელი თურქული სიტყვისაგან წარმოდგება და „თავშესაფარს“ ნიშნავს. ის თავდაპირველად პატარა დასახლება იყო, შემდეგ ერეკლე მეორის ინიციატივით უფრო გაიზარდა, რადგან ხელოსნები და ვაჭრები ჩამოასახლეს, რომლებიც ქალაქის ირგვლივ კედელს აშენებდნენ.

დ) თბილისიდან სიღნაღამდე მისვლა ადვილია. მინივენები და სამარშუტო ტაქსები ისნიდან და სამგორიდან დღეში რამდენჯერმე გადის. შეგიძლია, ტაქსიც იქირაო. სიღნაღში წასვლა კი ნამდვილად ღირს.

ქვაფენილიანი ქუჩები, ფერადი და აივნიანი სახლები ლამაზ სურათს ქმნის. საინტერესოა სიღნაღის მუზეუმიც, სადაც 5000-მდე ექსპონატის ნახვა შეიძლება. აქვეა ცნობილი მხატვრების, ნიკო ფიროსმანისა და ლადო გუდიაშვილის, ნახატებიც.

ე) ამიტომ სიღნაღი ტურისტების საყვარელი ადგილია.

ვ) სიღნაღი საქართველოს ერთ-ერთი პოპულარული ტურისტული ქალაქია. ის მდებარეობს გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 790 მეტრზე, თბილისიდან 113 კილომეტრში.

1	2	3	4	5	6

37. წარმოიდგინეთ, რომ მეგობარს ესაუბრებით. შეადგინეთ დიალოგი სიღნაღის შესახებ:

- გამარჯობა ალი. არ გინდა სიღნაღში წავიდეთ?

- .....

- .....

- .....

- .....

- .....

- .....

- .....

- .....

38. დაწერეთ თქვენი საყვარელი ქალაქის შესახებ:

- სად მდებარეობს?
- საიდან წარმოდგება მისი სახელი?
- ვინ ცხოვრობენ ქალაქში?
- რომელი ღირსშესანიშნაობებია აქ?
- როგორ შეიძლება მოხვდეთ ამ ქალაქში?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

05 როგორ ვმგზავრობთ და ვმოგზაურობთ?

ლექსიკა: ტრანსპორტის სახეები.

გრამატიკული საკითხი: დანიშნულების სახელები -თვის; -იდან -მდე; ზმნისწინიანი ფორმები; მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციები.

ზმნები: მგზავრობს, მოგზაურობს; ადის, ჩადის, ჩამოდის, შედის, შემოდის, გადის, გამოდის, მიდის.

თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით სურათს და თქვით, რას ხედავთ:



1. დაასახელეთ, რომელი ტრანსპორტი იცით?
2. რომელი ტრანსპორტი ჩანს სურათზე?
3. რომელი ტრანპორტით სარგებლობთ?

2. გაეცანით დასურათებულ ლექსიკონს და ქვემოთ მოცემულ განმარტებებს მიუწერეთ შესაბამისი სიტყვები:

			
ტივი	ეტლი	კონკა	ბორბალი
			
ურემი	მარხილი	დროშკა	საჰაერო ბურთი
			
ბაგირი	საბაგირო გზა	ფუნიკულიორი - სამთო ტრამვაი	რკინა
			
რკინიგზა	ავტოსადგური	კაბელი	ტროლეიბუსი
		
ტრამვაი	კატერი	ავტომობილი

ნიმუში: ბორბალი ტრანსპორტის ნაწილი, რომელიც ბრუნავს.

1. ..... მანქანა, რომელიც მიდის ძრავის მეშვეობით. გამოიყენება მგზავრების გადასაყვანად, ტვირთის გადასაზიდად.

2. ..... საქალაქო ტრანსპორტი, ავტობუსი, რომელიც მოძრაობს ელექტროდენის მეშვეობით.

3. ..... მთის კალთაზე მოწყობილი სპეციალური რკინიგზა, რომელზეც სამგზავრო ვაგონები მოძრაობს.

4. .....საქალაქო ტრანსპორტი, რომელიც მოძრაობს რკინის ლიანდაგზე ელექტროდენის მეშვეობით.

5. ..... სპეციალური გზა, რომელზეც მატარებელი გადაადგილდება.

6. ..... რკინის ორი პარალელური ხაზი, რომელზეც დადის მატარებელი.

7. ..... ტვირთის გადასაზიდი ყველაზე ძველი საშუალება, რომელიც ცხოველებს გადააქვთ.

8. ..... საზღვაო ტრანსპორტი - პატარა გემი, რომელიც მოკლე მანძილზე მოძრაობს დიდი სისწრაფით.

9. ..... საქალაქო ტრანსპორტი, ტრამვაი, რომლის ვაგონშიც ცხენები იყო შებმული.

10. ..... მიწაზე ან თოვლზე სასრიალო უბორბლო ტრანსპორტი.

11. ..... ერთიმეორის გვერდით მიწყობილი და ბაგირებით მაგრად შეკრული ხის მორები. გადაადგილდება მდინარის დინების მიმართულებით. გამოიყენება სამგზავროდაც.

12. ..... სამგზავრო ტრანსპორტის ძველებური სახეობა, რომელშიც ცხენებს აბამენ.

13. ..... ეტლის ტიპის ტრანსპორტი.

14. ..... თბილი ჰაერით გავსებული დიდი ბურთი, რომელსაც ჰაერში აჰყავს რამდენიმე ადამიანი.

3. გაანაწილეთ ზემოთ მოცემული ტრანსპორტის სახეობები ცხრილში:

ტრანსპორტის ძველი სახეობა	ტრანსპორტის ახალი სახეობა

4. მიუწერეთ სურათს შესაბამისი წინადადება:







1. ..... 2. ..... 3. .....

ა. კაცი მდინარეზე ნავით გადადის.
ბ. კაცს მდინარეზე თხა ნავით გადაჰყავს.
გ. კაცს მდინარეზე ტვირთი ნავით გადააქვს.

5. შეარჩიეთ საჭირო ზმნა და ჩაწერეთ:

გადატანა - გადააქვს / გადასვლა - გადადის / გადაყვანა - გადაჰყავს

1. გლეხს ურმით შეშა ..... .
2. მატარებელს მგზავრები უსაფრთხოდ ..... .
3. სასწრაფო დახმარების მანქანას ავადმყოფი ..... .
4. ყურძნით სავსე გოდრები სატვირთო მანქანას ..... მარანში.

5. ბავშვი ფრთხილად ..... გზაზე.

6. მანქანა ხიდზე ..... .

7. მოგზაური ქვეყნიდან ქვეყანაში ..... და ფოტომასალას აგროვებს.

8. მაშველს დაშავებული უსაფრთხო ადგილას ..... .

9. მსუბუქ ავტომობილს მძიმე ტვირთი ვერ ..... .

6. ა) გაეცანით სიტყვის განმარტებას და აირჩიეთ სიტყვათა ის რიგი, რომელიც სიტყვა ცივილიზაციის მნიშვნელობას დაუკავშირდება.

ცივილიზაცია – (არსებითი სახელი; ნათესაობითი ბრუნვა: ცივილიზაციის) საზოგადოებრივი განვითარებისა და მატერიალური კულტურის დონე, დამახასიათებელი ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისთვის. საზოგადოების ცხოვრების განვითარებისა და წინსვლის დონე.

ანტიკური (ძველი) ცივილიზაცია. თანამედროვე ცივილიზაცია.

ა) ურემი - ველოსიპედი - თვითმფრინავი - ეტლი
ბ) ეტლი - ავტომობილი - ურემი - თვითმფრინავი
გ) ურემი - ეტლი - ავტომობილი - თვითმფრინავი

ბ) ისაუბრეთ, რატომ ფიქრობთ ასე. საუბრისას გამოიყენეთ სიტყვები: ჯერ, შემდეგ, მერე, ბოლოს.

7. შეარჩიეთ საჭირო სიტყვა და ჩასვით შესაბამის ადგილას:

მოძრაობა, სამარშრუტო ტაქსი, მანქანა, ავტომობილი, მოძრაობს, ტაქსი, ტრანსპორტი, ფეხით, ავტობუსი, სატრანსპორტო.

ყოველდღე თბილისის ქუჩებში ..... ბევრი .... , ... , ... თუ ..... .

ქუჩებში გამოსული ..... იმდენად ბევრია, რომ გზებზე წარმოიქმნება ..... საცობი, რის გამოც ..... ფერხდება. 200 წლის წინ კი თბილისში სულ რამდენიმე ..... დადიოდა; ადამიანები, ძირითადად, ... გადაადგილდებოდნენ.

კითხვა

წაიკითხეთ ტექსტი, დააკვირდით ხაზგასმულ სიტყვებს:

ტრანსპორტი

ტრანსპორტი ლათინური სიტყვაა და ქართულად **გადაზიდვას**, **გადატანას** ნიშნავს. ტრანსპორტი არის ის, რითაც ადამიანი ან ტვირთი ხმელეთზე,ზღვაში ან ჰაერში გადაადგილდება.

ადამიანები **უძველეს** დროში ფეხით მოგზაურობდნენ, მაგრამ დიდი **ტვირთით** უჭირდათ გადაადგილება, ამიტომ მათ ცხოველების **გამოყენება** დაიწყეს. მძიმე ტვირთის **გადასატანად** პირველად გამოიყენეს ძაღლები, **მოგვიანებით** კი -სხვა შინაური ცხოველებიც: სახედრები, ჯორები, ცხენები, ხარები, კამეჩები, აქლემები და სპილოები.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად შეიცვალა **სატრანსპორტო** საშუალებებიც. ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ დაახლოებით 5000 წლის წინ ადამიანმა გამოიგონა **ბორბალი**. ბორბლის გამოგონებამ გააჩინა ადამიანის ცხოვრებაში **ურემი**, **ეტლი**, ორბორბლიანი ვაგონები, ველოსიპედი, ავტომანქანა და ნელ-ნელა ადამიანმა შექმნა თანამედროვე ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობა.

დღეს ტრანსპორტის რამდენიმე სახე არსებობს: **საგზაო**, **სარკინიგზო**, **საკაბელო**, **წყლის** და **საჰაერო ტრანსპორტი**.

საგზაო ტრანსპორტს მიეკუთვნება ტრანსპორტი, რომელიც მიწასა და ხმელეთზე მისთვის მოწყობილ გზაზე მოძრაობს. ასეთია **სახმელეთო** ტრანსპორტი: **ავტობუსი**, **ავტომობილი**, **ავტომანქანა**, **ველოსიპედი**, **მოტოციკლი**, **სატვირთო მანქანა**, **ტაქსი**, **ტროლეიბუსი**, სპეციალური სამსახურებისთვის განკუთვნილი მანქანები (სახანძრო, სასწრაფო...); ზოგიერთი ტრანსპორტი რკინის რელსებზე, ლიანდაგებზე, მოძრაობს და მას სარკინიგზო ტრანსპორტს ვეძახით. მაგალითად: მატარებელი, მეტრო, ტრამვაი. ამათგან მეტრო მიწის ქვეშაც მოძრაობს. **საჰაერო** ტრანსპორტია თვითმფრინავი, ვერტმფრენი და **საჰაერო ბურთი**. წყალზე ადამიანები წყლის ტრანსპორტს იყენებენ: გემი, **კატარღა**, **კატერი**, საზღვაო ხომალდი, ნავი, **ტივი**, **ბორანი**. ტივსა და ბორანს მხოლოდ მდინარეზე იყენებენ. არსებობს კიდევ საკაბელო ტრანსპორტი: **ესკალატორი**, **ლიფტი**, **ფუნიკულიორი**, **საბაგირო**. საკაბელო ტრანსპორტის მოძრაობისთვის აუცილებელია ელექტროენერგია.

8. ტექსტში ხაზგასმული სიტყვებიდან რომლის მნიშვნელობას დააზუსტებთ ლექსიკონში? გამოიყენეთ ელექტრონული ლექსიკონი და შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

ახალი სიტყვა	ახალი სიტყვის განმარტება	ახალი სიტყვა მეზობელ სიტყვასთან ერთად

9. შემოხაზეთ შეკითხვის შესაბამისი ერთი სწორი პასუხი:

1. რის შესახებ არის ტექსტი?
ა. საჰაერო ტრანსპორტის შესახებ;
ბ. ტრანსპორტის სახეობების შესახებ;
გ. ტრანსპორტის სახეობების გამოგონების შესახებ.

2. რომელ ცხოველს არ იყენებდნენ სატრანსპორტო საშუალებად?
ა. ძაღლს;
ბ. ცხენს;
გ. ძროხას.

3. რომელ ტრანსპორტს არ სჭირდება რკინის რელსები?
ა. მატარებელს;
ბ. ტრამვაის;
გ. ტროლეიბუსს.

4. რა ტიპის ტრანსპორტია ფუნიკულიორი?
ა. საჰაერო;
ბ. საკაბელო;
გ. სარკინიგზო.

5. რომელი არ არის საკაბელო ტრანსპორტი?
ა. საბაგირო;
ბ. კატარღა;
გ. ესკალატორი.

6. წყლის რომელი ტრანსპორტი გამოიყენება მხოლოდ მდინარეზე?
ა. ტივი;
ბ. ნავი;
გ. კატერი.

7. რომელი მანქანა არ არის სპეციალური სამსახურისთვის განკუთვნილი?
ა. სახანძრო;
ბ. კონკა;
გ. სასწრაფო.

8. ტრანსპორტის რომელ სახეობას არ აქვს ბორბალი?
ა. ველოსიპედს;
ბ. ეტლს;
გ. საჰაერო ბურთს.

10. უპასუხეთ კითხვებს ტექსტის მიხედვით:

1. რას ნიშნავს სიტყვა ტრანსპორტი?
2. რით მოგზაურობდნენ ადამიანები უძველეს დროში?
3. ტექსტის მიხედვით, სად შეუძლია ადამიანს გადაადგილება?
4. რომელ ცხოველებს იყენებდნენ ადამიანები ტვირთის გადასატანად ან გადა-საადგილებლად?
5. როდის გამოიგონა ადამიანმა ბორბალი?
6. ტრანსპორტის რამდენი სახე არსებობს დღეს?
7. რომელი ტრანსპორტი მოძრაობს მიწის ქვეშ?
8. რომელი ტრანსპორტი მოძრაობს ელექტროკაბელების დახმარებით?
9. რა ჰქვია ტრანსპორტს, რომელიც ხმელეთზე მოძრაობს?
10. რაზე მოძრაობს მატარებელი?

11. ა) ჩაწერეთ ცხრილში შესაბამისი ტრანსპორტის სახეობები:

გემი, საზღვაო ხომალდი, მატარებელი, კატერი, ავტობუსი, მეტრო, თვითმფრინავი, ვერტმფრენი, მიკროავტობუსი, ტრამვაი, ნავი.

სახმელეთო	სარკინიგზო	საჰაერო	სამდინარო/ საზღვაო

ბ) ჩაწერეთ, რომელი ტრანსპორტი სად ჩერდება:

ავტოსადგური .....

რკინიგზის სადგური .....

აეროპორტი .....

ნავსადგური .....

მეტროსადგური .....

12. დააჯგუფეთ ხაზგასმული სიტყვები:

საწყისები	ტრანსპორტის სახელები	სა-ო აფიქსებიანი სიტყვები
გადატანა	ურემი	საკაბელო

13. ცხრილში ამოწერილ საწყისებს მოუძებნეთ აქ მოცემული ზმნებიდან შესაბამისი და მიუწერეთ:

<u>გადააქვს</u>, გადაადგილდება, იგონებს, იყენებს, ზიდავს

ნიმუში: *გადატანა - <u>გადააქვს</u>*

1. .....
2. .....
3. .....
4. .....

14. წინა სავარჯიშოში მოცემული ზმნებისა და ტრანსპორტის სახელების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: *გემს მძიმე ტვირთი გადააქვს.*

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

კითხვა

დააკვირდით!

თუ ზოგიერთ არსებით სახელს დავუმატებთ სა - ო თავსართ - ბოლოსართს, მივიღებთ დანიშნულების სახელს; მაგალითად: რა? - ქალაქი. როგორი?/ რომელი? სა-ქალაქ-ო (საქალაქო ტრანსპორტი - ტრანსპორტი, რომელიც ქალაქში დადის)

15. ა) ზემოთ მოცემული წესისა და ნიმუშის მიხედვით, აწარმოეთ ახალი სიტყვები:

ნიმუში: *რკინიგზა - სა-რკინიგზ-ო*

ჰაერი .....

ხმელეთი .....

ზღვა .....

მდინარე .....

გზა .....

კაბელი .....

ბაგირი .....

ტრანსპორტი .....

ბ) მიღებული ახალი სიტყვები ჩაწერეთ შესაბამის ადგილას:

1. ტრანსპორტი, რომელიც მდინარეზე მოძრაობს, არის ..... .
2. ტრანსპორტი, რომელიც ჰაერში გადაადგილდება, არის ..... .
3. რკინის რელსებზე მოძრაობს ..... ტრანსპორტი.
4. ზღვაში მოძრაობს ..... ტრანსპორტი.
5. მიწაზე მოწყობილ გზაზე მოძრაობს ..... ტრანსპორტი.
6. მიწაზე, ხმელეთზე მოძრაობს ..... ტრანსპორტი.
7. ლიფტი ..... ტრანსპორტია, რადგან კაბელების დახმარებით მოძრაობს.
8. თბილისის ..... კომპანია მოგემსახურებათ .... გზით.

მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციაა:
ა. თანაობის გამოხატვა;
ბ. მოქმედების იარაღის, საშუალების გამოხატვა;

მაგ., თოფით მოკლა (მოქმედების იარაღს);
ფეხით სეირნობს (მოქმედების საშუალებას);

ზოგ შემთხვევაში კი იგივე ფორმა გამოხატავს თანაობას - მოქმედებას ვიღაცასთან/რაღაცასთან ერთად.

მაგ.,ბებია თავისი შვილიშვილებით (შვილიშვილებთან ერთად, შვილიშვილებიანად) სოფელში დაბრუნდა.

16. წაიკითხეთ წინადადებები და კონტექსტის დახმარებით მიუწერეთ, რომელი გამოხატავს თანაობას და რომელი - იარაღს, გადაადგილების საშუალებას:

ნიმუში: *მონადირემ დათვი <u>თოფით</u> მოკლა. (გამოხატავს იარაღს)*
ბებია თავისი <u>შვილიშვილებით</u> სოფელში დაბრუნდა. (გამოხატავს თანაობას)

1. ჯუმბერ ლეჟავამ 9 წელი მოანდომა დედამიწის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობას.

2. გოგონები ფეხით სეირნობენ.

3. ისინი თვითმფრინავით გაემგზავრნენ იტალიაში.

4. ფუნიკულიორით მგზავრობა სასიამოვნოა.

5. მან მთელი ქონება გაყიდა თავისი ურმითა და კამეჩებით.

6. სამსახურამდე ავტობუსით მივდივარ.

7. ტრამვაის ვაგონები თავისი რელსებით ჯართში ჩააბარეს.

8. მდინარეზე გადასვლა ტივითაც შეიძლებოდა.

9. საღამოს ტბაზე ნავით გავისეირნოთ.

10. ქალაქის მერიამ მოსახლეობა უფასო მგზავრობით უზრუნველყო.

მოქმედებით ბრუნვასთან გამოიყენება -(ი)დან თანდებული და გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს. უპასუხებს კითხვაზე **საიდან?** ხშირად ამ ფორმასთან გვხვდება -ამდე თანდებულიანი ვითარებითი, რომელიც უპასუხებს კითხვაზე **სადამდე?** *(საიდან სადამდე? - ქალაქიდან სოფლამდე).*

17. ა) მოცემულ სიტყვათა წყვილს მიეცით შესაბამისი ფორმა (-იდან -ამდე დაბოლოებით):

ნიმუში: *სადგურის მოედანი / თავისუფლება - სადგურის <u>მოედნიდან</u> თავისუფლებამდე ტაქსით წავედი.*

1. სახლი/ სკოლა .....

2. თბილისი / ქუთაისი .....

3. თავისუფლების მოედანი / რუსთაველის გამზირი .....

4. ბოლნისი / მარნეული .....

5. ახალქალაქი / ახალციხე .....

6. მდინარის ერთი ნაპირი / მეორე ნაპირი .....

7. მეტრო / უნივერსიტეტი .....

8. თეატრი /სახლი .....

9. აეროპორტი / სასტუმრო .....

10. რკინიგზის სადგური / ავტობუსის გაჩერება .....

ბ) მიღებული ფრაზებით შეადგინეთ წინადადებები:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. .....

8. .....

9. .....

10. .....

18. გაეცანით ტექსტს და ამოწერეთ გამუქებული ფორმები:

- გამარჯობა. თუ შეიძლება, მითხარით, თქვენ ხშირად **მგზავრობთ** საბაგიროთი?
- დიახ, საკმაოდ ხშირად **ვმგზავრობ**, თითქმის ყოველდღე, ბოტანიკურ ბაღში ვმუშაობ და მოსახერხებელია.
- მითხარით, რამდენად უსაფრთხოა?
- აბსოლუტურად უსაფრთხოა.
- თქვენი თანამშრომლებიც საბაგიროთი **მგზავრობენ**?
- დიახ, ჩვენ, ყველანი, ერთად **ვმგზავრობთ** ამ ტრანსპორტით. აი, დათოს ვკითხოთ:

- დათო, შენც ხომ საბაგიროთი **მგზავრობ**?
- კი, ჩემი ძმაც ამ ტრანსპორტით **მგზავრობს** და მოსწონს. გირჩევთ, თქვენც არ თქვათ უარი ამ სიამოვნებაზე.

1. მე ..... ჩვენ .....
2. შენ ..... თქვენ .....
3. ის ..... ისინი .....

19. ა) გაიხსენეთ უწყვეტლის წარმოების წესი (აწმყოს ფორმას + -დი/-ოდი), ჯერ დაწერეთ მგზავრობა-დან მიღებული ზმნის აწმყოს ფორმები, შემდეგ კი გადაიყვანეთ უწყვეტელში:

ნიმუში: *თამაშობ-ს თამაშობ-და*

მე .....

შენ .....

ის .....

ჩვენ .....

თქვენ .....

ისინი .....

ბ) გადაწერეთ ზემოთ მოცემული დიალოგი ისე, რომ მგზავრობა და ტექსტში ხაზგასმული ორი ზმნა იყოს უწყვეტელში:

.....

.....

.....

.....

.....

დააკვირდით!

ზმნისწინს სხვადასხვა ფუნქცია აქვს, ერთ-ერთია მიმართულების ჩვენება. სვლის აღმნიშვნელ ზმნას არაერთი ზმნისწინი დაერთვის, რომლებითაც მოქმედების მიმართულება იცვლება.

გაითვალისწინეთ: მო- ზმნისწინიანი რთული ზმნისწინები (ამო-, ჩამო-....) გამოხატავს მიმართულებას პირველი პირისკენ, ჩემკენ.

გაეცანით ცხრილში მოცემულ ინფორმაციას:

მიმართულება		ზმნისწინიანი ფორმები ***(ახლა ან ყოველთვის, გუშინ, ხვალ)***
ქვემოდან ზემოთ	ჩემკენ, სადაც მე ვარ / შენკენ, სადაც შენ ხარ - ამო-სვლა	ამო-დის /ამო-ვიდა / ამო-ვა
	სადაც მე არ ვარ / სადაც შენ არ ხარ - ა-სვლა	ა-დის / ა-ვიდა / ა-ვა
ზემოდან ქვემოთ	ჩემკენ, სადაც მე ვარ / შენკენ, სადაც შენ ხარ - ჩამო-სვლა	ჩამო-დის / ჩამო-ვიდა / ჩამოვა
	სადაც მე არ ვარ /სადაც შენ არ ხარ - ჩა- სვლა	ჩა-დის / ჩა-ვიდა / ჩა-ვა
შიგნიდან გარეთ	ჩემკენ, სადაც მე ვარ / შენკენ, სადაც შენ ხარ- გამო-სვლა	გამო-დის /გამო-ვიდა / გამო-ვა
	სადაც მე არ ვარ / სადაც შენ არ ხარ - გა-სვლა	გა-დის /გა-ვიდა / გა-ვა
გარედან შიგნით	ჩემკენ, სადაც მე ვარ / შენკენ, სადაც შენ ხარ - შემო-სვლა	შემო-დის / შემო-ვიდა / შემო-ვა
	სადაც მე არ ვარ / სადაც შენ არ ხარ - შე-სვლა	შე-დის / შე-ვიდა/ შე-ვა

იქ - აქ (ჩემკენ) იქიდან აქეთ	ჩემკენ, სადაც მე ვარ / შენკენ, სადაც შენ ხარ მო-სვლა; წამო-სვლა	მო-დის / მო -ვიდა / მო-ვა; მო-დის / წამო-ვიდა / წამო-ვა
აქ - იქ აქედან იქით	იქით - სადაც მე არ ვარ / სადაც შენ არ ხარ წა-სვლა, მი-სვლა	მი-დის / წა-ვიდა/ წა-ვა. მი-დის / მი-ვიდა / მი- ვა.

20. ჩასვით გამოტოვებულ ადგილას სვლა შესაბამისი დროისა და პირის ფორმით:

1. პაპა მთაში ყოველთვის ცხენით ..... . (ამოდის/ჩამოდის)
2. პატარა ავტომობილი მთაში ვერ ..... . (ჩავა /ავა)
3. მატარებელი „თბილისი-ახალციხე“ ..... მეხუთე ლია-ნდაგიდან. (მიდის / გადის)
4. მიკროავტობუსი თბილისიდან ქუთაისში ორ საათში ..... . (შედის / ჩადის)
5. თუ ტაქსით ..... , აეროპორტში არ დააგვიანდება. (მივა / წავა)
6. ჩვენთან მოკლე გზით ნუ ..... გია , ცუდი გზაა. (წამოვა / წავა)
7. ვინ ..... ხვალ ბაზარში? (მივა /წავა)
8. ჩვენი ავტობუსი უკვე ..... სადგურიდან, სამ საათში მანდ ვიქნებით. (შემოვიდა /გამოვიდა)
9. ნანა დღეს ..... გერმანიიდან? (ჩადის/ჩამოდის)
10. ეკა უკვე წამოვიდა თქვენთან და მალე ..... . (წავა /მოვა)

21. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

წასვლა	მოსვლა	ასვლა	გადასვლა
მე წავედი			
შენ წახვედი			
ის წავიდა			
ჩვენ წავედით			
თქვენ წახვედით			
ისინი წავიდნენ			

22. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

წავალ; გამოვიდა; ჩავა; მოდიხარ; შემოვიდა; გადის; ამოვედი; მივდივართ; ჩამოდიხართ; წამოვალთ.

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. .....

8. .....

9. .....

10. .....

23. დაალაგეთ დიალოგის წინადადებები სწორი თანმიმდევრობით:

	- გამარჯობა.
	- თუ იცით, ახალციხეში საქალაქო ტრანსპორტი მოძრაობს?
	- თუ შეიძლება, მითხარით, რომელ საათზე გადის ავტობუსი ახალციხის მიმართულებით?
	- პირველი ავტობუსი დილის 8 საათზე გადის, შემდეგ ყოველ ორ საათში გავა.
	- უფრო ადრე არაფერი მიდის?
	- ინებეთ. კეთილი მგზავრობა.
	- ნახვამდის.
	- უფრო ადრე, დილის 7 საათზე, მიდის თბილისი - ახალქალაქი. ახალციხესაც გაივლის. შეგიძლიათ ახალქალაქის ავტობუსით წახვიდეთ.
	- გამარჯობა. რით შემიძლია, დაგეხმაროთ?
	- ახალციხეში ცენტრალური ქუჩის გარდა სხვა უბნებში საქალაქო ტრანსპორტი არ დადის, შეგიძლიათ ტაქსი აიყვანოთ.
	- დიდი მადლობა. ნახვამდის.
	- ძალიან კარგი. მომეცით ერთი ბილეთი ახალქალაქის ავტობუსზე!

24. წინა დიალოგის მიხედვით, მოცემული ფრაზების გამოყენებით შექმენით დიალოგი რკინიგზის სადგურში და გაითამაშეთ წყვილებში:

მომეცით (ერთი, ორი...) ბილეთი

ორ/სამ... საათში გავა

კეთილი მგზავრობა

რით შემიძლია დაგეხმაროთ?

რომელ საათზე გადის?

უფრო ადრე/უფრო გვიან

ყოველ ოთხ საათში

ქუთაისის მიმართულებით

რამდენ ხანში ერთხელ გადის?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

25. ა) ჩასვით ტექსტში გამოტოვებული სიტყვები:

ტაქსები; ნავი; ტივებს; ურემი, ტრანსპორტის; ხარები; გადატანისთვის; კამეჩები; ბორანს; ბაგირზე; ერთცხენიანი, დროშკები; ეტლები; მგზავრების; რკინიგზა, ფაეტონი, კონკა, ტრამვაის, სადგურიდან, ცხენს, ვაგონი, მეეტლეები.

მე-19 საუკუნემდე თბილისში 1. ..... უმთავრესი სახეობა იყო 2. ..... რომელშიც, ძირითადად, 3. .... და 4. ..... ჰყავდათ შებმული, თუმცა, ხანდახან ეგზოტიკურ ცხოველებსაც აბამდნენ. ურემი, ძირითადად, ტვირთის 5. ....გამოიყენებოდა.

მდინარეზე გადაადგილებისთვის 6. ..... ან 7. .... იყენებდნენ. ბორანი მტკვრის ორ ნაპირს შორის კავშირისთვის გა-

მოიყენებოდა. ბორანი იყო ერთმანეთთან შეერთებული ორი ბრტყელი 8. .... და მასზე გადებული ფიცრები. იგი ნაპირებს შორის გაჭიმულ 9. .....იყო გამობმული და ერთი ნაპირიდან მეორეზე მგზავრები გადაჰყავდა ან ტვირთი გადაჰქონდა.

10. ..... თბილისში მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. ეტლები სხვადასხვა სახის იყო: პირველ რიგში იყო 11. ..... ე. წ. 12. ..... ოთხთვალა, რკინის ბორბლებიანი ეტლები, რომლებიც მოგვიანებით ტყავითა და ბრეზენტით გადაიხურა. 1820 იან წლებში ამ ეტლებით 13. ..... გადაყვანისთვის რამდენიმე მოხერხებულმა მოქალაქემ ქირა დააწესა და ასე გაჩნდა თბილისში პირველი 14. .... მალე ყველაზე პოპულარული გახდა გადასახსნელსახურავიანი ეტლი, 15. ..... რომელშიც ორი ცხენის შებმა შეიძლებოდა. 1887 წლის მონაცემებით თბილისში 520 ფაეტონი ირიცხებოდა.

16. ..... თბილისის პირველი რეგულარული საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყო და ის ცხენებშებმული 17. ..... ვიწროლიანდაგიანი 18. ..... იყო. პირველი ხაზი რკინიგზის 19. ..... ვორონცოვის მოედნემდე 1883 წლის 26 თებერვალს ამოქმედდა და წლების განმავლობაში კონკის ლიანდაგებმა თბილისის დიდი ნაწილი დაფარა. კონკა ყველა მხრიდან ღია პატარა 20. ..... იყო და 20 მგზავრს იტევდა. ვაგონი ორ 21. ..... დაჰყავდა, თუმცა თბილისურ აღმართებში ფორეიტორები, ანუ კონკის 22. ..... კიდევ ორ ცხენს აბამდნენ. კონკას საგანგებო გაჩერებები არ ჰქონდა და ბილეთის გამყიდველი კონდუქტორები მგზავრის მოთხოვნით ნებისმიერ ადგილას აჩერებდნენ.

26. შეასრულეთ დავალებები ტექსტზე დაყრდნობით:

1. რომელ სათაურს შეურჩევდით წაკითხულ ტექსტს?

ა. ტრანსპორტის სახეობები;
ბ. ტრანსპორტი ძველ თბილისში;
გ. როგორ გაჩნდა პირველი ტაქსი;
დ. ტრანსპორტის განვითარების ისტორია.

2. გახაზეთ ტრანსპორტის ის სახეობები, რომლებიც შეგხვდათ წაკითხულ ტექსტში:

ტროლეიბუსი, ურემი, ეტლი, მანქანა, მეტრო, ტივი, ტაქსი, ტრამვაი, კონკა, თვითმფრინავი, ბორანი, ავტობუსი, ფაეტონი, დროშკა, მიკროავტობუსი, მატარებელი.

3. რომელი იყო ყველაზე პოპულარული ტრანსპორტი ძველ თბილისში?

ა. ურემი
ბ. ფაეტონი
გ. კონკა
დ. ბორანი

4. რომელი ტრანსპორტი დადიოდა რკინის ლიანდაგებზე?

ა. დროშკა
ბ. ურემი
გ. ბორანი
დ. კონკა

5. რომელი ტრანსპორტი აკავშირებს მდინარის ნაპირებს ერთმანეთთან?

ა. ტივი
ბ. კონკა
გ. ურემი
დ. ბორანი

27. მონიშნეთ სწორი და არასწორი ინფორმაცია:

	ინფორმაცია ტექსტიდან	სწორია	არასწორია
1.	თბილისში უძველესი ტრანსპორტი ურემი იყო.		
2.	ურემში მხოლოდ ხარებსა და კამეჩებს აბამდნენ.		

3.	ურმები ძირითადად ადამიანების გადასაყვანად გამოიყენებოდა.		
4.	ბორანი მდინარეზე გადასასვლელი ტრანსპორტია.		
5.	ბორანი მოძრაობს მდინარის ნაპირებზე გაჭიმულ ბაგირზე.		
6.	ბორნით მხოლოდ ტვირთი გადაჰქონდათ.		
7.	დროშკა ერთცხენიანი ეტლია და ოთხი ბორბალი აქვს.		
8.	ფაეტონი დახურულსახურავიანი ეტლია და მასში ორი ცხენია შებმული.		
9.	ძველ თბილისში პირველი ტაქსი ეტლი იყო.		
10.	კონკა ცხენებშებმული ტრამვაია, რომელიც ლიანდაგების გარეშე მოძრაობს.		
11.	კონკას ოცი მგზავრის გადაყვანა შეეძლო.		
12.	კონკას მგზავრები იქ აჩერებდნენ, სადაც თვითონ სურდათ.		

28. ა) წაიკითხეთ დიალოგი და ჩაწერეთ მოცემული სიტყვები და ფრაზები სათანადო ადგილას:

გადის, ტრანსპორტით, მატარებლით მივდივართ. რით მიდიხართ? საქალაქო ტრანსპორტში, ჩადის, ტაქსით, თვითმფრინავი, მგზავრობის საფასურის, მუნიციპალური, სასტუმრომდე, მიკროავტობუსით.

- გამარჯობა, დავით!
- გაგიმარჯოს, არჩილ! სად დაიკარგე, აღარ ჩანხარ?
- ვმუშაობ, დრო არ მაქვს. ხვალაც ბათუმში მივდივარ კოლეგებთან ერთად.
- რა კარგია, თან დაისვენებთ და თან იმუშავებთ. 1. ..... ?
- 2. ..... ვაპირებდით წასვლას, მაგრამ გადავიფიქრეთ. 3. .... ცოტა ძვირია.
- ჩქარი 4. ..... უფრო კომფორტული და უსაფრთხოა, თანაც დილით ადრე 5..... და ძალიან სწრაფად 6..... ..... ბათუმში. თან ყველა ერთად ვიქნებით. რკინიგზის სადგურიდან 7. ... . ან მუნიციპალური 8.....მივალთ 9..... ..... .
- ძალიან კარგი. ხომ იცით, ბათუმში 10. ..... ტრანსპორტით

11. ..... გადახდა მხოლოდ ბარათებით შეიძლება.

- როგორც თბილისში? ნამდვილად არ ვიცოდი... რომელი ბარათია საჭირო?
- საქართველოს ბანკის ბარათი, „ბათუმ ქარდი“, თბილისის მერიის შეღავათიანი ბარათები და მეტრომანი.
- თიბისი ბანკის ბარათი იქ არ გამოდგება?
- არა. „თიბისი“ ბანკის ბარათით მხოლოდ თბილისის 12. ..... ვიხდით.
- დიდი მადლობა, დავით. გამიხარდა შენი ნახვა.
- მეც. აბა, ბედნიერი მგზავრობა.
- დროებით. რომ ჩამოვალ, აუცილებლად გნახავ.
- გელოდები!

ბ) ამოწერეთ ტექსტიდან ტრანსპორტის სახეობები:

.....

.....

.....

ლაპარაკი

29. გამართეთ დიალოგი თემაზე „ტრანსპორტი ჩვენს სოფელში/ქალაქში“ და გაითამაშეთ:

(რომელი ტრანსპორტი შეიძლება შეგვხვდეს, რომელ ტრანსპორტს რისთვის იყენებენ? რითი მიდიხართ დედაქალაქში/რაიონულ ცენტრში/სოფელში? გყავთ თუ არა ტრანსპორტის რომელიმე სახეობა სახლში?)

30. ისაუბრეთ, რომელი ტრანსპორტი მოგწონთ და რატომ?

31. ჩაწერეთ ფრჩხილებში მოცემული სიტყვები კონტექსტის შესაბამისი სწორი ფორმით და ისე გადაწერეთ ტექსტი:

გამარჯობა, ჯორჯ!

როგორ ხარ? სასწრაფოდ მომიხდა ბათუმში დაბრუნება და თვითმფრინავის პირველივე რეისით გამოვფრინდი, ამიტომ ვეღარ გნახე.

ვიცი, შვებულებას იღებ და მინდა, საქართველოში დაგპატიჟო. პირდაპირი რეისი ..... (პარიზი) ბათუმამდე არ ..... (ფრენა). ჯერ ..... (თბილისი) ჩამოფრინდები. მე აეროპორტში დაგხვდები. აეროპორტიდან ..... (სასტუმრო) ..... (ტაქსი) წავალთ, დავისვენებთ და დედაქალაქს დავათვალიერებთ ..... (მთაწმინდა) ფუნიკულიორით ავალთ, ბოტანიკურ ბაღში ..... (საბაგირო) ასვლა ჯობს, ავტობუსიც მიდის, მაგრამ საბაგიროდან მთელ ქალაქს დავინახავთ, თბილისის ზღვაზე წყლის ..... (ველოსიპედები) ვისეირნოთ, მტკვარზე კი - კატერით ან ..... (ტივი). დედაქალაქის ქუჩებს..... (მანქანა) დავათვალიერებთ. შეგვიძლია ძველი თბილისის ქუჩებში (ეტლი) გავისეირნოთ. შემდეგ უკვე ბათუმში ..... (წასვლა), ტრანსპორტი შენ აირჩიე - თვითმფრინავი, სწრაფი მატარებელი, ავტობუსი თუ მიკროავტობუსი? ..... (ტაქსი) დაქირავებაც შეიძლება. ბათუმის ბულვარი ულამაზესია, აქ ..... (ფეხი) სეირნობას არაფერი სჯობს. ჩვენთან ზღვა ძალიან ლამაზია, უფრო ლურჯი და თბილი. მინდა, ბევრი საინტერესო ადგილი გაჩვენო. მოკლედ, გელოდები.

შეხვედრამდე!

შენი ქართველი მეგობარი გიორგი.

32. მისწერეთ მეგობარს წერილი და დაპატიჟეთ თქვენთან სტუმრად (წერილში აუხსენით, რომელი ტრანსპორტით ჯობია წამოსვლა თქვენთან, საიდან გამოდის ეს ტრანსპორტი და რომელ საათზე, დასჭირდება თუ არა სხვა ტრანსპორტში გადაჯდომა... რამდენი ხანი სჭირდება მგზავრობას ... დაიცავით წერილის სტრუქტურა...):

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: ბუნებასთან, სოფელთან, სოფლის გარემოსთან დაკავშირებული ლექსიკა.

გრამატიკული საკითხი: არაზუსტი რაოდენობის გამოხატვა; კომპოზიტების მართლწერა; დროისა და მოქმედების სიხშირის გამოხატვა – ზმნიზედა -ობით დაბოლოებით; არსებითი სახელისა და ზმნის რიცხვი მრავლის აღმნიშვნელ სიტყვასთან; ქონების სახელების წარმოება -ოვან და -იან სუფიქსებით.

ზმნები: ბარავს, თოხნის, თესავს, მოჰყავს (მოსავალი), ხნავს, კრეფს.

თემის გახსნისთვის

1. ნახეთ ვიდეორგოლი და ივარაუდეთ, რა თემაზე გვექნება საუბარი?

ა. სოფლისა და მისი ბუნების, გარემოს შესახებ;
ბ. ქალაქისა და და მისი ბუნების, გარემოს შესახებ;
გ. მდინარეებისა და ტბების შესახებ.

2. როგორ ფიქრობთ, რომელი ქვეყნის სოფლის კადრებია (სურათებია) ვიდეოში წარმოდგენილი?

ა. ინგლისის;
ბ. საქართველოს;
გ. საბერძნეთის.

3. გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტყვებს. კიდევ ერთხელ ნახეთ ვიდეორგოლი, წაიკითხეთ მასზე დაწერილი სიტყვები. იპოვეთ ისინი და გახაზეთ:

ბუნება, ქალაქი, სოფელი, ტყე, მდინარე, წისქვილი, გზა, მთა, საქალაქო ტრანსპორტი, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, სოფლის მეურნეობა, მთაგორიანი, სოფელი, შინაური ფრინველები, სუფთა ჰერი, საკუთარი სახლი, მინდორი, სავაჭრო ცენტრი, ნაკადული, კრამიტით დახურული, ვენახი, ქვევრი, ნანგრევი, ხბო, ნალია, კრუხ-წიწილა, ძროხა, სიმინდი, ბოსტანი, მერია, მუზეუმი.

ლექსიკა

4. ყოველი სურათის ქვეშ დაწერეთ შესაბამისი სიტყვა:

მთაგორიანი; ნაკადული; ვენახი; სოფელი; ქვევრი; სახნავი მიწა; ნანგრევი; ტბა; შეშა; ბაღი; მდელო/მინდორი/საძოვარი; კრუხ-წიწილა; წისქვილი; თესავს; თოხნის; ეზო; ჭიშკარი; კრამიტით დახურული; ღობე; ისვენებს; ბარავს; ბოცვერი; ნალია.



1. .....



2. .....



3. .....



4. .....



5. .....



6. .....



7. .....



8. .....



9. .....



10. .....



11. .....



12. .....



13. .....



14. .....



15. .....



16. .....



17. .....



18. .....



19. .....



20. .....



21. .....



22. .....



23. .....

5. წინა სავარჯიშოში მოცემული სიტყვებიდან შეარჩიეთ შესაბამისი და ჩაწერეთ გამოტოვებულ ადგილას:

1. ჩვენი სახლი ..... არის დახურული.
2. მამა სიმინდს ..... .
3. სიმინდის შესანახ შენობას ..... ჰქვია.
4. ბაბუა ხორბალს შემოდგომით .....

5. ..... ღვინის შესანახი ჭურჭელია.

6. გია მიწას ..... .

7. სიმინდსა და ხორბალს .....-ში ფქვავნ.

8. ბებო ..... ხორბალს უყრის.

9. ჩვენ დიდი ..... გვაქვს და ბევრ ყურძენს ვკრეფთ.

10. საქართველო ..... ქვეყანაა.

11. ჩვენს ეზოს დიდი ..... აქვს.

12. ..... ში ბევრი ვაშლია.

13. ზამთრისთვის ..... მოვიტანეთ.

14. სოფელში ეკლესიის ..... აღმოაჩინეს.

15. ბებია მალე იღლება და ხშირად ..... .

დაუკვირდით: არსებითი სახელი + -იან = <u>აქვს</u> რამე ან <u>ჰყავს</u> ვინმე /რამე. მაგ.: ქუდ-იანი (აქვს ქუდი); შვილიანი (ჰყავს შვილი).

არსებითი სახელი + უ -ო = <u>არ აქვს</u> რამე ან <u>არ ჰყავს</u> ვინმე/რამე . მაგ.: უქუდო (არ აქვს ქუდი); უშვილო (არ ჰყავს შვილი).

ზოგიერთი სიტყვა რამდენიმე სიტყვის შეერთებით არის მიღებული. ასეთ სიტყვებს **რთული სიტყვები** ჰქვია. ზოგი რთული სიტყვა ერთად იწერება, რადგან ერთ საგანს ან ერთ თვისებას აღნიშნავს (ორსართულიანი), ზოგი კი დეფისით იწერება, რადგან ორ საგანს, თვისებას ან მოვლენას გამოხატავს (დედ-მამა).

თუ დეფისით დაწერილ რთულ სიტყვას უ-ო თავსართ-ბოლოსართს ან -იან ბოლოსართს დავურთავთ, მიღებული სიტყვა ერთად დაიწერება: დედ-მამა – უდედმამო; დედმამიანი.

6. ა) ჩაწერეთ ორცნებიანი რთული სიტყვები მოცემული სიტყვების შეერთებით:

ნიმუში: *ცოლი და შვილი ცოლ-შვილი*

მთა და გორი .....

ბაღი და ვენახი .....

სახნავი და სათესი .....

კრუხი და წიწილა .....

ცხვარი და ძროხა .....

სახლი და კარი .....

ბ) ორცნებიანი რთული სიტყვებიდან -იან სუფიქსის დართვით აწარმოეთ ერთცნებიანი რთული სიტყვები:

სახლ-კარი, მთა-გორი, სახნავ -სათესი, ბაღ-ვენახი, დედ-მამა

ნიმუში: *ცოლ-შვილი ცოლშვილიანი*

7. მოცემულ ტექსტში მოძებნეთ <u>ცხოვრობს</u> ზმნის ფორმები, ამოიწერეთ და დაალაგეთ პირისა და რიცხვის მიხედვით:

- გამარჯობა! ვერ მეტყვი, ეს რა სოფელია?
- გამარჯობა. ეს სოფელი ბოლნისია.
- ქართველები ცხოვრობენ ამ სოფელში?
- ძირითადად სომხები, თუმცა რამდენიმე ოჯახს ქართველი რძალი ჰყავს.
- შენ აქ ცხოვრობ?
- დიახ, აქ ვცხოვრობ.
- სულ რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამ სოფელში?
- დაახლოებით 700. ადრე უფრო ბევრნი ცხოვრობდნენ, მაგრამ ზოგი საცხოვრებლად რუსეთში წავიდა, ზოგიც - სომხეთში.
- როდიდან ცხოვრობთ სომხები ამ სოფელში?
- დიდი ხანია, აქ ვცხოვრობთ.
- ლამაზი ყოფილა სოფელი ბოლნისი.
- დიახ, ძალიან ლამაზია და მე ძალიან მიყვარს.

1. მე ..... ჩვენ .....

2. შენ ..... თქვენ .....

3. ის ..... ისინი .....

8. ჩასვით ზმნა შესაბამისი ფორმით:

1. ადრე აქ ჩემი ბიძაშვილები ..... (ცხოვრობდა/ცხოვრობდნენ)
2. მე და ჩემი ძმა დედაქალაქში ..... (ვცხოვრობ /ვცხოვრობთ)
3. შენ რომელ ქალაქში ..... ? (ცხოვრობთ/ცხოვრობ)
4. მე ახლაც ამ სახლში ..... . (ვცხოვრობ/ვცხოვრობდი)
5. შენ ხომ იცი, მე ადრე სადაც ..... ? (ვცხოვრობ/ვცხოვრობდი)
6. გიგა და ერიკი სტუდენტურ ქალაქში ..... (ცხოვრობს/ცხოვრობენ)
7. შენ და ლილი რომელ ქუჩაზე ..... ? (ცხოვრობ/ცხოვრობთ)
8. ისინი თავიდან სხვა სოფელში ..... (ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ)
9. 5 წლის წინ ჩვენ აქ არ ..... . (ვცხოვრობთ/ვცხოვრობდით)
10. თქვენ სად ..... ახლგაზრდობაში? (ცხოვრობთ/ცხოვრობდით)

9. ზემოთ შევსებული წინადადებები გაანაწილეთ ცხრილში:

წინადადებები ახლანდელი დროის ფორმებით	წინადადებები დაუსრულებელი წარსული დროის ფორმებით
1.	.....
2.	.....
3.	.....
4.	.....
5.	.....

10. შეადგინეთ წინადადებები ცხოვრობს ზმნის დაუსრულებელი წარსული დროის ფორმების გამოყენებით:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

კითხვა

წაიკითხეთ ტექსტი

სოფელი

დასავლეთისკენ, ხაშურიდან 3 კილომეტრში, მტკვრის გაღმა, მთის ფერდობზე მდებარეობს პატარა სოფელი თაგვეთი. მის სახელწოდებას, ალბათ, ყველა თაგვს უკავშირებს, მაგრამ ამ სოფლის სახელი ისტორიულ წყაროებში გვხვდება მთაგუეთის ფორმით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი მომდინარეობს სოფლის სამხრეთით მდებარე გუეთის მთის სახელწოდებიდან.

თაგვეთი საინტერესოა არქეოლოგიური ძეგლებით. აქ ადამიანები უძველესი დროიდანცხოვრობდნენ.

თაგვეთი ძალიან პატარა სოფელია. სულ სამოცამდე მოსახლე იქნება. ადრე სოფელი უფრო ხალხმრავალი იყო. მერე ნელ-ნელა დაცარიელდა. ადრე აქ სკოლაც იყო, მედპუნქტიც, ბიბლიოთეკაც და კლუბიც, სადაც ზაფხულობით ფილმებს უჩვენებდნენ. ადრე სოფელ ქაშვეთიდანაც თაგვეთის სკოლაში დადიოდნენ ბავშვები. ახლა არაფერი აღარ არის. ზამთრობით აქ ოცამდე ოჯახი რჩება. მთელი წლის განმავლობაში ისინი ბარავენ, თოხნიან, თესავენ, მოსავალი მოჰყავთ. მერე მოსავალს ყიდიან, ამ ფულით კი აუცილებელ პროდუქტს (ფქვილს, შაქარს, ზეთს) და წამალს ყიდულობენ. ახლა აქ ძირითადად ასაკოვანი ხალხი ცხოვრობს, თუმცა არიან ახალგაზრდებიც.

თაგვეთის ბუნება ულამაზესია. ტყით დაფარული მთები, წყაროები, მდინარე მშვიდ და მშვენიერ გარემოს ქმნის. თაგვეთი ტურისტებისთვის საინტერესო ადგილია.

11. უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. სად მდებარეობს სოფელი თაგვეთი?

.....

ბ. რას უკავშირდება მისი სახელწოდება?

.....

გ. რით არის საინტერესო ეს სოფელი?

.....

დ. რამდენი ოჯახი ცხოვრობს თაგვეთში?

.....

ე. რას საქმიანობს სოფლის მოსახლეობა?

.....

ვ. რომელი სოფლებია კიდევ ნახსენები ტექსტში?

.....

ზ. რა მდგომარეობაშია დღეს ეს სოფლები?

.....

თ. როგორია სოფლის გარემო, ბუნება?

.....

12. ამოწერეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილები:

როგორი იყო სოფელი თაგვეთი ადრე?	როგორი არის სოფელი ახლა?
ადრე თაგვეთი დიდი სოფელი იყო.	ახლა თაგვეთი პატარა სოფელია.

13. მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1.	თაგვეთი პატარა სოფელია.	
2.	სოფლის სახელწოდება თაგვს უკავშირდება.	
3.	თაგვეთის მეზობლად ახლაც ბევრი სოფელია.	
4.	ადრე სოფელში უფრო ბევრი ხალხი ცხოვრობდა.	
5.	გუეთის მთა სოფლის სამხრეთით მდებარეობს.	
6.	ახლა სოფელში არის სკოლა და მედპუნქტი.	
7.	ახლა სოფელში ასაკოვან ხალახთან ერთად ახალგაზრდებიც ცხოვრობენ.	
8.	თაგვეთი ხაშურთან ახლოს მდებარეოობს.	
9.	სოფელში სამოცი მოსახლე ცხოვრობს.	
10.	ზამთრობით სოფელში ზუსტად 20 ოჯახი რჩება.	

14. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი. არასწორი ინფორმაცია გაასწორეთ და დაწერეთ:

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....

15. მონიშნეთ სწორი პასუხები:

1. ხალხმრავალი სოფელი ნიშნავს:

ა. სოფელს, სადაც ბევრი ადამიანი ცხოვრობს.
ბ. სოფელს, სადაც ბევრი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს.
გ. სოფელს, სადაც მრავალ ენაზე საუბრობენ.

2. მოძებნეთ სიტყვა ასაკოვანის განმარტება **https://www.ganmarteba.ge/ -ზე და შეასრულეთ დავალებები:**

ასაკოვანის სინონიმი არ არის:

ა. მოხუცი
ბ. ხანდაზმული
გ. მოზარდი
დ. ბებერი
ე. ხანში შესული

16. ამოიწერეთ ტექსტიდან ასაკოვანის ანტონიმი (საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა):

.....

17. დააკავშირეთ სინონიმები:

მშვიდი	ლამაზი
მშვენიერი	ასაკოვანი
მოხუცი	წყნარი

დააკვირდით!

პარასკევს მივდივარ - როდის მივდივარ? აღნიშნავს ერთ კონკრეტულ დღეს მომხდარ მოქმედებას, ხოლო პარასკეობით მივდივარ - როდის მივდივარ (ხოლმე)? აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც ყოველ პარასკევს მეორდება. ასეთ სიტყვებს - **ობით** დაბოლოება (სუფიქსი) აქვს.

18. დააკვირდით ცხრილში მოცემულ სიტყვაწარმოების წესსაც და შეასრულეთ დავალებები:

1. -ობით სუფიქსის დართვისას იკარგება სახელობითი ბრუნვის ნიშანი	**2. -ობით სუფიქსის დართვისას იკარგება სიტყვის ბოლო ხმოვანი**	**3. -ობით სუფიქსის დართვისას არ იკარგება სიტყვის ბოლო ხმოვანი**	**4. -ობით სუფიქსის დართვისას სიტყვის შიგნიდან იკარგება ხმოვანი და ბოლოდან** **- სახ.ბრუნვის ნიშანი**
ზაფხული – ზაფხულ-**ობით** ორშაბათი – ორშაბათ-**ობით**	შემოდგომა – შემოდგომ-**ობით**	კვირა – კვირა-**ობით** საუკუნე - საუკუნე-**ობით** საღამო - საღამო-**ობით**	წელი – წლ-**ობით**

აწარმოეთ მოცემული სიტყვებისგან მსგავსი ფორმები:

ზაფხული	ორშაბათი .....
გაზაფხული	სამშაბათი .....
ზამთარი	ოთხშაბათი .....
თვე	ხუთშაბათი .....

დილა	პარასკევი .....
საათი	შაბათი .....
წუთი	კვირა .....

19. მოძებნეთ ტექსტში მსგავსი სიტყვა და ამოიწერეთ. დაწერეთ, რომელი სიტყვისგან არის მიღებული ეს ფორმა და როგორ?

.....

.....

20. ჩაწერეთ ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: *ყოველ კვირას - კვირაობით*

1. ყოველ ზაფხულს .....
2. ყოველ ორშაბათს .....
3. ყოველ გაზაფხულს .....
4. ყოველ შაბათს .....
5. ყოველ ზამთარს .....
6. ყოველ ოთხშაბათს .....
7. ყოველ ხუთშაბათს .....
8. ყოველ დილას .....
9. ყოველ პარასკევს .....
10. ყოველ საღამოს .....

21. მიღებული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: *ზაფხულობით სოფელში მივდივარ.*

.....

.....

.....

.....

ქართულ ენაში **ნა-არი/ნა-ალი** თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები სიტყვები გამოხატავენ წინავითარების სახელებს. მაგალითად, თუ გვინდა მივუთითოთ ადგილზე, სადაც ადრე სოფელი იყო და ახლა აღარაა, ვამბოთ: **ნასოფლარი**

დაუკვირდით:
სოფელი - ნა-სოფ{}ლ-არი

აწარმოეთ მსგავსი ფორმები:

ქალაქი - .....

სახლი - .....

კბილი - .....

ცოლი - .....

22. მიღებული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: *არქეოლოგებმა უძველესი <u>ნასოფლარი</u> აღმოაჩინეს.*

.....

.....

.....

23. ისაუბრეთ თქვენი სოფლის შესახებ: რა ჰქვია თქვენს სოფელს?

გრამატიკა

24. ხაზგასმული ფორმებიდან ამოირჩიეთ სოფლის საქმიანობის აღმნიშვნელი ზმნები/ფრაზები და მიუწერეთ, რომელი დროის ფორმაა:

დათესვა-თესავს (ის მას), ვარჯიში - ვარჯიშობს (ის), სწავლა - სწავლობს (ის მას), მოხვნა - ხნავს (ის მას), გაფერადება - აფერადებს (ის მას), დაბარვა - ბარავს (ის მას), დახატვა - ხატავს (ის მას), მოკრეფა - კრეფს (ის მას), ყიდვა - ყიდულობს (ის მას), გათოხნა თოხნის(ის მას), (მოსავალი) მოჰყავს (მას ის), შეღებვა - ღებავს (ის მას), მიწის დამუშავება - მიწას ამუშავებს(ის მას) , წაკითხვა - კითხულობს (ის მას)..

.....

.....

.....

.....

25. მოცემული ზმნები გაანაწილეთ ცხრილში:

დავბარავ, ვბარავდი, დაბარე, ბარავ, ვთოხნიდი, გათოხნა, თოხნის, მოსავალი მოვიყვანე, მოსავალი მოჰყავდათ, თესავს, დავთესავ, დათესე, კრეფენ, კრეფ-დნენ.

ახლანდელი - რას ვაკეთებ?	წარსული (დაუსრულებელი) - რას ვაკეთებდი?	მომავალი - რას გავაკეთებ?	წარსული (დასრულებული) - რა გავაკეთე?

26. შეადგინეთ წინადადებები ზემოთ მოცემული ზმნების გამოყენებით:

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....
6. .....
7. .....
8. .....
9. .....
10. .....

27. შეავსეთ ცხრილში გამოტოვებული ადგილები ზმნების შესაბამისი ფორმებით:

ბარვა		თესვა		თოხნა	
მე ვბარავ					ჩვენ ვთოხნით
	თქვენ ბარავთ	შენ თესავ			
			ისინი თესავენ	ის თოხნის	

28. შევსებული ცხრილიდან აირჩეთ შესაფერისი ფორმა და ჩასვით წინადადებებში:

1. თქვენ რომელ თვეში ..... ხორბალს? (თესვა)
2. ჩვენ ყანას დილით ....., როცა გრილა.(თოხნა)
3. გია და დათო მიწას შემოდგომითაც ..... . (ბარვა)
4. მე ყვავილებისთვის ..... მიწას. (ბარვა)
5. შენ გაზაფხულზე ..... ხორბალს თუ შემოდგომაზე? (თესვა)

29. შეავსეთ ცხრილი:

ახლანდელი	წარსული დაუსრულებელი	წარსული დასრულებული	მომავალი
მე ვთოხნი		მე გავთოხნე	
	შენ თოხნიდი		შენ გათოხნი
ის თოხნის		მან გათოხნა	
	ჩვენ ვთოხნიდით		ჩვენ გავთოხნით
ისინი თოხნიან	ისინი თოხნიდნენ	მათ გათოხნეს	ისინი გათოხნიან

30. შეავსეთ ცხრილი:

ახლანდელი	წარსული დაუსრულებელი	წარსული დასრულებული	მომავალი
მე ვბარავ მე ვთესავ		მე დავბარე მე დავთესე	

	შენ ბარავდი შენ თესავდი		შენ დაბარავ შენ დათესავ
ის ბარავს ის თესავს		მან დაბარა მან დათესა	
	ჩვენ ვბარავდით ჩვენ ვთესავდით		ჩვენ დავბარავთ ჩვენ დავთესავთ
თქვნ ბარავთ თქვენ თესავთ			
	ისინი ბარავდნენ ისინი თესავდნენ	მათ დაბარეს მათ დათესეს	ისინი დაბარავენ ისინი დათესავენ

31. შეავსეთ ცხრილი:

ახლანდელი	წარსული დაუსრულებელი	წარსული დასრულებული	მომავალი
მე მომყავს მოსავალი		მე მოვიყვანე მოსავალი	
	შენ მოგყავდა მოსავალი		შენ მოიყვან მოსავალს
მას მოჰყავს მოსავალი		მან მოიყვანა მოსავალი	
	ჩვენ მოგვყავდა მოსავალი		ჩვენ მოვიყვანთ მოსავალს
თქვენ მოგყავთ მოსავალი		თქვენ მოიყვანეთ მოსავალი	
	მათ მოჰყავდათ მოსავალი		ისინი მოიყვანენ მოსავალს

32. შევსებული ცხრილიდან აირჩეთ შესაფერისი ფორმა და ჩასვით წინადადებებში:

1. მათ გასულ წელს უხვი ....
2. მე კარტოფილის უხვ ....
3. ჩვენ ყოველ წელს სიმინდის კარგი ....
4. მომავალ წელს შენ, ალბათ, ვერ .... ამ მიწაზე.

5. ჩვენს წინაპრებს ხორბლის უხვი ....

6. ჩემმა მეზობელმა გასულ ზაფხულს საზამთროს ....

7. სოფლის მოსახლეობას ხილისა და ბოსტნეულის ....
და ქალაქის ბაზრებს ამარაგებენ.

8. წელს მე პირველად ..... კიტრის ..... .

9. თუ მოინდომებ, შენც კარგ ....

10. წელს ჩვენც ..... ყურძნის ..... .

33. გაიხსენეთ!

ქართულში რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვებთან (ბევრი, ცოტა, უამრავი, ყველა...ხუთი... ოცი...) არსებითი სახელიც და ზმნაც მხოლობით რიცხვშია:

ბევრი ბავშვი მღერის.

მოცემული წესის მიხედვით შემოხაზეთ ის წინადადებები, რომლებშიც არ არის შეცდომა, მცდარი წინადადებები გაასწორეთ და ჩაწერეთ:

1. სკოლაში რამდენიმე გაკვეთილები ჩატარდა.
2. „ბევრი ბუზი ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო“.
3. ამ ქალაქში არაერთი ღირსშესანიშნაობაა.
4. გზაზე უამრავი მანქანები მოძრაობენ.
5. დღეს ორი მოსწავლე აცდენს გაკვეთილს.
6. ნინას ბევრი მეგობრები ჰყავს.
7. ქუჩაში ორი კაცი მოდიოდა.
8. ვინ მოაგროვა ამდენი ფოთლები?
9. ორივემ კარგად იცოდნენ, რაც დააშავეს.
10. უამრავი მოგონება ჰქონდა დავითს თავის ბავშვობაზე.

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

34. ქონების აღმნიშვნელ სიტყვებს აწარმოებს -ოვან სუფიქსი,მაგ., წიწვ-ოვანი არის, რასაც წიწვი აქვს.

აწარმოეთ ქვემოთ მოცემული სიტყვებისაგან ქონების აღმნიშვნელი სახელები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: *წიწვი - წიწვ-ოვანი*

1. ბალახი - .....
2. კლდე - .....
3. ყვავილი - .....
4. სურნელი - .....
5. ასაკი - .....

35. ჩასვით მიღებული სიტყვები შესაბამის წინადადებაში:

1. ნაზელმა ..... ყვავილების თაიგული გააკეთა.
2. დედა ..... კომბოსტოს წვნიანს ამზადებს.
3. ბორჯომში ..... ტყეა.
4. აქ ..... ნიადაგია.
5. ეს ..... კაცი ნიკას პაპაა.
6. თამბაქო ..... მცენარეა.

ყოლა-ქონების აღმნიშვნელ სიტყვებს აწარმოებს -იან სუფიქსიც, მაგ.: (ყვავილი+იანი) ყვავილ-იანი არის, რასაც ყვავილი აქვს; (შვილი+ იანი) შვილიანი არის ის, ვისაც შვილი ჰყავს.

36. აწარმოეთ ქვემოთ მოცემული სიტყვებისაგან ყოლა-ქონების აღმნიშვნელი სიტყვები:

1. ქუდი .....
2. გაზი .....
3. ცოლი .....
4. ბავშვი .....
5. ცხენი .....
6. ქვა .....
7. ქვიშა .....
8. მთა .....

37. აწარმოეთ შესაბამისი ფორმები ნიმუშის მიხედვით:

1. ქართულში მიახლოებითი, არაზუსტი რაოდენობის გამოხატვა შესაძლებელია რიცხვით სახელზე **-ოდე** და **-ამდე** ბოლოსართების დართვით. **ხუთი** ზუსტი რაოდენობაა, **ხუთამდე (დაახლოებით ხუთი)** და **ხუთიოდე არაზუსტი** რაოდენობაა.

5-ზუსტად ხუთი.

ნიმუში: *5 - ხუთი - 5-ოდე ; ხუთიოდე; 5-ამდე; ხუთამდე.*

1. 12 .....
2. 35.....
3. 47 .....
4. 80.....
5. 120.....

ტექსტის მოსმენამდე გაეცანით სიტყვათა განმარტებებს:

სიტყვა	განმარტება	ფრაზა/წინადადება
სახელწოდება	რამის სახელი	ფილმის სახელწოდებაა ,,კლასის წინ“.
კომლი	სოფელში მცხოვრები ერთი ოჯახი	ამ სოფელში 50 კომლი ცხოვრობს.
მედპუნქტი	სამედიცინო პუნქტი	ჩვენთან მედპუნქტი გაიხსნა.
მზრუნველი	ვინც სხვაზე ზრუნავს, უვლის	ნატა მზრუნველი ბებიაა, ის ძალიან კარგად უვლის თავის შვილიშვილებს.
შრომისუნარიანი	ვისაც შრომის უნარი აქვს, ვისაც შრომა შეუძლია.	სოფლის ყველა მცხოვრები შრომისუნარიანია.
სტუმართმოყვარე	ვისაც სტუმარი უყვარს	ლელა სტუმართმოყვარე ქალია.
საზღვარი	ხაზი, რომელიც ტერიტორიის ორ ნაწილს ყოფს ერთმანეთისგან.	საქართველო-სომხეთის საზღვარი სამხრეთ საქართველოშია.
ესაზღვრება	მეზობლად მდებარეობს, საერთო საზღვარი აქვს.	საქართველოს დასავლეთით შავი ზღვა ესაზღვრება.
აღორძინება	განახლება, აღდგენა, განვითარება	ხალხმა ძველი ტრადიციის აღორძინება დაიწყო. კულტურა აღორძინდა.

38. მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს და მოცემული სიტყვები ჩასვით შესაბამის ადგილას:



უძველესი დროიდან, მდებარეობს, ესაზღვრება, ძველთაგანვე, თხილნარი, კომლია, უხსოვარი დროიდან, აღორძინებულა, შრომისუნარიანი, თხილის, სტუმართმოყვარე, მზრუნველი.

სოფელი თხილნარი ზღვის დონიდან ორასიდან სამას მეტრ სიმაღლემდე (1) ..... და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. მას აღმოსავლეთით სოფელი ბახო, დასავლეთით ჭარნალი, სამხრეთით მდინარე ჭოროხი და ჩრდილოეთით კი პონტოს მთები და მწვერვალი ბოლოკო (2) ..... . თხილნარი ხელვაჩაურში ერთ-ერთი დიდი სოფელია, სადაც ამჟამად 1320 (3) .... დასახლებული.

სოფელი თხილნარი (4) .... ყოფილა დასახლებული, რასაც მოწმობს სოფლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძიების შედეგად ნაპოვნი უამრავი ქვევრი და საყოფაცხოვრებო ნივთი.

სოფელი (5)..... ..... ყოფილა დასახლებული და ძალიან მძიმე ისტორია აქვს. სოფელი რამდენჯერმე დაიცალა. ამის შემდგომ მთის მოსახლეობის შევსების შედეგად (6)..... კვლავ. სოფელი (7) ..... დასახლებული იყო. არსებობდა ველური (8)..... უამრავი კორომი. აქედან გამომდინარე სოფელს შერჩა სახელი თხილნარი.

(9)..... მიყვარს იმიტომ, რომ მე აქ დავიბადე, აქ გავიზარდე. ვამაყობ, აი, ასეთი ლამაზი ბუნებით. ძალიან (10)..... მოსახლეობაა თხილნარში, (11)..... და, (12)..... ხალხია, აქედან გამომდინარე, მეც ჩემს თავს ვთვლი სტუმართმოყვარედ. მიყვარს სოფელში ცხოვრება.

39. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს და გადაამოწმეთ თქვენ მიერ შესრულებული დავალება.



40. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს და უპასუხეთ შეკითხვებს:



1. რომელი სოფლის შესახებ არის საუბარი ტექსტში?
2. რომელ მუნიციპალიტეტს ეკუთვნის ეს სოფელი?
3. რომელი მდინარე ესაზღვრება სოფელს?
4. რამდენი კომლია სოფელში (დაწერეთ სიტყვიერად)?
5. როდიდან, რა დროიდან არსებობს სოფელი?
6. რას უკავშირდება სოფლის სახელწოდება?
7. როგორი ხალხი ცხოვრობს სოფელში?
8. როგორი ბუნებაა სოფელში?
9. რატომ უყვარს ეს სოფელი მის მცხოვრებს?

41. მოძებნეთ ტექსტში სამი სინონიმური ფრაზა, რომლებიც ნიშნავს „დიდი ხნის წინ“ და ამოწერეთ:

.....

.....

ლაპარაკი

42. წაიკითხეთ დიალოგი წყვილში:

- სევდა, შენ დმანისში ცხოვრობ, არა?
- დიახ, დმანისში ვცხოვრობ.
- როგორია დმანისის ბუნება, გარემო?
- ნანა, დმანისში ლამაზი ბუნებაა. ბევრი ისტორიული ძეგლია; ულამაზესი გარემო, პატარა ტბები, შუასაუკუნოვანი ტაძრები და დმანისის მუზეუმ-ნა-

კრძალი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

- ალბათ, ბევრი ტურისტი ჩამოდის?
- დიახ, ძალიან ბევრი ტურისტი ჰყავს დმანისს, განსაკუთრებით ზაფხულობით.
- საიდან სადამდეა დმანისის მუნიციპალიტეტი? დიდი ფართობი უკავია?
- ჩრდილოეთიდან წალკის რაიონი ესაზღვრება, აღმოსავლეთით - თეთრიწყარო და ბოლნისი, დასავლეთით კი – ნინოწმინდა.
- თბილისიდან რომელი ტრანსპორტი მოდის? მატარებლით შემიძლია წამოსვლა?
- არა, მატარებელი არ დადის, მხოლოდ მიკროავტობუსით შეგიძლია წამოსვლა, სადგურის მოედნიდან გამოდის.
- აუცილებლად ვესტუმრები დმანისს, ძალიან მაინტერესებს.
- ძალიან კარგი იქნება. შემატყობინე, როცა გადაწყვეტ წამოსვლას.
- აუცილებლად შეგატყობინებ.
- აბა, ნახვამდის. წინ საინტერესო დღეები გველოდება.
- ნახვამდის! ...

43. გამოიყენეთ ნიმუშად ზემოთ მოცემული ტექსტები და გამართეთ დიალოგი მეწყვილესთან შემდეგი კითხვების დახმარებით:

ა. სად ცხოვრობ შენ?
ბ. სად მდებარეობს შენი სოფელი/ქალაქი?
გ. რა ესაზღვრება მას აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით?
დ. რა დროიდან, როდიდან არის დასახლებული შენი სოფელი/ქალაქი?
ე. რა იცი მისი სახელწოდების შესახებ?
ვ. როგორია მისი ბუნება, გარემო?
ზ. რისი ნახვა შეიძლება შენს სოფელში/ქალაქში?
თ. როგორი ხალხი ცხოვრობს იქ?
ი. რატომ გიყვარს შენი სოფელი/ქალაქი?

44. ისაუბრეთ თქვენი სოფლის/ქალაქის ბუნების, გარემოს შესახებ.

45. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. სადაური ხარ? .....
2. სად ცხოვრობ? .....
3. სად მდებარეობს შენი სოფელი/ქალაქი? .....
4. როგორი ბუნებაა შენს სოფელში/ქალაქში – ფოთლოვანი ხეები დგას თუ წიწვოვანი, მთაგორიანია თუ ვაკე ადგილია, არის თუ არა მდინარე ან ტბა...?

.....

.....

5. წელიწადის რომელ დროს არის შენი სოფელი/ქალაქი ძალიან ლამაზი? რატომ?

.....

.....

6. რა ღირსშესანიშნაობებია შენს სოფელში/ქალაქში?

.....

.....

46. თქვენი პასუხების მიხედვით დაწერეთ წერილი უცხოელი მეგობრისთვის. გააცანით მას თქვენი სოფლის/ქალაქის გარემო, ბუნება. დავალების შესრულებისას გაითვალისწინე შემდეგი პირობა:

1. წერილის ტექსტი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები;
2. დაიცავით წერილის სტრუქტურა;
3. გამოიყენეთ ბუნების/გარემოს აღწერისათვის საჭირო ლექსიკა;
4. გამოიყენეთ სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვები, ქონების გამომხატველი სიტყვები.

ლექსიკა: სხეულის ნაწილები, ორგანოები;

გრამატიკული საკითხი: დროის მითითება: -ზე, -ში, -დან - მდე, -თვის; ადგილმდებარეობა – -ში, -თან.

ზმნები: გაცივდა, ახველებს, აცემინებს, ისინჯავს, სტკივა, აწუხებს; სტკიოდა, აწუხებდა, აცემინებდა, ახველებდა; ეტკინება, შეაწუხებს, დააცემინებს, დაახველებს.

თემის გახსნისთვის

1. მოცემული სიტყვები დაწერეთ სურათზე შესაბამის ადგილას:

ცხვირი, პირი, ყელი, ფილტვი, გული



2. მონიშნეთ, თქვენი აზრით, რას ეხება თემა?

ა) პროფესიებს;
ბ) ჯანმრთელობას;
გ) სპორტს.

3. კიდევ ერთხელ დააკვირდით ზემოთ მოცემულ სქემას. დააკავშირეთ სიტყვები, რას რით ვაკეთებთ?

1. ცხვირით	ა) ვხედავთ
2. თვალით	ბ) ვსუნთქავთ
3. ფეხით	გ) ვჭამთ
4. პირით	დ) დავდივართ
5. ხელით	ე) ვწერთ

4. დააკვირდით სურათებს და დაუკავშირეთ ფრაზები:

ა) თქვენი ანალიზები კარგია, გილოცავთ.
ბ) თქვენ გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება?
გ) გამარჯობა, ეს წამლები ექიმმა გამომიწერა...
დ) თქვენ ფილტვების ანთება გაქვთ, მკურნალობა გჭირდებათ.
ე) ალო, 112 გისმენთ!
ვ) სასწრაფო დახმარების გამოძახება მინდა.



1. .....



2. .....



3. .....



4. .....



5. .....



6. .....

5. მიუწერეთ სურათებს, ვინ რისი ექიმია:

კბილის, ყელ-ყურ-ცხვირის, გულის, თვალის

			
1.	2.	3.	4. .....

6. ისაუბრეთ:

იცით თუ არა, რა ჰქვია?

1. ბავშვის ექიმს .....

2. თვალის ექიმს .....

3. კბილის ექიმს .....

7. შეავსეთ სქემა. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ექიმი? შეარჩიეთ სიტყვები:

ლამაზი, შრომისმოყვარე, კეთილი, ყურადღებიანი, მზრუნველი, პროფესიონალი, განათლებული, მაღალი, მხიარული, ზარმაცი



8. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

- ალო, ლია, როგორ ხარ?
- არ ვიცი, ელენე, ცუდად ვარ.
- შენი ხმა არ მომწონს, ავად ხარ? სამსახურშიც არ იყავი.
- კი, ავად ვარ, **მგონი, გავცივდი.**
- სად **გაცივდი?**
- გუშინ საღამოს ცოტა შემცივდა და....
- ჩემი ძმაც **გაცივდა, სიცხე აქვს, ახველებს და აცემინებს. სიცხე გაიზომე?** თუ გინდა მოვალ.
- არა, არ მოხვიდე, შენც **ავად გახდები, მგონი,** ვირუსი მაქვს. მეც **სიცხე მაქვს, მახველებს, მაცემინებს,** ყელი და თავიც **მტკივა.**
- მაღალი სიცხე გაქვს?
- კი, 38,7.
- ექიმთან იყავი? ტესტი გაიკეთე? ამბობენ, ისევ მოიმატა კოვიდით **დაავადებული ადამიანების** რიცხვმა და შენც არ გქონდეს კოვიდი.
- **არა მგონია,** გუშინ თავი დავიბანე და სველი თმით მაღაზიაში ვიყავი, **ალბათ,** მაშინ გავცივდი.
- ექიმთან აუცილებლად უნდა წახვიდე. გრიპის ვირუსიც საშიშია, გართულება იცის.
- ახლა ძალიან სუსტად ვარ, არ შემიძლია.
- სასწრაფო დახმარებას გამოვიძახებ**.** კარის გაღება შეგიძლია?
- ალბათ, შევძლებ.
- შენ ძალიან ცუდად ხარ. სასწრაფოს გამოვიძახებ, კარი ღია დატოვე. მეც მალე მოვალ, პირბადეს და ხელთათმანებს გავიკეთებ, ჩემზე რომ არ ინერვიულო.
- კარგი, ფრთხილად იყავი.

მგონი, ალბათ, არა მგონია = გამოხატავს ვარაუდს, არაზუსტ ინფორმაციას
სიცხე მაქვს = ტემპერატურა მაქვს
დაავადებული = ის, ვინც ავად არის
გართულება = უფრო ძნელად, უფრო ცუდად
სუსტად ვარ = ძალა არ მაქვს, მიჭირს მოძრაობა

1. ვინ არის ელენე?

.....

2. რატომ არ იყო ლია სამსახურში?

.....

3. რა დახმარება შესთავაზა ელენემ ლიას?

.....

4. რატომ ვერ მიდის ლია ექიმთან?

.....

5. როგორი სიცხე აქვს ლიას?

.....

6. რის ეშინია ლიას?

.....

7. დიალოგის მიხედვით, კიდევ ვინ არის ავად?

.....

8. ვის არ სტკივა თავი და ყელი?

.....

9. რატომ არიან ავად ლია და ელენეს ძმა?

.....

10. რატომ უნდა გაიკეთოს პირბადე და ხელთათმანები ელენემ?

.....

ლექსიკა

დააკვირდით ილუსტრირებულ ლექსიკონს:

			
სასწრაფო დახმარება	საავადმყოფო	ექთანი	წამალი

			
მაღალი სიცხე	სწრაფი ტესტი	სასუნთქი სისტემა	ფილტვების ანთება

			
გაცივდა და ახველებს	გაცივდა და აცემინებს	აცივებს/ აკანკალებს	იწვეთებს

			
ისინჯავს/ იზომავს წნევას	აღებს პირს	თავი სტკივა/ აწუხებს	პირბადე

9. დააკვირდით ცხრილს და სურათებს. ჩასვით საწყისები ზმნის სწორი ფორმით წინადადებაში:

	
იზომავს (ბებია იზომავს წნევას)	უზომავს (ექიმი ბებიას უზომავს წნევას)

	გაზომვა/გასინჯვა	განმარტება
ახლანდელი დრო	მე ვიზომავ/ვისინჯავ სიცხეს (მას) ჩემი და იზომავს / ისინჯავს სიცხეს (ის მას)	მე თვითონ ვაკეთებ ის თვითონ აკეთებს
წარსული დრო	მე გავიზომე/გავისინჯე სიცხე (ის) ჩემმა დამ გაიზომა / გაისინჯა სიცხე (მან ის)	მე თვითონ გავაკეთე მან თვითონ გააკეთა
ახლანდელი დრო	დედა მიზომავს / მისინჯავს სიცხეს მე (ის მას მე)	სხვა აკეთებს ჩემთვის სხვა აკეთებს სხვისთვის
	დედა უზომავს / უსინჯავს სიცხეს შვილს (ის მას მას)	
წარსული დრო	დედამ გამიზომა / გამისინჯა სიცხე მე (მან ის მე) დედამ გაუზომა / გაუსინჯა სიცხე შვილს (მან ის მას)	სხვამ გააკეთა ჩემთვის სხვამ გააკეთა სხვისთვის

1. გავცივდი და სიცხეს ..... (გაზომვა)
2. შენ როდის ..... ბაბუას წნევას? (გასინჯვა)
3. დეიდა ცუდად არის, ექთანი წნევას ..... (გასინჯვა)
4. სკოლაში შესვლამდე მოსწავლეებს სიცხეს ..... (გაზომვა)
5. რამდენჯერ ..... წნევას?- ჰკითხა ექიმმა ბებიას. (გასინჯვა)
6. ჩვენ საავადმყოფოში ვართ, ახლა ექიმი სიცხეს ..... (გაზომვა)
7. პედიატრი ბავშვებს პულსს ..... (გასინჯვა)
8. ვირუსის შემთხვევაში სიცხეს..... (გაზომვა)
9. მოხუცები წნევას ყოველდღე ..... (გაზომვა)
10. თქვენ ვინ ..... წნევას? (გაზომვა)

10. წაიკითხეთ დიალოგი და შეასრულეთ დავალებები:

- გამარჯობა. **სასწრაფო დახმარება** თქვენ **გამოიძახეთ?**
- დიახ, მობრძანდით.
- რა **გაწუხებთ?**
- **მაღალი სიცხე** მაქვს, ყელი და თავი **მტკივა, მაციებს, მახველებს და მაცემინებს.**
- სიცხე რამდენი გაქვთ?
- 38,7 მქონდა, 20 წუთის წინ **გავიზომე.**
- **პირი გააღეთ**... ყელი წითელი გაქვთ; **გაგსინჯავთ**, შეიძლება **ფილტვების ანთება** გაქვთ. **საავადმყოფოში** გადაგიყვანთ.
- საავადმყოფოში წამოსვლა არ მინდა. **სწრაფი ტესტი** გამიკეთეთ და **მკურნალობას** სახლში გავაგრძელებ.
- ჩვენ არ შეგვიძლია სხვა **დახმარების აღმოჩენა.** საავადმყოფოში ანალიზებს და ტესტს გაგიკეთებენ, მკურნალობასაც იქ **დაგინიშნავენ.**
- კარგი, წამოვალ.
- მოემზადეთ, დაგელოდებით.

11. დიალოგის მიხედვით დააკავშირეთ სიტყვები:

1. დახმარების	ა) გაკეთება
2. პირის	ბ) ანთება
3. სასწრაფოს	გ) გადაყვანა
4. პაციენტის	დ) გაღება
5. კლინიკაში	ე) აღმოჩენა
6. ტესტის	ვ) გამოძახება
7. ფილტვების	ზ) გასინჯვა
8. მკურნალობის	თ) გაზომვა
9. ანალიზების	ი) დანიშვნა
10. სიცხის	კ) აღება

12. შეადგინეთ წინადადებები წინა დავალების ფრაზებით:

ნიმუში: *ექიმის მოვალეობაა ავადმყოფისთვის* ***დახმარების აღმოჩენა.***

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....
6. .....
7. .....
8. .....
9. .....
10. .....

13. დააკავშირეთ სინონიმები:

1. ექთანი	ა) პაციენტი
2. ავადმყოფი	ბ) დაავადება
3. საავადმყოფო	გ) მედიკამენტი
4. ფილტვების ანთება	დ) ვაქცინაცია
5. ავადმყოფობა	ე) მედდა
6. წამალი	ვ) ექიმთან ვიზიტი
7. აცრა	ზ) პნევმონია
8. ჯანმრთელი	თ) კლინიკა
9. სურდო	ი) გაციება
10. ექიმთან მისვლა	კ) ჯანსაღი

14. წაკითხვამდე დააკვირდით განმარტებებს და შემდეგ წაიკითხეთ ტექსტი:

სასუნთქი გზები/სასუნთქი სისტემა = ის, რითიც ვსუნთქავთ: ცხვირი, პირი, ფილტვები.

აავადებს = ავად ხდის.

პანდემია = ავადმყოფობის გავრცელება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ეპიდემია = ავადმყოფობის გავრცელება ერთ ქვეყანაში.

აზიანებს = აფუჭებს, აშავებს.

შემცივნება = სიცივის შეგრძნება.

მშრალი ხველა = ახველებს, მაგრამ სითხე არ ამოდის.

ცხვირის გაჭედვა = ძნელად სუნთქავს ან ვერ სუნთქავს ცხვირით.

გართულებულია = გრიპი უფრო რთულად აქვს (რთული, გართულებული, ურთულდება).

მიმართოს = მივიდეს.

თვითმკურნალობა = წამლების დალევა ექიმის დანიშნულების გარეშე.

სითხე = წყალი, წვენი, კომპოტი...

ოთახი განიავება = ფანჯრების გაღება ჰაერის გასაწმენდად.

გრიპი

წელიწადის ცივ სეზონზე ვირუსები აქტიურდებიან. გრიპი იყო, არის და მუდამ იქნება პრობლემა. ის შეიძლება შეხვდეს ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც ურთიერთობა ექნება **დაავადებულთან.**

გრიპი **სასუნთქი გზების** ვირუსული დაავადებაა. ადამიანს **აავადებს** A, B და C ტიპის გრიპის ვირუსები. A ტიპის ვირუსი ათ-თხუთმეტ წელიწადში ერთხელ არის მთელ მსოფლიოში და ბევრ ადამიანს აავადებს. B ტიპის ვირუსი სეზონური გრიპია და A ტიპის გრიპთან შედარებით უფრო მსუბუქი დაავადებაა. შეიძლება, ადამიანს ის ყოველ წელს შეხვდეს. C ტიპის ვირუსით დაავადებას „ჩვეულებრივი გაციება“, **სურდო** ჰქვია. ამ დროს არც **პანდემია** იწყება, არც ეპიდემია და არც კლინიკაში წასვლაა საჭირო.

A ვირუსი **ქვედა სასუნთქ სისტემას აზიანებს,** ხოლო B ვირუსი – **ზედა სასუნთქი გზებისას,** A გრიპის შემთხვევაში ადამიანებს ფილტვების ანთება უფრო ხშირად აქვთ, ვიდრე B გრიპის შემთხვევაში.

გრიპის დროს ადამიანებს აქვთ **ცხვირიდან გამონადენი, ხველა, ცემინება** და

სხვა. დაავადება მაღალი – 39-40 გრადუსამდე – ტემპერატურით იწყება. შემდეგი ხუთი-ექვსი დღის განმავლობაში ტემპერატურა მაღალია და თანდათან იკლებს. გრიპის ნიშნებია ასევე **შემცივნება,** თავის ტკივილი, **მშრალი ხველა, ცხვირის გაჭედვა,** ყელის ტკივილი და სხვა.

დაავადების დაწყებიდან 5-6 დღის შემდეგ გრიპი გაივლის. თუ პაციენტი ისევ ავადაა, გრიპი **გართულებულია.**

გრიპი ხშირად ურთულდებათ ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს, მოხუც ადამიანებს, ორსულებს, სუსტი იმუნიტეტისა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს. ამიტომ, პირველ რიგში, ისინი უნდა **აიცრან.**

გრიპის დროს პაციენტმა უნდა **მიმართოს** ოჯახის ექიმს, რომ სწორად იმკურნალოს. არ შეიძლება **თვითმკურნალობა!** გრიპის და სხვა მსგავსი ვირუსით დაავადებისას ადამიანმა უნდა მიიღოს ბევრი სითხე, არ უნდა წავიდეს სასწავლებელში ან სამსახურში, **ოთახი ხშირად უნდა გაანიავოს** და ა.შ.

გრიპის ვირუსის საწინააღმდეგოა **აცრა.** აცრილ ადამიანს დაავადება მსუბუქად და გაურთულებლად გადააქვს.

15. ტექსტის მიხედვით სწორი წინადადებები მონიშნეთ, არასწორი წინადადებები გაასწორეთ და გადაწერეთ:

1. გრიპი ახალი ვირუსია.
2. გრიპის ვირუსი ძირითადად ზამთარში აქტიურდება.
3. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს ავად გრიპის ვირუსით.
4. ყველა ვირუსის დროს იწყება პანდემია.
5. A ტიპის ვირუსი აზიანებს ცხვირს და ყელს.
6. გრიპის დროს ადამიანებს მაღალი სიცხე აქვთ.
7. გრიპის ვირუსი დიდი ხნის განმავლობაში აქვს ადამიანს.
8. წლამდე ასაკის ბავშვებს ადვილად გადააქვთ გრიპის ვირუსი.
9. გრიპის დროს აუცილებელია სუფთა ჰაერზე ყოფნა.
10. აცრა ეხმარება ადამიანებს ადვილად გადაიტანონ გრიპის ვირუსი.

ა) .....

ბ) .....

გ) .....

დ) .....

ე) .....

16. დააკვირდით ტექსტში გამუქებულ სიტყვებს, გაიხსენეთ განმარტებები და ჩასვით წინადადებაში შესაბამისი სიტყვები:

თვითმკურნალობის, ამცივნებს, დაავადებაა, გართულება, აზიანებს, მიმართო, ფილტვების ანთება, ეპიდემიაა, სითხის, მშრალი ხველა

1. კოვიდ-19 ოცდამეერთე საუკუნის ახალი ..... .
2. გრიპის ვირუსი ხშირად ..... სასუნთქ სისტემას.
3. ..... დროს დაავადება უფრო რთულდება.
4. ზამთარში ადამიანებს ხშირად ..... .
5. ავადმყოფობისას უნდა ..... ოჯახის ექიმს.
6. აცრის შემდეგ იშვიათია ავადმყოფობის ..... .
7. მეგობარი გაცივდა და ..... აქვს.
8. დღეში სამ ლიტრამდე ..... მიღება აუცილებელია ორგანიზმისთვის.
9. ქვეყნაში B ტიპის ვირუსის ..... .
10. ფილტვების ანთების დროს ხშირია ..... .

გრამატიკა

დააკვირდით ცხრილს:

საწყისი	ტკივილი	შეწუხება	დაცემინება	დახველება
ახლანდელი დრო				
მე	მტკივა (ის)	მაწუხებს (ის)	მაცემინებს	მახველებს
შენ	გტკივა (ის)	გაწუხებს (ის)	გაცემინებს	გახველებს
მას	სტკივა (ის)	აწუხებს (ის)	აცემინებს	ახველებს
ჩვენ	გვტკივა (ის)	გვაწუხებს (ის)	გვაცემინებს	გვახველებს

თქვენ	გტკივათ (ის)	გაწუხებთ (ის)	გაცემინებთ	გახველებთ
მათ	სტკივათ (ის)	აწუხებთ (ის)	აცემინებთ	ახველებთ
წარსული (უწყვეტელი) დრო				
მე	მტკიოდა (ის)	მაწუხებდა (ის)	მაცემინებდა	მახველებდა
შენ	გტკიოდა (ის)	გაწუხებდა (ის)	გაცემინებდა	გახველებდა
მას	სტკიოდა (ის)	აწუხებდა (ის)	აცემინებდა	ახველებდა
ჩვენ	გვტკიოდა (ის)	გვაწუხებდა (ის)	გვაცემინებდა	გვახველებდა
თქვენ	გტკიოდათ (ის)	გაწუხებდათ (ის)	გაცემინებდათ	გახველებდათ
მათ	სტკიოდათ (ის)	აწუხებდათ (ის)	აცემინებდათ	ახველებდათ

17. ჩასვით ფრჩხილებში მოცემული სიტყვა ბრუნვის სწორი ფორმით:

1. გუშინ (მაკა) ..... ახველებდა.

2. ლელას (თავი) ..... სტკივა.

3. (ანა) ..... ალერგია აქვს და აცემინებს.

4. კარი დახურე, ცივა, (ბავშვები) ..... ახველებთ.

5. (მოხუცები) ..... ხშირად წნევა აწუხებთ.

6. საღამოს (ფეხები) ..... ძალიან მაწუხებს.

7.ვირუსის დროს (ადამიანები) ..... ძლიერ ახველებთ.

8. ნემსი უნდა გაგიკეთოთ, ცოტა (ხელი) ..... გეტკინებათ.

9. (დედა) ..... კბილი ძლიერ სტკიოდა და ექიმთან წავიდა.

10. (მოსწავლე) ..... მთელი გაკვეთილის განმავლობაში აცემინებდა.

18. მიუწერეთ ზმნებს შესაბამისი პირის ნაცვალსახელები:

1. გტკივა .....
2. გვაწუხებს .....
3. აცემინებთ .....
4. მახველებს .....
5. გახველებთ .....
6. აწუხებს .....
7. ახველებთ .....
8. მტკივა .....
9. გაცემინებს .....
10. გვახველებს .....

19. შეადგინეთ წინადადებები ზმნების გამოყენებით:

ნიმუში: *ბავშვებმა წამალი არ დალიეს.*

სინჯავს, მტკივა, დალიეს, ვმკურნალობ, იწვეთებს, ავადაა, გახველებს, გაცივდი, გამოვიძახეთ, აზიანებს

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....
6. .....

7. .....

8. .....

9. .....

10. .....

20. შეავსეთ ქვემოთ მოცემული დიალოგი ზმნის ფორმებით:

მაცემინებს, მაქვს, გაქვს, მიიღე, მტკივა, მახველებს, მაქვს, ვიცი

- როგორ ხარ, მაია?
- ცუდად! გავცივდი. მგონი გრიპი (1) .....
- ამიტომ არ დადიხარ ლექციებზე? სიცხე (2) ..... ?
- სიცხეც (3) ....., ყელიც(4) ....., (5) ..... და (6) ..... კიდეც. მთელი ღამე არ მეძინა.
- მე (7) ..... ერთი კარგი წამალი ხველების საწინააღმდეგოდ. მე თვითონ ვაკეთებ.
- მართლა? მითხარი, იქნებ მიშველოს.
- შეურიე ერთმანეთს კანიანად გახეხილი ვაშლი, ხახვი და თაფლი. მიიღე თითო სადილის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ.
- რა ადვილია!
- ჰო, ადვილი გასაკეთებელია. კიდევ არ დაგავიწყდეს: ბევრი სითხე (8) .....
- დიდი მადლობა, ნანა.
- არაფრის. აბა, მალე გამოჯანმრთელდი. კარგად.
- ნახვამდის.

დააკვირდით ცხრილს:

თანდებული	**დანიშნულება / ფუნქცია**	**მაგალითი**
-ზე	დროის (საათის) მითითება; ადგილმდებარეობის, მყოფობის აღნიშვნა	ცხრა საათ**ზე** ექიმთან მივდივარ. დაბადების დღე**ზე** ვიყავი.
-ში	დროის მონაკვეთის მითითება	ამ თვე**ში** წვიმები იქნება.

-თან	ადგილმდებარეობის, მიმართების გამოხატვა;	პედიატრ**თან** დიდი რიგი იყო.
-დან/-იდან მდე... -იდან/-დან	დროის შუალედის მითითება გამოსვლითობის გამოხატვა	კლინიკა მუშაობს ათი საათი**დან** საღამოს ექვს საათამდე. სახლი**დან** ადრე გავედი.
-თვის	დროის მითითება	თექვსმეტის**თვის** ოპერაცია დაინიშნა.

21. ცხრილზე დაყრდნობით დაასრულეთ წინადადებაში სიტყვები შესაბამისი თანდებულებით:

-ზე (2x), -თვის (2x), -ში (3x), -იდან (2x), -თან, -მდე (2x)

1. შემოდგომ..... გაზაფხულ..... აქტიურდება სხვადასხვა ტიპის ვირუსი.
2. გაზაფხულ..... ხშირია წვიმა და გრილი ამინდი.
3. მომავალი წლის..... უფრო კარგ მანქანას ვიყიდი.
4. ზაფხულ..... ზღვა..... დასვენება სასიამოვნოა.
5. კლინიკ..... ანალიზის პასუხები მივიღე.
6. სკოლას..... დიდი სტადიონი ააშენეს.
7. თერთმეტ..... დილით საფრანგეთში მივფრინავ.
8. ხვალის..... გემრიელ ნამცხვარს გამოვაცხობ.
9. ბებიას წნევა ორასა..... ჰქონდა.
10. მარტ..... ბევრი დასვენების დღეა.

22. გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით თანდებულები: -ზე, -ში, -თან, -მდე, -დან, -თვის:

- გამარჯობა! ოჯახის ექიმ(1)..... მინდა ჩაწერა! რომელ დღეებ(2)..... აქვს მიღება?
- ყოველდღე, კვირის გარდა, ათი საათ(3)...- ექვს საათ(4)....., შაბათს ათი(5)...- ორ საათ(6)..... .
- ოთხშაბათს თუ არის ადგილი?
- დამელოდეთ, ვნახავ, როდის არის თავისუფალი. მხოლოდ ხუთშაბათს შემიძლია ჩაგწეროთ მიღება(7).....
- ხუთშაბათს არ მცალია, იქნებ სამშაბათის(8)..... ჩამწეროთ.
- სამწუხაროდ, არ არის ადგილი.
- კარგი, ჩამწერეთ ხუთშაბათს, ათ საათ(9)..... , თუ შეიძლება.
- დიახ, თქვენ უნდა მობრძანდეთ ხუთშაბათს, ათ საათზე, მაკა იაშვილ(10).....
- გმადლობთ, ნახვამდის.
- კარგად ბრძანდებოდეთ.

კითხვა

23. ჩასვით წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები:

სიმპტომები, კვირის, ხალხური, ხველებას, მკურნალობის, რეცეპტი, მილიგრამი, ცეცხლზე, საშუალებად, ნახარში

1. ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანს ერთი და იგივე ..... აწუხებს.
2. მაღალი ტემპერატურა, სურდო, ცემინება რამდენიმე ..... განმავლობაში გრძელდება.
3. ..... საშუალებები პრობლემისგან მარტივად გაგათავისუფლებთ.
4. ხახვი ..... სწრაფად მოგიხსნით.
5. ..... კურსი შვიდი დღის განმავლობაში გრძელდება.
6. უნდა ჩაიწეროთ ერთი გემრიელი და ეფექტური ..... .

7. დაასხით ორასი ..... თბილი წყალი.

8. დაბალ ..... ათი წუთის განმავლობაში ადუღეთ.

9. მენთოლი ხველების საწინააღმდეგო იდეალურ ..... ითვლება.

10. მიღებული ..... ორ საათში ერთხელ თითო სუფრის კოვზი უნდა დალიოთ.

ლაპარაკი

24. დაუსვით კითხვები მეწყვილეს და ისაუბრეთ:

1. ხშირად ხართ ავად?
2. რა გაწუხებთ/გტკივათ უფრო ხშირად?
3. როგორ მკურნალობთ, ხალხური საშუალებებით თუ ექიმთან მიდიხართ?
4. გაციების დროს რას სვამთ?
5. გყავთ ოჯახის/პირადი ექიმი?
6. როგორი ექიმია?
7. საავადმყოფო ახლოს არის თქვენს სახლთან?
8. როგორი კლინიკაა, აქვთ თანამედროვე ტექნიკა?
9. აფთიაქები არის თქვენს ქალაქში/ სოფელში?
10. რომელი აფთიაქებია და როგორი მომსახურება აქვთ?

25. ჩასვით დიალოგში გამოტოვებული ფრაზები და წაიკითხეთ მეწყვილესთან ერთად:

ვწუხვარ, რით შემიძლია დაგეხმაროთ, ექიმმა დამინიშნა, გვექნება, რას ინებებთ, ჯანმრთელობას გისურვებთ, ნახვამდის

- გამარჯობა, (1)..... ?
- გამარჯობა, რამდენიმე წამალი მინდა.
- დიახ, რომელი?
- აი, (2)..... ეს წამლები.
- აქ ხუთი წამალი წერია. ბოლო მედიკამენტი არ გვაქვს, (3)..... .....
- სად იქნება ეს წამალი?
- პარასკევს (4).....
- კარგით, მაშინ ეს ოთხი წამალი მომეცით.

- სულ 40 ლარი და 85 თეთრი ღირს.
- აი, ინებეთ თანხა.
- კიდევ (5)..... ?
- არა, არაფერს, გმადლობთ.
- აიღეთ თქვენი წამლები. (6)..... !
- (7)..... !
- კარგად ბრძანდებოდეთ!

წერა

26. შეავსეთ ტექსტი მოცემული ფრაზებით:

ანთების საწინააღმდეგო, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, აიღეთ, დაუმატეთ თაფლი, სასარგებლოა, ადუღებული წყალი

გვირილის ჩაი



გვირილა – (1)..... .....მსუბუქი საშუალებაა. ცაცხვთან და თაფლთან ერთად (2) ..... ვირუსის საწინააღმდეგოდ.

მომზადების წესი: (3).....1 ჩ.კ. გამხმარი გვირილისა და ცაცხვის ყვავილი, დაასხით 1 ჭიქა(4) .... , ზემოდან დაახურეთ და 20 წუთი გააჩერეთ; ბოლოს (5)..... ..... . მიიღეთ 1/3 ჭიქა დღეში 3.ჯერ (6)..... ....

27. დაწერეთ, თქვენ რას ურჩევთ მეგობარს გრიპის ან გაციების დროს:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

08 ჰობი - ჩემი საყვარელი საქმიანობა

ლექსიკა: სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკა - თამაში, კითხვა, ქსოვა, ქარგვა;

გრამატიკული საკითხი: საწყისი; კავშირები: როცა, როდესაც, რადგან, ამიტომ.

ზმნები: მიყვარს, მომწონს, შემიძლია; მას შეუძლია, მას მოსწონს, მას უყვარს, მან იცის.

1. დააკვირდით ფოტოებს და გამოთქვით ვარაუდი, რა აერთიანებს ამ სურათებს?







2. მოცემული ფოტოებიდან რომელი არ შეიძლება იყოს ჰობი?











3. აირჩიეთ სწორი პასუხი:

1. რა არის ჰობი?

ა) საყვარელი თამაში;
ბ) საყვარელი საქმიანობა;
გ) საყვარელი პროფესია;
დ) საყვარელი საგანი.

ილუსტრირებული ლექსიკონი

			
ქარგვა	სამკერდე ნიშანი	კროსვორდის შევსება	ჩოგბურთი
			
ცურვა	მონეტების შეგროვება	ტვინი	მარკა
			
ფოტოების გადაღება	ქსოვა	კითხვა	ფეხბურთის თამაში

4. მიუწერეთ ფოტოს განმარტება:

აზროვნება, მუსიკის მოსმენა, მებაღეობა, წარმოსახვა კოლექცია, კერვა, გამოცანები			
			
1.	2.	3.	4. .....

		
5.	6.	7. .....

5. დააკავშირეთ სიტყვა და განმარტება:

განტვირთვა	ჩამორჩენილი, კონსერვატიული, ყოველდღიური
საქმიანობა	ჭკუას ვასწავლი, ვარიგებ
რუტინული	რაც საშიში არაა
უსაფრთხო	რაიმესთან ერთდროულად
ფასეულობა	არაჩვეულებრივი, გასაოცარი
ვურჩევ	საქმის კეთება, შრომა
უცნაური	სიმდიდრე
მოზრდილები	ემოციების, დაღლილობის მოხსნა
სამკურნალო	საკუთარი თავის წარმოჩენა
პარალელურად	ბავშობის ასაკიდან გამოსული, საკმაოდ დიდი
თვითრეალიზაცია	მკურნალობისათვის

6. ჩასვით სიტყვა სწორად წინადადებაში:

რუტინული, პარალელურად, თვითრეალიზაცია, ვურჩევ, განტვირთვის, ფასეულობა.

1. ჩემს მეგობარს ..... სპორტით დაკავდეს.
2. საგანს შეიძლება ..... საერთოდ არ ჰქონდეს.
3. ჩემი ქუჩის ..... არის კოსტავას ქუჩა.
4. ჰობი არის ..... ერთ.ერთი საშუალება.
5. ბევრი ჩვენგანი დაკავებულია მხოლოდ ყოფითი და ..... საქმიანობით.
6. ..... ადამიანის უმთავრესი სურვილია.

7. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები:

უცნაური, სამკურნალო, საქმიანობა, უსაფრთხო, მოზრდილები.

1. .....
2. .....
3. .....
4. .....

კითხვა

8. წაიკითხეთ ტექსტი და დაუკვირდით ახალ სიტყვებს:

ბევრ ადამიანს აქვს ჰობი. ის ჩვენს ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის. ჰობი არის ის, რის **კეთებაც** უყვართ ადამიანებს, როცა თავისუფალი დრო აქვთ. ყველა თავისი ხასიათისა და გემოვნების მიხედვით ირჩევს ჰობის. ზოგს უყვარს

მუსიკა, ზოგს უყვარს წიგნების **კითხვა**. ზოგს მოსწონს **მარკების, მონეტების ან სამკერდე ნიშნების შეგროვება**, ზოგს ურჩევნია **მებაღეობა** ან ლაშქრობა, ან **ფოტოების გადაღება**. ზოგს უყვარს **კერვა**, ზოგს უყვარს **ქსოვა**. ზოგადად, ჰობი გემოვნების საკითხია. ბევრი ჰობი მაქვს, რადგან ბევრი საინტერესო საქმეა გასაკეთებელი. **სამწუხაროდ**, ბევრი თავისუფალი დრო არ მაქვს, რადგან სტუდენტობას ვაპირებ. ამიტომ ბევრი უნდა ვისწავლო. მომწონს სხვადასხვა საქმის **კეთება**: **მაგალითად**, დეტექტიური ისტორიების **კითხვა**, მუსიკის **მოსმენა**, ჩოგბურთის **თამაში** ჩემს კლასელებთან ერთად. მაგრამ ჩემი საყვარელი ჰობი კროსვორდების **შევსებაა**. ახლა ის უყვართ როგორც მოზრდილებს, ასევე ბავშვებს. ეს არა მხოლოდ საინტერესოა, არამედ ძალიან **სასარგებლოც**. როდესაც ცდილობთ კროსვორდის ამოხსნას, **აღმოაჩენთ** და სწავლობთ უამრავ სხვადასხვა ფაქტს, რადგან მათში არის კითხვები ცნობილ ადამიანებზე, გეოგრაფიულ ადგილებზე, ქვეყნებზე, **სამეცნიერო მიღწევებზე** და ა.შ. თქვენ ასევე ავარჯიშებთ **ტვინს**. კროსვორდები **აფართოებს** და **ავითარებს** ჩვენს **გონებას** და **წარმოსახვას.** მაქვს კროსვორდების გაზეთების სხვადასხვა კოლექცია. ხანდახან ვცდილობ საკუთარი თავსატეხის შედგენას და შემიძლია ვთქვა, რომ არანაკლებ საინტერესოა. ჩვენი ოჯახის ყველა წევრს უყვარს **თავსატეხების** ამოხსნაში მონაწილეობა და ეს ძალიან გვაერთიანებს.

9. ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ სწორი (+) / არასწორი (-) ინფორმაცია:

ინფორმაცია	სწორი (+)	არასწორი (-)
კროსვორდების ამოხსნა არა მხოლოდ საინტერესო, სასარგებლოცაა.		
ჰობი არის ის, რისი კეთებაც არ უყვართ ადამიანებს.		
ჰობის ადამიანები თავიანთი გემოვნების მიხედვით ირჩევენ.		
ჰობი ჩვენს ცხოვრებას უინტერესოს ხდის.		
ბევრი ჰობი აქვს იმიტომ, რომ ბევრი თავისუფალი დრო აქვს.		

10. უპასუხეთ კითხვებს:

1. რა არის ჰობი?
2. რა მოსწონს ტექსტის ავტორს?
3. რაზეა კითხვები კროსვორდში?
4. როგორ ირჩევენ ჰობის?
5. რას ავითარებს კროსვორდების ამოხსნა?
6. რა აერთიანებს ავტორის ოჯახს?
7. ავტორის აზრით, რა ხდება, როდესაც ცდილობთ კროსვორდის ამოხსნას?
8. ჰობის რომელი სახეებია ჩამოთვლილი ტექსტში?
9. რა არის თქვენი ჰობი?
10. რისი კოლექცია აქვს ავტორს?

11. შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა/ფრაზა	წინადადება ტექსტიდან	ჩემი წინადადება
სამწუხაროდ		
მარკა		
მაგალითად		
შეგროვება		
ავითარებს		
გემოვნება		
თავსატეხი		
სასარგებლო		
წარმოსახვას		
სამკერდე ნიშნები		
აფართოებს		

12. დააკვირდით ცხრილს და ჩასვით სიტყვა ჰობი სწორად წინადადებაში:

სახ.	ჰობი
მოთ.	ჰობიმ
მიც.	ჰობის
ნათ.	ჰობის
მოქ.	ჰობით
ვით.	ჰობიდ
წოდ.	-

1. რა არის შენი .....?
2. ყველაფერი შეიძლება ..... ავირჩიოთ.
3. ..... შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანს.
4. მოგვიყევი შენი ..... შესახებ.
5. ..... ირჩევენ გემოვნების მიხედვით.
6. თქვენი ..... შეგიძლიათ იამაყოთ.
7. ..... არჩევა ძალიან რთულია.
8. სხვადასხვა სახის ..... არსებობს.
9. ჩემს ..... ვერ გეტყვით.
10. მეგობრის ..... დავინტერესდი.

13. შეავსეთ ცხრილი:

ზმნა	საწყისი
	წერა
ვკითხულობ	
	თამაში
	ცურვა
ვქსოვ	
	კერვა
ვხსნი	
ვიღებ	
	შეგროვება
	მოსმენა
ვქარგავ	
ვაკეთებ	
	აღმოჩენა
ვავსებ	

14. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

მე შემიძლია	მე მიყვარს	მე მომწონს	მე ვიცი
შენ შეგიძლია	შენ გიყვარს	შენ მოგწონს	შენ იცი
მას შეუძლია	მას უყვარს	მას მოსწონს	მან იცის
ჩვენ შეგვიძლია	ჩვენ გვიყვარს	ჩვენ მოგვწონს	ჩვენ ვიცით
თქვენ შეგიძლიათ	თქვენ გიყვართ	თქვენ მოგწონთ	თქვენ იცით
მათ შეუძლიათ	მათ უყვართ	მათ მოსწონთ	მათ იციან

1. . .....

2. . .....

3. . .....

4. . .....

5. .....

6. .....

7. .....

8. .....

9. . .....

10. .....

15. ჩასვით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: *ნინომ კარგად იცის ცურვა (ვცურავ).*

1. მე შემიძლია ფეხბურთის ..... (ვთამაშობ).

2. შენ გიყვარს ..... (ვკერავ)?

3. ჩემს ძმას მოსწონს ..... თავსატეხების (ვხსნი).

4. ბებიამ მასწავლა ..... (ვქსოვ).

5. ჩემი ჰობია წიგნების ..... (ვკითხულობ).

6. ძალიან მიყვარს საღამოს მუსიკის ..... (ვუსმენ).

7. შენს დას ბევრი რამის ..... შეუძლია (ვაკეთებ)?

8. როგორ მიყვარს ფოტოების ..... (ვიღებ)!

9. ინტერნეტით ვისწავლე ..... (ვქარგავ).

16. მოცემული ცხრილის მიხედვით ჩასვით სწორი კავშირი:

კავშირები	
დრო	**მიზეზი**
როცა, როდესაც	რადგან, ამიტომ

1. ..... მივედით, დალი იქ არ იყო. (დრო)
2. ძალიან წვიმდა, ... აღარ წავედით სასეირნოდ. (მიზეზი)
3. გიგი არ ჭამს კვერცხს, ... არ უყვარს. (მიზეზი)
4. ..... მოვიდა, შენ უკვე წახვედი. (დრო)
5. მთაწმინდაზე ..... ავედით, უკვე ღამე იყო. (დრო)
6. ძალიან დაღამდა, ... სახლში დავრჩით. (მიზეზი)
7. ..... ჩამოხვალ, დამირეკე! (დრო)
8. ..... სკოლაში მივედი, გაკვეთილი დაწყებული იყო. (დრო)

17. მოცემული საწყისების გამოყენებით შეადგინეთ ტექსტი:

კეთება, ქსოვა, კერვა, თამაში, კითხვა, მოსმენა, ცურვა.

დამხმარე კითხვები:

1. რისი კეთება გიყვარს?
2. რა არის შენი მეგობრის ჰობი?
3. ვის უყვარს ქსოვა?
4. შენი ოჯახის რომელ წევრს მოსწონს მუსიკის მოსმენა?
5. შენი ნაცნობებიდან ვინმეს შეუძლია ცურვა?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლაპარაკი

18. წაიკითხეთ ტექსტი:

16/09/2010 16:00

ხატია კარანაძე

შესაძლებელია თუ არა ადამიანის ხასიათის ამოცნობა მისი ჰობის მიხედვით და შეიძლება თუ არა, ადამიანს ჰობიმ ზიანი მიაყენოს

- რა არის ჰობი და, საერთოდ, რისთვის არის იგი საჭირო?
- ჰობი არის ერთ-ერთი საქმიანობა და აქტივობა, რომელსაც ადამიანი პროფესიის **პარალელურად** ირჩევს. ჰობი არის **განტვირთვის** ერთ-ერთი საშუალება, მისგან არ ველით არანაირ მატერიალურ სარგებელს. იგი უბრალოდ გვანიჭებს სიამოვნებას. შეიძლება, ქირურგის ჰობი იყოს ცურვა ან თხილამურებით სრიალი. ჟურნალისტის ჰობი კი ფეხბურთის თამაში ან თუნდაც ქარგვა. პროფესია და ჰობი ერთმანეთს ხელს არ უშლის.
- რა და რა სახეობის ჰობი არსებობს?
- არსებობს უამრავი სახეობის ჰობი. ჰობის სახეობებიდან ერთ-ერთია კოლექციონერობა. კოლექცია ერთნაირი საგნების კრებულია.აქ საუბარია ერთი სახეობის რაიმე ნივთებზე. შეიძლება ამ ნივთებს ჰქონდეს რაიმე ფასეულობა ან სულაც – არა. ჰობი შეიძლება, იყოს შემოქმედება – ფოტოგრაფია, თეატრი, კინო, ლექსები, მუსიკა. აგრეთვე, ქსოვა, კერვა, მეცნიერება, თამაში, მოგზაურობა და სხვა უამრავი რამ. არსებობს ჰობის რამდენიმე სახეობა: აქტიური ჰობი (ცურვა, ჩოგბურთი), მშვიდი ჰობი (კითხვა, წერა), ექსტრემალური ჰობი (მთამსვლელობა, ჯომარდობა), ონლაინჰობი (3D გრაფიკა, უფასო ონლაინ - თამაშები), ხელსაქმე (ხატვა ხეზე,ქსოვა, ქარგვა).
- საერთოდ, რა სარგებელი მოაქვს ჰობის?

- ჰობი არის ადამიანის ისეთი საქმიანობა, გატაცება, რომლითაც ის დაკავებულია თავისუფალ დროს. იგი ადამიანს ეხმარება პიროვნულ **თვითრეალიზაციაში**. როდესაც ადამიანი დაკავებულია მხოლოდ ყოფითი და **რუტინული** საქმიანობით, ზოგჯერ ფიქრობს, რომ პროფესიულად კი რეალიზებულია, მაგრამ მას ცხოვრებაში მაინც რაღაც აკლია. როცა ადამიანი იპოვის საყვარელ საქმიანობას, ის თავს წარმატებულ პიროვნებად გრძნობს და **ინარჩუნებს სიმშვიდეს.**
- თუ არის შემთხვევები, როდესაც ადამიანს აქვს ისეთი უცნაური ჰობი, რომელმაც **შეიძლება დააზარალოს**?
- კი, ასეთი უამრავი შემთხვევაა. მაგალითად, ტელევიზორში გვინახავს, როდესაც კბილებით შტანგებს წევენ, ხტებიან ხიდებიდან და არაერთი ასეთი ჰობი არსებობს. ადამიანებმა იციან, რომ ეს საშიშია, მაგრამ სურვილი იმდენად დიდია, რისკზეც ხშირად მიდიან. ჩემი აზრით, ჰობი უნდა იყოს სიამოვნების მომტანი და, ამასთანავე, რა თქმა უნდა, უსაფრთხოც.
- ბოლოს, რას ურჩევთ ადამიანებს, რომლებსაც ჯერ არ აქვთ არჩეული ჰობი – რა გაითვალისწინონ ჰობის არჩევისას?
- ყველა ადამიანს ვურჩევ, მოძებნოს ისეთი ჰობი, რომელიც მის ინტერესებს პასუხობს, მისი უნარისა და შესაძლებლობების შესაფერისია. ჯერ კარგად შეისწავლეთ ის საქმე, რომლის ჰობად არჩევასაც აპირებთ და შემდეგ გადადგით ეს ნაბიჯი. ჰობი ხომ **განტვირთვის** ყველაზე კარგი საშუალებაა, ამიტომ აირჩიეთ თქვენთვის საყვარელი საქმე და ცხოვრებაც უფრო მშვენიერი გახდება.

19. დააწყვილეთ სიტყვები:

ხელს	სიმშვიდეს
დააზარალოს	გვანიჭებს
არ უშლის	მატერიალურ
ინარჩუნებს	სიამოვნებას
შეიძლება	სარგებელს

20. სავარჯიშო 19-ში მოცემული წყვილებით შეადგინეთ წინადადებები:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

21. მოცემული კითხვებისა და ტექსტის დახმარებით ისაუბრეთ თემაზე „როგორ შევარჩიოთ ჰობი“.

დამხმარე კითხვები:

1. რა არის ჰობი?
2. რა სახის ჰობი არსებობს?
3. რისთვის სჭირდება ადამიანს ჰობი?
4. როგორ უნდა შევარჩიოთ ჰობი?
5. რას ურჩევთ ადამიანებს, რომლებსაც ჯერ არ აქვთ ჰობი?

22. ისაუბრეთ, რა მოგწონთ, რა შეგიძლიათ და რა იცით:

(გამოიყენეთ კონსტრუქცია მომწონს, ვიცი, შემიძლია + საწყისი)

წერა

23. მოცემული კითხვების დახმარებით დაწერეთ პატარა ტექსტი „ჩემი საყვარელი საქმიანობა - ჰობი“.

დამხმარე კითხვები:

1. რა არის თქვენი ჰობი?
2. თქვენი ჰობი რომელ სახეობას განეკუთვნება?
3. როგორ შეარჩიეთ ეს საქმიანობა?
4. რატომ აირჩიეთ ეს ჰობი?
5. რას გრძნობთ, როცა საყვარელი საქმით ხართ დაკავებული?
6. თქვენი ოჯახის წევრებს თუ მოსწონთ თქვენი ჰობი?

დამხმარე ფრაზები: ავირჩიე იმიტომ, რომ; ეს საქმიანობა შევარჩიე ...; როცა საყვარელი საქმით ვარ დაკავებული...

ლექსიკა: ექსკურსიასა და პიკნიკის მოწყობასთან დაკავშირებული ლექსიკა. პიკნიკის, ექსკურსიის დაგეგმვა; სასტუმროს, კოტეჯის დაჯავშნა, დაქირავება.

გრამატიკული საკითხი: შესაძლებლობისა და აუცილებლობის გამოხატვა (მეორე კავშირებითის ფორმები - შეიძლება დაისვენოთ, უნდა წავიდეთ); მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნება - სამუშაო კვირა, ერთჯერადი ჭურჭელი.

ზმნები: დაანთებს, შეწვავს, შეარჩევს, დაურეკავს, დაჯავშნის, დაგეგმავს, ქირაობს, დაიქირავა; გამოიყენებს, წაიყვანს, წაიღებს.

თემის გახსნისთვის

1. წაიკითხეთ განმარტებები და დაწერეთ შესაბამისი ილუსტრაციის ქვევით:

ექსკურსია - ერთად წასვლა დათვალიერების ან გართობის მიზნით.

პიკნიკი/პიკნიკის მოწყობა - მცირე დროით და საჭმელ-სასმლით ჯგუფურად გასვლა ბუნებაში.



ა) .....



ბ) .....

	
გ)	დ).....

2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როგორ ფიქრობთ, ვისთან ერთად მოაწყობთ პიკნიკს?
2. ყოფილხართ ექსკურსიაზე? პიკნიკზე? გაიხსენეთ, სად და ვისთან ერთად?

3. შემოხაზეთ ნივთები, რომლებიც მიაქვთ პიკნიკზე:

1.	ბუტერბროდები
2.	ხორცი
3.	ხილი
4.	ბოსტნეული
5.	საზამთრო
6.	პარალონი

7.	წყალი
8.	ლიმონათი
9.	ღვინო
10.	ტილოები
11.	ტანსაცმელი
12.	ქოლგა

პარალონი - ძირს დასაფენი პიკნიკის, ლაშქრობის, ვარჯიშის დროს.	

4. წაიკითხეთ საინფორმაციო ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

			
გარეცხილი წყლით გასუფთავებული	**ნახშირი** დამწვარი ხე	**კოცონი** დიდი ცეცხლი	**ერთჯერადი ჭურჭელი** ერთხელ გამოსაყენებელი ჭურჭელი

სამუშაო კვირითა და ქალაქის ხმაურით დაღლილი ადამიანები ხშირად შაბათ-კვირას ქალაქგარეთ პიკნიკზე გადიან დასასვენებლად, პიკნიკი შეიძლება მოაწყოთ ყველა სეზონზე. მთავარია, სწორად შეარჩიოთ ადგილი, წასაღები ნივთები და ადამიანები, რომლებთან ერთადაც დროს სასიამოვნოდ გაატარებთ.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილია უკეთესი პიკნიკისთვის. მაგალითად, შემოდგომისა და გაზაფხულის მზიან ამინდში მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად უნდა წახვიდეთ ქალაქის ტყე-პარკებში. ზაფხულში შეიძლება ისიამოვნოთ მდინარის ან ზღვის სანაპიროზე. ზამთარში, თოვლიან დღეს, სასურველია, გაისეირნოთ ტრანსპორტით ან ფეხით ქალაქთან ახლოს ბუნებაში.
სანამ წახვალთ, უნდა შეარჩიოთ საჭირო ნივთები და თან წაიღოთ:

- სუფრა და დასაფენები მინდორზე დასაჯდომად.
- სამზარეულოს დანა, ერთჯერადი ჭურჭელი.
- შეშა, ნახშირი, ასანთი და შამფურები, თუ კოცონი უნდა აანთოთ და მწვადი შეწვათ.
- წყალი.
- გარეცხილი ხილი, ბოსტნეული და ხორცი.
- პლედი.
- სასიამოვნო განწყობისთვის რაიმე მუსიკალური ინსტრუმენტი.
- ნაგვის ჩასაყრელი პარკები.

გახსოვდეთ, პიკნიკის მიზანია რამდენიმე საათით დაისვენოთ და ისიამოვნოთ საყვარელ ადამიანებთან ერთად.

1. რის შესახებ მოგვითხრობს ტექსტი?
2. წელიწადის რომელ დროს არის შესაძლებელი პიკნიკის მოწყობა?
3. რა არის ქალაქგარეთ გასვლის მიზანი?
4. როგორ ფიქრობთ, რისთვის უნდა წაიღოთ პიკნიკზე ნაგვის პარკი?
5. წაიკითხეთ ,,ერთჯერადი ჭურჭლის'' განმარტება და დაფიქრდით, კიდევ რა შეიძლება იყოს ერთჯერადი? (დააკავშირეთ შესაძლო ვარიანტებთან)



5. ტექსტის მიხედვით მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი ინფორმაცია (-):

N	წინადადება	სწორი(+)	არასწორი(-)
1.	ადამიანები ხშირად გადიან ქალაქგარეთ.		
2	პიკნიკის მოწყობა შეიძლება მხოლოდ ზაფხულში.		
3.	წელიწადის სეზონების მიხედვით პიკნიკისთვის უკეთესია სხვადასხვა ადგილი.		
4.	ზამთარში შეიძლება ისიამოვნოთ მდინარის ან ზღვის სანაპიროზე.		
5.	პიკნიკზე თან უნდა წაიღოთ სამზარეულოს დანა და ერთჯერადი ჭურჭელი.		
6.	პიკნიკის მიზანია დასვენება და გართობა.		

6. შეავსეთ დიაგრამა, ჩაწერეთ საჭირო ნივთები:



7. გამოიყენეთ დიაგრამა და ისაუბრეთ, თუ თქვენ პიკნიკზე წახვალთ, რას წაიღებთ? როგორ გამოიყენებთ შერჩეულ ნივთებს?

საუბრისთვის საჭირო ფრაზები:

თუ პიკნიკზე წავალ, წავიღებ...
შევარჩევ ადგილს..
ერთჯერად ჭურჭელს გამოვიყენებ..
დავანთებ ცეცხლს... შევწვავ...
ნაგვის პარკებს გამოვიყენებ...

კითხვა

8. წაიკითხეთ დიალოგები და დაასახელეთ საუბრის თემა:

დაჯავშნა - წინასწარ ყიდვა, მაგ.: ოთახისა სასტუმროში , ბილეთისა სტადიონზე, თეატრში, ტრანსპორტის ბილეთის...

გიდი/ექსკურსიამძღოლი - ადამიანი, რომელიც ტურისტებთან, ექსკურსანტებთან ერთად დადის და სხვადასხვა ობიექტს აცნობს

ა.



ბ.



9. დააკავშირეთ მოცემული ფრაზები ერთმანეთთან:

ა)

მოვაწყოთ	ტურისტულ კომპანიას
წავიდა	მოსწავლეები ქალაქგარეთ
დავურეკოთ	პიკნიკი
დაჯავშნეს	ექსკურსიაზე
შეარჩიე	სასტუმრო
წაიყვანეს	მარშრუტი

ბ) ჩასვით ფრაზები წინადადებაში:

1. დათომ და ლეილამ გუშინ ..... .
2. ხვალ ..... და დავგეგმოთ ექსკურსია.

3. სოფიამ და ლიზამ ..... თბილისში.

4. შენ ..... ექსკურსიისთვის?

5. დღეს მზიანი ამინდია და ..... ტყე-პარკში.

6. ნიკო დილით ..... ყაზბეგში.

10. მოცემული სიტყვები ჩაწერეთ წინადადებებში:

სასტუმროს, შევარჩიოთ, წავიდეთ, გავდივართ, წავიღოთ, მოვაწყო, დაჯავშნა, პიკნიკი, დავჯავშნოთ, დავურეკოთ, გიდის, უნდა წავიყვანოთ

1. დღეს შევხვდეთ მეგობრებს და ექსკურსიისთვის ..... შევარჩიოთ ..... მარშრუტი.

2. ჩვენ ..... ტურისტულ კომპანიას და ..... სასტუმრო ბათუმში.

3. შაბათ-კვირას წავიდეთ ქალაქგარეთ და ჩვენს მეგობრებთან ერთად .... მოვაწყოთ.

4. ტურისტული სააგენტო გვთავაზობს ..... და ..... მომსახურებას.

5. სექტემბერში კახეთში ..... ექსკურსიაზე.

6. დასვენების დღეებში ოჯახთან ერთად უნდა ..... პიკნიკი.

7. ზაფხულის არდადეგებზე შვილები ..... ბაკურიანში დასასვე-ნებლად.

8. დილით, 7 საათზე ..... ქალაქიდან.

9. პიკნიკზე ..... მინდორზე დასაფენები.

10. ანამ 15 იანვრიდან ..... სასტუმრო ბაკურიანში.

11. წაიკითხეთ დიალოგი:

დაქირავება - დროებით გამოყენების უფლება (სახლის, ავტომანქანის....) ანაზღაურების (ფულის) სანაცვლოდ.

ღირსშესანიშნაობა - ნაგებობა, ადგილი..., რომელიც განსაკუთრებულია. მაგ.: ეკლესია, ძეგლი...

კოტეჯი - პატარა სააგარაკო სახლი.



ა)

გიგა: - შაბათ -კვირას ექსკურსია დავგეგმოთ მთაში.

ლადო: - ორი დღით წავიდეთ?

გიგა: - პარასკევს წავიდეთ სამუშაო დღის შემდეგ და კვირას, საღამოს, დავბრუნდეთ ქალაქში.

ნინი: - ძალიან შორს ნუ წავალთ, ბაკურიანში ან გუდაურში წავიდეთ!

ნიკა: - ისეთი ადგილი შევარჩიოთ, სადაც დავისვენებთ და თან დავათვალიერებთ ღირსშესანიშნაობებს.

ლადო: - კარგი აზრია, ვნახოთ ინტერნეტში განცხადებები და შევარჩიოთ!

ნიკა: - სასტუმრო წინასწარ უნდა დავჯავშნოთ?

ნინი: - ჰო, დავჯავშნოთ?! ეკა და ქეთიც წამოვლენ, დავურეკავ.

გიგა: - შევთანხმდით, უნდა დავიქირაოთ კომფორტული კოტეჯი და გავერთოთ მეგობრები!

დავგეგმოთ ექსკურსია, ბანკეტი, ქალაქგარეთ გასვლა, თეატრში წასვლა...

დავჯავშნოთ სასტუმრო, კოტეჯი, ბილეთი, ვიზიტი იუსტიციის სახლში...

დავიქირაოთ სასტუმრო, კოტეჯი, მანქანა, ადვოკატი, დიზაინერი, საბანკეტო დარბაზი..

ბ) ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

1. შაბათ-კვირას ექსკურსია ..... მთაში.
2. ისეთი ადგილი შევარჩიოთ, სადაც დავათვალიერებთ .....
3. კვირას, საღამოს ..... ქალაქში.
4. ისეთი ადგილები ..... სადაც დავისვენებთ.
5. უნდა ..... კომფორტული კოტეჯი.

გრამატიკა

12. დააკვირდით ზმნების უღლებას. მოცემული ნიმუშის მიხედვით ჩასვით ზმნები წინადადებებში:

მე უნდა წავიდე	ჩვენ უნდა წავიდეთ	მე შეიძლება დავისვენო	ჩვენ შეიძლება დავისვენოთ
შენ უნდა წახვიდე	თქვენ უნდა წახვიდეთ	შენ შეიძლება დაისვენო	თქვენ შეიძლება დაისვენოთ
ის უნდა წავიდეს	ისინი უნდა წავიდნენ	მან შეიძლება დაისვენოს	მათ შეიძლება დაისვენონ

ნიმუში: *მე* ***უნდა წავიდე*** *სკოლაში. ის* ***უნდა წავიდეს*** *სკოლაში.*

1. ა) უნდა შევწვათ მწვადი.

   ბ) მათ ..... მწვადი.

2. ა) მე შეიძლება წავიდე ექსკურსიაზე.

   ბ) ის ..... ექსკურსიაზე.

3. ა) მათ ..... გემით ზღვაზე.

   ბ) მან შეიძლება გაისეირნოს გემით ზღვაზე.

4. ა) მე უნდა შევარჩიო კარგი სასტუმრო.

   ბ) შენ ..... კარგი სასტუმრო.

5. ა) ჩვენ ..... პიკნიკი ტყეში.

   ბ) თქვენ უნდა მოაწყოთ პიკნიკი ტყეში.

13. აირჩიეთ ზმნის სწორი ფორმა და ჩასვით წინადადებებში:

არსებითი სახელი	**საწყისი**	**აწმყო ახლანდელი დრო**	**მყოფადი მომავალი დრო**	**წყვეტილი წარსული დრო**	**II კავშირებითი მომავალი დრო**
გეგმა	დაგეგმვა	გეგმავს (ის მას)	დაგეგმავს (ის მას)	დაგეგმა (მან ის)	უნდა დაგეგმოს (მან ის)
ჯავშანი	დაჯავშნა	ჯავშნის (ის მას)	დაჯავშნის (ის მას)	დაჯავშნა (მან ის)	უნდა დაჯავშნოს (მან ის)
ქირა	დაქირავება	ქირაობს (ის მას)	დაიქირავებს (ის მას)	დაიქირავა (მან ის)	უნდა დაიქირაოს (მან ის)

1. ნანამ და ლეილამ ..... (დაჯავშნეს/ჯავშნიან/დაჯავშნიან) სასტუმრო ბაკურიანში.

2. რაფაელმა ოთახი ერთი თვით ..... (ქირაობს/ დაიქირავებს/დაიქირავა) ზღვის სანაპიროზე.

3. ქართულის მასწავლებელი ..... (დაგეგმა/უნდა დაგეგმოს/გეგმავს) ექსკურსიას ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში.

4. კვირას თეატრში მივდივართ მე და ლუსინე, ბილეთები გუშინ .... (დავჯავშნეთ/ უნდა დავჯავშნოთ/ვჯავშნით)

5. სკოლის ბანკეტის დეკორაციების მოსაწყობად მე და ქეთიმ დიზაინერი

6. ..... (ვქირაობ/ უნდა დავიქირაოთ/ დავიქირავებ).

7. მეგობრებმა ..... (დავიქირავეთ/ვქირაობთ/არ დაგვიქირავებია) პატარა კოტეჯი სურამში.

8. ეკა და ლაშა ქორწილისთვის თეთრ ავტომანქანას ..... (დაიქირავეს/დაიქირავებენ/უნდა დაიქირაონ).

9. მე იუსტიციის სახლში ..... (უნდა დაჯავშნო/უნდა დაჯავშნოს/უნდა დავჯავშნო) ვიზიტი.

10. შენ და ალიმ როდის ..... (დავგეგმეთ/დაგეგმეთ/დაგეგმეს) სპექტაკლზე დასწრება?

11. მეთორმეტეკლასელები რომელ დარბაზში ..... (გეგმავთ/ დაგეგმეთ/უნდა დაგეგმოთ) ბანკეტს?

14. შეარჩიეთ და წინადადებებში ჩასვით სახელი სწორი ფორმით:

1. ..... (დათო/დათომ/) გუდაურში კოტეჯი დაჯავშნა.

2. ზაფხულში ერთად მოგზაურობა დაგეგმეს ..... (აიდამ და ალიმ/აიდა და ალი).

3. ..... (მე და ნოდარი/მე და ნოდარმა) ვქირაობთ ექსკურსიამძღოლს.

4. ..... (მასწავლებლები/მასწავლებლებმა) ტრენერი უნდა დაიქირავონ.

5. ..... , (ლიკა/ლიკამ) დაჯავშნე ექიმთან ვიზიტი?

6. ევა, ... (შენ და ერიკი/შენ და ერიკმა) როდის გეგმავთ დაქორწინებას?

7. ..... (მეგობრებმა/მეგობრები) დავგეგმეთ ალესანდრო საფინას კონცერტზე წასვლა.

8. ..... (ბიჭები/ბიჭებმა) ბილეთებს ჯავშნიან ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად.

9. ოფისისთვის ..... (ექიმებმა/ექიმები) შენობას ქირაობენ.

10. ბანკის ..... (თანამშრომლებმა/თანამშრომლები) საახალწლოდ რესტორანი დაჯავშნეს.

15. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

დავგეგმეთ *- მე და თაკომ ერთად დავგეგმეთ კინოფილმის ნახვა.*

1. უნდა დაგეგმონ .....
2. დაგეგმა .....
3. დაგეგმეს .....
4. ჯავშნიან .....
5. დავჯავშნე .....
6. დაჯავშნით .....
7. უნდა დავიქირაოთ .....
8. ქირაობს.....
9. დაიქირავეთ.....

16. დააკვირდით მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნებას და წინადადებებში მსაზღვრელის დაბოლოება შეარჩიეთ სწორად:

სახელობითი:	ერთჯერად-ი ჭურჭელ-ი	სასმელ-ი წყალ- ი
მოთხრობითი:	ერთჯერად-მა ჭურჭელ-მა	სასმელ-მა წყალ-მა
მიცემითი:	ერთჯერად ჭურჭელ-ს	სასმელ წყალ-ს
ნათესაობითი:	ერთჯერად-ი ჭურჭლ-ის	სასმელ-ი წყლ-ის
მოქმედებითი:	ერთჯერად-ი ჭურჭლ-ით	სასმელ-ი წყლ-ით
ვითარებითი:	ერთჯერად ჭურჭლ-ად	სასმელ წყლ-ად
წოდებითი:	ერთჯერად-ო ჭურჭელ-ო	სასმელ-ო წყალ-ო

1. სამუშაო კვირით დაღლილ..... მეგობრებმა ქალაქგარეთ გაისეირნეს.
2. ბათუმამდე მატარებლით მგზავრობა ოთხ..... საათს გრძელდება.
3. გაზაფხულზე ხშირად არის წვიმიან..... ამინდი.
4. პიკნიკზე უკეთესია გარეცხილ..... ხილის და დაჭრილ..... ხორცის წაღება.
5. ექსკურსიისთვის დიდ..... ავტობუსს დავიქირავებთ.
6. მე და ჩემ..... კოლეგები შაბათს მივდივართ მუზეუმში.
7. „ვეფხისტყაოსნის“ ერთჯერად..... ტირაჟის რაოდენობა 500 ეგზემპლარია.
8. დასასვენებელ..... დღედ კვირა შევარჩიეთ.
9. სასტუმროს ლამაზ..... ინტერიერმა ძალიან მოგვხიბლა.

მოსმენა

17. ა) წაიკითხეთ ტექსტი, როგორ უნდა დაიჯავშნოს სასტუმრო:

1. იპოვეთ სასტუმროების საძიებო საიტი, მაგალითად, booking.com;
2. აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ქვეყანა და ქალაქი;
3. ჩაწერეთ თარიღი, როცა გეგმავთ მოგზაურობას;
4. თქვენ დაინახავთ მითითებული თარიღისთვის თავისუფალ სასტუმროებს. აირჩიეთ სასტუმრო და ოთახი;
5. აირჩიეთ თანხის გადახდის ვარიანტი: წინასწარ ან ადგილზე, სასტუმროში;
6. შეავსეთ პირადი მონაცემები, სახელი, გვარი და ა.შ.;
7. ჩაწერეთ საბანკო ბარათის ტიპი, ნომერი, მოქმედების ვადა;
8. დაწერეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა;
9. თქვენ მიიღებთ ჯავშნის კოდს ელექტრონულ ფოსტაზე;
10. შეინახეთ ჯავშნის კოდი და წარადგინეთ სასტუმროში მისვლისას.

ბ) შემდეგ ქვემოთ მოცემული ეტაპები დაალაგეთ თანმიმდევრობით:

ა) საკონტაქტო ინფორმაციის მითითება;
ბ) ქვეყნისა და ქალაქის შერჩევა;
გ) ჯავშნის კოდის მიღება;
დ) პირადი მონაცემების შევსება;
ე) სასტუმროს შერჩევა;
ვ) საძიებო საიტზე შესვლა;
ზ) საბანკო ბარათის მონაცემების მითითება;
თ) ჯავშნის კოდის წარდგენა სასტუმროში;
ი) სამოგზაურო თარიღის მითითება;
კ) თანხის გადახდის ვარიანტის შერჩევა;

ლაპარაკი

18. დაგეგმეთ თქვენთვის საინტერესო ექსკურსია ან პიკნიკი.

1. ისაუბრეთ, ვისთან ერთად წახვალთ, ვის წაიყვანთ?
2. რას ნახავთ?
3. რას წაიღებთ?
4. როგორ გაერთობით?
5. რატომ აირჩიეთ ეს მარშრუტი?

19. დააკვირდით ცხრილში მოცემულ დიალოგის საწყის ფრაზებს, აირჩიეთ სიტუაცია, გააგრძელეთ და გაითამაშეთ დიალოგი წყვილებში:

დაგეგმვა	- სად გეგმავ ექსკურსიას? - როდის გეგმავთ ბანკეტს? - ვისთან ერთად გეგმავ ქალაქგარეთ გასვლას? - რომელ თეატრში დაგეგმეთ წასვლა?	- ექსკურსიას ვგეგმავ ბათუმში. - სკოლის დასრულების შემდეგ ვგეგმავთ ბანკეტს. - ქალაქგარეთ გასვლას ვგეგმავ ოჯახთან ერთად. - ჩვენ დავგეგმეთ წასვლა რუსთაველის თეატრში.

დაჯავშნა	- დაჯავშნეთ სასტუმრო/ კოტეჯი ბაკურიანში? - რომელ სპექტაკლზე დაჯავშნეთ ბილეთი? - რომელ რიცხვში გაქვთ დაჯავშნილი მატარებლის ბილეთი?	- კი, დავჯავშნე. - ბილეთი დავჯავშნეთ სპექტაკლზე „კუკარაჩა“. - მატარებლის ბილეთი დავჯავშნეთ 15 აგვისტოსთვის.
დაქირავება	- სად დაიქირავეთ სასტუმრო/კოტეჯი? - რომელი ავტომანქანა დაიქირავეთ ექსკურსიისთვის? - რა თანხად დაიქირავეთ ადვოკატი?	- სასტუმრო/კოტეჯი დავიქირავეთ სვანეთში. - ექსკურსიისთვის დავიქირავეთ ავტობუსი. - ადვოკატი ჯერ ვერ დავიქირავეთ.

წერა

20. წაიკითხეთ სარეკლამო განცხადებები (ა. ბ.), გამოიყენეთ ნიმუშად და მოცემული ფოტოებისა და ინფორმაციის მიხედვით გ) დაწერეთ მსგავსი განცხადება:

ა.

განცხადება

ქირავდება კოტეჯები ყაზბეგში 400 ლ.
ნახვა: 98
06.09.2022 / 18:43

დაბა ყაზბეგში ქირავდება კომფორტული კოტეჯები დიდი ვერანდებით და ულამაზესი პანორამით. ეზოში არის ჰამაკები, მაგიდები, სკამები, მაყალი. სულ არის 4 კოტეჯი, სადაც ერთდროულად 12 ადამიანი იცხოვრებს, რაც ძალიან კარგია სამეგობროს დასვენებისთვის. დასვენებასთან ერთად თქვენ შეძლებთ ნახოთ მუზეუმები, ეკლესია-მონასტრები, ულამაზესი ჩანჩქერები, მდინარეები და ბევრი სხვა ისტორიული ძეგლი.

ეზო - 800 კვ.მ.
ერთი კოტეჯი - 40 კვ.მ.
მდგომარეობა: ახალი რემონტით
ოთახები: 8

საძინებლები: 4

დამატებითი ინფორმაცია

თითოეულ კოტეჯში არის:

საძინებელი √
სამზარეულო √
ავეჯი √
ბუნებრივი აირი √
ცენტრალური გათბობა √
ცხელი წყალი √
კონდიციონერი
ინტერნეტი √
სიგნალიზაცია
აუზი

შესვლა: 13:00 სთ.

გასვლა: 15:00 სთ.

დარეკეთ: T – 511 11 14 00 - ლალი

ბ.

განცხადება

დასვენება ბაკურიანში 300 ლ.
ნახვა: 128
27.08.2022 / 18:43

ბაკურიანში ქირავდება ახალი, გარემონტებული კოტეჯი, ტყესთან ახლოს, აივნით და ყველა საჭირო ინვენტარით. 3 საძინებელში იცხოვრებს 9 ადამიანი. აქ კარგად დაისვენებთ და გაერთობით.
ეზო - 1200 კვ.მ.
სახლი - 90 კვ.მ.
მდგომარეობა: ახალი რემონტით ოთახები: 3
საძინებლები: 2
დამატებითი ინფორმაცია

სამზარეულო √
ავეჯი √
სასმელი წყალი √
ბუნებრივი აირი √
ცენტრალური გათბობა √
ცხელი წყალი √
სარეცხი მანქანა √
კონდიციონერი
ინტერნეტი √
საკაბელო ტელევიზია √
სიგნალიზაცია რკინის კარი √
დახურული აუზი √

შესვლა: 11:00 სთ.

გასვლა: 14:00 სთ.

დარეკეთ: T – 511 11 14 00 - საბა

გ.

განცხადება

ქირავდება სასტუმრო საირმეში - 250 ლ.
ნახვა: 146
08.09.2022 / 18:00

მდგომარეობა: ახალი რემონტით
ოთახები: 17
საძინებლები: 2 და 3 ადამიანზე გათვლილი

დამატებითი ინფორმაცია

სამზარეულო √	სარეცხი მანქანა √
კონდიციონერი √	შესვლა: 12:00 სთ.
ავეჯი √	გასვლა: 14:00 სთ.
სასმელი წყალი √	ინტერნეტი √
ბუნებრივი აირი √	საკაბელო ტელევიზია √
ცენტრალური გათბობა √	სიგნალიზაცია რკინის კარი
ცხელი წყალი √	დახურული აუზი √

დარეკეთ: T – 511 00 15 00 - ეკა

ლექსიკა: შვებულება, არდადეგები, ღირსშესანიშნაობა, ნომერი, გიდი, ვიზიტორი.

გრამატიკული საკითხი: კავშირები: და, თუმცა, ამიტომ, იმიტომ რომ, რადგან, როცა; ბრძანებითის ფორმები; შესაძლებლობისა და მცდელობის გამოხატვა; ფრაზეოლოგიზმები.

ზმნები: ნახა, დაისვენა; შეუძლია ნახოს, ცდილობს დაისვენოს; ვეთანხმები, არ ვეთანხმები, ვფიქრობ.

თემის გახსნისთვის

დისკუსია

დააკვირდით სურათს. დაასახელეთ ღირსშესანიშნაობები, რომლებსაც იცნობთ. ისაუბრეთ ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობის შესახებ.



საჭირო ფრაზები:

მე მიყვარს მოგზაურობა იმიტომ, რომ .... .
მე მიყვარს მოგზაურობა ....ში/...ზე/.....ით იმიტომ, რომ ..... .
მე ვიცნობ .....ს, ეს ღირსშესანიშნაობა არის .....ში. ის არის ..... და ..... .

1. იმუშავეთ წყვილებში. ისაუბრეთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებზე. დიალოგისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ საჭირო ფრაზები.

- გიყვარს მოგზაურობა? რატომ?
- სად გიყვარს მოგზაურობა, მთაში თუ ზღვაზე? რატომ?
- რით გიყვარს მოგზაურობა? რომელი სატრანსპორტო საშუალებით?

2. დააკავშირეთ ერთმანეთთან სიტყვა და განმარტება:

ღირსშესანიშნაობა	დროის ხანგრძლივი მონაკვეთი, როცა სწავლა არ არის.
შვებულება	მოძრავი ტექნიკური საშუალება, რომლითაც ვმოგზაურობთ ან ვმგზავრობთ სხვადასხვა ადგილას.
ტრანსპორტი	ცნობილი სანახავი ადგილი, შენობა ან ბუნების საოცრება.
არდადეგები	დასაქმებული ადამიანის მიერ აღებული თავისუფალი დრო

3. ჩაწერეთ მოცემული სიტყვები წინადადებებში: ღირსშესანიშნაობა, შვებულებაში, ტრანსპორტი, არდადეგებზე.

1. ზოგი სტუდენტი ..... მუშაობს, ზოგიც ისვენებს.
2. მსოფლიოს შესანიშნავი ..... ტაჯ-მაჰალი ინდოეთში მდებარეობს.
3. ორი დღის წინ ოფისის მენეჯერი ..... გავიდა.
4. ექსკურსიაზე წასასვლელად აუცილებლად გვჭირდება ..... .

4. მოცემული სიტყვები მიუწერეთ შესაბამის თემატურ ერთეულს:

დელიკატესი, ლიფტი, კერძი, მიკროავტობუსი, მატარებელი, შვეიცარი, პირამიდები, ეიფელის კოშკი, კულინარი, თვითმფრინავი, პიზის კოშკი, ველოსიპედი, აუზი, ამფითეატრი, ადმინისტრატორი, მენიუ









5. მე-4 სავარჯიშოს პირობაში მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები:

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....
6. .....
7. .....
8. .....
9. .....
10. .....

6. მე-4 სავარჯიშოს პირობაში მოცემული სიტყვებიდან:

- რომელი აღნიშნავს ადამიანს?
- რომელი აღნიშნავს შენობა- ნაგებობებს?
- რა შეიძლება იყოს სასტუმროში?

7. წინადადებებში მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერეთ მოცემული სიტყვები:

ვიზიტორი, გიდი, მატარებელი, შეფმზარეული, ლიფტი, ნომერი, კატერი, კერძი, სასტუმრო

1. ცნობილი იტალიელი ....., ენცო ნერი უკვე მესამე წელია, რაც საქართველოში ცხოვრობს.
2. .....ზღვაზე ტურისტების საყვარელი წყლის სატრანსპორტო საშუალებაა.
3. სასტუმროში საკმაოდ ძვირადღირებულია აივნიანი ორადგილიანი .... მესამე სართულზე.
4. ..... ყველაზე სწრაფი სატრანსპორტო საშუალებაა ხმელეთზე.
5. ეს ცნობილი ხუთვარსკვლავიანი .....ა, სადაც შეგიძლიათ გაატაროთ დასვენების დღეები.
6. საბერძნეთს ყოველწლიურად მილიონობით ..... სტუმრობს.
7. ..... დაგეგმილი ტურის დროს ტურისტულ ჯგუფებს ხელმძღვანელობს.
8. პასტა იტალიური .....ა.
9. ზედა სართულებზე ასასვლელად კორპუსში მუშაობს ..... .

8. დააკვირდით ცხრილს და წინადადებებში ჩაწერეთ სწორი ფრაზები:

ფრაზეოლოგიზმები	ალტერნატიული მნიშვნელობა
მეგობრების შეძენა	ახალ ადამიანებთან დამეგობრება; ახალი მეგობრის პოვნა.
უპირატესობას ვანიჭებ	უფრო მომწონს; სხვებთან შედარებით უკეთესად აღიარება.
ძალების აღდგენა	დასვენება .
დროის გამონახვა	დროის გამოძებნა; მოცლა ვინმესთვის ან რაიმესათვის.

1. გუშინ ძალიან დავიღალე. დღეს აუცილებლად მჭირდება ....

2. ძალიან დაკავებული ვარ. ..... მჭირდება, რომ ექიმთან წავიდე.

3. მოგზაურობის ყველანაირი ტიპი მომწონს, მაგრამ ..... ველურ ბუნებას.

4. ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანია ნამდვილი ..... .

5. წიგნის წასაკითხად აუცილებელია ..... .

6. მოგზაურობის დროს ადამიანს შეუძლია ახალი ..... .

7. მუსიკის ყველანაირ ჟანრს ვუსმენ, მაგრამ ..... კლასიკურ მუსიკას.

8. მძიმე სამუშაო კვირის შემდეგ რეკომენდებულია ბუნებაში სეირნობით ....

9. მე-8 სავარჯიშოში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმებით შეადგინეთ წინადადებები:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

კითხვა

- მარტო გიყვართ მოგზაურობა თუ ოჯახთან ერთად? რატომ?
- დააკვირდით ფოტოს და ისაუბრეთ - სად, წელიწადის რა დროს და როგორ ატარებს დროს ოჯახი?
- როგორ ატარებთ დროს მოგზაურობისას?
- თქვენი აზრით, მოგზაურობაში რა უფრო მნიშვნელოვანია– რაიმე ახლის ნახვა, სწავლა თუ უბრალოდ დასვენება, ძალების აღდგენა?
- სად გირჩევნიათ მოგზაურობა – დიდ ქალაქებსა თუ ველურ ბუნებაში?



მე მიყვარს მოგზაურობა

ძალიან მიყვარს მოგზაურობა, რადგან საინტერესო და სახალისოა. მოგზაურობისას შეგიძლია დაისვენო, წაიკითხო შენი საყვარელი წიგნი, შეგიძლია ახალი მეგობრები შეიძინო და გაერთო მათთან ერთად. მოგზაურობის კიდევ ერთი სასიამოვნო შეგრძნებაა ის, რომ შეგიძლია გაიცნო უცხო ადამიანები და მათი ცხოვრების წესსაც გაეცნო; გაიგო მეტი მათი ტრადიციების შესახებ.

ყველაზე მეტად **მსიამოვნებს** ოჯახთან ერთად მოგზაურობა, **თუმცა** ხშირად ამას ვერ ვახერხებთ. ჩვენ **უპირატესობას ვანიჭებთ** მანქანით მოგზაურობას. მოკლე დროში შეიძლება ნახო ბევრი საინტერესო რამე. **როცა** მანქანით ვმოგზაურობთ, ბილეთების ყიდვა არ გვჭირდება. შეგვიძლია მოგზაურობისთვის საჭირო ნივთები ჩავაწყოთ მანქანაში და არ ვატაროთ ხელით ან ზურგით.

რამდენიმე დღით განტვირთვაც კი ძალიან სასარგებლოა ადამიანისთვის. მოგზაურობა საუკეთესო საშუალებაა **აღიდგინო ძალები** და გააგრძელო შენი საქმიანობა. **ამიტომ** მე ვცდილობ გამოვნახო დრო და ცოტა ხნით მაინც დავისვენო.

10. უპასუხეთ შეკითხვებს:

- ტექსტის ავტორის აზრით, რა უპირატესობები აქვს საკუთარი მანქანით მოგზაურობას?
- რატომ უყვარს მოგზაურობა ოჯახთან ერთად ტექსტის ავტორს?
- როგორ შეიძლება გაატაროს დრო საინტერესოდ/რა შეიძლება გააკეთოს ტურისტმა მოგზაურობის დროს?
- რა ნივთები მიგაქვთ მოგზაურობაში?

11. აღნიშნეთ, რომელია სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

№	ინფორმაცია	სწორი (+)	არასწორი (-)
1	მოგზაურობის დროს ახალი ადამიანების გაცნობა შეიძლება.		
2	ტექსტის ავტორს ურჩევნია მანქანით არ იმოგზაუროს.		
3	ტექსტის ავტორი დაკავებულია, მაგრამ მოგზაურობას მაინც ახერხებს.		
4	რამდენიმე დღე საკმარისი არ არის განტვირთვისთვის.		

12. დიალოგში გამოტოვებული ადგილები შეავსეთ მოცემული სიტყვებით: ვიმოგზაურე, შევიძინე, გამოვნახე, გავიგე, ვანიჭებ, ვნახე, აღვიდგინე.



- რეზი, იმოგზაურე წელს სადმე?
- კი, ორი კვირით დრო 1. ..... და ნორვეგიაში 2. ..... . საოცრება იყო.
- **ნორვეგიაში რა ნახე?**
- ნორვეგიაში 3. ..... ოსლო, პატარა ქალაქები, ფიორდები. ყველაფერი საინტერესო იყო იქ. ისე, უპირატესობას ბუნების ღირსშესანიშნაობებს 4. .....
- **ხალხი როგორ მოგეწონა?**
- ძალიან კარგი ხალხია. რამდენიმე ახალი მეგობარიც ..... . მეთევზეები არიან. ბევრი რამ 6. ..... მათი ცხოვრების წესის შესახებ.
- ყოჩაღ, რომ მოახერხე წელს მოგზაურობა. კარგი დასვენება გამოგივიდოდა.
- კი. მოვახერხე განტვირთვა და ახალი სამუშაო წლისთვის ძალებიც 7..... ..... .

13. აღნიშნეთ ცხრილში სწორი და არასწორი ინფორმაცია:

№	ინფორმაცია	სწორია /+	არასწორია/-
1	რეზიმ მარტო ერთ ქვეყანაში იმოგზაურა.		
2	რეზის ქალაქის და ბუნების ღირსშესანიშნაობები თანაბრად მოეწონა.		
3	რეზიმ შარშან იმოგზაურა ორი კვირით.		
4	რეზიმ მოგზაურობის დროს ადგილობრივები გაიცნო.		

14. ისაუბრეთ წყვილებში:

ა) რატომ გიყვართ მოგზაურობა?

ბ) მოგზაურობის დროს რის ნახვას ანიჭებთ უპირატესობას? რატომ?

გ) სად იმოგზაურეთ ბოლოს და რა ნახეთ იქ?

რამდენიმე რჩევა იაფფასიანი ავიაბილეთის შესაძენად



- **შეიძინეთ** ბილეთები ღამე ან დილით ადრე, სამუშაო დღის დაწყებამდე. ამ დროს ბილეთის ფასი დაბალია და არჩევანი – მეტი.
- **გამოიწერეთ** ავიაკომპანიის სიახლეები აქციების შესახებ.
- ავიაბილეთები გაფრენითა და დაბრუნებით ღამის საათებზე უფრო იაფია, ვიდრე დღისით.
- **იმოგზაურეთ** სეზონებს შორის პერიოდში. ამ დროს შედარებით ნაკლები ადამიანი მოგზაურობს და ბილეთებიც შედარებით იაფია.
- **შეიძინეთ** ავიაბილეთები გაფრენისა და დაბრუნების კვირის შუა რიცხვებით.

შედარებით იაფია ბილეთები სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს, ძვირი კი- დასვენების დღეებში.

- **შეიძინეთ** ავიაბილეთები ორივე მიმართულებით, რადგან ერთი მიმართულებით ფრენა უფრო ძვირი დაგიჯდებათ.

15. უპასუხეთ შეკითხვებს. გაითამაშეთ წყვილში:

- თქვენ როგორ იძენთ ბილეთს – ინტერნეტით თუ სალაროში?
- ბილეთის შეძენის დროს თქვენთვის მნიშვნელოვანია ფასი თუ სალონის კლასი?
- თქვენ რას ანიჭებთ უპირატესობას – ტურისტულ სეზონებში მოგზაურობას თუ სეზონებს შორის? რატომ?
- თქვენ როგორ ემზადებით მოგზაურობისთვის? რა ინფორმაციას ეცნობით წინასწარ?

საჭირო ფრაზები

მე ბილეთებს ვყიდულობ .....-ით/-ში იმიტომ, რომ..... ჩემთვის მნიშვნელოვანია ..... მოგზაურობამდე წინასწარ ვეცნობი.....ს

16. აღნიშნეთ, რომელია სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

№	ინფორმაცია	სწორი (+)	არასწორი (-)
1	შაბათ-კვირას ბილეთებში უფრო მეტი უნდა გადაიხადო.		
2	არასამუშაო საათებში ბილეთების შეძენა უფრო მომგებიანია.		
3	უფრო ნაკლებს გადაიხდი, თუ გაფრენისა და დაბრუნების ბილეთებს ერთად შეიძენ.		
4	გაეცანით ავიაკომპანიების შეთავაზებებს ფასდაკლების შესახებ.		
5	გამონახეთ დრო ტურისტული სეზონების დროს და იყიდეთ ბილეთები.		

17. დააკვირდით ცხრილს და შეასრულეთ სავარჯიშოები:

ზმნის ფორმა	წყვეტილი	ბრძანებითი ფორმა
ფუნქცია	დასრულებული მოქმედება	რჩევის მიცემა
ნიმუში	შეიძინეთ. გამოიწერეთ. იმოგზაურეთ.	შეიძინეთ! გამოიწერეთ! იმოგზაურეთ!

ა) გამოთქვით მოსაზრება:

- რა საერთო აქვთ ცხრილში მოცემულ ზმნებს?
- რით განსხვავდება ერთმანეთისგან ცხრილში მოცემული ზმნები?

ბ) მიუწერეთ წინადადებებს, დასრულებული მოქმედებაა თუ რჩევის მიცემა:

1. მახსოვს, რომ თქვენ შარშან იმოგზაურეთ საბერძნეთში.
   (.....).

2. ორი თვის შემდეგ ავიაბილეთები გაიაფდება. მაშინ შეიძინეთ!
   (.....).

3. ინტერნეტით რომ გამოიწერეთ ბილეთი, უკვე აიღეთ კომპანიაში?
   (.....).

4. აირჩიეთ ტური და იმოგზაურეთ ჩვენთან ერთად!
   (.....).

5. მომავალ წელს გამონახეთ დრო და იმოგზაურეთ მაროკოში!
   (.....).

6. კარგად რომ ისწავლოთ ენა, ხშირად ილაპარაკეთ ქართულად!
   (.....).

7. ინტერნეტით გამოიწერე ბილეთი, თუ ადგილზე იყიდე?
   (.....).

8. მადლობელი ვარ, რომ აირჩიეთ ჩვენი კომპანია.
   (.....).

გ) შეადგინეთ მსგავსი წინადადებები და მიუწერეთ, რომელი გამოხატავს დასრულებულ მოქმედებას და რომელი- რჩევის მიცემას:

- .....;
- .....;

- .....;
- .....;
- .....;
- .....;
- .....;
- .....;
- .....;
- .....;

18. ა) შეავსეთ ცხრილი მოცემული სიტყვებით:

თბილისი-მიუნჰენი	04.30	მარტი	350 $	„იბერია ეარლაინი“	08.45

კატეგორია	ინფორმაცია
ავიაკომპანია	
მიმართულება	
თვე	
ბილეთის ღირებულება	
გაფრენის დრო	
ჩაფრენის დრო	

ბ) დააკავშირეთ ერთმანეთთან შეკითხვა და პასუხი. გაითამაშეთ დიალოგი წყვილში:

1. რომელ თვეში მიფრინავ?	ა) დილის ხუთის ნახევარზე
2. რომელ საათზე ჩაფრინდება?	ბ) სამას ორმოცდაათი დოლარი
3. რა ღირს ბილეთი?	გ) მიუნჰენში
4. რომელი ავიაკომპანიით მიფრინავ?	დ) დილით, ცხრას რომ აკლია თხუთმეტი
5. რომელ საათზე მიფრინავ?	ე) მარტში
6. სად მიფრინავ?	ვ) „იბერია ეარლაინით“

გრამატიკა

19. **დააჯგუფეთ ტექსტში „მე მიყვარს მოგზაურობა“ და მე-12 დავალების დიალოგში მოცემული ზმნები მწკრივის მიხედვით:**

წყვეტილი	მე-2 კავშირებითი

20. დააკვირდით ცხრილს და შეასრულეთ სავარჯიშოები:

საწყისი ფორმა	წყვეტილი	მე-2 კავშირებითი	
		შესაძლებლობა	მცდელობა
ნახვა	მე ვნახე ჩვენ ვნახეთ	მე შემიძლია ვნახო	მე ვცდილობ დავისვენო
	შენ ნახე თქვენ ნახეთ	შენ შეგიძლია ნახო	შენ ცდილობ დაისვენო
	მან ნახა მათ ნახეს	მას შეუძლია ნახოს	ის ცდილობს დაისვენოს
დასვენება	მე დავისვენე ჩვენ დავისვენეთ შენ დაისვენე თქვენ დაისვენეთ მან დაისვენა მათ დაისვენეს	ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ მათ შეუძლიათ ნახონ	ჩვენ ვცდილობთ დავისვენოთ თქვენ ცდილობთ დაისვენოთ ისინი ცდილობენ დაისვენონ

ჩასვით ზმნა სწორი ფორმით:

გამოვნახოთ/გამონახოთ/გამონახოს/გამონახონ/გამონახო

1. ჩვენ შეგვიძლია ..... დრო მოგზაურობისთვის.
2. თქვენ შეგიძლიათ ..... დრო მოგზაურობისთვის.
3. მათ შეუძლიათ ..... დრო მოგზაურობისთვის.
4. მას შეუძლია ..... დრო მოგზაურობისთვის.
5. შენ შეგიძლია ..... დრო მოგზაურობისთვის

შევიძინოთ/შეიძინოს/შევიძინო/შეიძინო/შეიძინონ

1. შენ შეგიძლია ..... მატარებლის ბილეთი.
2. მას შეუძლია ..... მატარებლის ბილეთი.
3. მე შემიძლია ..... მატარებლის ბილეთი.
4. ჩვენ შეგვიძლია ..... მატარებლის ბილეთი.

5. მათ შეუძლიათ ..... მატარებლის ბილეთი.

აღვიდგინოთ/აღვიდგინო/აღიდგინონ/აღიდგინოს/აღიდგინოთ

1. ის ცდილობს ..... ძალები მომავალი სამუშაო წლისთვის.
2. ჩვენ ვცდილობთ ..... ძალები მომავალი სამუშაო წლისთვის.
3. ისინი ცდილობენ ..... ძალები მომავალი სამუშაო წლისთვის.
4. თქვენ ცდილობთ ..... ძალები მომავალი სამუშაო წლისთვის.
5. მე ვცდილობ ..... ძალები მომავალი სამუშაო წლისთვის.

21. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვა შესაბამისი ფორმით:

ა)

1. მე შემიძლია ..... სუვენირები. (ყიდვა)
2. თქვენ შეგიძლიათ ..... მუზეუმები. (დათვალიერება)
3. მას შეუძლია ..... ახალი მეგობრები. (შეძენა)
4. მათ შეუძლიათ ..... ზღვაზე. (გართობა)
5. ჩვენ შეგვიძლია ..... ორი კვირით. (დასვენება)

ბ)

1. მე ..... ვისწავლო ქართული ენა. (მცდელობა)
2. ისინი ..... აღიდგინონ ძალები მთაში დასვენებით. (მცდელობა)
3. ის ..... დაიძინოს მგზავრობის შემდეგ. (მცდელობა)
4. ჩვენ ..... გამოვნახოთ დრო დასვენებისთვის. (მცდელობა)
5. შენ ..... მუზეუმში ილაპარაკო ინგლისურად. (მცდელობა)

22. გადაიყვანეთ წინადადება წყვეტილიდან მე-2 კავშირებითში:

ნიმუში: *შენ იყიდე წიგნი. შენ შეგიძლია იყიდო წიგნი.*

1. მან დაათვალიერა იტალია. მას შეუძლია ..... იტალია.
2. შენ წაიკითხე მენიუ. თქვენ შეგიძლიათ შეკვეთის წინ ..... მენიუ.
3. თქვენ იმოგზაურეთ ფეხით. თქვენ შეგიძლიათ ..... ფეხით.
4. მე გავისეირნე ბულვარში. მე შემიძლია ..... ბულვარში.
5. ის უკვე ლაპარაკობს თურქულად. მას უკვე შეუძლია ..... თურქულად.
6. თქვენ გაიგეთ, სად იყიდება ზურგჩანთა. თქვენ ცდილობთ, ... სად იყიდება ზურგჩანთა.
7. მე ვისწავლე ესპანური ენა. მე ვცდილობ ..... ესპანური ენა.
8. მან აიღო შვებულება. ის ცდილობს ..... შვებულება.
9. მათ დაისვენეს ვარჯიშის შემდეგ. ისინი ცდილობენ ..... ვარჯიშის შემდეგ.
10. ჩვენ მოვძებნეთ სასურველი სასტუმრო. ჩვენ ვცდილობთ ..... სასურველი სასტუმრო.

23. შეავსეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით:

გასინჯო, წახვიდე, იყიდო, ნახო, გაიგო, აიღო, ისაუზმო, ისწავლო, ესტუმრო, გაერთო, გაისეირნო, გაიცნო

1. თბილისში შეიძლება ..... ძველი აივნიანი სახლები.
2. ბათუმში შეიძლება ..... ბულვარში.
3. იტალიურ პიცერიაში შეიძლება ..... პიცა.
4. სუვენირების მაღაზიაში შეიძლება ..... სუვენირები.
5. საინფორმაციო ცენტრებში შეიძლება ..... ტურისტული მარშრუტების შესახებ ინფორმაცია.

6. უცხო ქვეყანაში შეიძლება ..... ადგილობრივი მოსახლეობა და მათი კულტურა.

7. სტეფანწმინდაში შეიძლება ..... ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

8. ამ ჯგუფში შეიძლება კარგად ..... იტალიური ენა.

9. პარიზის კაფეებში შეიძლება გემრიელად ..... ყავითა და კრუასანით.

10. აგვისტოში შეიძლება ..... შვებულება.

11. ღამის ქალაქში შეიძლება ..... კლუბებში.

12. ზამთარშიც და ზაფხულშიც შეიძლება ..... სვანეთში.

კავშირი	ფუნქცია	მაგალითი
და	აკავშირებს ერთმანეთთან ორ წინადადებას ან სიტყვას.	ლია და მაია ერთად დადიან ხატვაზე.
თუმცა	გამოხატავს საპირისპირო მოსაზრებას ან მოქმედებას.	დღეს დაბადების დღეზე მივდივარ, **თუმცა** ხასიათზე არ ვარ.
ამიტომ	გამოხატავს წინადადებაში გადმოცემული მოქმედების შედეგს.	გუშინ ციოდა. **ამიტომ** გავცივდი.
რადგან	გამოიყენება ისეთი წინადადების დასაკავშირებლად, რომელშიც გამოხატულია მეორე წინადადებაში გადმოცემული მოქმედების მიზეზი.	წერილს ვერ ვწერდი, **რადგან** თვალები მტკიოდა.
როცა	გამოიყენება ისეთი წინადადების დასაკავშირებლად, რომელშიც გამოხატულია მეორე წინადადებაში გადმოცემული მოქმედების დრო.	**როცა** მცალია, ყოველთვის მივდივარ თეატრში.

24. ჩასვით წინადადებებში შესაბამისი კავშირი:

როცა	თუმცა	და	ამიტომ	რადგან

1. ლიას ძალიან უყვარს მოგზაურობა, ... მას აინტერესებს ახალი ადგილების გაცნობა.
2. ნატა ..... მოგზაურობს, ყოველთვის ბევრ ფოტოსა და ვიდეოს იღებს.
3. ძალიან მომენატრა სვანეთი, ... წელსაც ვერ მივდივარ იქ.
4. ნიკას ზღვაზე მიაქვს ფოტოაპარატი ..... ზურგჩანთა.
5. უცხოელ ტურისტებს ძალიან მოსწონთ გუდაური. ..... ზამთრის სეზონზე გუდაური სავსეა ტურისტებით.
6. შოთას ძალიან უყვარს ტყე. ..... ის ხშირად დადის ტყეში.
7. მე ძალიან მომწონს სეირნობა ბულვარში, ... წვიმს.
8. სიცილია ..... სარდინია იტალიის პოპულარული ტურისტული მარშრუტებია.
9. ბაკურიანი და გუდაური საქართველოს ზამთრის კურორტებია, ... წელიწადის ამ დროს იქ ყოველთვის დიდი თოვლია.
10. მე მიყვარს ზღვა, ... ცურვა არ ვიცი.

25. მოცემული კავშირების დახმარებით შეადგინეთ წინადადებები:
და თუმცა როცა ამიტომ რადგან

.....

.....

.....

.....

.....

26. გაეცანით ქვემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებებს. ისაუბრეთ, რომელ მოსაზრებას ეთანხმებით და რომელს - არა? რატომ?



ა) მოგზაურობა ისეთი გამოცდილებაა, რომელსაც სახლში ვერასოდეს შეიძენ.
ბ) მოგზაურობით გაიგებთ უფრო მეტს, ვიდრე ნებისმიერი წიგნით.
გ) ყველაზე კარგია ისეთი მოგზაურობა, რომელსაც სავსე საფულე არ სჭირდება.

საჭირო ფრაზები

მე ვეთანხმები მოსაზრებას: ....., რადგან ....
მე არ ვეთანხმები მოსაზრებას ....., რადგან ....
მე ვფიქრობ, რომ .....
საინტერესო მოსაზრება
საინტერესო აზრი

27. ისაუბრეთ თქვენი მოგზაურობის შესახებ. გაითამაშეთ დიალოგი წყვილებში:

საჭირო ფრაზები

მე ბოლოს ვიმოგზაურე ..... ში/ .....თან ერთად
მე ვნახე/დავათვალიერე იქ ..... .
მე გავიგე ახალი ამ ქვეყნის/ქალაქის/ღირსშესანიშნაობის შესახებ ის, რომ .....
მე გავიცანი იქ .....
მე შევიძინე .....

- როდის იმოგზაურე ბოლოს?
- სად და ვისთან ერთად იმოგზაურე?
- რა ღირსშესანიშნაობები დაათვალიერე?
- რა გაიგე მეტი ამ ქვეყნის/ქალაქის შესახებ?
- ხომ არ შეიძინე ახალი მეგობრები?

წერა

28. შეავსეთ ტექსტი:

მე მიყვარს მოგზაურობა იმიტომ, რომ ..... (მიზეზი). განსაკუთრებით, მიყვარს მოგზაურობა ..... (ტრანსპორტი/ფეხით), რადგან ..... (მიზეზი). ყოველთვის, როცა ვმოგზაურობ, თან მიმაქვს ....., ... და ..... (სამოგზაურო ნივთები). უცხო ქვეყანასა თუ ქალაქში მე ვსინჯავ ..... (რაიმე კერძი), ვათვალიერებ ..... (რაიმე სანახავი ადგილი ან შენობა), მთელი დღე ვსეირნობ ..... (რაიმე ღირსშესანიშნავი ადგილი). ძალიან მსიამოვნებს ზაფხულში ..... (სასურველი გართობა). მე ვეთანხმები აზრს, რომ ..... .

(დავალება №28-ში მოცემული ერთ-ერთი მოსაზრება).

29. მისწერეთ წერილი თქვენს უცხოელ მეგობარს. აუხსენით, რა შეიძლება გააკეთოს საქართველოში მოგზაურობის დროს ტურისტმა. გამოიყენეთ შესწავლილი საჭირო ფრაზები და სიტყვები:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

11 ფოსტაში გზავნილია - ამანათი და წერილი

ლექსიკა: საფოსტო მომსახურება და მასთან დაკავშირებული ლექსიკა.

გრამატიკული საკითხი: ზმნისწინი (მიმართულება და ორიენტაცია) რიცხვითი სახელი მსაზღვრელად, რიცხვითი სახელი და ზმნა; გამორიცხვა - გარდა თანდებული;

ზმნები: მიდის - მოდის, მიაქვს - მოაქვს, შეიტანა - შემოიტანა, წაიღო - წამოიღო, მისწერა - მოსწერა, გაგზავნა - გამოაგზავნა; აგზავნის, უგზავნის, იგზავნება.

1. დააკვირდით და შემოხაზეთ სწორი პასუხი:



ამანათი - შეფუთული ნივთი, რომელიც იგზავნება ფოსტით.

ა. ფოტოზე ჩანს სიტუაცია სუპერმარკეტში;
ბ. ფოტოზე ჩანს სიტუაცია საავადმყოფოში;
გ. ფოტოზე ჩანს სიტუაცია ფოსტაში, ამანათის მიღება.

2. ფოტოებს მიუწერეთ შესაბამისი დასახელებები:

კონვერტი, გზავნილი, საქართველოს ფოსტა, ფოსტის კურიერი, წერილი
გლობალ ფოსტა







1. ..... 2. ..... 3. .....







4. ..... 5. ..... 6. .....

3. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. მიგიღიათ ან გაგიგზავნიათ ფოსტით ამანათი?
2. რომელი საფოსტო კომპანიით სარგებლობთ?
3. მიგიღიათ ან გაგიგზავნიათ წერილი?
4. თუ გაგიგზავნიათ, სად და ვისთან?
5. წერილის მიწერის რომელ ფორმას იყენებთ უფრო ხშირად?

ა) ელექტრონულ ფოსტას
ბ) ტელეფონით მიმოწერას
გ) საფოსტო წერილს

ლექსიკა

4. მოუსმინეთ სარეკლამო ვიდეოს და შეასრულეთ დავალებები:

საძიებო სიტყვა: გააგზავნე ამანათი იტალიაში

ორი ევროდან / ორ ევროზე მეტი



ა. შემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. რომელი კომპანიის სარეკლამო განცხადებაა?
ა) ექსპრეს ფოსტის;
ბ) საქართველოს ფოსტის;
გ) გლობალ ფოსტის.

2. კომპანია რომელ ქვეყანაში აგზავნის ამანათს?
ა) იტალიაში;
ბ) თურქეთში;
გ) გერმანიაში.

3. რა ღირს 1 კგ. ამანათის გაგზავნა?
ა) ორი ევრო;
ბ) ორ ევროზე ნაკლები;
გ) ორ ევროზე მეტი.

ბ. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ვიდეოს და წინადადებებში ჩაწერეთ გამოტოვებული ზმნები:

1. ..... ამანათი იტალიაში.

2. ყოველთვის შეგიძლია ..... სითბო და ..... განსაკუთრებული ამანათი საყვარელ ადამიანებს.

დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!

გაგზავნა (აქედან იქ) - ჩემგან სხვასთან
მე გავაგზავნე ამანათი დედასთან.

გავაგზავნე მე ის	გავაგზავნეთ ჩვენ ის
გააგზავნე შენ ის	გააგზავნეთ თქვენ ის
გააგზავნა მან ის	გააგზავნეს მათ ის

გამოგზავნა (იქიდან აქ) - სხვისგან ჩემთან
დედამ გამომიგზავნა მე ამანათი.

გამომიგზავნა მან მე ის	გამოგვიგზავნა მან ჩვენ ის
გამოგიგზავნა მან შენ ის	გამოგიგზავნათ მან თქვენ ის
გამოუგზავნა მან მას ის	გამოუგზავნათ მან მათ ის

გზავნილი - რაც იგზავნება (ფული, ამანათი და სხვა).

5. შემოხაზეთ სავარაუდო პასუხი:

1. პირადობა არის .....

ა) პირადი წერილი
ბ) ვინაობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი
გ) ავტობიოგრაფია

2. თქვენს სახელზე გზავნილია, ნიშნავს .....

ა) თქვენ გააგზავნეთ გზავნილი.
ბ) თქვენ არ გაქვთ გზავნილი.
გ) თქვენ გამოგიგზავნეს გზავნილი.

6. დააკავშირეთ ერთმანეთთან სინონიმური ფრაზები:

რით შემიძლია გემსახუროთ?	მოგიტანთ
მოგართმევთ	აიღეთ
ინებეთ	რა გნებავთ?

7. წაიკითხეთ დიალოგები და შეასრულეთ სავარჯიშოები:



ა.

- გამარჯობა, ნინო!
- გაგიმარჯოს, ლუკა, როგორ ხარ?
- კარგად, შენ როგორ ხარ?
- მეც კარგად. საიდან მოდიხარ?
- ფოსტაში ვიყავი, ამანათი გავაგზავნე დედასთან, გერმანიაში.
- მართლა?! მეც ფოსტაში მივდივარ, ჩემი ორი მეგობარი ცხოვრობს საფრანგეთში, ერთ-ერთმა ამანათი გამომიგზავნა და უნდა ავიღო.
- ვაა, ფრანგული საჩუქრები კარგია!
- ჰო... დიდი რიგია? დრო ნახევარი საათი მაქვს, შემდეგ სამსახურში უნდა
- ვიყო.
- არა, არ არის ხალხი, მალე აიღებ გზავნილს.
- კარგად, ლუკა, გამიხარდა შენი ნახვა.
- კარგად. მეც გამიხარდა. ნახვამდის!
- ნახვამდის!

დაასრულეთ წინადადება:

1. ნინოს ----------
ა) ამანათი გამოუგზავნა მეგობარმა.
ბ) ამანათის გაგზავნა უნდა მეგობართან.
გ) წერილის გაგზავნა უნდა მეგობართან.

2. ლუკამ ----------
ა) ამანათი გამოუგზავნა დედამ.
ბ) ამანათი გაუგზავნა დედას.
გ) ამანათი გააგზავნა მეგობართან.



ბ.

- გამარჯობა!
- მოგესალმებით, რით შემიძლია გემსახუროთ?
- ჩემს სახელზე გზავნილია საფრანგეთიდან.
- კეთილი, რომელი ტიპის გზავნილია: ფული თუ ამანათი?
- ზუსტად არ ვიცი, ალბათ, ამანათი.
- კარგი, შევამოწმოთ. მომაწოდეთ თქვენი პირადობის მოწმობა!
- ინებეთ!
- დიახ, თქვენს სახელზე არის ამანათი. დამელოდეთ და მალე მოგართმევთ! აი, ინებეთ!
- მადლობა!
- ნახვამდის!
- ნახვამდის!

დააკავშირეთ ერთმანეთთან:

გავაგზავნე	თქვენი გზავნილი
აიღებ	ამანათი
ინებეთ	გზავნილს
ჩემს სახელზე	პირადობის მოწმობა
მომაწოდეთ	ამანათი
რით შემიძლია	გზავნილია
გამომიგზავნა	გემსახუროთ?

კითხვა

8. წაიკითხეთ საინფორმაციო ტექსტები და შეავსეთ ცხრილი:

ახორციელებს / ასრულებს

დაფუძნდა / დაარსდა

ტექსტი 1:

საქართველოს ფოსტა: სახელმწიფო საფოსტო ოპერატორი
დაფუძნდა: 1995 წელს
სათავო ოფისი: თბილისი
პროდუქცია: უნივერსალური საფოსტო მომსახურება
მფლობელი: საქართველოს სახელმწიფო
თანამშრომელი: 3 000
საიტი: http://www.gpost.ge

ტექსტი 2:

საქართველოს ფოსტა

მსოფლიოში პოპულარულია გზავნილები. ბევრი ადამიანი იყენებს საფოსტო მომსახურებას და აგზავნის ფულს, ამანათებს და სხვა. საქართველოში მრავალი კომპანიაა, რომლებითაც შესაძლებელია გზავნილების მიღება და გაგზავნა. საქართველოს ფოსტა არის ერთ-ერთი საფოსტო ოპერატორი, რომელიც ახორციელებს უნივერსალურ საფოსტო მომსახურებას, კერძოდ:

- საფოსტო გზავნილების მიღებას, გაგზავნას და მიტანას ადრესატამდე ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ;
- ფულადი გზავნილების გაგზავნას ქვეყნის შიგნით და რამდენიმე ქვეყნის მიმართულებით;
- სატელეგრაფო მომსახურებას ქვეყნის შიგნით;
- კომუნალური გადასახადების სწრაფ გადახდას.

ქვეყნის მასშტაბით საქართველოს ფოსტის 80-ზე მეტი სერვისცენტრია. სერვისცენტრები მუშაობენ ყოველდღე, გარდა კვირისა.

დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!

კვირის გარდა/გარდა კვირისა, ანუ კვირას არ მუშაობს.
კლასში ყველა მოსწავლეა, გიორგის გარდა/გარდა გიორგისა, ანუ გიორგი არ არის.

9. ცხრილში მონიშნეთ ინფორმაცია სწორია (+) თუ არასწორი (-):

№		+ / -
1.	საქართველოს ფოსტა არის სახელმწიფო საფოსტო ოპერატორი.	+
2.	საქართველოს ფოსტა ერთადერთი საფოსტო კომპანიაა.	
3.	საქართველოს ფოსტით ამანათის მხოლოდ გაგზავნაა შესაძლებელი.	
4.	საქართველოს ფოსტით შესაძლებელია კომუნალური გადასახადების გადახდა.	
5.	საქართველოს ფოსტით იგზავნება ფული სხვადასხვა ქვეყანაში.	
6.	საქართველოს ფოსტაში დასაქმებულია რამდენიმე ათასი ადამიანი.	

7.	საქართველოს ფოსტის სერვისცენტრები მუშაობენ ყოველდღე.	
8.	ჩვენს ქვეყანაში 80-ზე ნაკლებია საქართველოს ფოსტის სერვისცენტრი.	
9	საქართველოს ფოსტის სერვისცენტრები კვირის გარდა ყოველდღე მუშაობენ.	
10.	საფოსტო გზავნილები პოპულარულია მსოფლიოში.	

10. წაიკითხეთ წინადადებები და აღნიშნეთ, რომელ ტექსტში არის ეს ინფორმაცია: ტექსტი 1/ ტექსტი 2:

1.	საქართველოს ფოსტა სახელმწიფო საფოსტო ოპერატორია.	ტექსტი 1
2.	კომპანია დაარსდა 1995 წელს.	
3.	მითითებული საფოსტო ოპერატორი ახორციელებს უნივერსალურ საფოსტო მომსახურებას.	
4.	საქართველოს ფოსტით შესაძლებელია ფულის გაგზავნა და მიღება ქვეყნის შიგნითაც და სხვადასხვა ქვეყანაშიც.	
5.	კომპანიაში დასაქმებულია 3 000 ადამიანი.	
6.	საქართველოს ფოსტას აქვს 80-ზე მეტი სერვისცენტრი.	
7.	საქართველოს ფოსტის სერვისცენტრები მუშაობენ ყოველდღე, გარდა კვირისა.	
8.	საქართველოს ფოსტით შესაძლებელია კომუნალური გადასახადების გადახდა.	

		
წებოვანი ლენტი	თაფლი	ძვირფასი ნივთები

11. წაიკითხეთ დიალოგი და შეასრულეთ სავარჯიშო:

- ალო, გისმენ, ევა!
- საღამო მშვიდობისა, ანა!
- საღამო მშვიდობისა!
- როგორ ხარ?
- კარგად. შენ როგორ ხარ?
- მეც კარგად ვარ. ანა, შენი დახმარება მინდა!
- გისმენ!
- ანა, ჩემს უცხოელ მეგობარს მინდა გავუგზავნო ამანათი. შენ ხომ საქართველოს ფოსტაში მუშაობ და მაინტერესებს, როგორ გავაგზავნო?
- ჯერ უნდა შეარჩიო გასაგზავნი ნივთები, შეფუთო უსაფრთხოდ, რომ არ დაზიანდეს ტრანსპორტირების დროს. შეგიძლია სახლში გამოიძახო კურიერი ან შენ თვითონ მიხვიდე ფოსტაში. გზავნილს ჩადებენ ყუთში და კომპანია გაუკეთებს წებოვან ლენტას. ამანათს გაგზავნამდე ათვალიერებენ სკანერით. ევა, ამანათის გასაგზავნად თან უნდა გქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სავალდებულოა გამგზავნისა და ადრესატის მისამართისა და ტელეფონის ნომრის მითითება.
- ღვინის და თაფლის გაგზავნა შემიძლია?
- კი, მაგრამ შუშის ბოთლით- არა. თანაც ღვინო არაგაზირებული უნდა იყოს და მაქსიმუმ – 5 ლიტრი, ხოლო თაფლი – მხოლოდ ნახევარი ლიტრი.
- რისი გაგზავნა არ შეიძლება?
- თამბაქო, ნარკოტიკები, ხორცი, ძვირფასი ნივთები. ასევე, პროდუქტის რაოდენობა არის შეზღუდული.
- მადლობა, ანა. მე კახური ჩურჩხელები, ჩემი სახლის ღვინო, თაფლი და წიწდები უნდა გავაგზავნო. რაოდენობას გავითვალისწინებ.
- რისი მადლობა?!
- კარგად, ანა!
- ნახვამდის, ევა!

12. დიალოგში მოცემული ინფორმაციის მიხედვით დანომრეთ მოქმედებები თანმიმდევრობით:

ა) .....ამანათის შეფუთვა.

ბ) ..... ამანათის შემოწმება.

გ) ..... გასაგზავნი ნივთების შერჩევა.

დ) ..... გამგზავნის და ადრესატის მისამართის მითითება.

ე) ..... კურიერის გამოძახება ან ფოსტაში ვიზიტი.

ვ) ..... ამანათის ყუთში მოთავსება.

ზ) ..... ამანათის გაგზავნა.

გრამატიკა

13. გამოიყენეთ ზემოთ მოცემული სქემა, დაუკვირდით ნიმუშს და ჩასვით ზმნები წინადადებებში:

ქართულ ენაში ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქციაა აჩვენოს მიმართულება:		
ჩემგან იქით		
	მიდის მიაქვს შეიტანა წაიღო მისწერა გააგზავნა	

იქიდან ჩემკენ		
	მოდის მოაქვს შემოიტანა წამოიღო მოსწერა გამოაგზავნა	

ნიმუში: *ლუკა 6 საათზე მიდის პარკში. ლუკა 6 საათზე მოდის პარკიდან.*

1. ა) შოთამ ბიძაშვილს ჰოლანდიაში ამანათი გაუგზავნა.
   ბ) ლიკას მაიკლმა ..... ეს ქურთუკი ბულგარეთიდან.

2. ა) ხვალ დედა და ნიკო მიდიან აფთიაქში.
   ბ) ომარი და ლეილა ახლა ..... აფთიაქიდან.

3. ა) ფოსტის კურიერმა დათოს გზავნილი წამოუღო.
   ბ) ლუსინემ არტურს დაბადების დღეზე ტორტი ..... .

4. ა) ალიმ ორშაბათს შეიტანა კრედიტის თანხა ბანკში.
   ბ) ბებომ სახლიდან ხილი ..... და სახილეზე დააწყო.

5. ა) დედამ ჩურჩხელა გამოაგზავნა სოფლიდან.
   ბ) გურამმა ჯულიანას წიგნი ..... ქართული ენის შესასწავლად.

წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ!

- ქართულ ენაში მსაზღვრელად შეიძლება იყოს რიცხვითი სახელი: სამი, ასი, მილიონი... ბევრი, მრავალი, რამდენიმე, ურიცხვი, უთვალავი ...
- ბევრი, მრავალი, რამდენიმე, ურიცხვი, უთვალავი - აღნიშნავს ერთზე მეტ რაოდენობას.
- ასეთ რიცხვით სახელს საზღვრული წევრი და ზმნა მხოლობით რიცხვში შეეწყობა.

მაგ.: სამი კაცი მღერის. კაცები მღერიან.
ოცი ლარი მაქვს. ლარები მაქვს.
ბევრი ადამიანი იდგა. ადამიანები იდგნენ.

14. წინადადებებში სიტყვების დაბოლოება შეარჩიეთ სწორად:

1. გზაზე ორი კაცი მოდიოდა.
2. წელს პირველ კლასში ოცი მოსწავლ..... ჩაირიცხ..... .
3. რენატმა უამრავი ტყუილ..... თქვ..... .
4. სოფელში ათამდე ახალი სახლ..... აშენდ..... .
5. ახლა სკოლის ეზოში უამრავი ბავშვ..... თამაშობ..... .
6. შაბათ-კვირას ბევრი მეგობარ..... მსტუმრობ..... .
7. ხეზე ურიცხვი ჩიტ..... ჭიკჭიკებ..... .
8. რამდენიმე გოგო..... და ბიჭ..... უნივერსიტეტში შევიდ..... .
9. მაღაზიაში უამრავი წიგნ..... არი..... ფასდაკლებით.
10. ცაზე უთვალავი ვარსკვლავ..... ანათებ..... .

15. შეარჩიეთ სწორი ფორმა და გადაწერეთ წინადადებები:

1. ორივე (ძმა/ძმები) სოფელში ცხოვრობდა.

.....

2. ამ ზაფხულს ბევრი (ფილმი/ფილმები) ვნახე.

.....

3. დღეს ბანკში ვიყავი და უამრავი(საქმე/საქმეები) მოვაგვარე.

.....

4. დღეს შვიდი (გაკვეთილი/გაკვეთილები) გვქონდა.

.....

5. გუშინ სამი (ამანათი/ამანათები) გავგზავნე.

.....

16. წინადადებებში ჩასვით ზმნის სწორი ფორმა:

საწყისი	აწმყო ახლანდელი დრო	მყოფადი მომავალი დრო	წყვეტილი წარსული დრო	II კავშირებითი მომავალი დრო
გაგზავნა	იგზავნება (ის) აგზავნის (ის მას) უგზავნის (ის მას მას)	გაიგზავნება (ის) გააგზავნის (ის მას) გაუგზავნის (ის მას მას)	გაიგზავნა (ის) გააგზავნა (მან ის) გაუგზავნა (მან მას ის)	უნდა გაიგზავნოს (ის) უნდა გააგზავნოს (მან ის) უნდა გაუგზავნოს (მან მას ის)

1. ამანათი .....იგზავნება..... (<u>იგზავნება</u>/აგზავნის) შეფუთული.
2. რებეკა მარიამს ..... (გაიგზავნა/გაუგზავნის) საჩუქარს.
3. გზავნილი ..... (უნდა გაიგზავნოს/ აგზავნის) ინსტრუქციის მიხედვით.
4. ანამ თაფლი და ჩურჩხელა ..... (გაუგზავნა/გაუგზავნის) სოფიას.
5. თქვენი ამანათი სომხეთში ..... (გაუგზავნა/გაიგზავნება) ხუთშაბათს.
6. დათომ დედასთან ფული ფოსტით ..... (გაუგზავნის/უნდა გააგზავნოს).
7. რაულმა ფოსტით წიგნი ..... (გააგზავნა/გააგზავნის).
8. ლეილა 2 ლიტრ ღვინოს ..... (გააგზავნა/გააგზავნის).
9. სოფელში ..... (უნდა გავაგზავნო/ვაგზავნი) საჩუქრები ფოსტით.
10. ევა წერილს ბებიასთან ..... (აგზავნის/გააგზავნა).

17. წაიკითხეთ განმარტებები და დაუკავშირეთ ფოტოებს:

წერილი - დაწერილი ან დაბეჭდილი ტექსტი, რომელსაც ვინმეს უგზავნიან. წერილი შეიძლება იყოს პირადი, ოფიციალური, მადლობის და სხვა.

პირადი წერილი - წერილის ტიპი, რომელსაც ერთი ადამიანი უგზავნის მეორეს.

საინფორმაციო წერილი - წერილი, რომლის ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციის გადაცემა.

მადლობის წერილი - წერილი, რომელშიც ავტორი მადლიერებას გამოხატავს ადრესატის მიმართ.



.....



.....



.....

18. დაუსვით შეკითხვები ერთმანეთს წყვილებში:

1. მიგიწერიათ წერილი ვინმესთვის?
2. ვისთვის მიგიწერიათ წერილი?
3. რომელი ტიპის წერილი მიგიწერიათ?
4. ახლა უფრო ხშირად მიმოწერის რომელ ფორმას იყენებენ ადამიანები? რატომ?
5. თქვენ მიმოწერის რომელ ფორმას იყენებთ (ფოსტას, ტელეფონს, ელექტრონულ ფოსტას თუ სხვას)?

19. ისაუბრეთ, ამანათის გაგზავნის დროს რას გააკეთებთ? (გამოიყენეთ სავარჯიშო N11).

ფრაზები:

გამოვიძახებ კურიერს;
შევფუთავ გზავნილს;
მივალ საფოსტო კომპანიაში;
გავაგზავნი ...
არ შეიძლება და ვერ ვაგზავნი ...

წერა

20. გაეცანით პირადი (ა) და საინფორმაციო (ბ) წერილების ნიმუშებს და სტრუქტურას:

(1) მოგესალმებით,

(2) გაცნობებთ, რომ 2023 წლის 11 იანვარს გაიმართება მასწავლებელთა კონფერენცია თემაზე ,,მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ქართული ენის გაკვეთილებზე“. რეგისტრაცია შესაძლებელია 2022 წლის 10 დეკემბრიდან ბმულზე: http://teec.ge/teachers/index.php

პატივისცემით,
(3) სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
(4) მისამართი: საქართველო, თბილისი 0186, სანდრო ეულის 5, მე-7 სართული
(5) +995 (32) 2 200220

(1) ჩემო დემეტრე!

(2) გენაცვალოს პაპა, როგორ ხარ? ძალიან მენატრები! უკვე ერთი თვეა წასული ხარ და უშენოდ ყველამ მოვიწყინეთ: ბებიამ, ფისომ, მურამ. ახალი წლისთვის ჩამოდი. არდადეგები ხომ გაქვს. თოვლიც იქნება და თოვლის ბაბუა გავაკეთოთ.

ჰო, პატარა ხბოც გვყავს, სახელი შენ შევურჩიე.

(3) ნახვამდის, ჩემო პატარა. გკოცნი ბევრს და გელოდები!

(4) შენი თედო პაპა.
(5) 20 ოქტომბერი

პირადი წერილის სტრუქტურა:	საინფორმაციო წერილის სტრუქტურა:
1. მისალმება/ადრესატის ვინაობა 2. წერილის მთავარი შინაარსი 3. დამშვიდობება 4. ადრესანტის/წერილის ავტორის ვინაობა 5. თარიღი	1. მისალმება 2. ინფორმაცია 3. ადრესანტის ვინაობა 4. ადრესანტის მისამართი 5. ადრესანტის საკონტაქტო ინფორმაცია

21. დააკვირდით პირადი და საინფორმაციო წერილების სტრუქტურას და გამოყენებულ ლექსიკას. წარმოიდგინეთ, რომ წერილით უნდა აუხსნათ სხვას ამანათის გაგზავნის პროცედურები. აირჩიეთ წერილის ფორმა და მისწერეთ შესაბამისი ტექსტი:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: ტურთან დაკავშირებული სიტყვები: მუზეუმი, გალავანი, საფეხმავლო, ქვაფენილი.

გრამატიკული საკითხი: -თან ახლოს, -დან შორს, მოშორებით; მომავალი დროის მოქმედება, მომავალ დროში სასურველი ან სავარაუდო მოქმედება -დავათვალიერებდი, წავიდოდი.

ზმნები: დავათვალიერებ, გავისეირნებ, გავსინჯავ, ვიყიდი, ვიმოგზაურებ, ვისადილებ, დავრჩები, ვიქნები, შევალ; დავათვალიერებდი, გავისეირნებდი, ვიმოგზაურებდი

თემის გახსნისთვის

დისკუსია

1. დააკვირდით სათაურს და სურათს. გამოთქვით ვარაუდი: რის შესახებ შეიძლება იყოს გაკვეთილის ძირითადი თემა? შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

ა) საქართველოში მოგზაურობა; ბ) საქართველოს ისტორია;
გ) საქართველოს ბუნება.



საჭირო ფრაზები

ვიცი ის, რომ საქართველო ..... .
საქართველოში ყველაზე მეტად მომწონს....., განსაკუთრებით ..... .
მინდა მეტი გავიგო .....შესახებ.

2. იმუშავეთ წყვილებში. ისაუბრეთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებზე. დიალოგისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ საჭირო ფრაზები:

- რა იცი საქართველოს შესახებ?
- რა მოგწონს ყველაზე მეტად საქართველოში- ხალხი, ბუნება, ისტორიული ძეგლები, სამზარეულო, ტრადიციები? რატომ?
- რისი გაგება გინდა კიდევ მეტად საქართველოს შესახებ?

3. შეამოწმეთ თქვენი ცოდნა: როგორ იცნობთ საქართველოს?

ა) მოცემული სიტყვებით შეავსე ცხრილი:

ნარიყალა, მთიულური, ლაღიძის წყლები, კუბდარი, ჩოხა სიღნაღი, მრავალჟამიერ, თუშეთი, თბილისობა

კატეგორია	დასახელება
ქალაქი	
ისტორიული მხარე	
ისტორიული ნაგებობა	
დღესასწაული	
ნაციონალური ტანსაცმელი	
ხალხური სიმღერა	
ქართული ეროვნული ცეკვა	
კერძი	
ცნობილი ადგილობრივი ბრენდი	

ბ) შემოხაზეთ სწორი პასუხი
(შეგიძლიათ ინფორმაცია მოიძიოთ ინტერნეტში):

1. **რომელია საქართველოს სახელმწიფოს ჰიმნი?**
ა) დიდება ბ) ჩემო კარგო ქვეყანა გ) თავისუფლება

2. **რომელია საქართველოს სახელმწიფო დევიზი?**
ა) ძალა ერთობაშია ბ) დიდება საქართველოს გ) გამარჯვება ან სიკვდილი
3. **რომელია ფართობით ყველაზე დიდი ტბა საქართველოში?**

ა) პალიასტომი ბ) ფარავანი გ) ჯანდარა

4. **რომელია საქართველოს უმაღლესი მწვერვალი?**
ა) შხარა ბ) ჩათინი გ) მყინვარწვერი

5. **რომელია საქართველოში ყველაზე გრძელი მდინარე?**
ა) იორი ბ) რიონი გ) ალაზანი

6. **ვინ არის ცნობილი ქართველი კომპოზიტორი?**
ა) ლადო გუდიაშვილი ბ) აკაკი წერეთელი გ) ზაქარია ფალიაშვილი

7. **ვინ არის ცნობილი ქართველი მხატვარი?**
ა) ნიკო ფიროსმანი ბ) მიტროფანე ლაღიძე გ) ნატო ვაჩნაძე



8. **რომელი ქალაქია?**
ა) ბორჯომი ბ) მცხეთა გ) სიღნაღი

9. **რომელი მონასტერია?**
ა) ძველი შუამთა ბ) მოწამეთა გ) გელათი



10. **ვინ იყო ილია ჭავჭავაძე?**
ა) საზოგადო და სასულიერო მოღვაწე. მწერალი და პოეტი.
ბ) საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი. მწერალი და პოეტი.
გ) საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი. მწერალი და კომპოზიტორი.

4. დააკავშირეთ სიტყვასთან განმარტება და ნომერს მიუწერეთ შესაბამისი ასო-ბგერა:

	სიტყვა		განმარტება
1	ჩაიხანა	ა	მუზეუმში ან გამოფენაზე საჩვენებლად გამოფენილი ნივთი
2	ნარდი	ბ	მუსლიმური სასულიერო სასწავლებელი
3	მედრესე	გ	რაიმე ადგილის საერთო პეიზაჟი, პანორამა
4	სასახლე	დ	სამაგიდო თამაში
5	გალავანი	ე	ქვებით გაკეთებული გზა
6	ექსპონატი	ვ	ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული გზა ტყეში, მთაში.
7	ბილიკი	ზ	ჩაის სახლი
8	ხედი	თ	ქალაქის ან ციხის ირგვლივ ქვის ან აგურის დამცავი კედელი
9	ქვაფენილი	ი	დიდი საზეიმო დანიშნულების შენობა, სადაც ცხოვრობენ სამეფო და პრეზიდენტის ოჯახები

1. ზ; 2. .....; 3. .....; 4. .....; 5. .....; 6. .....; 7. .....; 8. .....; 9. .....;

5. ჩაწერეთ მოცემული სიტყვები წინადადებებში:

ჩაიხანა, ნარდი, მედრესე, სასახლე, გალავანი, ექსპონატი, ბილიკი, ხედი, ქვაფენილი

1. მთაწმინდიდან თბილისის ულამაზესი ..... ჩანს.
2. ..... ასფალტირებული გზისგან განსხვავდება.
3. ..... შენობაა, სადაც ხალხი იკრიბება და ჩაის სვამს.
4. ეს ვიწრო ..... ტყეში ძველი ეკლესიისკენ მიდის.
5. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ბევრი ისტორიული .....ა.

6. ..... აღმოსავლური თამაშია. მას ორი მოთამაშე თამაშობს.

7. პრეზიდენტის ..... თბილისის ცენტრში, ავლაბარში, მდებარეობს.

8. ..... რელიგიური სასწავლებელია, სადაც ყურანთან ერთად უცხოურ ენებსა და სხვა საგნებსაც სწავლობენ.

6. დააკავშირეთ სიტყვები ისე, რომ მიიღოთ ფრაზები:

სამუზეუმო	სასახლე
საფეხმავლო	მედრესე
სპორტის	ხედი
ციხის	ექსპონატი
კაკლის ხისგან ხელნაკეთი	ჩაიხანა
ქვაფენილიანი	გალავანი
ულამაზესი	ბილიკი
სასადილო	ნარდი
მუსლიმური	ქუჩა

7. მე-6 სავარჯიშოში მიღებული ფრაზებით შეადგინეთ წინადადებები:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. .....

8. .....

8. დააკვირდით ცხრილს და წინადადებებში ჩაწერეთ შესაბამისი სიტყვები (შესაძლოა ზოგიერთ წინადადებაში გამოიყენოთ რამდენიმე ვარიანტი):

ძალიან გახარებული	პოპულარული	ზუსტად იცის	აინტერესებს
აღფრთოვანებული	ცნობილი	დარწმუნებულია	დაინტერესებულია
აღტაცებული	გამორჩეული		
კმაყოფილი	სახელგანთქმული		
ბედნიერი	გავრცელებული		

1. ნია ეგვიპტეში იყო და ის .....ა პირამიდებით.

2. თეა .....ა ენების სწავლით.

3. სვანეთი .....ა მაღალი მთებით და სათხილამურო ტრასებით.

4. მარიამი .....ა, რომ გამოცდებზე მაღალ ქულებს მიიღებს.

5. კაბადოკია .....ა თურქეთის ტურისტულ მარშრუტებს შორის.

6. ლიზი .....ა ქართული სამზარეულოთი.

7. არტურს უნდა გაიგოს მეტი აჭარის შესახებ. ის ..... აჭარაში მოგზაურობით.

8. ლანა .....ა სიღნაღის ხედებით.

9. მცხეთა საქართველოს ქალაქებს შორის .....ა ძველი ეკლესიებითა და ლამაზი ადგილმდებარეობით.

10. ბევრი ტურისტი .....ა ამ ტურით.

9. ისაუბრეთ წყვილებში:

- რატომ არის საქართველო ტურისტული ქვეყანა?
- რომელი რეგიონია, შენი აზრით, ყველაზე პოპულარული ტურისტებისთვის? რატომ?
- როცა ექსკურსიაზე ხარ ან ტურში, რისი გაკეთება გიყვარს ყველაზე მეტად?



ახალციხე. რაბათის ციხე

(1) გამარჯობა! მე ვარ ანდრეი უკრაინიდან. ორი კვირის წინ ვიყავი საქართველოში. ძალიან საინტერესო ქვეყანაა, განსაკუთრებით მომეწონა ახალციხე. მე **აღფრთოვანებული ვარ** ამ ქალაქით და მინდა აქ დავწერო ამის შესახებ. ახალციხე სამხრეთი საქართველოს მთავარი ქალაქია - სამცხე-ჯავახეთის მხარის რეგიონული ცენტრი. ახალციხე მრავალეთნიკურია. იქ ცხოვრობენ ქართველები, სომხები, ებრაელები. ის **ცნობილია** ისტორიული **ციხით**, რომელსაც რაბათის ციხეს უწოდებენ. ციხე-კომპლექსის ტერიტორიაზე არის **გალავანი**, IX-X საუკუნეების ეკლესია, მეჩეთი, მედრესე და ჯაყელების სასახლე. რაბათში დავათვალიერე სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი. ვნახე გამოფენილი ძველი **ექსპონატები**. ციხის ეზოში შევიძინე ახალციხის და რეგიონის ტურისტული მარშრუტების რუკა და გავეცანი ინფორმაციას ღირსშესანიშნაობების შესახებ. ახალციხე საქართველოს ერთადერთი ადგილია, სადაც არის თამარ მეფის ძეგლი.

ახალციხესთან ახლოს ბევრი ძველი და ისტორიული ძეგლია, მაგრამ, პირველ

რიგში, გადავწყვიტე საფარის მონასტერში წასვლა. ის **გამორჩეულია** შესანიშნავი არქიტექტურით და ულამაზესი მდებარეობით. ახალციხიდან **მოშორებით**, 60 კმ-**ში**, არის კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია. იქ შესვლის წინ ვიყიდე ბილეთი და შევედი ეზოში. საოცარი ადგილია. დღესაც აღფრთოვანებული ვარ ვარძიით - მისი კლდის ოთახებით, სამეფო დარბაზებითა და საიდუმლო გვირაბებით. ვარძიის ისტორიული კომპლექსის წინ არის გემოვნებიანად მოწყობილი დასასვენებელი ადგილები, მდინარის პირას კაფე-ბარები, სადაც გემრიელად ვისადილე და გავსინჯე ადგილობრივი კერძი - ბატის ხინკალი. სუვენირების მაღაზიაში შევიძინე სუვენირები და იქვე, ხის კოტეჯში, დავრჩი ღამით. მოკლედ, მე ძალიან **კმაყოფილი ვარ** ამ ტურ**ით**. თუ საქართველოში იქნებით, გირჩევთ, თქვენც ნახოთ სამცხე-ჯავახეთი და გაეცნოთ მის ღირშესანიშნაობებს.



ვარძია- კლდეში ნაკვეთი ქალაქი

(2) მოგესალმებით ყველას. მე ვარ ჯორჯი დიდი ბრიტანეთიდან. ახლა მეც საქართველოში ვარ, მარნეულში, საერთაშორისო კონფერენციაზე. ეს ქალაქი თბილისთან ახლოსაა, სამხრეთით. ტურისტები კარგად არ იცნობენ ამ ქალაქს. თვლიან, რომ აქ არაფერია საინტერესო, რაც შეიძლება ნახო. ეს ასე არ არის. მარნეული საქართველოს სხვა ქალაქების**გან განსხვავებული** ადგილია. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური აზერბაიჯანელია. მე **დაინტერესებული ვარ** განსხვავებული კულტურებით. აქ არის **ჩაიხანები** - ადგილი, სადაც კაცები თავისუფალ დროს ატარებენ: სვამენ სპეციალური წესით მოდუღებულ ჩაის, საუბრობენ სხვადასხვა თემაზე, თამაშობენ ნარდს. მარნეული ცნობილია მრავალფეროვანი ტკბილეულით. მე ძალიან მიყვარს აღმოსავლური ტკბილეული. ამიტომ ხშირად შევდივარ ნამცხვრის სახლებში და ვსინჯავ ჩემს საყვარელ ტკბილეულს. მარნეულში არის ცნობილი დიდი აგრარული ბაზარი. ეს ქალაქის ყველაზე ხმაურიანი ადგილია. ხალხი აქ დადის საყიდლებზე: ყიდულობს ახალ ხორცს, რძის ნაწარმს, ბოსტნეულს.



ჩაიხანა შიგნით



მარნეულის „ჩაის სახლი“

მარნეულის ცენტრში არის ლამაზი შენობა „თი ჰაუსი“, იგივე ჩაის სახლი. აქ არის როგორც საქმიანი, ასევე გასართობი სივრცეები: საკონფერენციო დარბაზები, სასწავლო ოთახები, ასევე რესტორანი. უკვე მესამე დღეა აქ ვარ და ვესწრები საერთაშორისო კონფერენციას. თუ გაინტერესებთ, რამდენიმე დღე გაატაროთ განსხვავებულ კულტურულ გარემოში, აუცილებლად ესტუმრეთ მარნეულს.

(3) გამარჯობა, მე ვარ ელა პოლონეთიდან. საქართველოში შარშან ვიყავი. ოღონდ მარტო თბილისი და ბათუმი ვნახე. სხვა ადგილების ნახვა ვერ მოვასწარი. ძალიან მინდოდა სიღნაღის ნახვა. მის შესახებ ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტში ვნახე და **აღტაცებული ვარ** ამ ქალაქის სილამაზ**ით**. სიღნაღი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, მდებარეობს, თბილისიდან მოშორებით, 112 კმ-ში. სიღნაღი საქართველოს ერთ-ერთი პოპულარული ტურისტული ქალაქია. ტურისტებს **იზიდავთ** ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული სახე და ბუნებრივი ადგილმდებარეობა: სიღნაღი გაშენებულია მაღალ გორაზე და იქიდან ალაზნის ველისა და კავკასიონის მთების ულამაზესი **ხედები** ჩანს.



ქალაქ სიღნაღის პანორამა



ქვაფენილიანი ქუჩა

სიღნაღი პატარა ქალაქია, მაგრამ ბევრი ღირსშესანიშნაობაა იქ. როცა მე საქართველოში წავალ, აუცილებლად ვესტუმრები სიღნაღს: ვნახავ ფერად სახლებს და ლამაზ ხის აივნებს; გავისეირნებ ვიწრო, **ქვაფენილიან ქუჩებში**. აუცილებლად ვნახავ სიღნაღის ციხეს, რომელიც მთელ საქართველოში უძველესია. გალავნის სიგრძე 4 კილომეტრია. **საფეხმავლო ბილიკით** ავალ ციხე-კოშკზე და იქიდან ბევრ ლამაზ ფოტოს გადავიღებ. მე ძალიან მაინტერესებს ქალაქის ისტორია. ამიტომ შევალ სიღნაღის ეროვნულ მუზეუმში და დავათვალიერებ ექსპონატებს. ღამით დავრჩები ერთ-ერთ საოჯახო სასტუმროში, რომლის აივნიდან ბუნების ულამაზესი ხედები იშლება. გირჩევთ, აუცილებლად ნახოთ სიღნაღი. აღფრთოვანებულები იქნებით ამ ქალაქით.



სიღნაღის ისტორიული ციხე-გალავანი

(4) გამარჯობა! მე ვარ ლიზი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მე საქართველოს შესახებ მეგობრებისგან გავიგე და ძალიან დამაინტერესა ამ ქვეყნის ღირსშესანიშნაობებმა. სამწუხაროდ, ახლა დრო არ მაქვს ვიმოგზაურო, მაგრამ საქართველოში რომ ვიყო, აუცილებლად ვნახავდი აჭარას და მის მთავარ ქალაქს – ბათუმს, გავისეირნებდი ბულვარში, დავათვალიერებდი ბათუმის ეთნოგრაფიულ მუზეუმს და ლამაზ შენობებს; გადავიღებდი ბევრ ფოტოს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, ვისადილებდი პიაცაზე; გავსინჯავდი აჭარულ ხაჭაპურს, შევიძენდი სუვენირებს. ძალიან მიყვარს ზღვა და მზე. ზღვაში ვიცურავებდი და შემდეგ პლაჟზე გავირუჯებოდი.
ბათუმში ბევრი კარგი სასტუმროა. ღამით იქ დავრჩებოდი. მოკლედ რომ ვთქვა, დრო რომ მქონდეს, მშვენიერ დროს გავატარებდი ბათუმში.



ბათუმის პანორამა



ბოტანიკური ბაღი

10. აღნიშნეთ, რომელია სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

№	ინფორმაცია	სწორი (+)	არასწორი (-)
1	ელა საქართველოში იყო, მაგრამ სიღნაღი ვერ ნახა.		
2	მარნეული არ ჰგავს საქართველოს სხვა ქალაქებს.		
3	ვარძიაში შესასვლელად ბილეთის ყიდვა საჭირო არაა.		
4	ლიზის ჯერ არ შეუძლია საქართველოში მოგზაურობა, მაგრამ დიდი სურვილი აქვს.		
5	მარნეულში ტურისტები ათვალიერებენ ისტორიულ ციხე გალავნებს.		
6	ლიზის უყვარს სანაპიროზე სეირნობა.		
7	მხოლოდ ახალციხეში დგას თამარ მეფის ძეგლი.		

ლაპარაკი

11. უპასუხეთ შეკითხვებს (გაითამაშეთ წყვილებში):

1. სად მდებარეობს ახალციხე?
2. როგორი ქალაქია ახალციხე?
3. რით განსხვავდება ახალციხე სიღნაღისგან?
4. რით არის საინტერესო ჯორჯისთვის მარნეული?
5. რა ნახა ანდრეიმ ვარძიაში?
6. ტექსტის მიხედვით, რომელი ქალაქი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთში?
7. თუ გაინტერესებს ისტორია და ისტორიული ადგილები, სად უნდა წახვიდე?

საჭირო ფრაზები
..... ცნობილია .....ით .....განსხვავდება .....(-ის)გან .....ით ..... საინტერესოა .....ით თუ გაინტერესებს ....., შეგიძლია წახვიდე .....ში

12. ტექსტებში მოცემული სიტყვები დააჯგუფეთ ცხრილში:

ქვეყნები	საქართველოს რეგიონები და ქალაქები	ღირშესანიშნაობები	კერძები	ზედსართავი სახელები

13. ცხრილში ჩაწერილი სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები:

- .....
- .....
- .....
- .....
- .....
- .....
- .....
- .....
- .....
- .....
- .....

საწყისი ფორმა	მომავალი დრო (მყოფადი)	ხოლმეობითი
	მომავალ დროში მოქმედება	ა) მომავალ დროში სასურველი ან სავარაუდო მოქმედება ბ) წარსულ დროში სასურველი ან სავარაუდო მოქმედება
დათვალიერება	დავათვალიერებ	დავათვალიერებდი
გასეირნება	გავისეირნებ	გავისეირნებდი
ნახვა	ვნახავ	ვნახავდი
გასინჯვა	გავსინჯავ	გავსინჯავდი
დროის გატარება	დროს გავატარებ	დროს გავატარებდი
ყიდვა	ვიყიდი	ვიყიდდი
მოგზაურობა	ვიმოგზაურებ	ვიმოგზაურებდი
სადილობა	ვისადილებ	ვისადილებდი
დარჩენა	დავრჩები	დავრჩებოდი
ყოფნა	ვიქნები	ვიქნებოდი
შესვლა	შევალ	შევიდოდი
წასვლა	წავალ	წავიდოდი

14. დააკვირდით ცხრილს და გადაიყვანეთ ზმნის მყოფადის მწკრივის ფორმები ხოლმეობითში (მომავალში სასურველი ან სავარაუდო მოქმედება):

ნიმუში: *ლიანა სტამბულში ისადილებს ტაქსიმზე.*
ლიანა სტამბულში ისადილებდა ტაქსიმზე.

1. ტურისტები ხვალ დაათვალიერებენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. ტურისტები სიამოვნებით ..... ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

2. ქალაქის სტუმრები ნახავენ ბოტანიკურ ბაღს. ქალაქის სტუმრები .... ბოტანიკურ ბაღს.

3. ანასტასია ძალიან ბედნიერი იქნება ამ მოგზაურობით. ანასტასია ძალიან ბედნიერი ..... ამ მოგზაურობით.

4. ორი დღის შემდეგ აღმაშენებელზე გავისეირნებთ. სიამოვნებით .... აღმაშენებელზე.

5. მომავალ კვირაში ტურისტული ჯგუფი სტეფანწმინდაში წავა. სტეფანწმინდის ტური რომ იყოს, ტურისტული ჯგუფი აუცილებლად ..... .

6. ხვალ აუცილებლად ავალ იმ მთაზე. დრო რომ მქონდეს, აუცილებლად .... იმ მთაზე.

7. მომავალ ზაფხულს დაისვენებთ ზღვაზე? მომავალ ზაფხულს აქ რომ იყოთ, ... ზღვაზე?

8. ჩემი მეგობარი ორი დღე დარჩება ჩემთან. ჩემი მეგობარი ორი დღე ..... ჩემთან.

9. დამსვენებლები მარკეტებში იყიდიან სხვადასხვა სურსათს. დამსვენებლები მარკეტებში ..... სხვადასხვა სურსათს.

10. ხალხი კარგ დროს გაატარებს დაბადების დღეზე. ხალხი კარგ დროს ..... დაბადების დღეზე.

15. იპოვეთ ტექსტებში შესაბამისი დროის ზმნები და დააჯგუფეთ ცხრილში:

წარსული დასრულებული (წყვეტილი)	ახლანდელი (აწმყო)	მომავალი (მყოფადი)	მომავალსა და წარსულში სასურველი და სავარაუდო მოქმედება (ხოლმეობითი)

16. ხაზი გაუსვით შესაფერის ფორმას:

1. ორი კვირის შემდეგ ..... იტალიაში. (ვიმოგზაურე/ვიმოგზაურებ/ვიმოგზაურებდი)

2. ლიკას დრო რომ ჰქონდეს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს ..... . (დაათვალიერებს/ათვალიერებს/დაათვალიერებდა)

3. შარშან ბორჯომში კარგი დრო ..... . (გავატარებდი/გავატარე/გავატარებ)

4. მეგობრები სიღნაღში იყვნენ და ერთ-ერთ სასტუმროში ..... . (დარჩნენ/დარჩებიან/რჩებიან)

5. ოჯახი ბულვარში კაფეში ..... . (ისადილებს/ისადილებდა/სადილობს)

6. ზამთარი რომ იყოს, სიამოვნებით ..... გუდაურში. (დავისვენებ/დავისვენებდი/ვისვენებ)

7. ხვალ კურსელებთან ერთად კინოთეატრში ..... . (წავალ/წავიდოდი/მივდივარ)

8. სკვერში ტურისტები ..... რაღაც სუვენირებს. (იყიდეს/იყიდიან/ყიდულობენ)

9. დრო რომ მქონდეს, აუცილებლად ..... ფესტივალზე. (წავიდოდი/წავედი/წავალ)

17. დააკვირდით ცხრილებს და გახაზეთ სწორი პასუხები:

№	ენობრივი კონსტრუქცია	-ით	-თი
1	კმაყოფილი .....ით/თი	ტურით/ზღვით	სამზარეულოთი/ მენიუთი
2	აღფრთოვანებული .....ით/თი	ტურით/ზღვით	სამზარეულოთი/ მენიუთი
3	აღტაცებული .....ით/თი	ტურით/ზღვით	სამზარეულოთი/ მენიუთი
4	დაინტერესებული .....ით/თი	ტურით/ზღვით	ფოტოთი
5	ცნობილი .....ით/თი	ხედებით/ ისტორიით	სამზარეულოთი
6	გამორჩეული .....ით/თი	ხედებით/ ისტორიით	

№	ენობრივი კონსტრუქცია	ხმოვანი ა, ე, ო, უ	თანხმოვანი
1	.....სთან/თან ახლოს	მეტროსთან ახლოს	სახლთან ახლოს
	ენობრივი კონსტრუქცია	**თანხმოვანი**	**ხმოვანი ო, უ**
2	.....იდან/დან შორს	სოფლიდან შორს	მეტროდან შორს

3	.....იდან/დან .....კმ-ის მოშორებით	თბილისიდან 2 კმ-ის მოშორებით	ხულოდან 2 კმ-ის მოშორებით
	ენობრივი კონსტრუქცია	ლადოსგან ექიმისგან	
4	.....სგან		

1. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ ..... (სასტუმროდან/სასტუმროთი).
2. ტურისტები აღტაცებული არიან ..... (სიღნაღით/სიღნაღიდან).
3. ..... ახლოს შადრევანია. (პარლამენტთან/პარლამენტიდან).
4. თეა ..... სახლში გვიან დაბრუნდა(მეგობრისგან/მეგობრიდან).
5. კახეთი გამორჩეულია ბუნების ლამაზი ..... (ხედები/ხედებით).
6. კომპანია „გამარჯობა, საქართველო“ ცნობილია მაღალი ხარისხის ..... (ტურებით/ტურებიდან).
7. ..... ახლოს მშვენიერი ბულვარია (ზღვათან/ზღვასთან).
8. სტუმარი დაინტერესებულია საქართველოს .....(ისტორიით/ისტორიათი).
9. ბავშვები ..... გამოვიდნენ (მაღაზიიდან/მაღაზიადან).
10. შოუს მაყურებლები ..... კმაყოფილი გამოვიდნენ (დელფინარიუმისგან/დელფინარიუმიდან).

18. წაიკითხეთ ტექსტი და ჩასვით გამოტოვებულ ადგილებში მოცემული სიტყვები:

კმაყოფილი, საკმარისი, ბუნებით მრავალფეროვანი, ზღაპრულ, ტრადიციები

ერთ-ერთ ყველაზე მისტიკურ და ..... მხარეში მოგზაურობა, სწორედ, დართლოში -არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადებულ დასახლებაში ვასრულებთ. თუშეთი გამოირჩევა თავისი ..... და ლანდშაფტებით, სივრცით და ემოციით, რომელიც მოაქვს ყველა ტურისტისთვის. ეს სამი-ოთხი თვე ტურიზმის როლით ჩვენ ..... ვართ. ქვეყნის ეს ყველაზე ..... დაცული ტერიტორია ის ადგილია, სადაც ადამიანის ხელით შექმნილსა და ბუ-

ნებრივს შორის ზღვარი იშლება. ადგილობრივი მოსახლეობის ..... და ყოფითი წეს-ჩვეულებები კი დროის შეგრძნებას გვაკარგვინებს. აქვე ვრწმუნდებით, რომ თუშეთის შესაცნობად ერთხელ სტუმრობა ..... არ არის და ამ ჯადოსნურ მხარეს დროებით ვემშვიდობებით.

19. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ ცხრილი: აღნიშნეთ, რომელია სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

№	ინფორმაცია	სწორი (+)	არასწორი (-)
1	თუშეთის ტური სოფელ დართლოში მთავრდება.		
2	თუშეთი ცნობილია ულამაზესი ხედებით და თანამედროვე შენობებით.		
3	ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილია რეგიონის ტურისტული როლით.		
4	თუშეთში ტურისტული სეზონი მთელი წელიწადი გრძელდება.		
5	თუშეთის კარგად გასაცნობად ერთხელ სტუმრობა საკმარისი არაა.		

ლაპარაკი






20. დააკვირდით ფოტოებს და ისაუბრეთ წყვილებში:

- რით არის გამორჩეული თუშეთი?
- რას ნახავდი იქ?
- რით იმოგზაურებდი თუშეთში: ფეხით, ცხენით თუ ჯიპით? რატომ?
- როგორ სასტუმროს მიანიჭებდი უპირატესობას თუშეთში მოგზაურობის დროს: ტრადიციულ საოჯახო სასტუმროს თუ თანამედროვე ფეშენებელურ სასტუმროს?

- ადგილობრივი ტრადიციებიდან, პირველ რიგში, რას გაიცნობდი:
- დღესასწაულებს, ადგილობრივ სამზარეულოს თუ სულიერ კულტურას?

წერა

21. მისწერეთ წერილი თქვენს უცხოელ მეგობარს. საქართველოში რომ ჩამოვიდეს, რომელ ქალაქსა თუ რეგიონში იმოგზაურებდით ერთად და რას გააკეთებდით იქ?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

წიგნი A2, თემა 1 - ჩემი ბინა	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	1. ა) მრავალსართულიანი სახლი/კორპუსი; 2. გ) სახლი; 3. ბ) ბინა.
სავარჯიშო 2	1. გ) საძინებელი; 2. ვ) სამზარეულო; 3. გ) მისაღები ოთახი; 4. დ) სააბაზანო; 5. ე) სასადილო ოთახი; 6. ბ) კაბინეტი.
სავარჯიშო 3	საძინებელი: ტუმბო,სარკიანი მაგიდა, საწოლი, ტანსაცმლის კარადა. სამზარეულო: სასადილო მაგიდა, გაზქურა, მაცივარი. სააბაზანო: პირსაბანი, აბაზანა, უნიტაზი. კაბინეტი: კომპიუტერი, კომპიუტერის მაგიდა, წიგნების კარადა. მისაღები/სასტუმრო ოთახი: დივანი, სავარძელი, ტელევიზორი.
სავარჯიშო 5	სწორია: 1, 4, 7, 8, 9. არასწორია: 2, 3, 5, 6, 10.
სავარჯიშო 7	1. კარადა და სასადილო მაგიდა; 2. გაზქურაზე; 3. სარკე; 4. მაცივარი; 5. დივანი და სავარძლები; 6. აივანი; 7. საწერი მაგიდა; 8. აბაზანა; 9. საათი; 10. საწოლი.
სავარჯიშო 8	1. ვ; 2. გ; 3. ა; 4. ლ; 5. ზ; 6. ი; 7. ბ; 8. კ; 9. დ; 10. ე; 11. თ; 12. მ.
სავარჯიშო 9	ახლოს-შორს; ერთნაირი-განსხვავებული; წინ-უკან; მარცხნივ-მარჯვნივ; ზევით-ქვევით.
სავარჯიშო 11	1. დგას; 2. კიდია; 3. დევს; 4. ზის; 5. წევს; 6. ზის; 7. დევს; 8. კიდია; 9. დგას; 10. წევს.
სავარჯიშო 17	ა) სად ცხოვრობს დათოს მეგობარი? ბ) დათოს მეგობარი სად ცხოვრობს? ა) რა დგას სასტუმრო ოთახში? ბ) სასტუმრო ოთახში რა დგას? ა) რა დევს სამზარეულოში მაგიდაზე? ბ) სამზარეულოში მაგიდაზე რა დევს? ა) ვინ ზის სავარძელში? ბ) სავარძელში ვინ ზის? ა) სად კიდია ნახატი? ბ) ნახატი სად კიდია?

წიგნი **A2,** თემა **2 -** სტუმრად ნათესავებთან	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	1/1-გ, ნათესავები; 1/2-ბ, ბებიასთან; 1/3-ბ, ნათესავებსა და მათთან სტუმრობაზე.
სავარჯიშო 3	ბ) 1. ბიძა; 2. ბიძა; 3. მამიდა; 4. დეიდა; 5. ბიცოლა.
სავარჯიშო 4	ა. დეიდაშვილი; ბ. ბიძაშვილი; გ. მამიდაშვილი; დ. მამიდა; ე. დეიდა; ვ. ბიძა.

სავარჯიშო 5	ბიძა, ძმა, შვილები, ბიძაშვილი, მამიდა, მამიდაშვილები, ბიცოლა, დეიდა, დეიდაშვილები, ბიძია
სავარჯიშო 6	1. დმანისის რაიონში; 2. დეიდა; 3. დავითი, ზაზა, ლევანი; 4. დავითის და ლევანის შვილები; 5. უფროსო ბიძაშვილები; 6. უფროსი ბიძის ცოლს, ანას; 7. დეიდას და ბიზას; 8.ზაზა, დედის ძმა; 9. მამიდა, ბიძები.
სავარჯიშო 7	სოფლის ან ქალაქის ნაწილი.
სავარჯიშო 8	სწორი-1,5. არასწორი-2.3.4.6.7
სავარჯიშო 9	ვიხსენებთ ბავშვობას; ვსაუბრობთ წიგნებზე; ეყოლება ოჯახი; მოდიან სტუმრად; ვაბრაზებთ ბიძას.
სავარჯიშო 10	ა) 1. ვეძახი; 2. ვაწყობთ; 3. ვიხსენებთ; 4. ეყოლებათ; 5. მოაქვს; 6. ვსაუბრობთ; 7. ლაპარკობს; 8.მდებარეობს.
სავარჯიშო 13	ა. ის, რაც სრულდება: შევხვდი, შევხვდები, ვხვდებოდით; ის, რაც არ ან ვერ სრულდება: არ შევხვედრივარ, ვერ შევხვდები, არ გამახსენდა, ვერ ვხვდებით; ბ. დეიდაშვილს, ბიძაშვილს, მამიდაშვილს, დეიდაშვილს.
სავარჯიშო 14	ბ. 1. ნია და ნინო; 2. ნინოს წვეულებაზე; 3 .თავის სოფელში; 4. ახლობლებს და ნიას; 5. ბიძები, ბიცოლები, მამიდა, დეიდა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები; 6. დეიდაშვილები; 7. ნიას დეიდა.
სავარჯიშო 15	ბ. მილოცვა: გილოცავ; მიპატიჟება: გეპატიჟები; სურვილი: გისურვებ ბევრ სიხარულს.
სავარჯიშო 17	1. ა; 2. ა.
სავარჯიშო 20	ა. არ; ბ. ვერ; გ. არ, ვერ; დ. ვერ; ე. ვერ; ვ. ვერ; ზ. ვერ; თ. არ; ი. ვერ; კ. ვერ; ლ. არ.
სავარჯიშო 23	ა. ხან წვიმდა, ხან მზე ანათებდა; ბ. ხან ადგა, ხან დაჯდა; გ. ნათესავები ხან ჩემთან ვიკრიბებით, ხან ბიძაჩემთან; დ. ბიჭი ხან აღმა დადიოდა, ხან -დაღმა; ე. ხან თბილისში ვარ, ხან - სოფელში; ვ. სტუმრები ხან მღეროდნენ, ხან ცეკვავდნენ, ხან საუბრობდნენ.
სავარჯიშო 26.	1. გ, დიალოგი; 2. ა, ქუჩაში; 3.გ, ნანა და ნინო; 4. გ, დეიდაშვილები; 5 -ა, ერთად გატარებულ ზაფხულს; 6. გ, მართა ბებიასთან; 7.გ, ბიძია არჩილს; 8. -ა, მართა ბებია; 9.-ბ, ლევანს; 10. ა, ამ ზაფხულს ისევ შეიკრიბონ.
სავარჯიშო 28	1. ბიძია არჩილი ყოველთვის თამადა იყო; 2. ლევანიკო, დათა და გიგა მრავალჟამერს მღეროდნენ; 3. ბებია სიყვარულით შლიდა სუფრას; 4. ბიძია არჩილი კარგად ცეკვავდა; 5. განსაკუთრებულ სადღეგრძელოს ყანწით სვამენ; 6. სადღეგრძელოების მოსმენა სასიამოვნო იყო; 7. თამადას გამორჩეული ადგილი ეკავა.
სავარჯიშო 29	1. შლიდა სუფრას; 2. თამადა იყო; 3. ადგილი ეკავა; 4. ყანწით სვამდა; 5. სასიამოვნო; 6. მრავალჟამიერს მღეროდნენ; 7. ცეკვავდა.
სავარჯიშო 31	1. შევხვდები; 2. შეხვდება; 3. არ შევხვედრივარ ; 4. შეხვდა; 5. შემხვდრია; 6. შევხვდებით.

სავარჯიშო 32	1. შევხვდი; 2. შეხვდეს; 3. შეხვედრია; 4. შევხვდით; 5. ვხვდებით .
სავარჯიშო 33	- ალო, ნარა, შენ ხარ? - კი, მე ვარ. შენ რომა ხარ? - ჰო, რომა ვარ. როგორ ხარ, ჩემო საყვარელო ბიძაშვილო? - გმადლობ, კარგად. შენ როგორ ხარ? - მე ძალიან კარგად ვარ და კარგი ამბავიც მაქვს შენთვის. - აბა, ჩქარა მითხარი... - არტურმა ცოლი შეირთო... - მართლა? ნუთუ არტური დაოჯახდა?! - კი, დაოჯახდა და ახლა ცოლიანი ბიჭია. - რა კარგია... ქორწილი როდის იქნება? - შაბათს არის. ახლა იმისთვის გირეკავ, რომ დავგეგმოთ ყველაფერი. ჩვენებიც ჩამოდიან სოფლიდან - მიყვარს ქორწილი. ყველანი ერთად ვიქნებით. - 10 საათზე შენთან ვიქნები, მზად იყავი. - კარგი, გელოდები. - აბა, დროებით! - შეხვედრამდე
სავარჯიშო 36	- ალო, ლია, შენ ხარ?/-გამარჯობა. ლელა ვარ. როგორ ხარ? /-მეც კარგად ვარ, მადლობა. ხვალ სოფელში მივდივარ, ხომ არ წამოხვალ? /-ჩემი დეიდაშვილის დაბადების დღეა, ნანას ხომ იცნობ? შენც თუ წამოხვალ, ძალიან გაუხარდება. / -არა, მხოლოდ ახლობლები ვიკრიბებით და ნანას ერთი ჯგუფელი იქნება კიდევ. / -არა, დეიდაჩემს ხომ დიდი ეზო აქვს, გარეთ გავშლით მაგიდას, ღია ცის ქვეშ, ულამაზეს ყვავილნარში./- რა თქმა უნდა, მომღერალი გაგაც იქნება და მოცეკვავე ლადოც. ძალიან კარგად გავერთობით. ხომ წამოხვალ? /-არ დამავიწყდება... გელოდები.

წიგნი A2, თემა 3 - როგორ მოვამზადოთ საჭმელი?	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	ა.
სავარჯიშო 2	1. თბილისში; 2. ბიოპროდუქტებს.
სავარჯიშო 4	სწორია: 2, 3, 5, 6, 9.
სავარჯიშო 5	1. საკონდიტრო; 2. სამზარეულო; 3.ჰიპერმარკეტი; 4. საჭმლის რეცეპტი.
სავარჯიშო 6	ხორცი, ყველი, კარაქი, სალათები...
სავარჯიშო 7	1. უნდა ვისწავლო; 2. უნდა ვიყიდო; 3. უნდა ვესტუმრო; 4. უნდა ვუყურო; 5. უნდა ვჭამო; 6. უნდა დავლიო; 7. უნდა მოვამზადო; 8. უნდა გამოვაცხო; 9. უნდა შევუკვეთო; 10. უნდა დავეხმარო.

სავარჯიშო 8	1. უნდა გამოვაცხო; 2. მინდა ვისწავლო; 3. მინდა ვიყიდო; 4. მინდა ვუყურო; 5. უნდა ჭამო; 6. უნდა მოვემზადო; 7. უნდა დალიო; 8. მინდა ვესტუმრო; 9. მინდა შევუკვეთო; 10. უნდა დავეხმარო.
სავარჯიშო 10	1. დახმარება; 2. ვიყიდო; 3. შევუკვეთო; 4. მზა; 5. ჰიპერმარკეტში; 6. კარგი ხარისხისაა; 7. ვიყიდი; 8. მოვამზადებ; 9. ინებებთ; 10. ბრძანდებოდეთ.
სავარჯიშო 12	1. ზეთს; 2. ყველს; 3. შაქარს; 4. სუნელებს; 5. ტორტს; 6. ტოლმას; 7. კრემს; 8. ცომს; 9. ხორცს; 10. ცომს.
სავარჯიშო 13	1. ასხამს; 2. ჭრის; 3; ვაყრი; 4. აცხობ; 5. უსვამს; 6. ატარებენ; 7. ახვევენ; 8. ზელენ; 9. აბრტყელებენ; 10. ყრის.
სავარჯიშო 16	1. ნაციონალური; 2. რამდენიმე ათასი წლის წინ ეგვიპტეში; 3. წინა დღით დარჩენილი საჭმელით და ცომით მომზადებული; 4. „მარგარიტა“; 5. დედოფალს მოეწონა და იმიტომ დაარქვეს; 6. მოცარელა; 7. რაინერ კაუფმანმა; 8. თხელი; 9. თბილისში; „ჩიკაგოს პიცას“; 10. ორასზე მეტი.
სავარჯიშო 17	1. გ; 2. ა; 3. ე; 4. ბ; 5. დ; 6. თ; 7. ი; 8. კ; 9. ზ; 10. ვ.
სავარჯიშო 18	1. ემიგრანტები; 2. საფუარით; 3. მოცარელა; 4. პიცერიაა; 5. ნაციონალური; 6. სასიამოვნოა; 7. კულინარები; 8. სანელებლებს; 9. მჟავე ცომი; 10. კერძები.
სავარჯიშო 20	1. ნიგვზით; 2. ნივრის; 3. პამიდვრის; 4. მაწვნით; 5. მაწვნის; 6. ნიგვზის; 7. პმიდვრით; 8. ნივრით; 9. პამიდვრის; 10. მაწვნით.
სავარჯიშო 21	1. ცივი; 2. ცუდი; 3. მწარე; 4. სქელი; 5. არაპოპულარული; 6. უგემური; 7. მდიდარი; 8. წვრილი; 9. ძველი; 10. უმარილო.
სავარჯიშო 22	**აწმყო**: ამატებ, ჭრი, დებ, აყრი, აცხობ, ახვევ, უსვამ, ზელ, ატარებ, აბრტყელებ. **მყოფადი**: დაამატებ, დაჭრი, ჩადებ, მოაყრი, გამოაცხობ, მოახვევ, წაუსვამ, მოზელ, გაატარებ, გააბრტყელებ.
	წყვეტილი: დაამატე, დაჭერი, ჩადე, მოაყარე, გამოაცხე, მოახვიე, წაუსვი, მოზილე, გაატარე, გააბრტყელე. **II კავშირებითი:** დაამატო, დაჭრა, ჩადო, მოაყარო, გამოაცხო, მოახვიო, წაუსვა, მოზილო, გაატარო, გააბრტყელო.
სავარჯიშო 23	1. ნამცხვარს; 2. ყველს; 3. დამ; 4. მამამ; 5. ღვეზელს; 6. ბებია; 7. ცომს; 8. ცომი; 9. ბაბუამ; 10. მზარეულმა.
სავარჯიშო 24	1. ჩაყარეთ; 2. დაამატეთ; 3. ჩაასხით; 4. მოზილეთ; 5. გააბრტყელეთ; 6. ჩადეთ; 7. მოახვიეთ; 8. გააბრტყელეთ; 9. გამოაცხეთ.
სავარჯიშო 25	ავიღოთ ფქვილი, ჩავყაროთ საფუარი, დავამატოთ ცოტა მარილი, ჩავასხათ თბილი წყალი და მოვზილოთ რბილი ცომი; ამოსული ცომის გუნდა გავაბრტყელოთ საშუალო სისქეზე, ჩავდოთ გატარებული ყველი, მოვახვიოთ ხინკალივით, გავაბრტყელოთ თხლად სასურველ ფორმაზე და გამოვაცხოთ გაცხელებულ ღუმელში.
სავარჯიშო 26	1. ჩაყარეთ; 2. დაამატეთ; 3. მოზილეთ; 4. ამოიღეთ; 5. გააბრტყელეთ; 6. წაუსვით; 7. დაჭერით; 8. მოაყარეთ; 9. მოასხით; 10. გამოაცხვეთ; 11. დაჭერით; 12. დაალაგეთ.

სავარჯიშო 28	ფქვილი, ზეთი, საფუარი, მარილი, წყალი, ყველი, კარაქი.
სავარჯიშო 29	1. დ; 2. ა; 3. თ; 4. ვ; 5. გ; 6. ე; 7. ზ; 8. ი; 9. კ; 10. ბ.

წიგნი A2, თემა 4 - ჩემს ქალაქში	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 2	1. ეკლესია; 2. მუზეუმი; 3. ძველი უბანი; 4. სკოლა; 5. აფთიაქი; 6. მერია; 7. პარკი
სავარჯიშო 3	5.ზოოპრკი; 7. საავადმყოფო; 8. პროკურატურა.
სავარჯიშო 6	მუზეუმი – ე; მერია – ა; კულტურის სახლი – ვ; უბანი – დ; ეკლესია – ბ, ექსპონატი – ზ, პარკი – გ.
სავარჯიშო 7	ა. მუზეუმში; ექსპონატები; ბ. კულტურის სახლში; გ. უბნის; დ. ეკლესიაში; ე. მერიის; ვ. პარკში.
სავარჯიშო 8	სად ხარ? / გუშინ ჩამოვფრინდი /უძველეს ქართულ წარწერებზე. / სურათები უნდა გადავიღო /რითი შემიძლია დაგეხმარო? / რომელი რაიონიდან დავიწყო? /როგორ მოვხვდე ბოლნისში? /სადგურიდან.
სავარჯიშო 9	1 ტელეფონზე; 2. ლადო და დენისი; 3. თბილისში; 4. ბოლნისში; 5. უძველესი წარწერებით; 6. სამარშრუტო ტაქსი; 7. 64 კილომეტრი.
სავარჯიშო 10	ნაგებობა/აგება/მიხვალ/მოგვიანებით.
სავარჯიშო 11	ა. გზა-გზაჯვარედინი; ნა-კვალ-ევ-ი.
სავარჯიშო 12	1. მუზეუმთან; 2. პირველ ევროპელებს; 3. აფთიაქის; 4. ექვს კილომეტრში.
სავარჯიშო 13	1. სწორია; 2. სწორია; 3. არასწორია; 4. არასწორია; 5. არასწორია; 6. სწორია; 7. სწორია; 8. არასწორია.
სავარჯიშო 14	ცენტრში / მარჯვნივ / გვერდით / წინ / მარცხნივ / უკან / შუა.
სავარჯიშო 15	1. წყლის მოძრაობა; 2. ორკესტრი; 3. კოლექცია; 4. გორაკი; 5. ტყავი; 6. ვაკე; 7. საქონელი.
სავარჯიშო 16.	1. გამოფენილი; 2. წარმოდგენილი; 3. მდებარეობს; 4. მართლაც ასეა; 5. სახელობის; 6. მხარეთმცოდნეობის.
სავარჯიშო 18	ა. VII; ბ. III; გ. IV; დ. V; ე. IV; ვ. I; ზ. VI.
სავარჯიშო 19	ა. დენისი; ბ. დევიდი; გ.ღვინის, ოქროს; დ. შესასვლელში; ე. ცნობილი მეღვინეებითა და ბოლნისური ღვინით.
სავარჯიშო 20	ა. მებაღე - მებაღეობა; მეფუტკრე - მეფუტკრეობა; მეცხვარე - მეცხვარეობა; ბ. მეხილე / მეხილეობა / ხილი; მეღვინეობა / მეღვინე / ღვინო; საქონელი / მესაქონლეობა.

სავარჯიშო 21	1. სიტყვა „ბოვისგან“, ნიშნავს გამოდნობას; 2. ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები; 4. მესაქონლეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა; 5. სპორტული სტადიონი, კულტურის სახლი, პარკი, მუზეუმი, ძველი გერმანული უბნები.
სავარჯიშო 23.ა	1. ადნობენ; 2. გაიყვანეს; 3. გადაარქვეს; 4. ამაყობს; 5. გაეცნობიან; 6. იხსნება; 7. ვითარდება; 8. გაიხსნა; 9. დაარქვეს; 10. შეიქმნა.
სავარჯიშო 23.ბ	1. შექმნა/შექმნის; 2. დაარქვა; 3. დაარქვა; 4. დავარქმევ; 5. ვითარდება; 6. ამაყობს; 7. გაიცნო; 8. გავაცნობთ; 9. გაიხსნა; 10. ხსნის.
სავარჯიშო 25	1. ადნობენ; 2. გაიყვანეს; 3. გავხსენი; 4. ამაყობდა; 5. გავაცანი; 6. დაარქვა; 7. განვითარდა; 8. უქმნის.
სავარჯიშო 26	სა-ო - საავადმყოფო / საზამთრო/ საზაფხულო/; საგზაო / სახანძრო / საამქრო / საუბნო; სა-ე საჩაიე / სანიაღვრე / სასულე / საფულე / საყურე / საფანქრე / საღვინე.
სავარჯიშო 27	ავადმყოფი/საავადმყოფო; ყური/საყურე; საკაბე/კაბა; საფულე-ფული; სანიაღვრე/ნიაღვარი; ხანძარი-სახანძრო.
სავარჯიშო 28	ნიაღვრით/სანიაღვრე; საღვინე/ღვინო; სული/სასულე; ამქარი/საამქრო; ხანძარი/სახანძრო; ზაფხული/საზაფხულო.
სავარჯიშო 31	სწორი-2,3,5,9; არასწორი-1,4,6,7,8.
სავარჯიშო 35	1. მდებარეობს; 2. წარმოდგება; 3. ჩამოასახლეს; 4. ააშენეს; 5. აივნიანი; 6. ექსპონატები; 7. ტაძარი, პარკი; 8. სამარშრუტო ტაქსით ან ველოსიპედით.
სავარჯიშო 36	ვ; გ; დ; ა; ბ; ე.

წიგნი A2, თემა 5 - როგორ ვმგზავრობთ და ვმოგზაურობთ	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები**:**
სავარჯიშო 2	1. ავტომობილი; 2. ტროლეიბუსი; 3. ფუნიკულიორი - სამთო ტრამვაი; 4. ტრამვაი; 5. რკინიგზა; 6. ლიანდაგი; 7. ურემი; 8. კატერი; 9. კონკა; 10. მარხილი; 11. ტივი; 12. ეტლი; 13. დროშკა; 14. საჰაერო ბურთი.
სავარჯიშო 3	ძველი: ურემი, ეტლი, დროშკა, კონკა, ტივი. ახალი: ავტომობილი, ფუნიკულიორი, კატერი, საჰაერო ბურთი, ტროლეიბუსი, ტრამვაი.
სავარჯიშო 4	1. ბ; 2. გ; 3. ა.
სავარჯიშო 5	1. გადააქვს; 2. გადაჰყავს; 3. გადაჰყავს; 4. გადააქვს; 5. გადადის; 6. გადადის; 7. გადადის; 8. გადაჰყავს; 9. გადააქვს; 10. გადაჰყავს.
სავარჯიშო 6	გ) ურემი - ეტლი -ავტომობილი - თვითმფრინავი.

სავარჯიშო 7	ყოველდღე თბილისის ქუჩებში მოძრაობს ბევრი ავტომობილი, ავტობუსი, სამარშრუტო ტაქსი თუ ტაქსი. ქუჩებში გამოსული ტრანსპორტი იმდენად ბევრია, რომ გზებზე წარმოიქმნება სატრანსპორტო საცობი, რის გამოც მოძრაობა ფერხდება. 200 წლის წინ კი თბილისში სულ რამდენიმე მანქანა დადიოდა; ადამიანები ძირითადად ფეხით გადაადგილდებოდნენ.
სავარჯიშო 9	1. ბ; 2. გ; 3. გ; 4. ბ; 5. ბ; 6. ა; 7. ბ; 8. გ.
სავარჯიშო 10	1. გადაზიდვას, გადატანას; 2. ფეხი; 3. ხმელეთზე,ზღვაში ან ჰაერში; 4. ძაღლებს, სახედრებს, ჯორებს, ცხენებს, ხარებს, კამეჩებს, აქლემებსა და სპილოებს; 5. 5000 წლის წინ; 6. ხუთი - საგზაო, სარკინიგზო, საკაბელო, წყლის და საჰაერო ტრანსპორტი; 7. მეტრო; 8. საკაბელო ტრანსპორტი: ესკალატორი, ლიფტი, ფუნიკულიორი, საბაგირო; 9. სახმელეთო; 10. რკინის რელსებზე - ლიანდაგებზე.
სავარჯიშო 11	**ა.** **სახმელეთო**: ავტობუსი, მიკროავტობუსი. **სარკინიგზო**: მატარებელი, მეტრო, ტრამვაი. **საჰაერო**: თვითმფრინავი, ვერტმფრენი. **სამდინარო/საზღვაო:** გემი, საზღვაო ხომალდი, კატერი, ნავი. **ბ.** **ავტოსადგური:** ავტობუსი, მიკროავტობუსი. **რკინიგზის სადგური:** მატარებელი. **აეროპორტი:** თვითმფრინავი, ვერტმფრენი. **ნავსადგური:** გემი, საზღვაო ხომალდი, კატერი, ნავი. **მეტროსადგური:** მეტრო.
სავარჯიშო 12	**საწყისები**: გადაზიდვა, გადატანა, გადაადგილება, გამოყენება. **ტრანსპორტის სახელები:** ურემი, ეტლი, ავტობუსი, ავტომობილი, ავტომანქანა, ველოსიპედი, მოტოციკლი, სატვირთო მანქანა, ტაქსი, ტროლეიბუსი, საჰაერო ბურთი, კატარღა, კატერი, ტივი, ბორანი, ესკალატორი, ლიფტი, ფუნიკულიორი, საბაგირო. **სა-ო აფიქსებიანი სიტყვები:** სატრანსპორტო, საგზაო, სარკინიგზო, საკაბელო, სახმელეთო, საჰაერო,

სავარჯიშო 13	გადაადგილდება - გადაადგილება; იგონებს - გამოგონება; იყენებს - გამოყენება; ზიდავს - ზიდვა.
სავარჯიშო 15	ა. ჰაერი - საჰაერო, ხმელეთი - სახმელეთო, ზღვა - საზღვაო, მდინარე - სამდინარო, გზა - საგზაო, კაბელი - საკაბელო ბაგირი - საბაგირო ტრანსპორტი - სატრანსპორტო. ბ. 1. სამდინარო; 2. საჰაერო; 3. სარკინიგზო; 4. საზღვაო; 5. საგზაო; 6. სახმელეთო; 7. საკაბელო; 8. სატრანსპორტო/საბაგირო.
სავარჯიშო 16	გამოხატავს იარაღს: 1, 2, 3, 4, 6, 8, 9, 10. გამოხატავს თანაობას: 5, 7.

სავარჯიშო 17	1. სახლიდან სკოლამდე; 2. თბილისიდან ქუთაისამდე; 3.თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის გამზირამდე; 4. ბოლნისიდან მარნეულამდე; 5. ახალქალაქიდან ახალციხემდე; 6. მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე; 7. მეტროდან უნივერსიტეტამდე; 8. თეატრიდან სახლამდე; 9. აეროპორტიდან სასტუმრომდე; 10. რკინიგზის სადგურიდან ავტობუსის გაჩერებამდე.
სავარჯიშო 18	მე ვმგზავრობ ჩვენ ვმგზავრობთ შენ მგზავრობ თქვენ მგზავრობთ ის მგზავრობს ისინი მგზავრობენ
სავარჯიშო 19	ა. მე ვმგზავრობ - მე ვმგზავრობდი; ჩვენ ვმგზავრობთ - ჩვენ ვმგზავრობდით; შენ მგზავრობ - შენ მგზავრობდი; თქვენ მგზავრობთ - თქვენ მგზავრობდით; ის მგზავრობს - ის მგზავრობდა ; ისინი მგზავრობენ - ისინი მგზავრობდნენ. ბ. - გამარჯობა. თუ შეიძლება, მითხარით, თქვენ ხშირად მგზავრობდით საბაგიროთი? - დიახ, საკმაოდ ხშირად ვმგზავრობდი, თითქმის ყოველდღე, ბოტანიკურ ბაღში ვმუშაობდი და მოსახერხებელი იყო. - მითხარით, რამდენად უსაფრთხო იყო? - აბსოლუტურად უსაფრთხო. - თქვენი თანამშრომლებიც საბაგიროთი მგზავრობდნენ? - დიახ, ჩვენ, ყველანი, ერთად ვმგზავრობდით ამ ტრანსპორტით. აი, დათოს ვკითხოთ. - დათო, შენც ხომ საბაგიროთი მგზავრობდი? - კი, ჩემი ძმაც ამ ტრანსპორტით მგზავრობდა და მოსწონდა. - გირჩევთ, თქვენც არ თქვათ უარი ამ სიამოვნებაზე.
სავარჯიშო 20	1. ამოდის; 2. ავა; 3. გადის; 4. ჩადის; 5. წავა; 6. წამოვა; 7. წავა; 8. გამოვიდა; 9. ჩამოდის; 10. მოვა.
სავარჯიშო 21	მოსვლა: მე მოვედი, შენ მოხვედი, ის მოვიდა, ჩვენ მოვედით, თქვენ მოხვედით, ისინი მოვიდნენ. ასვლა: მე ავედი, შენ ახვედი, ის ავიდა, ჩვენ ავედით, თქვენ ახვედით, ისინი ავიდნენ. გადასვლა: მე გადავედი, შენ გადახვედი, ის გადავიდა, ჩვენ გადავედით, თქვენ გადახვედით, ისინი გადავიდნენ.

წიგნი A2, თემა 6 - ჩვენ და ჩვენი გარემო	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები**:**
სავარჯიშო 1	ა. სოფლისა და მისი ბუნების, გარემოს შესახებ.
სავარჯიშო 2	ბ. საქართველოს.
სავარჯიშო 3	მთაგორიანი, ნაკადული, ტყე, ვენახი, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, სოფელი, ქვევრები, სახნავი მიწა, მინდორი, ნანგრევი, ტბა, შეშა, ნალია, ბაღი, კრამიტით დახურული სახლი, ეზო, ჭიშკარი, ქათმები, გოჭები, ხბოები/ხბორები, კრუხ-წიწილა, ღობე, თესავს, ბოცვერი, თოხნის, წისქვილი, ბოცვერი.

სავარჯიშო 4	1. ტბა; 2. ნაკადული; 3. მთაგორიანი; 4. ნანგრევი; 5. სოფელი; 6. სახნავი მიწა; 7. მინდორი/მდელო/საძოვარი; 8. ნალია; 9. კრამიტით დახურული;10. ღობე; 11. ეზო; 12. ჭიშკარი; 13. ბაღი; 14. ვენახი; 15. შეშა; 16. წისქვილი; 17. კრუხ-წიწილა; 18. ქვევრი; 19. ბოცვერი; 20. ბარავს; 21. თესავს; 22. თოხნის; 23. ისვენებს.
სავარჯიშო 5	1. კრამიტით. 2. თესავს; 3. ნალია; 4. თესავს; 5. ქვევრი; 6. ბარავს; 7. წისქვილში; 8. ქათამს; 9. ვენახი; 10. მთაგორიანი; 11. ჭიშკარი; 12. ბაღში; 13. შეშა; 14. ნანგრევი; 15. ისვენებს.
სავარჯიშო 6	ა) მთა-გორი; ბაღ-ვენახი; სახნავ-სათესი; კრუხ-წიწილა; ცხვარ-ძროხა; სახლ-კარი. ბ) სახლკარიანი; მთაგორიანი; სახნავსათესიანი; ბაღვენახიანი; დედმამიანი.
სავარჯიშო 7	მე ვცხოვრობ; შენ ცხოვრობ; ის ცხოვრობს; ჩვენ ვცხოვრობთ; თქვენ ცხოვრობთ; ისინი ცხოვრობენ.
სავარჯიშო 8	1. ცხოვრობდნენ; 2. ვცხოვრობთ; 3. ცხოვრობ; 4. ვცხოვრობ; 5. ვცხოვრობდი; 6. ცხოვრობენ; 7. ცხოვრობთ; 8. ცხოვრობდნენ; 9. ვცხოვრობდით; 10. ცხოვრობდით.
სავარჯიშო 9	წინადადებები ახლანდელი დროის ფორმებით: 2, 3, 4, 6, 7. წინადადებები დაუსრულებელი წარსული დროის ფორმებით: 1, 5, 8, 9, 10.
სავარჯიშო 11	ა) დასავლეთისკენ, ხაშურიდან 3 კილომეტრში, მტკვრის გაღმა, მთის ფერდობზე; ბ) გუეთის მთის სახელწოდებას; გ) არქეოლოგიური ძეგლებით; დ) სამოცამდე; ე) ბარავენ, თოხნიან, თესავენ, მოსავალი მოჰყავთ; ვ) კოდიწყარო, ჯვართმუხა, ქაშვეთი, ღუდა, რბონა; ზ) დაცარიელდა და ნასოფლარად იქცა; თ) ბუნება ულამაზესია. აქ არის ტყით დაფარული მთები, წყაროები, მდინარე...
სავარჯიშო 12	ადრე: ხალხმრავალი; აქ სკოლა, მედპუნქტი, ბიბლიოთეკა და კლუბი იყო. სოფელ ქაშვეთიდან დადიოდნენ ბავშვები სკოლაში. ახლა: სამოცამდე ოჯახი ცხოვრობს. ზამთარში ოცამდე ოჯახი რჩება. ისინი ბარავენ, თოხნიან, მოსავალი მოჰყავთ და ყიდიან. ამ ფულით აუცილებელ პროდუქტებსა და წამლებს ყიდულობენ. ახლა აქ ძირითადად ასაკოვანი ხალხი ცხოვრობს.
სავარჯიშო 13	სწორია: 1. 4. 5. 7. 8 ; არასწორია: 2. 3. 6. 9. 10.

სავარჯიშო 14	2. სოფლის სახელწოდება გუეთის მთას უკავშირდება; 3. თაგვეთის მეზობლად ახლა მხოლოდ ნასოფლარებია; 6. სკოლა და მედპუნქტი ადრე იყო სოფელში.
სავარჯიშო 15	1. ა; 2. გ.
სავრჯიშო 16	ახალგაზრდა.
სავრჯიშო 17	მშვიდი - წყნარი; მშვენიერი - ლამაზი; მოხუცი - ასაკოვანი
სავარჯიშო 18	ზაფხულობით; გაზაფხულობით; ზამთრობით; თვეობით; დილაობით; საათობით; წუთობით; ორშაბათობით; სამშაბათობით; ოთხშაბათობით; ხუთშაბათობით; პარასკეობით; შაბათობით; კვირაობით.

სავარჯიშო 19	ზაფხულ-ობით (ზაფხული + ობით).
სავარჯიშო 20	1.ზაფხულობით; 2. ორშაბათობით; 3. გაზაფხულობით; 4. შაბათობით; 5. ზამთრობით; 6. ოთხშაბათობით; 7. ხუთშაბათობით; 8. დილაობით; 9. პარასკეობით; 10. საღამოობით.
სავარჯიშო 24	თესავს - ახლანდელი დრო; ხნავს - ახლანდელი დრო; ბარავს - ახლანდელი დრო; კრეფს - ახლანდელი დრო; თოხნის - ახლანდელი დრო; მოსავალი მოჰყავს - ახლანდელი დრო; მიწას ამუშავებს - ახლანდელი დრო.
სავარჯიშო 25	**ახლანდელი**: ბარავ, თოხნი, თესავს, კრეფენ. **წარსული დაუსრულებელი:** ვბარავდი, ვთოხნიდი, მოსავალი მოჰყავდათ, კრეფდნენ. **მომავალი**: დავბარავ, დავთესავ. **წარსული დასრულებული:** დაბარე, გათოხნა, მოსავალი მოვიყვანე, დათესე.
სავარჯიშო 27	შენ ბარავ; ის ბარავს; ჩვენ ვბარავთ; ისინი ბარავენ. მე ვთესავ; ის თესავს; ჩვენ ვთესავთ; თქვენ თესავთ. მე ვთოხნი; შენ თოხნი; თქვენ თოხნით; ისინი თოხნიან.
სავარჯიშო 28	1. თესავთ; 2. ვთოხნით; 3. ბარავენ; 4. ვბარავ; 5. თესავ.
სავარჯიშო 29	**ახლანდელი**: შენ თოხნი; ჩვენ ვთოხნით; თქვენ თოხნით. **წარსული დაუსრულებელი:** მე ვთოხნიდი; ის თოხნიდა; თქვენ თოხნიდით. **წარსული დასრულებული:** შენ გათოხნე; ჩვენ გავთოხნეთ; თქვენ გათოხნეთ. **მომავალი:** მე გავთოხნი; ის გათოხნის; თქვენ გათოხნით.
სავარჯიშო 30	**ახლანდელი:** შენ ბარავ/შენ თესავ; ჩვენ ვბარავთ/ჩვენ ვთესავთ; ისინი ბარავენ/ ისინი თესავენ. **წარსული დაუსრულებელი:** მე ვბარავდი/მე ვთესავდი; ის ბარავდა/ის თესავდა; თქვენ ბარავდი/თქვენ თესავდით. **წარსული დასრულებული:** შენ დაბარე/შენ დათესე; ჩვენ დავბარეთ/ჩვენ დავთესეთ; თქვენ დაბარეთ/თქვენ დათესეთ. **მომავალი:** მე დავბარავ/მე დავთესავ; ის დაბარავს/ის დათესავს; თქვენ დაბარავთ/თქვენ დათესავთ.
სავარჯიშო 31	**ახლანდელი**: შენ მოგყავს მოსავალი/ჩვენ მოგვყავს მოსავალი/ მათ მოჰყავთ მოსავალი. **წარსული დაუსრულებელი:** მე მომყავდა მოსავალი/მას მოჰყავდა მოსავალი /თქვენ მოგყავდათ მოსავალი. **წარსული დასრულებული:** შენ მოიყვანე მოსავალი/ჩვენ მოვიყვანეთ მოსავალი/მათ მოიყვანეს მოსავალი. **მომავალი:** მე მოვიყვან მოსავალს/ის მოიყვანს მოსავალს/თქვენ მოიყვანთ მოსავალს.
სავარჯიშო 32	1. მოსავალი მოიყვანეს; 2. მოსავალს მოვიყვან; 3. მოსავალი მოგვყავს; 4. მოიყვან მოსავალს; 5. მოსავალი მოჰყავდათ; 6. მოსავალი მოიყვანა; 7. მოსავალი მოჰყავთ; 8. მოვიყვანე მოსავალი; 9. მოსავალს მოიყვან; 10. მოვიყვანეთ მოსავალი.

სავარჯიშო 33	სწორია: 2; 3; 5; 10. 1. სკოლაში რამდენიმე გაკვეთილი ჩატარდა; 4. გზაზე უამრავი მანქანა მოძრაობს; 6. ნინას ბევრი მეგობარი ჰყავს; 8. ვინ მოაგროვა ამდენი ფოთოლი?; 9. ორივემ კარგად იცოდა, რაც დააშავეს.
სავარჯიშო 34	ბალახოვანი; კლდოვანი; ყვავილოვანი; სურნელოვანი; ასაკოვანი.
სავარჯიშო 35	1. სურნელოვანი; 2. ყვავილოვანი; 3. წიწვოვანი; 4. კლდოვანი; 5. ასაკოვანი; 6. ბალახოვანი.
სავარჯიშო 36	1. ქუდიანი; 2. გაზიანი; 3. ცოლიანი; 4. ბავშვიანი; 5. ცხენიანი; 6. ქვიანი; 7. ქვიშიანი; 8. მთიანი.
სავარჯიშო 37	1. 12- თორმეტი; 12-ოდე; თორმეტიოდე; 12-ამდე; თორმეტამდე. 2. 35 - ოცდათხუთმეტი; 35-ოდე; ოცდათხუთმეტიოდე; 35-ამდე; ოცდათხუთმეტამდე. 3. 47 - ორმოცდაშვილი; 47-ოდე; ორმოცდაშვიდიოდე; 47-ამდე; ორმოცდაშვიდამდე. 4. 80 - ოთხმოცი, 80-ოდე; ოთხმოციოდე; 80-ამდე; ოთხმოცამდე. 5. 120 -ას ოცი, 120-ოდე; ასოციოდე; 120-ამდე; ასოცამდე.
სავარჯიშო 38	(1) მდებარეობს; (2) ესაზღვრება; (3) კომლია; (4) უხსოვარი დროიდან; 5. უძველესი დროიდან; (6) აღორძინებულა; (7) ძველთაგანვე; (8) თხილის; (9) თხილნარი; (10) შრომისუნარიანი; (11) მზრუნველი; (11) სტუმართმოყვარე.
სავარჯიშო 40	1.თხილნარის; 2. ხელვაჩაურის; 3. ჭოროხი; 4. ათას სამას ოცი; 5. უძველესი დროიდან; 6. თხილს; 7. შრომისუნარიანი, მზრუნველი და სტუმართმოყვარე; 8. ლამაზი ბუნებაა; 9. ამ სოფელში დაიბადა და გაიზარდა.
სავარჯიშო 41	უძველესი დროიდან; ძველთაგანვე.

წიგნი **A2, თემა 7 - ჩემი მეგობარი ავადაა**	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 2	ბ.
სავარჯიშო 2	ბ; 2. ა; 3. დ; 4. გ; 5. ე.
სავარჯიშო 4	ბ; 2. ვ; 3. გ; 4. ა; 5. დ; 6. ე.
სავარჯიშო 5	1. თვალის; 2. კბილის; 3. გულის; 4. ყელ-ყურ-ცხვირის.
სავარჯიშო 6	ექიმი.
სავარჯიშო 7	შრომისმოყვარე, კეთილი, ყურადღებიანი, მზრუნველი, პროფესიონალი, განათლებული.

სავარჯიშო 8	1. ლიას მეგობარი; 2. ავად არის; 3. სასწრაფო დახმარებას გამოიძახებს; 4. სუსტად არის; 5. მაღალი; 6. ელენეც ავად გახდება; 7. ელენეს ძმა; 8. ელენეს; 9. გაცივდნენ; 10. რომ გრიპი მასაც არ გადაედოს.
სავარჯიშო 9	1. ვიზომავ; 2. უსინჯავ; 3. უსინჯავს; 4. უზომავენ; 5. ისინჯავ; 6. მიზომავს; 7. უსინჯავს; 8. იზომავენ; 9. იზომავენ; 10. გისინჯავთ.
სავარჯიშო 11	1. ე; 2. დ; 3. ვ; 4. ზ; 5 .გ; 6. ა; 7. ბ; 8. ი; 9. კ; 10. თ.
სავარჯიშო 13	1. ე; 2. ა; 3. თ; 4. ზ; 5. ბ; 6. გ; 7. დ; 8. კ; 9. ი; 10. ვ.
სავარჯიშო 15	სწორია: 2, 3, 6, 9, 10.
სავარჯიშო 16	1. დაავადებაა; 2. აზიანებს; 3. თვითმკურნალობის; 4. ამცივნებს; 5. მიმართო; 6. გართულება; 7. ფილტვების ანთება; 8. სითხის; 9. ეპიდემიაა; 10. მშრალი ხველა.
სავარჯიშო 17	1. მაკას; 2. თავი; 3. ანას; 4. ბავშვებს; 5. მოხუცებს; 6. ფეხები; 7. ადამიანებს; 8. ხელი; 9. დედას; 10. მოსწავლეს.
სავარჯიშო 18	1. შენ ის; 2. ჩვენ ის; 3. მათ; 4. მე; 5. თქვენ; 6. მას ის; 7. მათ; 8. მე ის; 9. შენ; 10. ჩვენ.
სავარჯიშო 20	1. მაქვს; 2 .გაქვს; 3. მაქვს; 4. მტკივა; 5. მახველებს; 6. მაცემინებს; 7. ვიცი; 8. მიიღე.
სავარჯიშო 21	1. -იდან -მდე; 2. -ზე; 3.-თვის; 4. -ში, -ზე; 5. -იდან; 6. -თან; 7. -ში; 8. -თვის; 9.-მდე; 10.-ში.
სავარჯიშო 22	1. -თან; 2. -ში; 3. -იდან; 4. -მდე; 5. -დან; 6. -ამდე; 7. -ზე; 8. -თვის; 9. -ზე; 10. -თან.
სავარჯიშო 23	1. სიმპტომები; 2. კვირის; 3. ხალხური; 4. ხველებას; 5. მკურნალობის; 6. რეცეპტი; 7. მილიგრამი; 8. ცეცხლზე; 9. საშუალებად; 10. ნახარში.
სავარჯიშო 25	1. რით შემიძლია დაგეხმაროთ; 2. ექიმმა დამინიშნა; 3. ვწუხვარ; 4. გვექნება; 5. რას ინებებთ; 6. ჯანმრთელობას გისურვებთ; 7. ნახვამდის.
სავარჯიშო 26	1. ანთების საწინააღმდეგო; 2. სასარგებლოა; 3. აიღეთ; 4. ადურებული წყალი; 5. დაუმატეთ თაფლი; 6. ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

წიგნი A2, თემა 8 - ჰობი - ჩემი საყვარელი საქმიანობა	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	ჰობი
სავარჯიშო 2	მე-8 სურათი
სავარჯიშო 3	ბ. საყვარელი საქმიანობა.
სავარჯიშო 4	1. მებაღეობა; 2. აზროვნება; 3. კოლექცია; 4. გამოცანები; 5. კერვა; 6. მუსიკის მოსმენა; 6. წარმოსახვა.

სავარჯიშო 5	განტვირთვა - ემოციების, დაღლილობის მოხსნა; საქმიანობა - საქმის კეთება, შრომა; რუტინული -ჩამორჩენილი, კონსერვატიული, ყოველდღიური; უსაფრთხო - რაც საშიში არაა; ფასეულობა - სიმდიდრე; ვურჩევ - ჭკუას ვასწავლი, ვარიგებ; უცნაური - არაჩვეულებრივი, გასაოცარი; მოზრდილები - ბავშვობის ასაკიდან გამოსული, საკმაოდ დიდი; სამკურნალო - მკურნალობისათვის; პარალელურად - რაიმესთან ერთდროულად; თვითრეალიზაცია - საკუთარი თავის წარმოჩენა.
სავარჯიშო 6	1. ვურჩევ; 2. ფასეულობა; 3. პარალელურად; 4. განტვირთვის; 5. რუტინული; 6. თვითრეალიზაცია.
სავარჯიშო 9	სწორია: 1; 3. არასწორია: 2; 4; 5.
სავარჯიშო 10	1. ჰობი არის ის, რის კეთებაც უყვართ ადამიანებს, როცა თავისუფალი დრო აქვთ; 2. მოსწონს სხვადასხვა საქმის კეთება: მაგალითად, დეტექტიური ისტორიების კითხვა, მუსიკის მოსმენა, ჩოგბურთის თამაში თავის კლასელებთან ერთად; 3. ცნობილ ადამიანებზე, გეოგრაფიულ ადგილებზე, ქვეყნებზე, სამეცნიერო მიღწევებზე და ა.შ.; 4. ყველა თავისი ხასიათისა და გემოვნების მიხედვით ირჩევს ჰობის; 5. აფართოებს გონებას და წარმოსახვას; 6. მათი ოჯახის ყველა წევრს უყვარს თავსატეხების ამოხსნაში მონაწილეობა; 7. აღმოაჩენთ და სწავლობთ უამრავ სხვადასხვა ფაქტს; 8. მუსიკა, კითხვა, მარკების, მონეტების ან სამკერდე ნიშნების შეგროვება, მებაღეობა ან ლაშქრობა, ან ფოტოების გადაღება, კერვა, ქსოვა; 9. ჩემი ჰობია მოგზაურობა; 10. კროსვორდების, გაზეთების სხვადასხვა კოლექცია.
სავარჯიშო 12	1. ჰობი; 2. ჰობიდ; 3. ჰობიმ; 4. ჰობის; 5. ჰობის; 6. ჰობით; 7. ჰობის; 8. ჰობი; 9. ჰობის; 10. ჰობით.
სავარჯიშო 13	ზმნა: ვწერ; ვკითხულობ; ვთამაშობ; ვცურავ; ვქსოვ; ვკერავ; ვხსნი; ვიღებ, ვაგროვებ; ვუსმენ; ვქარგავ; ვაკეთებ; აღმოვაჩენ; ვავსებ. საწყისი: წერა; კითვა; თამაში; ცურვა; ქსოვა; კერვა; ახსნა; გადაღება; შეგროვება; მოსმენა; ქარგვა; კეთება; აღმოჩენა; შევსება.
სავარჯიშო 15	1. ცურვა; 2. თამაში; 3. კერვა; 4. ამოხსნა; 5. ქსოვა; 6. კითხვა; 7. მოსმენა; 8. კეთება; 9. გადაღება; 10. ქარგვა.
სავარჯიშო 16	1. როცა; 2. ამიტომ; 3. რადგან; 4. როდესაც; 5. როცა; 6. ამიტომ; 7. როცა; 8. როდესაც.
სავარჯიშო 19	ხელს არ უშლის; მატერიალურ სარგებელს; გვანიჭებს სიამოვნებას; ინარჩუნებს სიმშვიდეს; შეიძლება დააზარალოს.

წიგნი A2, თემა 9 - გასეირნება ქალაქგარეთ	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	ა) პიკნიკი; ბ) ექსკურსია; გ) ექსკურსია; დ) პიკნიკი.

სავარჯიშო 3	1; 3; 5; 6; 7; 8; 10; 11.
სავარჯიშო 5	სწორია (+): 1, 3, 5, 6; არასწორია (-): 2, 4.
სავარჯიშო 9	ა) მოვაწყოთ პიკნიკი; წავიდა ექსკურსიაზე; დავურეკოთ ტურისტულ კომპანიას; დაჯავშნეს სასტუმრო; შეარჩიე მარშრუტი; წაიყვანეს მოსწავლეები ქალაქგარეთ. ბ) 1. წაიყვანეს მოსწავლეები ქალაქგარეთ; 2. დავურეკოთ ტურისტულ კომპანიას; 3. დაჯავშნეს სასტუმრო; 4. შეარჩიე მარშრუტი; 5. მივაწყოთ პიკნიკი; 6. წავიდა ექსკურსიაზე.
სავარჯიშო 10	1. შევარჩით; 2. დავურეკოთ და დავჯავშნოთ; 3. პიკნიკი; 4. სასტუმროს და გიდის; 5. წავიდეთ; 6. მოვაწყო; 7. უნდა წავიყვანოთ 8. გავდივართ; 9. წავიღოთ; 10. დაჯავშნა.
სავარჯიშო 11	ბ) 1. დავგეგმოთ; 2. ღირსშესანიშნაობებს; 3. დავბრუნდეთ; 4. შევარჩიოთ; 5. დავიქირავოთ.
სავარჯიშო 13	1. დაჯავშნეს; 2. დაიქირავა; 3. გეგმავს; 4. დავჯავშნეთ; 5. უნდა დავიქირაოთ; 6. დავიქირავეთ; 7. დაიქირავებენ; 8. უნდა დავჯავშნო; 9. დაგეგმეთ; 10. გეგმავთ.
სავარჯიშო 14	1. დათომ; 2. აიდამ და ალიმ; 3. მე და ნოდარი; 4. მასწავლებლებმა; 5. ლიკა; 6. შენ და ერიკი; 7. მეგობრებმა; 8. ბიჭები; 9. ექიმები; 10. თანამშრომლებმა.
სავარჯიშო 16	1. დაღლილმა მეგობრებმა; 2. ოთხ საათს; 3. წვიმიანი ამინდი; 4. გარეცხილი ხილის და დაჭრილი ხორცის; 5. დიდ ავტობუსს; 6. დამწვარი ხით; 7. მე და ჩემი კოლეგები; 8. ერთჯერადი ტირაჟის; 9. დასასვენებელ დღედ; 10. ლამაზმა ინტერიერმა.
სავარჯიშო 17 /ბ	ა. 8; ბ. 2; გ. 9; დ. 6; ე. 4; ვ. 1; ზ. 7; თ. 10; ი. 3; კ. 5.

წიგნი A2, თემა 10 - მე მიყვარს მოგზაურობა	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 2	ღირსშესანიშნაობა - ცნობილი სანახავი ადგილი, შენობა ან ბუნების საოცრება. შვებულება - დასაქმებული ადამიანის მიერ აღებული თავისუფალი დრო. ტრანსპორტი - მოძრავი ტექნიკური საშუალება, რომლითაც ვმოგზაურობთ ან ვმგზავრობთ სხვადასხვა ადგილას. არდადეგები - დროის ხანგრძლივი მონაკვეთი, როცა სწავლა არ არის.
სავარჯიშო 3	1. არდადეგებზე; 2. ღირსშესანიშნაობა; 3. შვებულება; 4. ტრანსპორტი.

სავარჯიშო 4	**ღირსშესანიშნაობა** - პირამიდები, ეიფელის კოშკი, პიზის კოშკი, ამფითეატრი. **ტრანსპორტი** - მიკროავტობუსი, მატარებელი, თვითმფრინავი, ველოსიპედი. **სასტუმრო** - ლიფტი, შვეიცარი, ადმინისტრატორი, აუზი. **რესტორანი** - დელიკატესი, კერძი, კულინარი, მენიუ.
სავარჯიშო 7	1. შეფმზარეული; 2. კატერი; 3. ნომერი; 4. მატარებელი; 5. სასტუმრო; 6. ვიზიტორი; 7. გიდი; 8. კერძი; 9. ლიფტი.
სავარჯიშო 8	1. ძალების აღდგენა; 2. დროის გამონახვა; 3. უპირატესობას ვანიჭებ; 4. მეგობრის შეძენა; 5. დროის გამონახვა; 6. მეგობრის შეძენა; 7. უპირატესობას ვანიჭებ; 8. ძალების აღდგენა.
სავარჯიშო 11	სწორი (+) არასწორი (-) სწორი (+) არასწორი (-)
სავარჯიშო 12	1. გამოვნახე; 2. ვიმოგზაურე; 3. ვნახე; 4. ვანიჭებ; 5. შევიძინე; 6. გავიგე; 7. აღვიდგინე.
სავარჯიშო 13	1. სწორი (+) 2. არასწორი (-) 3. არასწორი (-) 4. სწორი (+)
სავარჯიშო 16	სწორი (+) სწორი (+) სწორი (+) არასწორი (-) არასწორი (-)
სავარჯიშო 17 ბ	1. დასრულებული მოქმედება; 2. რჩევის მიცემა; 3. დასრულებული მოქმედება; 4. რჩევის მიცემა; 5. რჩევის მიცემა; 6. რჩევის მიცემა; 7. დასრულებული მოქმედება; 8. დასრულებული მოქმედება.
სავარჯიშო 18 ა	ავიაკომპანია - „იბერია ეარლაინი“; მიმართულება - თბილისი-მიუნჰენი; თვე - მარტი; ბილეთის ღირებულება - 350 $; გაფრენის დრო - 04.30; ჩაფრენის დრო - 08.45.
სავარჯიშო 18 ბ	1. ე; 2. დ ; 3. ბ ; 4. ვ ; 5. ა ; 6. გ.
სავარჯიშო 19	**წყვეტილი:** ვიმოგზაურე, შევიძინე, გამოვნახე, გავიგე, ვანიჭებ, ვნახე, მოვახერხე. **მე-2 კავშირებითი**: დაისვენო, შეიძინო, გაერთო, გაიგო, ჩავაწყოთ, ვატაროთ, აღიდგინოთ, გააგრძელო, გამოვნახო.
სავარჯიშო 20	1. გამოვნახოთ; 2. გამონახოთ; 3. გამონახონ; 4. გამონახოს; 5. გამონახო; 6. შეიძინო; 7. შეიძინოს; 8. შევიძინო; 9. შევიძინოთ; 10. შეიძინონ; 11. აღიდგინოს; 12. აღვიდგინოთ; 13. აღიდგინონ; 14. აღიდგინოთ; 15. აღვიდგინო.
სავარჯიშო 21 ა	1. ვიყიდო; 2. დაათვალიეროთ; 3. შეიძინოს; 4. გაერთონ; 5. დავისვენოთ.
სავარჯიშო 21 ბ	1. ვცდილობ; 2. ცდილობენ; 3. ცდილობს; 4. ვცდილობთ; 5. ცდილობ.

სავარჯიშო 22	1. დაათვალიეროს; 2. წაიკითხოთ; 3. იმოგზაუროთ; 4. გავისეირნო; 5. ილაპარაკოს; 6. გაიგოთ. 7. ვისწავლო; 8. აიღოს; 9. დაისვენონ; 10. მოვძებნოთ.
სავარჯიშო 23	1. ნახო; 2. გაისეირნო; 3. გასინჯო; 4. იყიდო; 5. გაიგო; 6. გაიცნო; 7. ესტუმრო; 8. ისწავლო. 9. ისაუზმო; 10. აიღო; 11. გაერთო; 12. წახვიდე.
სავარჯიშო 24	1. რადგან; 2. როცა; 3. თუმცა; 4. და; 5. ამიტომ; 6. ამიტომ; 7. როცა; 8. და; 9. რადგან; 10. თუმცა.

წიგნი A2, თემა 11 - ფოსტაში გზავნილია - ამანათი და წერილი	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	გ. ფოტოზე ჩანს სიტუაცია ფოსტაში, ამანათის მიღება.
სავარჯიშო 2	1. გ) საქართველოს ფოსტა; 2. ბ) გზავნილი; 3. ე) წერილი; 4. ვ) გლობალ ფოსტა; 5.ა) კონვერტი; 6. დ) ფოსტის კურიერი.
სავარჯიშო 4	ა) 1. ბ) საქართველოს ფოსტის; 2. ა) იტალიაში; 3. გ) ორ ევროზე მეტი. ბ) 1. გააგზავნე; 2. გაუზიარო, გაუგზავნო.
სავარჯიშო 5	1. ბ) ვინაობის დამასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი; 2. გ) თქვენ გამოგიგზავნეს გზავნილი.
სავარჯიშო 6	1. რით შემიძლია გემსახუროთ? - რა გნებავთ?; 2. მოგართმევთ - მოგიტანთ; 3. ინებეთ -აიღეთ.
სავარჯიშო 7	ა) 1. ა) ნინოს ამანათი გამოუგზავნა მეგობარმა; 2. ბ) ლუკამ ამანათი გაუგზავნა დედას. ბ) გავაგზავნე ამანათი; აიღებ გზავნილს; ინებეთ თქვენი გზავნილი; ჩემს სახელზე გზავნილია; მომაწოდეთ პირადობის მოწმობა; რით შემიძლია გემსახუროთ; გამომიგზავნა ამანათი.
სავარჯიშო 9	სწორია (+) 1; 4; 5; 6; 9; 10. არასწორია (-) 2; 3; 7; 8.
სავარჯიშო 10	ტექსტი 1; 2. ტექსტი 1; 3. ტექსტი 1, ტექსტი 2; 4. ტექსტი 2; 5. ტექსტი 1; 6. ტექსტი 2; 7. ტექსტი 2; 8. ტექსტი 2.
სავარჯიშო 12	ა. 2; ბ. 5; გ. 1; დ. 6; ე. 3; ვ. 4; ზ. 7.
სავარჯიშო 13	1. ბ) გამოუგზავნა; 2. ბ) მოდიან; 3. ბ) წაუღო; 4.ბ) გამოიტანა; 5. ბ) გაუგზავნა.
სავარჯიშო 14	1. კაცი მოდიოდა; 2. მოსწავლე ჩაირიცხა; 3. ტყუილი თქვა; 4. სახლი აშენდა; 5. ბავშვი თამაშობს; 6. მეგობარი მსტუმრობდა; 7. ჩიტი ჭიკჭიკებს. 8. რამდენიმე გოგო და ბიჭი შევიდა; 9. წიგნი არის; 10. ვარსკვლავი ანათებს.
სავარჯიშო 15	1.ძმა; 2. ფილმი; 3. საქმე; 4. გაკვეთილი; 5. ამანათი.
სავარჯიშო 16	1. იგზავნება; 2. გაუგზავნის; 3. უნდა გაიგზავნოს; 4. გაუგზავნა; 5. გაიგზავნება; 6. უნდა გააგზავნოს; 7. გააგზავნა; 8. გააგზავნის; 9. უნდა გავაგზავნო; 10. აგზავნის.

წიგნი A2, თემა 12 - გაიცანი საქართველო	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	ა) საქართველოში მოგზაურობა
სავარჯიშო 3 ა	ქალაქი - სიღნაღი; ისტორიული მხარე - თუშეთი; ისტორიული ნაგებობა - ნარიყალა; დღესასწაული - თბილისობა; ნაციონალური ტანსაცმელი - ჩოხა; ხალხური სიმღერა - მრავალჟამიერ; ქართული ეროვნული ცეკვა - მთიულური; კერძი -კუბდარი; ცნობილი ადგილობრივი ბრენდი - ლაღიძის წყლები.
სავარჯიშო 3 ბ	1. ა) თავისუფლება; 2. ა) ძალა ერთობაშია; 3. ბ) ფარავანი 4. ა) შხარა; 5. გ) ალაზანი; 6. გ) ზაქარია ფალიაშვილი; 7. ა) ნიკო ფიროსმანი; 8. გ) სიღნაღი; 9. გ) გელათი; 10. ბ) საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, მწერალი და პოეტი.
სავარჯიშო 4	1. ზ; 2. დ; 3. ბ; 4. ი; 5. თ; 6. ა; 7. ვ; 8. გ; 9. ე.
სავარჯიშო 5	1. ხედი; 2. ქვაფენილი; 3. ჩაიხანა; 4. ბილიკი; 5. ექსპონატი; 6. ნარდი; 7. სასახლე; 8. მედრესე.
სავარჯიშო 6	სამუზეუმო ექსპონატი; საფეხმავლო ბილიკი; სპორტის სასახლე; ციხის გალავანი; კაკლის ხისგან ხელნაკეთი ნარდი; ქვაფენილიანი ქუჩა; ულამაზესი ხედი; სასადილო ჩაიხანა; მუსლიმური მედრესე.
სავარჯიშო 8	1. აღფრთოვანებული, აღტაცებული; 2. დაინტერესებულია; 3. ცნობილია, გამორჩეულია; 4. დარწმუნებულია; 5. ცნობილია, გამორჩეულია; 6. აღფრთოვანებულია, აღტაცებულია, კმაყოფილია, დაინტერე- სებულია; 7. დაინტერესებულია; 8. აღფრთოვანებულია, აღტაცებულია; 9. ცნობილია; 10. კმაყოფილია, დაინტერესებულია, აღტაცებულია, აღფრთოვა- ნებულია.
სავარჯიშო 10	1. არასწორია (-) ; 2. სწორია (+); 3. არასწორია (-); 4. სწორია (+); 5. არასწორია(-); 6. სწორია (+); 7. სწორია (+).
სავარჯიშო 12	ქვეყნები: საქართველო, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, აშშ, პოლო- ნეთი. საქართველოს რეგიონები და ქალაქები: ახალციხე, ბათუმი, სიღ- ნაღი, მარნეული, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, კახეთი, თბილისი. ღირსშესანიშნაობები: რაბათი, ვარძია, ჯაყელების ციხე, სიღნა- ღის ციხე-გალავანი, ბულვარი, ბოტანიკური ბაღი, პიაცა... ზედსართავი სახელები: საინტერესო, ძველი, აღფრთოვანებული, ისტორიული, ულამაზესი, განსხვავებული, მრავალფეროვანი, ხმაურიანი, პოპულარული.....

სავარჯიშო 14	დაათვალიერებდნენ ; 2. ნახავდნენ; 3. იქნებოდა; 4. გავისეირნებდით; 5. წავიდოდა; 6. ავიდოდი; 7. დაისვენებდით; 8. დარჩებოდა; 9. იყიდდნენ; 10. გაატარებდა.
სავარჯიშო 15	წყვეტილი: ვიყავი, მომეწონა, დავათვალიერე, ვნახე, გადავწყვიტე, ვიყიდე, შევედი, შევიძინე, მოვასწარი, გავიგე, დამაინტერესა. აწმყო: ვარ, ცხოვრობენ, უწოდებენ, არის, იცნობენ, დროს ატარებენ, მიყვარს, შევდივარ, ვსინჯავ, თამაშობენ, ყიდულობს, გაინტერესებთ, იზიდავთ, ჩანს. მყოფადი: წავალ, ვესტუმრები, ვნახავ, გავისეირნებ, ავალ, შევალ, დავათვალიერებ, დავრჩები, იქნებით.
	ხოლმეობითი: ვნახავდი, გავისეირნებდი, დავათვალიერებდი, ფოტოს გადავიღებდი, შევიდოდი, გავსინჯავდი, შევიძენდი, ვიცურავებდი, გავირუჯებოდი, დავრჩებოდი, დროს გავატარებდი.
სავარჯიშო 16	ვიმოგზაურე; 2. დაათვალიერებდა; 3. გავატარე; 4. დარჩნენ; 5. სადილობს; 6. დავისვენებდი; 7. წავალ; 8. ყიდულობენ; 9. წავიდოდი.
სავარჯიშო 17	1. სასტუმროთი; 2. სიღნაღით; 3. პარლამენტთან 4. მეგობრისგან; 5. ხედებით; 6. ტურებით; 7. ზღვასთან; 8. ისტორიით; 9. მაღაზიიდან; 10. დელფინარიუმიდან.
სავარჯიშო 18	ზღაპრულ/ბუნებით/კმაყოფილები/მრავალფეროვანი/ტრადიციები/საკმარისი
სავარჯიშო 19	1. სწორია(+); 2. არასწორია(-); 3. სწორია(+); 4. არასწორია(-); 5. სწორია(+).